

გრიგოლ რობაჟიძის  
სახელობის  
უნივერსიტეტი

პაატა ნაცვლიშვილის  
შემოქმედებითი  
სახელოსნო

# ობობა

საზოგადო გარემო  
მეცნიერებების  
მიერაცხოველი

1

სეპთემბერი, 2010


კონცეფცია, რეზისურა და  
© დიზაინი:  
პაატა ნაცვლიშვილი

ISSN 1987-8435


მისამართი:  
თბილისი, ჯანი ბაგრატიონის 6.  
ტელ. 8 93 400 515  
ელ. ფოსტა:  
obooba.magazine@yahoo.com  
obooba.magazine@gmail.com




№1 სეპთემბერი, 2010



№2




№3



№4



№5



№6



№7




№8



№9



№10



№11



№12

„ობობა“ არის არაკომერციული სასწავლო გამოცემა.  
უურნალის შემოქმედებითი ჯგუფი გულწრფელ მადლობას უზდის ყველას,  
ვისი შემოქმედებისა თუ ინტერნეტ-აქტივობის ნაყოფი, იქნება ეს ბლოგი, პოსტი, კომენტი, ფოტო თუ სხვა,  
ამა თუ იმ ფორმით გამოყენებულია „ობობას“ ფურცლებზე.

ნომერზე მუშაობდენ  
გრიგოლ რობაჟიძის  
სახელობის უნივერსიტეტის  
უზანეთარულ და სოციალურ  
მეცნიერებათა ფაულების  
ფელერადიოზურალისტიკის  
სამიაღებოს  
სტუდენტები:


ლიკა ალადაშვილი  
ნუცა ანდლულაძე  
გიორგი ახვლედანი  
სალომე ბარამიძე  
გიორგი ბერელიძე  
ნინო გიგაური  
გიორგი კარანაძე  
თამარ კარელიძე  
ქათევინ კობიაშვილი  
გიორგი ლელაძე  
ნუცა მუჯირიშვილი  
სალომე პაპიძე  
სალომე სუხიშვილი  
თამარ ქარდავა  
ანო ქობულაძე  
ანი შეყლამვილი  
სოფიო ჭანტურია  
თათია ჭაფოძე  
შორენა ხუბუტია

გარევანზე დაბეჭდილია  
მარიკა სუცმელისა (I, III გვ)  
და ანა ფერაძის (II, IV გვ)  
ფოტოები

ავტორთა პორტრეტებისა  
და მითითებულის გარდა  
ყველა ფოტო და სხვა  
საილუსტრაციო მასალა  
ამოლებულია ინტერნეტიდან,  
რის გამოც ვერ მოხერხდა მათი  
ავტორების მითითება.

უურნალში სანიმუშოდ  
გამოყენებულია სარეკლამო  
ბანერები yahoo-ს  
მეილბოქსიდან და რამდენიმე  
არაკომერციული  
რეკლამა-ილუსტრაცია

# შურნალი ობიექტები მსოფლიო აბლაბუდასა და სტუდენტურ აუდიტორიას შორის



**შეიძლება** ითქვას, რომ გუტენბერგის ეპოქა მთავრდება. ჩვენს თვალწინ მთავრდება. ჩვენივე მონაწილეობით. ამის მიუხედავად და მავანთა ნაჩეარევი პროგნოზის საწინააღმდეგოდ, ვფიქრობ, რომ ბეჭდური მედია კიდევ კარგა ხანს იარსებებს, თუმცა უკვე დღეს იგი აღარ არის ცოდნისა და ინფორმაციის ერთადერთი, უალტერნატივი წყარო.

მედიის ორი ნაკადის ურთიერთმიმართების თავისებურებები თანამედროვე ფილოსოფიისა და სოციოლოგიის, კომუნიკატივისტიკის, უურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხთა რიგს განეკუთვნება. ტრადიციულ და ახალ მედიათა ურთიერთობა წერა-კითხვის მცოდნე ყველა ადამიანს ეხება. მით უმეტეს ეხება იგი უურნალისტებს – ძველსაც, ახალსაც, მომავალსაც.

სწორედ ამიტომ, როცა უურნალისტური სახელოსნოს სტუდენტებთან ერთად ჩვენი სასწავლო უურნალის ხასიათსა და შინაარსზე ვმსჯელობდით, იგი ორი მედიის – პრესისა და ინტერნეტის – მიჯნაზე წარმოვიდგინეთ, რომლის ფორმა უფრო გუტენბერგისეული უნდა ყოფილიყო, შინაარსი – უფრო ცუკერბერგისეული.

დანამდვილებით არ ვიცი, ყოფილა თუ არა მსგავსი მცდელობა, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენი უურნალი ამ მხრივ ერთგვარი სიახლეა ბეჭდურ მედიაში. ყოველ შემთხვევაში, თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია მისი გამორჩეულობის, მისი ინტერნეტული სიჭრელისა და ინფორმაციულობის, ინტერნეტისთვის დამახასიათებელი ქაოტური წესრიგისა თუ მოწესრიგებული ქაოსის დასანახად.

უურნალის უჩვეულო სათაურიც, ფორმატიც, რუბრიკებიც, სტილისტიკაც და დიზაინიც ერთგვარად ეხმიანება ჩვენს ყოველდღიურობაში უკვე მყრად და მყვიდრებულ ინტერნეტ-ესთეტიკასა და ვებ-დიზაინს. ინტერნეტიდან არის ნასესხები ერთგვარი ინტერტექსტუალურობაც თავისი პარალელური პოსტებით, ჰიპერტექსტებითა თუ ლინკებით.

რაც შეეხება შინაარსს, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ყველა მასალა ამა თუ იმ კუთხით ყოფილიყო მიბმული ინტერნეტზე – თუ თემატიკით, თუ პერსონალით, თუ რესურსით, თუ ასახვის ხერხებით, თუ ტერმინოლოგიით, თუ სტილით...

ვერაფერს ვიტყვი, სტუდენტებმა კარგად გაართვეს თავი დასახულ ამოცანას. ყველამ ერთნაირი მონდომებით იმუშავა, ზოგიერთმა – განსაკუთრებით. გიორგი კარანაძემ სხვაზე მეტი იტვირთა და გააკეთა კიდეც. ვინ როგორ და რითი გამოირჩა, მკითხველი თავად ნახავს და თავად შეაფასებს ყველაფერს.

ვფიქრობ, სტუდენტებს არ გამორჩენიათ არც ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელიც 2010 წლის პირველ ნახევარში ჩვენს ქეყანაში მოხდა ან რაღაცით იყო ჩვენთან დაკავშირებული. სტუდენტებმა ბევრი მასალა მოამზადეს ტელევიზიაზე, ტელეურნალისტიკაზე, რაც მათი მომავალი პროფესიაა. უურნალის ყველა ავტორმა თავის პოსტები თავად შეარჩია და დალინკა ის სიტყვები, რომლებიც, მათი აზრით, განმარტებას საჭიროებდა. ამიტომ არის, რომ ზოგი ურთულეს სიტყვასაც არ ალურჯებს, ზოგი კი ერთი შეხედვით უმარტივეს სიტყვას ისეთ განმარტებას და გაგრძელებას ურთავს, რომ ძირითად ტექსტსაც აჭარბებს, ზუსტად ისე როგორც ინტერნეტშია. თავ-თავიანთი პროფაილებიც მათ სხვადასხვაგვარად დაწერეს იმ მოცულობითა და იმ ფორმით, როგორიც თავად ჩათვალეს საჭიროდ. ერთი ემოციურად წერს, პოეტურად, მეორე – აკადემიურად, მესამე – ირონიულად, მეოთხე – ფორუმულ-ფეისბუქურად. ერთიანი რამ ფორმა აქ არ დაგვიდგენია.

დასახეჭდად შერჩეული მასალა პირობითად ექვს ჯგუფად დავყავით – ექვს პირობით სივრცეში გავანაწილეთ: „ვირტუალურ სივრცეში“ გაერთიანდა ის პოსტები, რომელიც ყველაზე მეტად არის დაკავშირებული ამ სრულიად ახალ განზომილებასთან; „რეალურ სივრცეში“ პირიქით – ვირტუალურობისგან ყველაზე შორს მდგარი ამბებია თავმოყრილი, 26 მაისის აღლუმით დაწყებული და სპორტით დამთავრებული; „საკუთარ სივრცეში“ დადებული პოსტები საკუთარ ქალაქს, საკუთარ უნივერსიტეტს, გრიგოლ რობაქიძეს, განათლების საკითხებს შეეხება (რაკი ეს უურნალის პირველი იყო, „საკუთარ სივრცეში“ ფაქტობრივად კოპი-პერსტიტ გადმოვიტანეთ ზოგიერთი ტექსტი ჩვენი უნივერსიტეტის საიტიდან); „ცარიელ სივრცეში“ სახელოვნებო და სატელევიზიო სივრცე

**დეფინიცია: ინტერნეტი// ქობულაძე//6**  
**მომავლის მედია(?)//კარელიძე//10**  
**შენი კუთხი ინტერნეტში//ალადაშვილი//16**  
**ქეთილი იყოს თქვენი მოპრენანება ელექტრონული კომერციისა და ინტერნეტ-პაზნეის სამყაროში//ბერელიძე//22**  
**პირველი ქართული ელექტრონული უზრნალება//კარანაძე//26**  
**სმაილის ისტორია//კარანაძე//28**  
**წიგნის ბედი ინტერნეტის ეპოქაში//კობიაშვილი//30**

## ვირტუალური სივრცე



**„იმედის“ რექვიემი //ჭანტურა//96**  
**რეაქცია შემწვარ კვერცხზე//სუხიშვილი//100**  
**ვის უნდა გახდეს ქველმოქმედი//ქარდავა//106**  
**ბანალუსი, ჩქარა! //კობიაშვილი//108**  
**სამიმარი ქრონიკ ენას //ბარამიძე, სუხიშვილი//112**  
**ახალი კომიუნიტერული შესაძლებლობანი მუსიკოსებისათვის //ბაბიძე//116**  
**რა არის ანიმე?//კარანაძე//118**  
**იაპონია//კარელიძე//119**  
**ქუჩის 3-D ხელოვნება //ხუბუტია//122**



## ცარიელი სივრცე

2010 წლის 26 მაისი. თბილისი//ანდლულაძე//32

რელამა პოლიტიკის სამსახურში//კარანაძე//36

კატინი-2//შეყლაშვილი//38

ტელეგრაფი, ხელოვნური თანამგზავრები და კოსმოსური

ნაგავი//შეყლაშვილი//42

ნანოტექნოლოგიური მომავალი//ბარამიძე//46

რუსებზე გავლით ახალი ზელანდიისაკენ//აზვლედიანი//50

ქრონოგებბი პუტინის ოვალნი დაპყრობის//ლელაძე//54

საბედისნერო დაშვება ლომიბიურ ვანკუვერში//ბარამიძე//56

პარკური – ახალი გატაცება, ახალი სპორტი//ქობულაძე//60

ვინ და როდის გამოიგონა კომპიუტერის თავგვი?//კარანაძე//62

## რეალური სივრცე



## საკუთარი სივრცე

თბილისი – ჩვენი ქალაქი

//შეყლაშვილი//66

ჩვენი უნივერსიტეტი

//საიტიდან//70

სტუდენტის გზამკვლევი

//საიტიდან//71

რეტრონის მიმართვა

//საიტიდან//76

გრიგოლ რობაქიძე – სახელი და ადგილი//ჭანტურია//78

რობაქიძის „როკვით განფენილის“ წაკითხვის შემდეგ//ქობულაძე//80

ჩემი//კარელიძე//83

გრიგოლ რობაქიძის ანდერძი//83

ნაკურთხი ამორტიზატორი და სხვა

ამბები//მუჯირიშვილი//84

მე ახალგაზრდა ვარ: Yes: //კარელიძე//85

გლობალურ-ეირტუალური

სოფელი ანუ ჩანაცვლე,

გენაცვალე!//ჭაფოძე//90

დისტანციური სისვლების

პერსპექტივები//ჭაფოძე//93



## დასკამული სივრცე

მომავლის პროფესიული გზა//სუხიშვილი//126

არამინიერი ცივილიზაცია: მითით თუ რეალობა//ალადაშვილი//130

ჰავერთა შესანიშნავი შეკიდებული//კარანაძე//134

ყველაზე პოპულარული საძიებო პორტალები//ქობულაძე//138

ვირტუსები ანტივირტუსების წინააღმდეგ//კარანაძე//142

მეერდის დასამაღად თუ მეერდის გამოსაჩენად//სუხიშვილი//146

რა არის სამოთხე?//ხუბუტია//148

ია ანთაძე//როგორც იქნა, ომი ნავაგეთ//153

გიორგი გვახარია//,მამა, უცბად ვიგრძენი, რომ სულ მარტო ვარ „...“//156

ბიძინა მაყაშვილი//სპორტი//159

ნიკო ნერგაძე//დავინახე შიშველი (ჩაცმული ჯობდა) //161

მაღაზ ხარბედია//გამოშტერება//166

პატა ქურდაძე//სექსუალურ დ კორექტული საზოგადოება//169

პატა ნაცვლიშვილი//წოდელის პრემიის პირველი ქომინანტი//175

## დსტყ გვ-2 გვრცელება

გავაერთიანეთ; „დასპამულ სივრცეში“ ის პოსტები დავდეთ, რომლებსაც სხვაგან ვერ მოვუძებნეთ ადგილი და, რაც მთავარია, რომლებიც ავტორებმა „დამატებით“, დაგეგმილს ზემოთ მოამზადეს; დაბოლოს, უურნალს ერთვის „მასტერკლასის სივრცე“, რომლის ძირითად ნაწილს ქართული ბლოგებიდან გამოკრებილი, სტუდენტთა მიერ არჩეულ თემატიკასთან დაკავშირებული ტექსტები წარმოადგენს.

ასე რომ, უურნალს მოწესრიგებული ქაოტურობისა და ქაოსური წესრიგის გარდა ჩამოყალიბებული სტრუქტურაც გამოარჩევს, რაც უურნალის მომავალ ნომრებზე მუშაობას, მათ რეჟისურასა და რედაქტორებას გააადვილებს.



ჩანჩერელში ცურვის  
გაკვეთილები  
მოტივირებული  
უურნალიფსიტეტისათვის

პატია  
ცაცვლიშვილის  
ხამიძევაგითი  
სახელოსნო

გრიგოლ რობაქიძის სახელობის  
უნივერსიტეტი  
ჯან ბაგრატიონის 6  
paatapress@yahoo.com

უურნალის პირველი ნომრის გამოცემა განხორციელდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ტელერადიოურნალისტიკის სპეციალობის მესამე დონის ბაზაზე. ჩვენს სახელოსნოში უურნალისტური ოსტატობის დაუფლების გარდა მათ ეკითხებოდათ უურნალის რეჟისურისა და ნარმობების კურსიც. თუმცა ამ საგნებში ყველამ წარმატებით ჩააბარა გამოცდა, უურნალის ფურცლებზე ყველა მათგანის ნამუშევარი ამჯერად ვერ მოხვდა. მესამე დონის სტუდენტებთან ერთად უურნალის გამოშვებაში მეორე დონის რამდენიმე სტუდენტიც მონაწილეობდა, ხოლო მეორე დონის ერთი სტუდენტი უკვე საბაკალავრო ნაშრომების დაცვის შემდეგ შემოვიერთეთ.

ავტორთა ფოტოების ნაწილი წუცა ანდლულაძემ გადაიღო, რომელმაც ერთი საინტერესო ფოტოპროექტიც განახორციელა ჩვენი უურნალისათვის. უურნალის შემოქმედებითი ჯგუფის ინიციატივით, უურნალისთვის ფოტოების შესარჩევად რობაქიძის უნივერსიტეტში სპეციალური კონკურსიც გამოცხადდა. სამწუხაროდ, კონკურსზე სულ რამდენიმე ავტორის ნამუშევრები შემოვიდა და ორი მათგანის ორ-ორი ფოტო უურნალის გარეკანზეა დაბეჭდილი.

არაერთი სასწავლო უურნალი გამოსულა დღემდე საქართველოში, მაგრამ რატომდაც ისე დამკვიდრდა, რომ სასწავლო უურნალი მაინც არ ითვლება ნამდვილ უურნალად და მის დონესა და ხარისხზე ნაკლებად ზრუნავენ. არადა, სასწავლო უურნალი, რომლის მოსამზადებლად მის შემოქმედთ დროც მეტი აქვთ და თავისუფლებაც, სხვაზე უკეთესი თუ არა, უარესი არ უნდა იყოს. ან განა შეიძლება მომავალი პილოტების სასწავლო ფრენა თვითმფრინავის ჩამოვარდნით დასრულდეს?

უმაღლეს პილოტაჟამდე, ვიცი, ჩვენს უურნალსაც ბევრი აკლია, მაგრამ ჩვენ შევეცადეთ, რომ იგი ნამდვილი, ხარისხანი უურნალი ყოფილიყო და ამაში თავისი ყოველმხრივი მხარდაჭერით დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი უნივერსიტეტის რექტორმა ბატონმა მამუკა თავებელიძემ, რომელსაც ეკუთვნის კიდეც უურნალის გამოშვების ინიციატივა.

აქტიურად გვეხმარებოდა პროფესორი ხათუნა კაჭარავაც. სწორედ მისი რჩევით დავურთეთ უურნალს რამდენიმე ცნობილი უურნალისტის ტექსტიც, როგორც ერთგვარი მასტერკლასი, რადგან ამ ტექსტების თემატიკა იგივეა, რაც სტუდენტთა ნამუშევრებისა და მათი შედარება ბევრ საინტერესო მასალას მისცემს თავად სტუდენტებსაც და უურნალის სხვა მკითხველსაც.

უურნალზე მუშაობის პროცესში სასამოვნოდ გაოცებული დავრჩი, რაოდენ საღად და სწორად აღიქვამენ ახალგაზრდები მოვლენებს, რაოდენ ზუსტად და კრიტიკულად აფასებენ უურნალისტთა ნამუშევარს ამა თუ იმ პრინციპული თემის გაშუქებისას. ეს ტენდენცია აქამდეც შემინიშნავს: სტუდენტობის პერიოდში მომავალი უურნალისტი ყველაფერს სწორად ხედავს, სწორად აანალიზებს, მაგრამ მერე აიღებს დიპლომს, დაინტერეს მუშაობას და ზუსტად იმავეს აკეთებს, იგივე შეცდომები მოსდის, რასაც სულ ცოტა ხნის წინათ იწუნებდა და აერიტიკებდა.

რატომდაც მგონია და იმედიც მაქვს, რომ ამ უურნალის ავტორებს და მათ თანაჯგუფებს ასე არ დაემართებათ.

პატა ნაცვლიშვილი,  
მოდერატორი და რედაქტორი  
paatapress@yahoo.com

**დეფინიცია: ინტერნეტი// ქობულაძე//6**  
**მომავლის მედია(?)//კარელიძე//10**  
**შენი ეუთხე ინტერნეტში//ალადაშვილი//16**  
**ქსელში შეზღუდული თავისუფლება//გიგაური//20**  
**ეკოლი იყოს თქვენი მოპრძანება ელექტრონული კომერციისა და ინტერნეტ-პაზნეის სამყაროში//ბერელიძე//22**  
**პირველი ქართული ელექტრონული უზრნალება//კარანაძე//26**  
**სმაილის ისტორია//კარანაძე//28**  
**წიგნის ბედი ინტერნეტის ეპოქაში//კობიაშვილი//30**

## ვირტუალური სივრცე



„იმედის“ რექვიემი //ჭანტურა//96  
 რეაქცია შემწვარ კვერცხზე//სუხიშვილი//100  
 ვის უნდა გახდეს ქველმოქმედი?//ქარდავა//106  
 პანდუსიჩქარა! //კობიაშვილი//108  
 სამიმარი ქრონიკა //ბარამიძე, სუხიშვილი//112  
 ახალი კომპიუტერული შესაძლებლობანი მუსიკოსებისათვის //ბაბიძე//116  
 რა არის ანიმე?//კარანაძე//118  
 იაპონია//კარელიძე//119  
 ქუჩის 3-D ხელოვნება //ხუბუტია//122



## ცარიელი სივრცე

მომავლის პროფესიული გზა//სუხიშვილი//126  
 არამინიერი ცივილიზაცია: მითით თუ რეალობა//ალადაშვილი//130  
 ჰაკერთა შესანიშნავი შეკიდული//კარანაძე//134  
 ყველაზე პოპულარული საძიებო პორტალები//ქობულაძე//138  
 ვირტუსები ანტივირტუსების წინააღმდეგ//კარანაძე//142  
 მექერდის დასამაღად თუ მექერდის გამოსაჩენად//სუხიშვილი//146  
 რა არის სამოთხე?//ხუბუტია//148

2010 წლის 26 მაისი. თბილისი//ანდლულაძე//32  
 რელამა პოლიტიკის სამსახურში//კარანაძე//36  
 კატინი-2//შეყლაშვილი//38

ტელეგრაფი, ხელოვნური თანამგზავრები და კოსმოსური ნაგავი//შეყლაშვილი//42  
 ნანოტექნოლოგიური მომავალი//ბარამიძე//46  
 რუსებზე გავლით ახალი ზელანდიისაკენ//ახვლედანი//50  
 ქრისტენებისა პუტინის თვალნინ დაპყროსა//ლელაძე//54  
 საბედისნერო დაშვება ოლიმპიურ ვანკუვერში//ბარამიძე//56  
 პაკური – ახალი გატაცება, ახალი სპორტი//ქობულაძე//60  
 ვინ და როდის გამოიგონა კომპიუტერის თავგვე?//კარანაძე//62

## რეალური სივრცე



## საკუთარი სივრცე



თბილისი – ჩვენი ქალაქი //შეყლაშვილი//66  
 ჩვენი უნივერსიტეტი //საიტიდან//70  
 სტუდენტის გზამკვლევი //საიტიდან//71  
 რეტრონოის მიმართვა //საიტიდან//76

გრიგოლ რობაქიძე – სახელი და ადამიანი//ჭანტურა//78  
 რობაქიძის „როკვით განვიხილის“ წაყითხვის შემდეგ//ქობულაძე//80  
 ჩები//კარელიძე//83  
 გრიგოლ რობაქიძის ანდერძი//83  
 ნაკურთხი ამორტიზატორი და სხვა ამბები//მუჯირიშვილი//84  
 მე ახალგაზრდა ვარ: Yes: //კარელიძე//85  
 გლობალურ-ვირტუალური სოფელი ანუ ჩაანაცვლე, გრიგორალე!//ჭაფოძე//90  
 დისტანციური სწავლების პერსპექტივები//ჭაფოძე//93



## დასკამული სივრცე

ია ანთაძე//როგორც იქნა, ომი ნავაგეთ//153  
 გიორგი გვახარია//,მამა, უცბად ვიგრძენი, რომ სულ მარტო ვარ „...“//156  
 ბიძინა მაყიშვილი//სპორტი//159  
 ნიკო ნერგაძე//დავითახე მიშვევი (ჩაცმული ჯობდა) //161  
 მაღაზ ხარბედია//გამოსტრება//166  
 პატარა ქურდაძე//სექსუალურად კორექტული საზოგადოება//169  
 პატარა ნაცვლიშვილი//ნობელის პრემიის პირველი ნომინანტი//175



ლიკა ალადაშვილი

ნუცა ანდლულაძე

გიორგი ახვლედიანი

სალომე ბარამიძე

გიორგი ბერელიძე

ნინო გიგაური

გიორგი კარანაძე

თამარ კარელიძე

ქეთევან კობიაშვილი

გიორგი ლელაძე

ნუცა მუჯირიშვილი

სალომე პაპიძე

სალომე სუხიშვილი

თამარ ქარდავა

**ანო ქობულაძე**

ანი შეყლაშვილი

სოფიო ჭანტურია

თათია ჭაფოძე

შორენა ხუბუტია

## დეფინიცია: ინტერნეტი

კაცობრიობის ისტორიამ არსებობის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა მონაპოვარი დააგროვა, იყო ეს რიტუალი, მითოლოგია, ზღაპარი, ლეგენდა თუ რელიგია.

კაცობრიობამ შექმნა კულტურა, ცივილიზაცია, ურბანი, ტექნიკა და ბოლოს, კაცობრიობამ შექმნა ინტერნეტი – ვირტუალური სივრცე: უკიდესად, უსაზღვრო, უსიგრძეება და, რაც მთავარია, ულიმიტო სივრცე, რომელიც ნებისმიერისთვის ხელმისაწვდომია.

ინტერნეტში, როგორც უძირო სკივრში, ჩაყარეს აქამდე დაგროვილი ყველა გამოცდილება, ცოდნა, მიღწევა, ნოვაცია, ტრადიცია, მაგრამ ეს არ აკმარეს – ინტერნეტში ჩაყარეს ადამიანები, გრძნობები, ემოციები, მიმიკები, ჟესტები, ჩვევები, უნარები, შესაძლებლობები – ყველაფერი: უფუნქციო, ფუნქციური, გამოსაძეგი, გამოუსაძეგარი, ახალი, ძველი, ნახმარი, ნათხოვარი, გაცვლილი, შეცვლილი, საყვარელი, საძულველი. ინტერნეტში ისროლეს მთელი ჭუჭყი, ნაგავი, ტალახი, მტვერი და ინტერნეტში, ასევე, ისროლეს წმინდა, საკრალური, მენტალური, მორალური.

## აპლეტი

აპლეტი გახლავთ პატარა პროგრამა-დამატება, რომელიც ვებ-გვერდებშია ჩაშენებული და მათი გარეგნული სახის გაუმჯობესებას თუ ახალი შესაძლებლობების დამატება ემსახურება. ასეთა, მაგალითად, გადმოსაშლელი მენიუ, მორბენალი სტრიქონი და სხვა მისთანანი. ჩვეულებრივ, აპლეტები Java -ზე – პროგრამირების სპეციალურ ენაზე ინერება.



ინტერნეტი გახადეს ვირტუალური პლანეტა, სამყარო – სხვა, სრულფასოვანი, იდეალური, სასურველი, სანატრელი.

ინტერნეტში დაკავდნენ სექსით, საქმით, სიყვარულით, სიძულვილით, ოცნებით, ბოლვებით.

ინტერნეტში, როგორც ნოეს კიდობანში, შეიყვანეს ძალლები, ლომები, ცხვრები, ვეფეხები, კატები, მაჩვები.

ინტერნეტი მორთეს ყვავილებით, ზარებით, ბუშტებით, ბაფთებით და ინტერნეტი ახმიანდა მუსიკით: პოპით, როკით, სოულით, ჯაზით, ბლუზით, ტექნოთი...

ინტერნეტში ჩაიყარნენ სიტყვები, აზრები, ფიქრები, გრძნობები, ლოცვები, თხოვნები, კოცნები..

ინტერნეტი გადაივსო მუქარით, შანტაჟით, გაყიდვით, შეძენით, გასავლით, მოსავლით..

ინტერნეტმა გამოგვიბა ძაფებით, თოკებით, ბაწრებით, ჯაჭვებით, ქამრებით და მოგვისავა ამინდი – წვიმიანი, თოვლიანი, ქარიანი, ღრუბლიანი, ყინვიანი, ნამიანი..

ინტერნეტი აცხუნებს მზეს – აირჩიეთ რომელი ფერი გსურთ. გვეკითხება – „ვისი სული გსურთ?“

ინტერნეტი მთავაზობს აღმართს, ბალნარს, ხილნარს, მუხნარს, დაღმართს.

ინტერნეტი – დედობილი ჩვენი, google ჩვენი არსობისა – თქვენი.

## ვირტუალური კომუნიკაციები

XXI საუკუნემ მოიტანა თავისი რიტმი, ტემპი, საათი, წუთი და, რა თქმა უნდა, მოიტანა თავისი ფილოსოფიაც. თუ ძველეგვიპტური მითოლოგიის თანახმად, ადამიანის პიროვნება ცხრა ელემენტად იშლება, ბუდიზმი მას ასტრალური სხეული გააჩნია, ქრისტიანულში – სამშვინველი, ხოლო XXI საუკუნის ფილოსფიაში ადამიანს ერთი განზომილება ემატება – იგი უკვე ვირტუალურ

## აპლეტი



## ინტერნეტი

ინტერნეტი საინფორმაციო და გამოთვლითი რესურსების გლობალური ტელეკომუნიკაციური ქსელია, რომელიც მსოფლიო აბლაბუდის ფიზიკურ საფუძველს წარმოადგენს. ეს არის ავტონომიური სისტემების ქაოტური გაერთიანება რომლის ფუნქციონირება არ არის დამოკიდებული მისი რომელიმე შემადგენელი ნაწილის გამართულობაზე.

ინტერნეტის დაბადების თარიღად ითვლია 1969 წლის 29 ოქტომბერი, როცა კალიფორნიაში, მენლო-პარკში შეერთდა პირველი კვანძი კალიფორნიის უნივერსიტეტს და მისგან 640 კილომეტრით დაშორებულ სტენფორდის კვლევით ინსტიტუტს შორის, რაც განახორციელეს ჩარლი კლაიმბა და ბილ დიუვალმა. პირველი სიტყვა, რომელიც კლაიმს დიუვალისთვის უნდა გადაეცა იყო LOGON, მაგრა პირველ ცდაზე ამ სიტყვის მხოლოდ სამი ასოს გადაცემა მოხერ-



სხეულს ფლობს, რომელიც მისგან დამოუკიდებლად, სხვა ყოფით და დროით კატეგორიაში – ინტერნეტ-სივრცეში არსებობს. აქ უთვალავი ასეთი ვირტუალური სხეული იმყოფება, მოქმედებს, პასიურობს, აგრესორობს, სიყვარულს გამოხატავს და ა.შ.

ვირტუალური კომუნიკაციები ისე მარტივად, კეთილგანწყობილად და ეფექტურად შემოვიდა ჩვენს რეალობაში, რომ ვერც კი მოვასწარით იმ მომენტის დაფიქსირება, როცა ჩვენ მათზე დამოკიდებული გავხდით. ჩვენივე ცხოვრების ღერძზე შევქმნით ინტერნეტ-გლობუსი და იმის მაგივრად, რომ თვითონ დატრიალებულიყო, გარსშემოვლა ჩვენ თვითონ დაცუნყეთ. მოკლედ, მაქსიმალურად გავეძეცით ბიოსფეროს, რათა ინტ.სფეროში გადავბარგებულიყავით. ჩვენ მიღიონობით ერთნაირი სახლი დავდგით ამ ვირტუალურ პლანეტაზე და ცხოვრების ნახევარს იქ ვატარებთ – არც არის გასაკვირი, იქ ხომ ყველაფერი იდეალურადა, განსხვავებით, არასრულყოფილი რეალობისგან. ჩვენც მეტი რა გვინდოდა – ავიხსენით ბორკილები, გამოვუშვით ჩვენი დამწყვდებული სულის ჯინები, თავისუფლება მივანიჭეთ კომპლექსებსა და ტრაქტებს – ერთი სიტყვით, თერაბიული სეანსები და კათარზისული პროცედურები დავინიშნეთ და ხანდახან ისეთი ბეჭინიერები ვხვდებით, რომ ხმის ამოღების გვეშინია, მაგრამ ნუ გვეშინია! – ვირტუალური სამყარო თავზე არასდროს ჩამოგვემხობა, რადგან განსაზღვრულად არსად არსებობს, მის მისამართს ვერავინ ვერავის მიასწავლის, ვერ უკარნახებს კოორდინატებს, ის ღმერთივთაა – ყველანაც არის და არსადაც.

ჩვენ კი ვთქვით, რომ ნახევარ ცხოვრებას ინტ.პლანეტაზე ვატარებთ, მაგრამ საქმე ისაა, რომ დედამიწურ კატეგორიებს ვერაფრით შეველევით. ამიტომ, ინტ.სივრცეში, შემთხვევით, რომ არ მოგვეწინა, ავდექით და იმის გარდა, რომ დედამიწა მოვნიშნეთ და copy-paste-ით გადავიტანეთ, საკუთარი თავებიც არ დაგვენანა და რაც კი რამე გამოვწოვთ ემოციების, გრძნობების, განცდების, გამოცდილებისა თუ ცოდნის სახით, ყველაფერი იქით მოვისროლეთ და საოცრად კმაყოფილებიც დავრჩით.

ყველა დროით დაცდილი კულტურული ღირებულება – რელიგია და რიტუალი, ტრადიციაც და ინვაციაც ამ ერთ პლანეტას ერთბაშად გადავუყარეთ. ახლა, მისი კომბინირებული ტანის ყველა უჯრედი კაცობრიობის ისტორიას ინახავს და ამავდროულად ახალ ერას ქმნის. ჩვენი ვირტუალური სხეულით, პლანეტის ბიძგებს და ვულკანურ ამოფრქვევებს განვიცდით, მასზე დავდივართ, ვცოცხლობთ, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ აქ სიკვდილიც შეგვიძლია – თან სიკვდილის ფართო ასორტიმენტი გვაქვს – შეგვიძლია მოვკვდეთ ნელა, მშვიდად, ჩქარა, ექსტრემალურად, პანალურად, აღმაშფოთებლად, დასამახსოვრებლად. ეს კიდევ ყველაფერი არაა – შეგვიძლია სიკვდილის

ხდა. ის პირველი ქსელი ცნობილია, როგორც ბრანდენბურგი.

1971 წელს დამუშავდა პირველი პროგრამა ელექტრონული ფოსტისათვის.

1973 წელს, მას შემდეგ, რაც ტრანსატლანტიკური სატელეფონო კაბელის მშვევობით ქსელს ბრიტანული და ნორვეგიული ორგანიზაციები მიუერთდნენ, იგი საერთაშორისო გახდა.

პირველი ფართო მასტების ქსელი შეიქმნა 1983 წლის 1 იანვრს, როდესაც არპანეტში არსებული ყველა პოსტი ძველიდან ახალ პროტოკოლში შეერთდა.

1984 წელს შეიქმნა დომენურ სახელთა სისტემა. იმავე წელს არპანეტს გაუჩნდა კონკურენტი აშშ ეროვნული სამეცნიერო ფონდის უნივერსიტეტთაშორისო ქსელის (NSFNet) სახით.

1988 წელს შეიქმნა ჩატის პროტოკოლი, რამაც შესაძლებელი გახდა ურთიერთობა რეალურ დროში.

1989 წელს პირთვული გამოკვლევების ევროპულ საბჭოში დაიბადა მსოფლიო აბლაბულის კონცეფცია, რომლის აუტორია ცნობილი ბრიტანელი მეცნიერი ტიმ ბერნერს-ლი.

1990 წელს არპანეტმა შეწყვიტა არსებობა. იმავე წელს მოხდა პირველი მიერთება ინტერნეტთან ტელეფონის მეშვეობით (Dialup access).



### ანო ერმულაძე

დავიბადე თბილისში. 21 წლის. გათხოვილი. მისამართი: გაურკვე - ველია. განათლება: თავდა განსა - ჯეთ. დავიბადე მაისში. კურო ვარ.

პეპის მეძახიან. ეს სახელი შე-მარქა ბაჭმა, რომელსაც თვთთობ „ნესვიანა“ ჰქვია და, ჩემი არ იყოს, ნაკომანია. მიყვარს სიგარეტი. ვიკეთებს მუსიკას: რამდენჯერმე Radiohead-ის მომაკვდნებელი დო-ზა გავიჩინო იPod-ის ნემსიბით და მაინც გადავრჩი. მიყვარს ტრანსი, მინიმალი, როკი, ზოგჯერ პოპი. მიყვარდა დათუნა და ცოლად გა - ვყევი. მიყვარს ჩვენი შველი. ზემ - რად მომიწევია ჩილიმი. ზამთარში მინატრია ზღვის ნაპირი, ეგვიპტე, ინდოეთი. მანწერებებს აზური კულტურა. საბოლო სულ მაქვს ფე - რად ქალალდები. მეტინია ტარა - ნების და ექიმების. მომწონს „ბენეტონის“ ფერები და ჩემი კომბინებინი. გაი - მოვარდნა ლოგინიდნ. მიყვარს ტელე - და კინოგამოსახულება. მჯერა მოძრავი სურათების. ვიღებ ფოტოს, მინდა „ნიკონი“. გავიცნა - ბდი დარენ არანვესკის, კრის მარ - ტინს, ტომ იორქს, პატრიკ ზუს - კინდს კი შორიდან მივესალმებო - დი. მაკვირვებს ფერები, სეზონები, კანონზემერებები. მიყვარს და ცისფერი, მუქი ლურჯი, ფორთონ - ლისფერი. ვერ ვიცვამ ნითელს.

შემდეგ ისევ მოვევლინოთ ინტ.ქვეყანას და დანარჩენები გავახალისოთ. მაგალითად: ჯერ შევიდეთ MSN messenger-ში, მერე Yahoo-ზე გადავხტეთ, ცოტა ხნის შემდეგ Skype-ს შევუერთდეთ და ასე უსასრულოდ. ჩვენი დატოვებული ყველა წინა პოსტი ჩაქრება და შემდეგი აინთება – წინა მოკვდება, ხოლო შემდგომი ვირტუალურ სულს ჩაიდგამს. მითხარით, ასეთ პირობებში, რაღამი გვჭირდება ვინმე სასწაულის მომხდენი – სასწაულები ხომ ჩვენს ვირტუალურ სისტემაში უამრავი მოინახება. იდეოლოგია? აქაურობაზე უხვად და ადვილად სად გაეცნობით და სად ეზიარებით? როგორც წესი, ყველა ადამიანი საკუთარი იდეოლოგიით აბიჯებს ინტ.საზღვარს და ეტაპობრივად აფრქვევს იდეოლოგიის **მანანას** ვირტუალ-პლანეტის მოსახლეობას თავს – ისინიც, თავის მხრივ, ცდას არ აკლებენ და ასე მიდის ალებ-მიცემობა, გაცვლა - გამოცვლა, ყიდვა-გაყიდვა.

დასკვნისთვის: XXI საუკუნის ფილოსოფია ჩვენს ვირტუალურ სხეულებზე დაფარფატებს და სხვადასხვა კონცეფციას აყალიბებს ადამიანების შესახებ – მათი მომავალი განვითარების გეგმებს სახავს და იმედია, ადამიანების სტატუსს შეგვინარჩუნებს. ¶



**მანანა** – ზეციური ფაფა, რომლითაც დამერთია ბიბლიური მოსე და მისი ხალხი დაპურა უდაბნოში.

### აპლეტი

პირველი ქართული გვერდი ინტერნეტში 1996 წლის და - საწყისში შექმნა რენო სირაძემ ფინეთში.

მეორე ქართული ვებ-გვერდი და ბირველი, რომელიც უნი - კოდ კოდირებაზე იყო და - ფუძნებული, გახდა „შავლე - გო“, რომელიც 1997 წლის დაასაწყისში შექმნა ფინეთ - შივე BPG-InfoTech-ის (ბესა - რიონ გუგუშვილის) მიერ.

ინტერნეტისა და ვებისათვის შექმნილი ქართული წარმო - ების პრველი უნიკოდ-ფონ - ტებია BPG-InfoTech-ის BPG SanSer, BPG Classic და რენო სირაძის RswWWNet.

2009 წელს საქართველოში ინ - ტერნეტით სარგებლობდა მი - ლიონ 24 ათასი ადამიანი (2000 წელს – 20 ათასი).



ლიკა ალადაშვილი

ნუცა ანდლულაძე

გიორგი ახვლედიანი

სალომე ბარამიძე

გიორგი ბერელიძე

ნინო გიგაური

გიორგი კარანაძე

**თამარ კარელიძე**

ქეთევან კობიაშვილი

გიორგი ლელაძე

ნუცა მუჯირიშვილი

სალომე პაპიძე

სალომე სუხიშვილი

თამარ ქარდავა

ანო ქობულაძე

ანი შეყვლაშვილი

სოფიო ჭანტურია

თათია ჭაფოძე

შორენა ხუბუტია

## მომავლის მედია (?)

თანამედროვე ტექნოლოგიებმა ადამიანების ინფორმაციის სწრაფად მიღების სურვილი გაუჩინა. სწორედ ამიტომ, ტრადიციულ მედიასაშუალებებს ბუნებრივად დაემატა სოციალური ქსელები, რომლებმაც მედიის ფუნქციებიც იტვირთეს.

რა არის სოციალური მედია?

ეს არის მედია, რომელსაც ქმნიან რიგითი ადამიანები, ეს არის ინფორმაციის სწრაფად გავრცელებისა და ალტერნატიული ინფორმაციის მიღების საშუალება.

სოციალურ მედიასა და ბლოგებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ნახევრადთავისუფალ და არათავისუფალ ქვეყნებში აქვს.

სოციალური ქსელებია Myspace, facebook, odnoklassniki, twitter, youtube. მათ შორის ყველაზე ძველი „მაისფეისია“, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი ტომ ანდერსონი ქსელში დარეგისტრირებული ყველა ჩვენგანის მეგობარია.

საქართველოში ყველაზე პოპულარულია ოდნოებად წოდებული odnoklassniki.ru. ის ლონდონში მცხოვრებმა ალბერტ პოპკოვმა დააარსა. ქსელის შექმნის ისტორია სკანდალითაა მოცული: პოპკოვი I-CD ჯგუფში მუშაობდა, რომელიც ახალი სოციალური ქსელის – Passado-ს შექმნაზე მუშაობდა. მის საცდელ გაშვებამდე მცირე ხნით ადრე ქსელში „ოდნოკლასნიკი“ გამოჩნდა, რომელიც შინაარსით ძალიან ჰგავდა Passado-ს. 2008 წელს I-CD-მ პოპკოვს იდეის მოპარვისათვის უჩივლა, თუმცა ვერაფერი დაუმტკიცეს. „ოდნოკლასნიკი“

**მარკ ცუკერბერგი / Mark Zuckerberg** – სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ შემქმნელი თავის თანააღმასელებთან – კრის ჰიუსთაბი (Chris Hughes), დასტინ მოსკოვიცთან (Dustin Moskovitz) და ედოარდო სავერინთას (Edoardo Saverin) ერთად. დაიბადა 1984 წლის 14 მაისს უაიტ პლეინში (ნიუ-იორკი). ცუკენბერგი ბავშვობიდანვე დაინტერესდა კომპიუტერებით და მალე მიიქცია სპეციალისტების ყურადღება. ეპატიულ ბოლნენ მის მიერ და AOL, მაგრამ მან ჰარვარდში სწავლის გაგრძელება ამჯობინა. 2010 წლის 1 ოქტომბერს შედგასა პრემიერა ფილმისა „სოციალურ ქსელი“, რომელიც ცუკერბერგის და მისი მეგობრების მიერ ფეისბუქის შექმნის ამბავს ასახავს და რომელშიც ცუკერბერგის როლს ჯესი აიზენბერგი ასრულებს.

## ოფიციალური

მსოფლიოს ყველაზე  
გავლენიანი ადამიანები

ყოველთვის არსებობენ ადამიანები, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ ისტორიაში. ისინი გავლენას ახდენენ კონკრეტული პერიოდის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ თუ სხვა სფეროში მიმდინარე პროცესებზე. შეიძლება მათი როლი სულაც არ იყოს დადებითი, თუმცა თავიანთი ლიდერული თვისებებით მნიშვნელოვან ფიგურებად გვევლინებიან.

დღესდღობით მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი პიროვნებები არიან ისინი, ვინც მთლიანად არიან ჩართული საერთაშორისო მოვლენები და გადაწყვეტილების მიღებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ათი ყველაზე გავლენიანი ადამიანის სიაში უმეტესად პოლიტიკური მოღვაწენი, სახელმწიფოთა მეთაურები ხედებინ, თუმცა წლევანდელ სიაში მხოლოდ სამი მოქმედი კონკრეტული მოღვაწე, იმდენივე, რამდენიც კომპიუტერული ტექნოლოგიების თვალსაჩინო ფიგურა. მათთან ერთად სიაში წარმოდგენილი არიან ერთი მომღერალი, ერთი ტელეწამყვანი, ერთი საერთაშორისო ტერორისტი და ერთი ჯორჯ ბუში.

პოსტსაბჭოთა სივრცისთვის შექმნილი საიტია, რაზეც მისი ენებიც მოწმობს: ამ ქსელის გამოყენება მხოლოდ რუსულ და უკრაინულ ენებზეა შესაძლებელი. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, საიტმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დაამატა.

„ფეისბუქი“ ჩვენი ნაცნობების უმეტესობას „კატის“, „ფერმის“, „კაფესა“ და სხვა ათასი ონლაინ-თამაშებისთვის აქვს, ეს მაშინ, როცა მსოფლიოში ყველაზე დიდი სოციალური ქსელი არნახულ ინფორმაციულ რესურსს იტევს. რაც მთავარია, ამ ქსელით ხდება ინფორმაციის ოპერატიული გავრცელება ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. ფეისბუქი 2004 წელს, ჰარვარდის უნივერსიტეტის ინფორმატიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტებმა მარკ ცუკერბერგმა შექმნა, რომელიც პირველია, ვინც 23 წლის ასაკში მიღიარდი იშოვა.

თუმცა „ფეისბუქი“ არაფერია „ტვიტერთან“ შედარებით, სოციალურ ქსელთან, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა. საქართველოში „ტვიტერი“ უცხო, ჯერ კიდევ ახალი ხილია. ის მიერობლოგინგის სისტემაა, რომლის მთავარ ღირსებას ინტერნეტში სტატუსების სმს-ის საშუალებით განახლება წარმოადგენს. დიახ, ასე, უბრალოდ: კრეფთ მესიჯს, აგზავნით მოკლე ტექსტურ შეტყობინებას სპეციალურ ნომერზე და თქვენი ტვიტი ავტომატურად გამოჩნდება ონლაინში. „ტვიტერი“ უურნალისტებისათვის შეუცვლელი იარაღია. წარმოიდგინეთ, როდესაც განსაკუთრებული მოვლენის ეპიცენტრში ხართ და ინფორმაციის გავრცელება გინდათ, მოკლე ტექსტური შეტყობინებით ათეულობით და, ხშირად, ასეულობით ადამიანის ინფორმირება შეგიძლიათ. „ტვიტერს“ აქვს ფუნქცია, რითაც იგი ებმის „ფეისბუქს“, „ბლოგერს“, „ფლიკერს“, „ვორდპრესს“; მისი ჩართვა-გამორთვა თქვენს ნებაზეა დამოკიდებული. ფაქტობრივად, ერთი სმს-ით ყველა სოციალურ ქსელზე დებთ ინფორმაციას თქვენ შესახებ.

ტვიტერზე ინფორმაციის მესიჯით განახლების საშუალება უკვე საქართველოშიცაა. საკუთარი ექაუნთის შექმნის შემდეგ, უნდა გაიაროთ რეგისტრაცია tweet.ge-ზე, რის შემდეგაც მობილურით პოსტვასაც შეძლებთ.

სოციალური ქსელის ნაირსახეობას წარმოადგენს youtube, რომელიც ვიდეოსოციალური საიტია. მისი შექმნის ისტორია ერთობ კურიოზულია. მას შემდეგ, რაც ჩად ჰად ჰარლის ვერაფრით მიაწიდეს კარიმის დაბადების დღის აღმნიშვნელი ვიდეომასალა, ამ უკანასკნელმა და ტიმ ჩენმა სოციალური ქსელის შექმნა გადაწყვიტეს. იუთუბი ბევრჯერ გაეხვა სკანდალში, დაბლოკილია უამრავ ქვეყანაში, მათ შორის – თურქეთშიც. 2009 წლის მონაცემებით, ნახვების მიხედვით იუთუბი გუგლისა და ფეისბუქის შემდეგ, მესამე ადგილზეა.

საქართველოში სოციალური ქსელები არ არსებობს. მათი ფუნქცია „თბილისის ფორუმში“ იტვირთა. ფორუმის დამაარსებელია თემურ ხაიდრავა, რომელიც



## პალეტი

შვიდი რამ, რასაც  
თავი უნდა აპარიდოთ  
ფეისბუქზე

1. არ აირჩიოთ  
სუსტი აპარატი

თავი აპარიდეთ მარტივ  
სახელებსა და სიტყვებს,  
რომელებიც ლექსიკონებშია  
შეტანილი, ისევე როგორც  
ბოლოში მიბმულ ციფრებს.  
ამის ნაცვლად შეგიძლიათ  
ერთმანეთს შეუნაცვლოთ  
დიდ-პტარა ასოები,  
ციფრები და სიმბოლოები.

თავი შვდი გვრდა



ინტერნეტ-სივრცეში ტიმის მეტსახელითაა ცნობილი. „თბილისის ფორუმის“ პოლიტიკის განყოფილებაში ჩვენ ნებისმიერ მოვლენაზე შევიტყობთ სიახლეს. არსებობის ცხრა წლის მანძილზე, ფორუმს ბევრი წარმატებული პროექტი განუხორციელებია, მათ შორის, ყველაზე წარმატებულია ინტერნეტ ჯგუფი „RE:აქცია“, რომელიც 2006 წელს შეიქმნა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზეა ორიენტირებული. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების თაობაზე მოწყობილი ყველა აქცია, რომლებიც, შემდეგ, სამთავრობო სტრუქტურებმა მიინერეს, სწორედ „RE:აქციას“ მიერ იყო ორგანიზებული.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ბლოგინგისა და სოციალური ქსელების ათვისებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ნახევრადთავისუფალ და არათავისუფალ ქვეყნებში აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტი საქართველოში უფრო იაფი და ხარისხიანია, ეს ნიშა ჩვენს მეზობლებს უკეთესად აქვთ ათვისებული. ამის დასტურად ბლოგროლების მაგალითიც კმარა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სომხეთში 15-20000, აზერბაიჯანში 100000 საქართველოში კი მხოლოდ 800 ბლოგერია.

ბოლო სამი წლის მანძილზე ბლოგერების აქტიური დაპატიმრებებიც მიმდინარეობს. ამ მხრივ რეკორდს მენია კუბა, რომლის ციხეებშიც 21 ბლოგერი იხდის სასჯელს. რუსი ბლოგერი არასწორი ინფორმაციის გავრცელების, ეგვიპტელი კი ისლამისა და პრეზიდენტის შეურაცხყოფისათვის დაპატიმრეს. ბლოგერები ციხეში პოლიტიკური ნიშნით ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანშიც მოხვდნენ.

საბეჭინიეროდ, საქართველოში მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა, თუმცა ჩვენ გვყავს ბლოგერი, რომელმაც ბლოგინგის ისტორიაში ყველაზე დიდი რეზონანსი გამოიწვია:

2009 წლის 7 აგვისტოს, რუსმა ჰაკერებმა გიორგი ჯახაიას ყველა ინტერნეტ-ექსუნთი გატეხეს, რის გამოც რამდენიმე საათით მნიშვნელობა გამოვიდა გუგლი, ფეისბუქი, ტვიტერი. მეორე დღეს მსოფლიოს ყველა საინფორმაციო საშუალება ქართველ ბლოგერ ცხუმი-ზე ლაპარაკობდა. საქმე ის გახლავთ, რომ ჯახაია თავის ბლოგზე რუსების მიერ ოუპირებული ტერიტორიების შესახებ ინფორმაციებს რუსულ ენაზე დებდა და რუსებს სიმართლის გაგების საშუალებას აძლევდა.

სოციალურ მედიას მსოფლიო პოლიტიკოსები აქტიურად იყენებენ. მაშინ, როცა „ტვიტერი“ აქვს ბარაკ ობამას, დიმიტრი მედვედევს, დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ ელიტას და თვით აპმადინეჯადსა და უგო ჩავესასაც კი, ქართველმა პოლიტიკოსებმა ტვიტერის შესახებ არაფერი იციან, ფეისბუქი კი მხოლოდ გართობისთვის თუ აქვთ.

პასორდი სულ მცირე რვა ასო-ნიშანს უნდა შეიცვდეს. კარგი საშუალებაა ციფრებისა და სიმბოლოებს სიტყვის შუაში ჩასმა, როგორც ვთქვათ სიტყვაში „house“: hO27usE!

## 2. არ მიუთითოთ დაბადების ზუსტი თარიღი თქვენს აროვანილები

ეს არის იდეალური სამიზნე თქვენი იდენტიფიკაციის ხელმყოფთაობის, რომელთაც ამის მეშვეობით მეტი ინფორმაციის მიღება შეეძლებათ თქვენს შესახებ და არ არის გამორიცხული, თქვენს საპანკო ანგარიშსა და ერედიტკარდის ნომერსაც მისწვდონ. თუ თქვენ უკვე შეყვანილი გაქვთ თქვენი დაბადების სრული თარიღი, შედით თქვენს პროფაილში, დააჭირეთ ჯერ info ლინკს, შემდეგ – Edit information ლინკს და საბაზო ინფორმაციის სექციაში აირჩიეთ მხოლოდ დაბადების თვე და დღე ან საერთოდ არ არ მიუთითოთ დაბადების თარიღი.

## 3. არ მიატიოოთ ყურადღება „პრაივატი კონფიდენციალის“ მოთხოვნებს

თიქმის ყველაფერი თქვენს ფეისბუქის პროფაილში

ცალი შიდა გვრდა

**ბლოგროლი** – ბლოგების აგრეგატორი ([www.blogroll.ge](http://www.blogroll.ge)).



ბოლო ერთი წლის განმავლობაში, სოციალური მედიის განვითარებისათვის, ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ ბევრი გაკეთდა. იმისათვის, რომ ვიყოთ აქტიურები, მთავარია, ამ ქსელების სწორი მიმართულებით გამოყენება ვისწავლოთ.

## ინტერნეტი და ჟურნალისტიკა\*

საერთაშორისო ქსელის გამოჩენისანავე ინტერნეტი და ჟურნალისტიკა მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს. ინტერნეტი სწრაფად და იოლად შეიქრა ტრადიციული მედიასაშუალებების მოქმედების არეში და მისთვის ანგარიშის გაწევა აიძულა. თუ საქართველოს მონაცემებით ვიმსჯელებთ, სადაც ინტერნეტმა ფეხის მოკიდება 1995 წლიდან დაიწყო, საინტერესო სურათს მივიღებთ. 1995 წელი ის პერიოდია, როცა თუ რომელიმე მედიაორგანოს თავისი ოფიციალური ელექტრონული მისამართი არ ჰქონდა, სირცხვილად მიიჩნეოდა. შესაბამისად, მისამართი ყველას ჰქონდა, თუმცა მისი სარედაქციო საქმიანობისათვის გამოყენება არ ხდებოდა.

ინტერნეტი, როგორც მასმედიის ერთ-ერთი საშუალება, მულტიმედიურია. მან ტრადიციული მედიასაშუალებებისგან ისესხა ფორმები და მეთოდები, თუმცა ქსელში აკუსტიკური, გრაფიკული თუ ვიზუალური ინფორმაციის რეალურ ინფორმაციად ქცევა იშვიათად ხდებოდა. მიზეზი ინტერნეტის არამასობრივი მოხმარება იყო. თუმცა ქსელში განთავსებულ ინფორმაციას საზოგადოება მაინც იღებდა, ოღონდ ტრადიციული მედიასაშუალებებით. ვირტუალური სივრცის მასობრივი არცოდნა პრესას, რადიოსა თუ ტელევიზიის შესაძლებლობას აძლევდა, ინტერნეტიდან მოეპარათ მასალა და მისი დახმარებით შეევსოთ ცარიელი საინფორმაციო სივრცე (ეს მაცნე ჩვევა, განსაკუთრებით, პრესისათვის იყო დამახასიათებელი). ნაწილობრივ, მსგავსი ტენდენცია დღესაც გრძელდება.

90-ანი წლების ბოლოსათვის ინტერნეტი უკვე ფლობდა გრაფიკულ, აკუსტიკურ თუ აუდიოვიზუალურ მხარეს, ანუ თვისებებს, რომელიც ინტერნეტიამდელ მედიასაშუალებებს ახასიათებდათ. მსოფლიოს საინფორმაციო კომპიუტერულ ქსელში შესაძლებელი გახდა პრესის, რადიოს, ტელევიზიისა თუ საინფორმაციო სააგენტოების განთავსება. ტრადიციული მასმედიის საშუალებებმა იგრძნეს აუცილებლობა, რომ ძველი მედიის დახვენა-გარდაქმნისათვის ახალი მედია უნდა გამოეყენებონა; ოღონდ ისე, რომ პირველს საკუთარი სახე შეენარჩუნებინა. მალე ინტერნეტში ტრადიციული მედიასაშუალებების მუდმივად განახლებული ელექტრონული ვერსიების შექმნა დაიწყო, ჩამოყალიბდა ახალი ინტერნეტ-გამოცემები, გარდაიქმნა რედაქტორების მართვა. ის გახდა სწრაფი და დისტანციური. ჩვენს ქვეყანაშიც პრესის, ტელევიზიისა თუ რადიოს საინფორმაციო მასალების უზრუნველყოფა ინტერნეტის საშუალებით ხდება. არის შემთხვევები (ძირითადად, ინტერნეტგამოცემები), როცა ზოგიერთი გამომცემლობის რედაქტორი თანამშრომელს არც კი იცნობს. არც არის საჭირო. მათ შორის კავშირი ხომ, ძირითადად, ინტერნეტის საშუალებით ხდება.

შეგიძლიათ შეზღუდოთ და მისაწვდომი გახადოთ მხოლოდ თქვენთვის, თქვენი მეგობრებისა და თქვენი მეგობრების მეგობრებისათვის. სხვა რამეებითან ერთად შეგიძლიათ აკრძალოთ შესვლა ფოტოებში, დაბადების თარიღში, რელიგიურ შეხედულებებსა და ოჯახურ ინფორმაციაზე. თქვენ შეგიძლიათ ფოტოები და სხვა ინფორმაცია მისაწვდომი გახადოთ მხოლოდ გარევული ადგინდებისა და ჯგუფებისათვის და დაუბლოკოთ ისინი კონკრეტულ ადამიანებს. თქვენ შეგიძლიათ დაბლოკოთ საკონტაქტო ინფორმაცია, ისეთი როგორიც არის, ვთქვათ, ტელეფონის ნომერი ან მისამართი, სანამ თავად არ მოინდიმებთ, რომ ხელმისაწვდომი გახადოთ იგი.

### 4. არ დაპისტოთ თქვენი შვილის სახელი სათაურში

არ გამოიყენოთ თქვენი ბავშვის სახელი ფოტოს ტაგებსა და სათაურებში. ხოლო თუ ამას ვინმე იქმს, ნშალეთ ლილაკით Remove tag. თუ თქვენ შვილი არ არის ფეისბუქზე და ვინმე მის სახელს სათაურში გამოიყენებს, სოხუმის შვილის სახელი.

## ოფიციალური



1. დაბაი ლამა XIV.  
მსოფლიოში ათ ყველაზე  
გავლენიანი ადამიანის სიაში  
მუდმივად ხვდება  
ტიპურელა ხალხის სულიერი  
წინამძღვრი და  
პოლიტიკური ლიდერი.  
დალაი ლამა დაიბადა  
ტიპურის პატარა სოფელში  
და ტიპური  
ტრადიციებიდან  
გამოდინარა, იგი ორი წლის  
ასაქში აღიარეს, როგორც  
წინამძღვრი და დალაი  
ლამა XIII-ს რენიარნაცია.  
დალაი ლამა ცნობილია  
თავისი წინააღმდეგობით  
ჩინეთისადმი ამ ქვეყნის  
ხელისუფლების მიერ  
ტიპურის დაპყრობის გამო.  
1959 წელს ჩინელთა მიერ  
ტიპურის დედაქალაქ  
ლჲასას აღების შემდეგ იგი  
გაეცა ინდოეთში, სადაც  
მიიღო პოლიტიკური  
თავშესაფარი. მასთან  
ერთად სამშობლო დატოვა  
80 000 ათასმა ტიპურელმა.  
დალაი ლამა ამჟამად 72  
წლისაა და კვლავ თავისი  
ხალხის სულიერ  
წინამძღვრი და თვლება.

თავი 80-17 გვრდა

ვირტუალური რევოლუციის შედეგად, საპოლოოდ, მივიღეთ ინტერნეტისა და ტრადიციული მედიასაშუალებების გაერთიანება, რამაც შექმნა უმსხვილესი მასობრივი საინფორმაციო სააგენტოების ჰოლდინგები (CNN, BBC, DW) მედიაჰოლდინგები საქართველოშიც შეიქმნა („იმედი“ – „მთავარი გაზეთი“; „რუსთავი-2“ – „24 საათი“), თუმცა მათ დიდხანს ვერ იარსებეს.

მართალია, ტრადიციულმა მედიასაშუალებებმა ინტერნეტი უპრობლემიდ ათვისეს, მაგრამ ეჭვი მაინც გაჩნდა: ხომ არ შთანთქავს ვირტუალური სამყარო მათ? თუმცა საერთო გამოცდილებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ინტერნეტი ვერ ახერხებს მთლიანად ჩანაცვლოს პრესა, რადიო, ტელევიზია. ამას თავისი მიზეზები აქვს: მოუხერხებლობა კითხვისას (მონიტორიდან კითხვა თვალისათვის დამლევლია): ტექნიკური ბარიერი (ხშირ შემთხვევაში, ტელე- და რადიოგადაცემები ქსელში ბეჭდური სახით თავსდება, რაც ეფექტს უკარგავს მათ): ამასთან, აუდიოფაილების მიღება, მათი ჩატვირთვა და გახსნა ინტერნეტმომხმარებლის ტექნიკურ აღჭურვილობაზეა დამოკიდებული. თუმცა, ვირტუალური სივრცის განვითარება ისე სწრაფად ხდება, რომ მალე ამ ბარიერების დაძლევა შესაძლებელი გახდება.

## ინტერნეტში შეაძნილი პრესა, რადიო, ტელევიზია\*

ადამიანთა წანილმა, რომელმაც კარგად გააანალიზა ინტერნეტის შესაძლებლობები, აღმოაჩინა, რომ ქსელში არამხოლოდ ტრადიციული მედიასაშუალებების ვებ-გვერდების განთავსება ხერხდება, არამედ შეიძლება შეიქმნას წმინდა ონლაინური პრესა, რადიო და ტელევიზია. ეს იდეა ყველაზე ადვილი და სწრაფად განსახორციელებელი გაზეთის შემთხვევაში აღმოჩნდა.

## ონლაინ-პრესა

პირველი ელექტრონული გაზეთი, სახელად „The Electronic Club“ ქსელში 1990 წელს, ამერიკაში განთავსდა. რუსეთის პირველი ინტერნეტგაზეთი Gazeta.ru გახდათ, რომელიც დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს. აღნიშნული გაზეთი ქსელში 1999 წლის 1 მარტს განთავსდა. რაც შეხება ქართულ ელექტორონულ გამოცემებს, პირველი გახდათ „გზა“ (1998), რომლის ბაზაზეც, მოგვიანებით, შეიქმნა ელექტრონული გამოცემა „კვალი“ (2000).

„კვალი“ ქართველი ემიგრანტების მიერ გაკეთებული გაზეთია. მის წევრებს ერთმანეთთან კონტაქტი იმეილის საშუალებით აქვთ, რადგან რედაქციის თანამშრომელთა უმეტესობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშია მიმოფანტული. გაზეთის ტექნიკური უზრუნველყოფა შეერთებული შტატებიდან ხორციელდება. მისი სერვერი ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაშია განთავსებული (kvali.com).

## 5. არ ახსენოთ, რომ გასული იძნებით სახლიდან

ეს დაახლოებით იმას ემსგავსება, რომ სახლის კარზე ჩამოვიდოთ წარწერა: „შინ არავინ ვართ“. მოიცავეთ მანამ, სანამ შინ დაბრუნდებით და მოუყვებით ყველას, რა საშინელი იყო თქვენი არდადეგები და არასოდეს დააეროვეტოთ თქვენი მოგზაურობის თარიღები და ვადები.

## 6. არ მისცეთ საპირო სისტემებს თქვენი პოვნის საშუალება

იმისათვის, რომ თავიდან აიცილოთ თქვენს გვერდზე უცხოთა შესვლა, წარით ფეისბუქის „პრაივასი კონტროლის“ ძებნის ანუ „სერჩის“ სექციაში და აირჩიეთ Only Friends. დარწმუნდით, რომ არ მოგინიშნავთ public search-ის უჯრა.

## 7. არ დართოთ ნება პრასრულცლოვანებს, მითვალყურეობის გარეშე ისარჩევლონ ფეისბუქით

ფეისბუქი თავისი წევრებისთვის აწესებს ასაკობრივ ლიმიტს – 13 წელი, მაგრამ ფეისბუქით უმცროსი ასაკის ბავშვებიც სარგებლობენ. თუ თქვენი პატარა ან თანეიჯერი შეიძლ

თავი შედგ გვრდა



თამუნა კარელიძე.

მაინტერესებს ყველაფერი.

გატაცებული ვარ ბლოგინ - გით, არერიყული და ქველეგ - ვაპტური კულტურით, ფეხბურ - თით, ეგვიპტე, ინგლისი და იტა - ლია არის ის სამი ქვეყანა, სა - დაც აუცილებლად წავალ. ვიც - ხოვრებდი ლონდონში. მიყვარს The Beatles. ვოცნებობ პოლ მაკარტნის კონცერტზე მოხვე - დრასა და BBC-ში მუშაობაზე.

სიამცნებით ავიღებდი ინ - ტეროის დევიდ მილებნდისა - გან, რომელიც ჩემი ფრენდია ფეისბუქზეც და ტვიტერზეც.

მაქვს საკუთარი ბლოგი – „აგიყვარდეთ ჩემნაირები“:

<http://itamok-vasasi.blogspot.com/>

## ინტერნეტ-რადიო

საქართველოში ერთ-ერთი პირველი ინტერნეტრადიო გახლდათ radio.ge (<http://radio.ge/>), რომელიც ინრტერნეტპროგრამიდერ „სანეტის“ ბაზაზე შეიქმნა. „რადიო ჯი“ საკმაო პოპულარობით სარგებლობდა (და სარგებლობს), თუმცა უნდა აღინიშნოს, ამაში დიდი წვლილი „ფორტუნა პლუსს“ მიუძღვის. რამდენიმე წლის მანძილზე სწორედ მის ეთერში იყო გამოყოფილი გარკვეული დრო (ყოველ სუთშაბათს საღამოს ექვსიდან), რომელიც რადიო „სანეტის“ გადაცემებს ეთმობოდა, წამყვანი ლიზა ვადაჭკეორია – „რადიო ჯის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი გახლდათ. გადაცემის არსი იყო შემდეგი: ეთერში ცხადდებოდა ცნობილი ადამიანი, რომელიც მომდევნო კვირას იქნებოდა სტუმარი, მსმენელებს კი მთელი კვირის მანძილზე შეეძლოთ მწვავე შეკითხვების დასმა. გამარჯვებული „სანეტის“ რამდენიმეთვიან უფასო მომსახურებას იღებდა.

ზოგადად, ვერ ვიტყვით, რომ ინტერნეტრადიო პოპულარობით სარგებლობს. მას დაკარგული აქვს რადიოსათვის დამახასიათებელი თითების ყველა ის ნიშან-თვისება, რის გამოც სხვა მედიასაშუალებებთან შედარებით, მეტი უპირატესობით სარგებლობს (მოსახერხებლობა, ყველანშეღწევადობა).

## ინტერნეტ-ტელევიზია

ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ინტერნეტტელევიზია მომავლის ტელევიზიაა და ქსელური მედიის შემხედვარე, რთულია, არ დაეთანხმო მათ. ტელევიზია საკმაოდ კარგად მოერგო ინტერნეტს. პირველი ქართული ტელევიზია ქსელში 2007 წელს გაეშვა. მას კოლხა ერქვა (<http://kolkha.org/>) და, ძირითადად, ქართული კულტურის, ისტორიის, ენისა თუ ტრადიციების მიმართულებით მუშაობდა. შემდეგ იყო <http://gevision.tv/> რომელიც 2007 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ შეიქმნა და „იმედის“ ბევრი ჟურნალისტი გადმოიბირა. მომდევნო ნაბიჯ <http://itv.ge/> გახლდათ. 2008 წლიდან დღემდე ის წარმატებით ფუნქციონირებს. 2009 წელს კი ქსელში გაეშვა „რეალ ტი-ვა“ (<http://rtv.ge/>), რომელიც, ასევე აქტიურად მუშაობს სხვადასხვა მიმართულებით.

ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად აქტიურად მოიხმარს ინტერნეტ-ტელევიზიებს საზოგადოება, თუმცა, ნათელა, რომ ქსელში გაცილებით მეტი თავისუფლებაა ტელევიზიებისათვის, ვიდრე არავირტუალურ სამყაროში. ინტერნეტი ჟურნალისტებს მეტი გახსნის საშუალებას აძლევს. თუმცა ჯერჯერობით ქართული ინტერნეტ-ტელევიზიები ვერ ახერხებენ ახალი სიტყვის თქმას ტელე-ჟურნალისტიკი, მათ ეთერში ის გადის, რაც ნებისმიერ ქსელსგარეთა ქართულ ტელევიზიაში. სა

\* ეს არის თავი ავტორის საბაკალავრო ნაშრომიდან „სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში (ბლოგები)“, რომელიც მან პროფესიონალის სიტყვის სტილის შემდგანელობით მოამზადა და რომელიც წარმატებით (95 ქულა) დაიცვა წელს, 12 ივნისს.

ფეისბუქით სარგებლობს, მის გასაკონტროლებლად საუკეთესო გზაა, გახდეთ მისი ონლაინ-მეგობარი. გამოიყენეთ თქვენი იმეილის მისამართი მათ ეკაუნტობან საკონტაქტოდ ისე, რომ მიიღოთ მათი შეტყობინებანი და აკონტროლოთ მათი აქტივობანი. „ის, თუ რა ფიქრობენ ისინი, შესაძლოა საკმაოდ სერიოზული იყოს“, – ამპის ინტერნეტის კრიმინალური საჩივრების ცენტრის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები ჩარლზ პაველიტის. მაგალითად, ბავშვი, რომელიც დაპოსტავს, რომ „დედა მალე დაბრუნდება სახლში, მე ამასობაში ჭურჭელ უნდა დავრეცხო“ და ამას რეგულარულად აკეთებს, ამით საკმაოდ ბევრ ინფორმაციას გასცემს თავისი მშობლების შესახებ.

ეს ტექსტი 2010 წლის 12 მაისს გამოქვეყნდა „კონსამერ რიპორტს მეცნიერების“ ([ConsumerReports.org](http://ConsumerReports.org)) და სწორად გავრცელდა მსოფლიო აღლაბუდაში.



## ლიკა ალადაშვილი

ნუცა ანდლულაძე

გიორგი ახვლედიანი

სალომე ბარამიძე

გიორგი ბერელიძე

ნინო გიგაური

გიორგი კარანაძე

თამარ კარელიძე

ქეთევან კობიაშვილი

გიორგი ლელაძე

ნუცა მუჯირიშვილი

სალომე პაპიძე

სალომე სუხიშვილი

თამარ ქარდავა

ანო ქობულაძე

ანი შეყლაშვილი

სოფიო ჭანტურია

თათია ჭაფოძე

შორენა ხუბუტია

## შენი კუთხი ინტერნეტში

პირადი დღიური, მეგობრობის დღიური თითქმის ყველა ახალგაზრდის განუყოფელი თანამგზავრი იყო წლების განმავლობაში. 1994 წელს კი შეიქმნა ონლაინ-დღიური, დღეს უკვე ე. წ. ბლოგი, რომელმაც წინამორბედები ჩაანაცვლა და დღიური მსოფლიო ქსელს – ინტერნეტს დაუკავშირა.

ბლოგი არის ერთი ან რამდენიმე ადამიანის მიერ შექმნილი ვებ-საიტი

რეგულარული ჩანაწერებით, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სხვადასხვა მოვლენაზე, ახალ ამბებს კონკრეტული თემის შესახებ, ასევე კომენტარებს მათზე, რაც ბლოგის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ბლოგის მრავალი ტიპი არსებობს, რომელიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან უანრობრივად. არსებობს, მაგალითად, პოლიტიკური, პიზნესის, მოდის, კულინარიული, ხელოვნების ბლოგები და ა. შ.

ბლოგის ყველაზე გავრცელებული სახეა პირადი, ე. წ. პერსონალური ბლოგი, რომელიც ერთი ადამიანის ყოველდღიურობის ამსახველ ჩანაწერებს შეიცავს.

ინფორმაციის დაფიქსირებისა და გავრცელების ეს ფორმა ყველაზე პოპულარულია. მსოფლიო აბლაბუდაში უკვე მილიონობით ონლაინ-დღიური არსებობს. 2008 წლის ივნისის მონაცემებით, ტექნორატი 112,8 მილიონ ბლოგს ითვლიდა.

თითქმის ყველა ბლოგი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც ერთმანეთთან დაკავშირებული სისტემა ან სოციალური ქსელი, რომელიც **ბლოგოსფეროშია** თავმოყრილი.

### ონლაინ-დღიური –

პერსონალური დღიური, რომელიც განთავსებულია ინტერნეტში ვებ-საიტზე. პირველი ონლაინ დღიური შეიქმნა 1994 წელს. დღეს უკვე ბლოგის სახე აქვს.

**ვებ-საიტი** – ნახე 23-ე გვერდზე.

**ტექნორატი** – ბლოგების საძიებო სისტემა, ყველაზე პოპულარულია ბლოგების სისტემებს შორის; უზრუნველყოფს უახლესი ინფორმაციის მიწოდებას და პოსტებს კატეგორიებად დაყოფას.

**ბლოგოსფერო** – კრებითი სახელია და წარმოადგენს ყველა ბლოგს და მათ შიდა კავშირებს.

## ოფიციალური



2. პარაკ მარათ. ვიდრე პრეზიდენტობაზე იყრიდა კენჭს, ეს ახალგაზრდა იურისტი აშშ-ს სენატორი იყო ილინოისის შტატიდან. ბარაკ კუსეინ იმავე აშშ-ის დაიბადა 1961 წლის 4 აგვისტოს ჰავაიზე. იგი არის აშშ პირველი აფრო-ამერიკელი პრეზიდენტი.



3. ვლადიმირ აუტინი. რუსეთის პირველი პრეზიდენტის ბორის ელცინის შემდეგ ორჯერ – 2000 და 2004 წლებში – აირჩიეს პრეზიდენტად. დღეს იგი რუსეთის უფერაციის პრემიერ-მინისტრი და მთავროველი პარტიის ლიდერია.

თავი შედგ ჩვრდა

ბლოგოსფეროს ქართული ვერსიაც არსებობს, რომელიც ძალიან სწრაფად ვითარდება. ქართული ბლოგების აგრეგატორი [www.blogroll.ge](http://www.blogroll.ge) 2009 წელს „გაეშვა“. საიტზე 612 ბლოგია დარეგისტრირებული, რომელშიც 34 826 პოსტი დაიწერა. 2010 წლის 14 მაისის მონაცემებით, ქართულ ბლოგოსფეროში დღეში საშუალოდ 127 ახალი **პოსტი** იწერება. მათ ერთმანეთისგან განსხვავებული ასაკის, შეხედულებების და ინტერესების მქონე 606 ბლოგერი წერს.

606 ბლოგერიდან ერთ-ერთია როკოს (**ნოდარ დავითურისი**) „შავით თეთრზე“ ბლოგი, რომელიც ბლოგოსფეროს რეიტინგით ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და პოპულარულია. საინტერესოა ბლოგერ როკოს აზრი ზოგადად ბლოგსა და ქართულ ბლოგოსფეროზე.



— რას ნიშნავს იყო ბლოგერი? რა არის საჭირო წარმატებული ბლოგერისათვის?

— ბლოგერი ნიშნავს, გქონდეს ბლოგი. სულ ეს არის. ამის გაკეთება ყველას შეუძლია. მაგრამ საკითხავი ის არის, რამდენად საინტერესო იწერება ესა თუ ის ბლოგი. წარმატებასაც ალბათ სწორედ საინტერესოობა განაპირობებს. არ აქვს

**პოსტი** – გაგზავნა; ინფორმაციის დაპოსტვა – ინფორმაციის დაფება ინტერნეტში.

**ნოდარ დავითური** (დ. 1988 წ.) სწავლობდა თბილისის სახ-ელმწიფო უნივერსიტეტში პირის ფაკულტეტზე. ერთ წელიწადში ფაკულტეტის გაუქმების შემდეგ შეუდგა მისთვის საყვარელ საქმეს – ვეპ-დეველოპმენტს და დღეს მეგობრებთან ერთად აქვს ვებ-სტუდია [www.omnia.ge](http://www.omnia.ge), სადაც საიტებს აკეთებს.

დამიმეგობრდი საიტებზე

დამიფეისბუქდი!  
დამიბლოგროლდი!  
დამიუტუბდი!  
დამიტვიტერდი!  
დამილასტეფემდი!  
დამიკითხვარდი!

სამეგობრო მიპატიუება  
სანტორო როდრიგოს  
ბლოგიდან  
„ხელოვნების მახე“

<http://popularpopcorn.blogspot.com/>

## ოფიციალი



4. პრეზიდენტი ბუზი. აშ-ს 43 პრეზიდენტი, აშ-ს 41-ე პრეზიდენტის შვილი, პრეზიდენტობამდე იყო ტეხასის შტატის გუბერნატორი. 2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი ტერორისტული აქტი გადაწყვეტი მომენტი იყო ბუზის პრეზიდენტობაში. მან გალობალური ომი გამოაცხად ტერორიზმის წინააღმდეგ. იმავე წელს აედანეთში წამოიწყო ომი, ხოლო 2003 წელს ერაყში შეიჭრა. ბუზს საკმაოდ ბევრი ოპენენტი ჰყავდა და ჰყავს დღემდე თავისი საგარეო პოლიტიკური კურსისა და ერაყში ომის გამო.

ცალი 37-ე გვრდა

## ოფიციალი

ოფიციალი საინტერნეტო ტერმინია და ტექსტების ერთი კონკრეტული ჯგუფის თემატიკიდან ამოვარდნილი პატარა ტექსტ(ები)ის აღსანიშნავად იჩხარება.

მნიშვნელობა, რამდენი ადამიანისათვის ხარ საინტერესო. შესაძლოა მხოლოდ 100 მკითხველი გყავდეს და თავს წარმატებულად თვლიდე, იმიტომ რომ მხოლოდ ვიწრო სფეროს შესახებ წერ, მაგალითად, ბირთვულ ფიზიკაზე, მაგრამ თუ მომავალ ბლოგერს ამბიციები აწუხებს, შესაძლოა 500 მკითხველითაც არ იყოს კმაყოფილი და ეს ხდება ზუსტად მოტივაციის გაქრობის და ბლოგზე თავის დანებების მიზეზი. ეს კი ე. წ. „მკვდარი ბლოგების“ გაჩენას უწყობს ხელს.

— რამდენად მიიღო ბლოგები ქართველმა ინტერნეტ-მომხმარებელმა?

— როგორც ყველაფერი, ბევრ შემთხვევაში არასწორად გაიგეს. იყო რამდენიმე ქართულ ბლოგ-ჰოსტინგ სისტემა, სადაც გახსნილი ბლოგების უმრავლესობა უბრალოდ ვარეზ-საიტებს წარმოადგენდა (ფილმების, პროგრამების ჩამოტვირთები და ა. შ.), თუმცა არის ჯგუფი, რომელიც ზუსტად მიხვდა ბლოგის არს და ქმნის დღევანდელ ქართულ ბლოგოსფეროს.

— შენი აზრით, გახდა თუ არა ბლოგი ინფორმაციის გავრცელების ალტერნატიული საშუალება საქართველოში? ჩაანაცვლებს თუ არა იგი ბეჭდურ მედიას?

— ბლოგი ბეჭდურ მედიას ვერ ჩაანაცვლებს. ბეჭდური მედია შესაძლოა ჩაანაცვლებული იქნას ამავე მედია-საშუალებების ონლაინ-გამოცემებით. ბლოგი არ არის სიახლეების გავრცელების მთავრი წყარო და არც არის ეს მისი ფუნქცია. ის კონკრეტული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის პირადი ჩანაწერების უზრნალია, ანალიტიკური ხასიათის და არ არის ნიუს-საიტი. მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როდესაც ბევრი სიახლე სწორედ ბლოგებიდან გავრცელებულა, მაგრამ მისი ძირითადი ფუნქცია მაინც მიმოხილვები, ანალიტიკა და ზოგადი თემებია.

— ბლოგებზე ხშირია რეკლამები. რა ხდება შენს ბლოგზე რეკლამის თვალსაზრისით?

— ჩემს ბლოგზე რეკლამა არასოდეს განთავსებულა. იყო შემოთავაზებები, მაგრამ უარი ვთქვი. არ არის ეს ისეთი შემოსავლის წყარო, რომ მიღირდეს ინტერნეტში „ჩემი კუთხის“ რაღაც ნაწილის გაქირავება. თუ კონკრეტულ პრენდს ან სერვისს ნამდვილად სასარგებლოდ ან საინტერესოდ ჩავთვლი, სულაც შეიძლება პოსტი დავწერო, მაგრამ „შეკვეთილი“ პოსტები ჩემთვის მიუღებელია.

— და პოლოს ორიოდე სიტყვა შენს ბლოგზე. რატომ „შავ-თეთრი“? რა არის შენი ბლოგის მიზანი?

— „შავ-თეთრი“ იმიტომ, რომ სიმარტივე მიყვარს და მინდოდა ჩემს ბლოგს გაზიეთის, საკითხავი საიტის ესთეტიკა ჰქონოდა და არა სათვალიერებელის. სათვალიერებელი საიტები ძალიან ბევრია, საკითხავი კი – ცოტა. შემდეგ „შავით თეთრი“ სლოგანშიც ჩარჩა და უბრალოდ ტრადიციად შემორჩა ამ ბლოგს. მისი

**ვარეზ-საიტი** არალეგალური ინტერნეტ-საიტი, საიდანაც ხდება პროგრამების, ფილმების და ა. შ. უფასო, მუქთად ჩამოტვირთვა.



**ლიკა ალაძეაშვილი**  
დავითა და საქუთარ ბლოგზე ვისწავლე **wordpress** ძრავის დამუშავება. შემდეგ კი იყო პერიოდი, როცა დრო მქონდა და დავიწყე წერა, იმის შესახებ, რაც მაინტერესებდა. შედეგად, ისე რომ მეც არ მოველოდი, **rocko.ge** ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და აქტიური ბლოგი გახდა. იყო პოსტები, რომელზეც პერმანენტულად რამდენიმე ასეული კომენტარები იწერებოდა, იგზავნებოდა **ელფოსტით**, ვრცელდებოდა **ფორუმებით** და ა. შ. ალბათ მისი ერთ-ერთი უნებლიერი მიზეზი ბევრი ადამიანის გაბლოგერება იყო. ხშირად უთქვამს სხვადასხვა ბლოგერს, რომ შენი ბლოგის გამო გადავწყვიტე მეც ბლოგერობაო და ეს ძალიან სასიამოვნოა. ¶

არსებობის მიზანი თავიდან მარტივი იყო – წმინდა ტექნიკური. **ვებ-დეველოპერი** ვარ და საკუთარ ბლოგზე ვისწავლე **wordpress** ძრავის დამუშავება. შემდეგ კი იყო პერიოდი, როცა დრო მქონდა და დავიწყე წერა, იმის შესახებ, რაც მაინტერესებდა. შედეგად, ისე რომ მეც არ მოველოდი, **rocko.ge** ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და აქტიური ბლოგი გახდა. იყო პოსტები, რომელზეც პერმანენტულად რამდენიმე ასეული კომენტარები იწერებოდა, იგზავნებოდა **ელფოსტით**, ვრცელდებოდა **ფორუმებით** და ა. შ. ალბათ მისი ერთ-ერთი უნებლიერი მიზეზი ბევრი ადამიანის გაბლოგერება იყო. ხშირად უთქვამს სხვადასხვა ბლოგერს, რომ შენი ბლოგის გამო გადავწყვიტე მეც ბლოგერობაო და ეს ძალიან სასიამოვნოა. ¶

**P.S.** ბევრი ადამიანის გაბლოგერება კვლავ გაგრძელდება და საინტერესო, ნიჭიერი ადამიანების საშუალებით ბლოგი გახდება თავისუფალი სიტყვისა ობიექტური ინფორმაციის გაფრცელების ერთ-ერთი საუკეთესო გზა.

გირჩევთ გაეცნოთ შემდეგ ბლოგებს:

- <http://www.tavisupleba.org/>
- <http://paatakourdadze.blogspot.com/>
- <http://rocko.ge/blog/>
- <http://burusi.wordpress.com/>
- <http://dodka.ge/>
- <http://ucnauri.com/>
- <http://vinoge.com/>
- <http://konnchetina.blogspot.com/>
- <http://linguistuss.com/>
- <http://shokoladi.ge/>
- <http://foreignpress.ge/>



**პლოგერები** ჩვენს უნივერსიტეტშიც არიან. მათგან გამორჩეულია თამუნა კარელიძე, რომელმაც ბლოგზე საბალაკავრო ნაშრომიც დაწერა. ჩვენს უურნალში გამოქვეყნებულია მისი საპრეზენტაციო გამოსვლა ნაშრომის დაცვაზე – სათაურით „მომავლია მედია (?)“ – და ორი თავი მისი ნაშრომიდან (გვ.გვ.11-15); ამას გარდა „საკუთარ სივრცესა“ და „ცარიელ სივრცეში“ იბეჭდება სამი პოსტი მისი ბლოგიდან (გვ.გვ. 83, 85-88, 119-121).

ჩვენს კურსზეც არის რამდენიმე ბლოგერი. აი, ჩვენი ბლოგის მისამართიც:  
<http://impulsegroup.blogspot.com/>

შემოგვიარეთ, არ დაიზაროთ.


**ვებ-დეველოპერი** – ინტერნეტ-მარკინგის მიღებისა და გავზინისა ტექნოლოგია კომპიუტერულ ქსელში.

**wordpress** – ერთ-ერთი ყველაზე პაპულარული ბლოგის ძრავა მსოფლიოში. მისი დამაარსებელია მეთიუ მიულენვეგი (Matthew Mullenweg).

**ელფოსტა**, იგივე იმეილი (E-mail) – წერილების მიღებისა და გავზინისა ტექნოლოგია კომპიუტერულ ქსელში. ელექტრონული ფოსტის შექმნის თარიღიად შეიძლება დავასახელოთ 1965 წელი, როდესაც მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებმა ნოელ მორისმა და ტომ ბან ბლეკმა დაწერეს კომპიუტერული პროგრამა MAIL.

**ფორუმი** – სადისკუსიო სივრცე ინტერნეტში.

**P. S.** სამწესაროიდ, პირველ ქართულ ბლოგზე ინფორმაცია ვერ მოვიპოვთ. თუ გავტო ინფორმაცია, გთხოვთ მოგვნეროთ.  
[lika.aladashvili@gmail.com](mailto:lika.aladashvili@gmail.com)



ლიკა ალადაშვილი

ნუცა ანდლულაძე

გიორგი ახვლედანი

სალომე ბარამიძე

გიორგი ბერელიძე

**ნინო გიგაური**

გიორგი კარანაძე

თამარ კარელიძე

ქ'ეთევან კობიაშვილი

გიორგი ლელაძე

ნუცა მუჯირიშვილი

სალომე პაპიძე

სალომე სუხიშვილი

თამარ ქარდავა

ანო ქობულაძე

ანი შეყლაშვილი

სოფიო ჭანტურია

თათია ჭაფოძე

შორენა ხუბუტია



## ესელში შეზღუდული თავისუფლება

ინტერნეტის რეგულირება – საკანონმდებლო და საორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსი, მიმართულია ინტერნეტის განვითარებასა და მსარდაჭერაზე და მოიცავს: სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობას, ტექნოლოგიურ სტანდარტებს, ლიცენზირებას, ფასთა რეგულირებას, ინტელექტუალური საკუთრების, კონფიდენციალობის, მომხმარებელთა დაცვის და კონკურენციის განვითარების ღონისძიებებს, კომიუნიტერულ დანაშაულობათა საწინააღმდეგო, პროვაიდერული საქმიანობის დამარტენვილირებელ კანონებსა და სხვა.

მიუხედავად იმისა რომ მრავალი ქვეყანა ცდილობს ინტერნეტის რეგულირებას ეს საკითხი მაინც მოუგვარებელია.

ახალი ტექნოლოგიების გასაკეონტროლებლად მთავრობები შეიმუშავებენ ახალ მექანიზმებს, რაც სცილდება ტექნიკური ფილტრაციის ჩარჩოებს. „თავისუფლება ქსელში“ ამომწურავად იკვლევს ახალ ტაქტიკებს და ყურადღებას ამახვილებს ისეთ მწვავე საკითხებზე, როგორიცაა ინტერნეტისა და ციფრული მედიის ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი გარემოებები, კონტენტზე დაწესებული ცენზურა, მომხმარებელთა უფლებების დარღვევა და სხვა.

საქართველოს მთავრობა ახალი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას არ ზღუდავს. ქვეყანაში ინტერნეტი 1990-იანი წლების ბოლოს შემოვიდა. 2004 წლის დასაწყისში, DSL და ADSL ტექნოლოგიების შემოღებასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა. ახალი ამბების ონლაინ-გამოცემები ნელა ვითარდება, მაგრამ სულ უფრო და უფრო მეტი უურნალი და გაზეთი ხსნის საკუთარ ვებ-საიტს. კანონი ერთმნიშვნელოვნად არც ინტერნეტის





#### ნინო გიგაშვილი

დაიმოულებული 1990 წლის 17 იანვარს, ქალაქ რუსთავში. ჩემი დაბადება არ მახსოვს და თარიღიც გადმოცემით ვიცი (ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით). შეავს დედა და და.

2007 წლის 18 მაისს დავამთავრე ქალაქ რუსთავის მე-13 ძველით საშუალო და ასლა უკვე საჯარო სკოლა და იმავე წლის 14 სეტემბერს ჩავირიცხე გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტ „ალმა-მატერში“, ტელე-რადიოურნალისტიკის ფაკულტეტზე. ამჟამად ვარ ამ-ავე ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი, ჩემი პროფესიის განხრით არანაირი გამოცდილება არ გამაჩნია, იმედი მაქვს, ამ ხარვეზს მაღლ გამოვასწორებ.

ხელმისაწვდომობაზე და არც ქსელში გამოქვეყნებულ მასალაზე არ აწესებს შეზღუდვებს. ამ ფაქტს არალეგალური მასალების შემცველი არაერთი ვებსაიტის არსებობაც ადასტურებს.

უკანასკნელი მონაცემებით, ინტერნეტ-მომხმარებლის რაოდენობის ზრდასთან ერთად გაიზარდა ინტერნეტ-სიხშირის არალეგალურად მომხმარებელთა რაოდენობაც. ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) მონაცემებით 2008 წელს ინტერნეტს დახსლოებით 357 000 ადამიანი მოიხმარდა, თუმცა, ამ რაოდენობის მხოლოდ 8.9 პროცენტს ჰქონდა ინტერნეტის სიხშირე გამოყოფილი. სხვა წყაროების მიხედვით, 2008 წელს ინტერნეტის გამოყენების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა. წლის ბოლოსთვის მომხმარებელთა რაოდენობამ 900 000-ს მიაღწია. თუმცა ამ რაოდენობის მხოლოდ 14.8 პროცენტს ჰქონდა ინტერნეტ-სიხშირე გამოყოფილი. ინტერნეტის მოხმარების მაჩვენებელი ქვეყნის დიდ ქალაქებში – თბილისა და ბათუმში – 2007 წელს 5500-ს აღწევდა. ისინი ერთი და იმავე სერვის-პროვაიდერის მომსახურებით სარგებლობდნენ. 2008 წლის ოქტომბრის ბოლოს მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა 56000-მდე გაიზარდა, ინტერნეტ-პროვაიდერთა კი – ორამდე.

არ არსებობს კონკრეტული კანონი, რომელიც ონლაინ-აქტივობას არეგულირებს, ქართველ მომხმარებლები თავისუფლად შეძიან მსოფლიოს ნებისმიერ ვებ-საიტზე, ტვირთავენ და ინერჯ ნებისმიერ მასალას.

საქართველოში ინტერნეტის თავისუფლებას ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მთავრობა არ ზღუდავს. ხელისუფლება რომელიმე კონკრეტულ ვებ-საიტს რეგულარულად არ ბლოკავს, თუმცა დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მთავრობა ინტერნეტის ხელმისაწვდომობას სისტად აკონტროლებდა. საიდუმლო არ არის, რომ ინტერნეტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ისეთ ფორმებს აძლევს სიცოცხლეს, როგორებიცაა ქსელური დღიურები (ბლოგები), ჩატები და სხვა საიტები, ანუ არსებითად, ვირტუალური სამყარო მომხმარებელს სთავაზობს ადგილს საკუთარი აზრის, საკუთარი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი პოზიციის გამოსახატად, რაც რეალურ ცხოვრებაში ნაკლებადა შესაძლებელი. ხელისუფლების წარმომადგენლებს სწორედ ეს არ მოსწონთ, ისინი თვითგამოხატვის ასეთ ფორმას „სახელმწიფო სუვეტენიტეტის საფრთხედ“ მიიჩნევენ. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, იმ ქვეყნების „შავ სიაში“, რომლებშიც ინტერნეტზე ცენზურაა დაწესებული, ჯერჯერობით მხოლოდ 20 ქვეყანა მოხვდა. შავ სიაში საქართველო შესული არაა, თუმცა, როგორც ელექტროვდორადე აღნიშნავს ინტერნეტის რეგულირების შესახებ კანონი დიდი ხანია მიღებულია, მიუხედავად ამისა, არანაირი შეზღუდვა ინტერნეტ ქსელზე დღეს არ ვრცელდება. თავისუფლად ხდება ინტერნეტში საავტორო უფლებების დარღვევა, არალიცენზირებული ინფორმაციის და პორნომასალის ატვირთვა, პლაგიატი და მიუხედავად უკვე „მიღებული“ კანონისა საქართველოში არ არსებობს მოქმედი კანონი „ქსელში შეზღუდული თავისუფლების შესახებ.“ (¶)

გსურთ თქვენი  
საგამომცემლო  
აქტივობის  
რეპლამირება?

ეს თქვენი  
პანერის  
ადგილია!

გამოყენებული  
რესურსები:

[www.facebook.com](http://www.facebook.com)  
[www.forum.ge](http://www.forum.ge)  
[www.mamuli.net](http://www.mamuli.net)  
[www.parliament.ge](http://www.parliament.ge)



ლიკა ალადაშვილი
ნუცა ანდლულაძე
გიორგი ახვლედიანი
სალომე ბარამიძე
<b>გიორგი ბერელიძე</b>
ნინო გიგაური
გიორგი კარანაძე
თამარ კარელიძე
<b>ქეთევან კობიაშვილი</b>
გიორგი ლელაძე
<b>ნუცა მუჯირიშვილი</b>
სალომე პაპიძე
<b>სალომე სუხიშვილი</b>
თამარ ქარდავა
ანო ქობულაძე
ანი შეყლაშვილი
სოფიო ჭანტურია
თათია ჭაფოძე
<b>შორენა სუბტია</b>



## კეთილი იყოს თქვენი მობილური ელექტრონული კომერციისა და ინტერნეტ-პიზნესის სამყაროში!

ინტერნეტ-ბიზნესი... ბოლო ათი წელია იგი ძალიან პოპულარული გახდა. სწრაფად იზრდება იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც ინტერნეტ-ბიზნესის საშუალებით ფულის გაკეთება ხიბლავს. და თუ ჩვენ ვიცით, რომ რეალურ ცხოვრებაში ხშირად ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, სამაგიეროდ **ვირტუალურ** ცხოვრებაზე ვამყარებთ დიდ იმედებს. ელექტრონული კომერცია, ეს არის ტექნილოგია შიდა ბიზნეს-კონტაქტების გასაუმჯობესებლად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ელექტრონული კომერცია გულისხმობს განსაზღვრულ ინტერნეტ-ტექნილოგიას, რომელიც საშუალებას აძლევს მენარმეებს და მიმნოდებლებს ინტერნეტის ქსელში (**ონლაინ-რეჟიმში**) წარმოადგინონ მომსახურეობა და საქონელი; ეს ყველაფერი კი ქმნის იმ აუდიტორიას რომელიც სასიცოცხლო ძალას სძენს ინტერნეტ-ცხოვრებას. აქედან გამომდინარე, იქ, სადაც არის აუდიტორია და ფულის გამომუშავების საშუალება, უკვე რეალურად არსებობს ბიზნესიც.

ხალხი ყოველთვის ეძებს ფულის შოვნის და გამდიდრების ყველაზე იოლ საშუალებას. ინტერნეტში ფულის შოვნის მთავარ ობიექტს წარმოადგენს ინფორმაცია. ინფორმაცია კი ყველას სჭირდება; ამასთან ერთად, ინტერნეტში ის ძალიან უბრალო და იაფია, ჯერ წარმოების, შემდეგ კი გავრცელების მხრივ.

**ჯეფრი (ჯეფ) პრესტონ ბეზოს / Jeffrey (Jeff) Preston Bezos – ინტერნეტმაღაზია Amazon.com-ის**

დამფუძნებელი და პრეზიდენტი. დაბადა 1964 წლის 12 იანვარს ალბურვერკში (ნიუ-მექსიკო) დამთავრა პრინსტონის უნივერსიტეტი. 1999 წელს ჟურნალმა “Time” ნლის ადამიანად დაასახელა, 2008 წელს კი ჟურნალ “U.S & World Reports”-ის გამოკითხვით ამერიკის საუკეთესო ლიდერებს შორის მოხვდა.

**ვირტუალური** – ის, რაც შეიძლება გამოვლინდეს სათანადო პირობებში; შესძლებელი. ვირტუალურ სამყაროდ, ჩვეულებრივ, ინტერნეტს მოიხსენიებენ.

**ონლაინ-რეჟიმი** – პირდაპირი რეჟიმი, ცოცხალი რეჟიმი, რეალური დროის რეჟიმი.



ბილ გეიტსი / Bill Gates



სტივ ჯობსი / Steve Jobs



ჯიმ მანზი / Jim Manzi

გავიხსენოთ, ვინ არიან პლანეტაზე ყველაზე მდიდარი ადმიანები. და რა თქმა უნდა ისინი, ვინც დაკავებული არიან ინფორმაციული ბიზნესით: ესენი არიან ბილ გეიტსი, რომელმაც 25 წლითადში 500-მილიარდიანი კორპორაცია Microsoft შექმნა; ასევე სტივ ჯობსი (**Apple Computer**), ჯიმ მანცი (**IBM Lotus Notes**), რეი ნორდა (Novell), ლარი პეიჯი და სერგეი ბრინი (Google).

90-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც სათავეს იღებს ინტერნეტის მასობრივი განვითარება მსოფლიოში, საზოგადოება სწრაფად მივიდა იმ აზრობდე, რომ ინტერნეტი საკმაოდ კარგი ინსტრუმენტია გაყიდვის ოპერაციებისთვის. სწორედ აქედან ინყება ელექტრონული კომერციის განვითარება. იგო, შეიძლება ითქვას, ინტერნეტის პარალელურად და პროპრეციულად ვითარდებოდა და დღეისათვის მის გარეშე პრაქტიკულად წარმოუდგენელია თანამედროვე მსოფლიოს ბიზნეს-გარემო.

ინტერნეტ-ბიზნესის წლიურმა ბრუნვამ აშშ-ში 2007 წელს 120 მილიარდ დოლარს, ევროპაში კი 150 მილიარდს დოლარს მიაღწია. ელექტრონული კომერცია ჩამოყალიბდა, როგორც ბიზნესის ცალკე მიმდინარეობა, რომელმაც ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიო ეკონომიკაში. ელექტრონული კომერციაში შედის რამდენიმე ძირეული კომპონენტი, რომლებიც დროთა განმავლობაში იხვეწებოდა და საბოლოო სახით ჩამოყალიბდის შემდეგ მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს: ინტერნეტ-მაღაზია, საგადამხდელო სისტემა, მიწოდების სერვისი.

ინტერნეტ-მაღაზია არის მართვადი ინტერაქტიული **ვებ-საიტი**, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია კონკრეტული პროდუქტების შესახებ. შესაძლებელია ამ პროდუქტების ვირტუალურ კალათაში მოთავსება შემდგომი შეკვეთისათვის, თანხის ონლაინ-რეზიმში გადახდა საკრედიტო ბარათით ან სხვა რამე ელექტრონული საგადამხდელო სისტემით, სახლიდან გაუსვლელად პროდუქტის მიღება და ა. შ.

პირველი ინტერნეტ-მაღაზია 1994 წელს გაჩნდა. მისი დამაარსებელი იყო **ჯეფრი პრესტონ ბეზოსი**, რომელმაც ამ ახალი საქმისათვის სამსახურს თავი დაანება. მას გაუჩნდა იდეა, რომ ინტერნეტის მეშვეობით გაყიდოს წიგნები. ინტერნეტ-მაღაზიას მარტივი პრინციპით უნდა ემოქმედა, მომხმარებელი სახლიდან გაუსვლელად ირჩევდა საიტის კატალოგში განთავსებულ წიგნს, იხდიდა საკრედიტო ბარათით წიგნის საფასურს და გარკვეულ ვადაში კურიერს წიგნი სახლში მოქმედდა. ერთ წელიწადში ჯეფრი ბეზოსის ინტერნეტ-მაღაზიამ, რომელსაც მან [www.amazon.com](http://www.amazon.com) დაარქვა, ერთი მილიონი დოლარის წიგნები გაყიდა. ხოლო 1999 წლის ბოლოსთვის კომპანიის ღირებულება 7,3 მილიარდ დოლარს შეადგენდა! დღესაც [www.amazon.com](http://www.amazon.com) წამყვან ინტერნეტ-

**Apple Computer** – ამერიკული მულტინაციონალური კორპორაცია, აწარმოებს სამომზარებლო ელექტრონიკასა და მის პროგრამულ უზრუნველყოფას. კომპანიის ყველაზე ცნობილ პროდუქტთა შორისაა მაკინტოშის პერსონალური კომპიუტერები.

**Lotus Notes** – პროგრამა რომელიც გამოიყენება ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერებს შორის კომუნიკაციისთვის.

**ვებ-საიტი** – ელექტრონული გვერდების, სურათების, ვიდეოების და ა. შ. ერთობლიობა, რომელიც ატვირთულია ერთ ან რამდენიმე სერვერზე და რომელიც ჩვეულებრივ ხელმისაწვდომია ინტერნეტით, ტელეფონით **HTTP/HTTPS** პროტოკოლის საშუალებით. მსოფლიოში პირველი ვებ-საიტი შეიქმნა 1991 წლის 6 აგვისტოს, მისი მისამართია <http://info.cern.ch/>, შემდეგით – ტიმ ბერნერს-ლი. მასში განთავსებული იყო ინფორმაცია ახალი ტექნოლოგიის შესახებ **World Wide Web (WWW)** (მსოფლიოს ფართო ქსელი). ინფორმაციის გადაცემა დაფუძნებული იყო **HTTP** პროტოკოლზე, ხოლო საიტი შექმნილი იყო ვებ-პროგრამირების **HTML** ენაზე. საიტზე ასევე

თაღი ზღვაზ გვრდაზ

**ჯეფრი პრესტონ ბეზოსი** – ნახე წინა გვერდზე.



რეი ნურდა / Ray Noorda



ლარი პეიჯი / Larry Page & სერგეი ბრინი / Sergey Brin

მაღაზიას წარმოადგენს, რომელშიც მომხმარებლები ყოველდღიურად 16 მილიონი დოლარის პროდუქციას ყიდულობენ.

საქართველოში ინტერნეტ-მომხმარებელთა რაოდენობამ უკვე 1 მილიონს გადააჭარბა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უცხო ქვეყნის ინტერნეტ-მაღაზიებში შეკვეთების გაკეთება სულ უფრო დიდ პოპულარობას იძენს საქართველოში. როდესაც უცხო ქვეყნის ინტერნეტ-მაღაზიდან უკვეთავ პროდუქციას, ვთქვათ, იმავე [www.amazon.com](http://www.amazon.com)-დან, საქმეში შუამავალი კომპანია ერთვება, ეგრეთ წოდებული (გადამზიდი). რომელიც თავის თავზე იღებს ყველა პროცედურას და იცავს კლიენტს ნებისმიერი მატერიალური რისკისგან, რაც ონლაინ-ვაჭრობის დროსაც მოსალოდნელი; იგი პასუხს აგებს აგრეთვე ჩამოსული პროდუქტის სიზუსტესა და ვარგისიანობაზე, ნინაალმდევ შემთხვევაში ანაზღაურებს გადახდილ თანხას. საქართველოში ერთ-ერთი ასეთი შუამავალი კომპანია [luckyshop.ge](http://luckyshop.ge). მისი დახმარებით შესაძლებელია ნებისმიერი პროდუქციის შეკვეთას უცხოურ ინტერნეტ-მაღაზიებში, რის საფასურად კომპანიას თქვენ უხდით შეკვეთილი პროდუქციის გარკვეულ პროცენტს. [luckyshop.ge](http://luckyshop.ge)-ს დღეში საშუალოდ 200-300 ვიზიტორი სტუმრობს, რომელთაგან პოტენციურ შემკვეთს მხოლოდ 5-10 პროცენტი წარმოადგენს. თუმცა ქართველი ინტერნეტ-მომხმარებელი პრუდუქციის შეკვეთას ისევ ქართული ინტერნეტ-მაღაზიებიდან არჩევენ, რადგან ქართული ონლაინ-მაღაზიები სწრაფი, სანდო და ხელმისაწვდომი სერვისია. უცხოური ონლაინ-მაღაზიდან შემოთავაზებული პროდუქცია უფრო ძვირი უჯდება მომხმარებელს, ვიდრე ქართულიდან.

წარმოგიდგენთ რამოდენიმე ქართულ ინტერნეტ-მაღაზიას, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ „ინტერნეტ შოპინგს“:

[www.flowerland.ge](http://www.flowerland.ge)

- ყვავილების ონლაინ-მაღაზია. იგი თებერვლის შუა რიცხვებში გაიხსნა და მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა სახის თაიგულებს და აქსესუარებს ადგილზე მიტანით.

[www.elva.ge](http://www.elva.ge)

- სხვადასხვა ჟანრის წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, საკანცელარიო ნივთების ინტერნეტ-მაღაზია.

[www.gifts.ge](http://www.gifts.ge)

- სუვენირებისა და აქსესუარების ინტერნეტ მაღაზია.

ქართული ონლაინ-მაღაზიების განვითარების ეფექტური ხერხი იმ სერვისების შეთავაზებაა, რომლებიც უცხოურ საიტებს არ შეუძლიათ. კერძოდ კი – მიწოდების სწრაფი ვადები და ის პროდუქცია, რომელსაც უცხოური მაღაზიები აქ არ აგზავნიან. საქართველოში ინტერნეტ-მომხმარებელთა რიცხვი მატულობს, იზრდება ონლაინ-მაღაზიებში რეგისტრირებულთა რიცხვიც და

განხილული იყო ვებ-სერვერის და ვებ-ბრაუზერის მუშაობის პრინციპები. საიტი გახდა მსოფლიოში პირველი ინტერნეტ კატალოგი, რადგან მოგვიანებით შერჩერს-ლიმ მასზე განათავსა სხვა საიტის მისამართები. ყველაფერი, რაც საჭირო იყო პირველი საიტის ასამუშავებლად ბერნერს-ლიმ გაცილებით ადრე, 1990 წელს შექმნა. ამ დროს შექმნა პირველი ვებ-ბრაუზერი და პირველი ვებ-სერვერი, რომელიც დაფუძნებული იყო NeXTcube ბაზაზე.





გიორგი ბერელიძე  
დაბადების ადგილი/თარიღი:  
თბილისი. 02.17.1990.

ოჯახური მდგომარეობა: დე-  
და, მამა, ძმა.  
საკონტაქტო მონაცემები:  
E-mail:  
giorgi.berelize@gmail.com /  
giorgi\_berelize@yahoo.com

განათლება:  
1. გრიგოლ რობაქიძის სახე-  
ლობის უნივერსიტეტის ტელე-  
რადიო ჟურნალისტიკის II კურ-  
სის სტუდენტი.

2. ილია ჭავჭავაძის სახელო -  
ბის საქართველოს ეროვნული  
უნივერსიტეტის ბიზნესის და  
მართვის ფაკულტეტის III კურ-  
სის სტუდენტი.

რაც შეხება ჩემს ცხოვრებას,  
ვარ კონტაქტური და მგონი  
მხიარული პიროვნებაც. წარმო -  
შობით, სულითა და გულით –  
რაჭველი. მიყვარს მუსიკა, გი -  
ტარაზე დაკვრა, სიმღერა, კით -  
ხვა, ჭამა და სმა. არ მიყვარს  
როცა მატყუებენ და საშინალად  
არ მიყვარს საცივი: )

ვემსახურები საქართველოს !!!

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს სფერო მომავალში კიდევ უფრო განვითარდება. მომხმარებლის ყოველდღიური ცხოვრება სულ უფრო და უფრო მჭიდროდ უკავშირდება კომპიუტერსა და ინტერნეტს, ინტერნეტ-მომხმარებლის რაოდენობა იზრდება და „ინტერნეტ შოპინგი“ სავარაუდოდ კიდევ უფრო ფართო მასშტაბებს შეიძლება. ამავე დროს ვირტუალური ბიზნესის ეს სახეობაც დროთა განმავლობაში სულ უფრო შემოსავლიანი გახდება. ■

წარმოგიდენთ ინტერნეტ მაღაზიებს, საიდანაც შეგიძლიათ პროდუქციის შეკვეთა:

<http://www.amazon.com/>  
<http://pandashop.md/>  
<http://www.victoriassecret.com/>  
<http://www.shoes.com/>  
<http://www.stevemadden.com/>  
<http://www.endless.com/>  
<http://www.forever21.com/>  
<http://www.shoebacca.com/>  
<http://www.target.com/>  
<http://www.tactics.com/>  
<http://www.davidsbridal.com>  
<http://www.zales.com/>  
<http://www.1stperfume.com/>  
<http://www.gaffos.com/>  
<http://www.thewatchery.com/>  
<http://www.buymebeauty.com/>  
<http://www.powells.com/>  
<http://www.newegg.com/>  
<http://www.tigerdirect.com/>  
<http://www.napaonline.com/>  
<http://www.autozone.com/>  
<http://www.motosport.com/>  
<http://www.cabelas.com/>

გამოყენებული საინფორმაციო რესურსები:

<http://www.serg558.narod.ru/>  
<http://www.bizmost.biz/>  
<http://www.navigator.ge/>

უნივერსალური ინტერნეტ-მაღაზია  
უნივერსალური ინტერნეტ-მაღაზია  
ტანსაცმელი, აქსესუარები, თეთრეული  
ფეხსაცმელი და აქსესუარები  
ქალის ფეხსაცმელი  
ფეხსაცმელი და ჩანთები  
ტანსაცმელი ახალგაზრდებისთვის  
ფეხსაცმელი ყველასათვის  
უნივერსალური ინტერნეტ-მაღაზია  
სპორტული ტანსაცმელი და აქსესუარები  
საქორწინო კაბები და აქსესუარები  
სამკაულები  
სუნამო ქალისთვის და მამაკაცისთვის  
ქალის და მამაკაცის სათვალეები  
საათები  
კოსმეტიკა  
წიგნების ყიდვა-გაყიდვა  
კომპიუტერული და ციფრული ტექნიკა  
კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარები  
ავტომობილის ახალი ნაწილები  
ავტომობილის ნაწილები და აქსესუარები  
მოტოციკლის ნაწილები და აქსესუარები  
სანადირო, სათევზაო და სალამქრო  
აღჭურვილობა.





Archive      Related

PROMO

Get Issue Pro today!

**WAS**

It was winter

**WAS**

Resurrection

## პირველი ძართული ელექტრონული ჟურნალები

2010 წელი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წლად შეიძლება ჩაიწეროს ქართული ჟურნალისტების ისტორიაში. სწორედ წელს მოხდა პირველი ქართული ელექტრონული ჟურნალების საზოგადოებისთვის წარდგენა. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის სულ სამიოდე ჟურნალი არსებობს, ესეც ძალიან კარგი მაჩვენებელია ჩვენნარი ქვეყნისათვის. უცხოეთში ელექტრონული ჟურნალები უკვე აღარ ითვლება ახალ ხილად და ფართოდ არის გავრცელებული ინტერნეტში. არსებობს უამრავი სპეციფიკური, კონკრეტულ თემატიკაზე მიბმული ჟურნალები, ასევე ბეჭდურის მსგავსი, რომელიც უამრავ თემას და საკითხს მოიცავს.

რას წარმოადგენს ელექტრონული ჟურნალი?! ელექტრონული ჟურნალის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ბეჭდურისგან არის ის, რომ ჟურნალის წასაკითხად შენ არ გადიხარ გარეთ, არ ყიდულობ ჟურნალს, არ მოდიხარ სახლში, არ ადულებ ჩაის (ყავას) და არ იწყებ კითხვას. ელექტრონული ჟურნალის წასაკითხად შენ გჭირდება ორი რამ – ინტერნეტი და თვალები. იმის განცდა, რომ შენ „ნამდვილ“ ჟურნალს კითხულობ მიღწეულია შენ ხელის (მაუსის) მარტივი მოძრაობით, რითაც შეგიძლია ისე გადაფურცლო ვირტუალური გვერდები, როგორც ცარცის ქაღალდისა.

ელექტრონული ჟურნალის შექმნის მცდელობა ჩვენში აქამდეც იყო, მაგრამ ძირითადად მაინც ბლოგის მსგავსი რამ ან ბეჭდური პრესის არქივი გამოდიოდა. 2009 წლის ბოლოს კი შეიქმნა ორი ელექტრონული ჟურნალი, რომლებიც უცხოურის მსგავსად მხოლოდ ინტერნეტში არსებობენ...

29 აპრილს საქართველოს უნივერსიტეტში გაიმართა სამი ქართული ელექტრონული ჟურნალის პრეზენტაცია. ესენია: „WAS“, „Beat“ და „CZE“. მათი საერთო ნიშანი იყო



### გიორგი კარანაძე

ადგილმდებარეობა:ჩემი ოთახი.  
ინტერესები: BDSM, ინტერნეტი, ლიტერატურა, პორნოფილოსიფია.

საყვარელი ფილმები: Easy Rider, A Home at the End of the World, Away We Go, Trainspotting, Candy, Kislorod, 99 Francs... და კიდევ უმრავი.

საყვარელი ჯგუფები და მუსიკოსები: AGF, Leila, Crystal Castles, Polygon Window, Hecq, Massive Attack, Tricky, Portishead, Beck და კიდევ უფრო მეტი.

საყვარელი მუსიკის მიმდინარეობა: Electronic, Trip-Hop, Indie, Alternative.

საყვარელი მხატვრები: Gustav Klimt, Jean-Michel Basquiat, Edward Hopper, Frida Kahlo, Daniel Richter.

საყვარელი მწერლები, პოეტები: ოთარ ჭილაძე, ორქან ფამუქე, პარუკი მურაკამი, იასუნარი კავაბატა, ჩაკ პალანიკი, ვლადიმირ სორინი და ა.შ.

საყვარელი თამაში: Puzzle.

საყვარელი ანიმაციური პერსონაჟი: Arnold (Hey, Arnold!), დარია (Daria).

გამონათქვამი: Family can be whatever you want it to be.

e-mail:  
[George.karanadze@gmail.com](mailto:George.karanadze@gmail.com)

ნომრების ერთი რომელიმე თემის ირგვლივ გაერთიანება, რაც სისტემურობას უწყობს ხელს და გარკვეულ წესრიგში მოჰყავს მასალა. უურნალების წარდგენამდე სანდრო ასათიანმა წაიკითხა მოხსენება: „ვიზუალური კომუნიკაციის ისტორია – პირველი წიგნებიდან ელექტრონულ გამოცემებამდე“.

**Beat** ოთხი მეგობრის (სანდრო ასათიანი, ქეთა ლომიძე, ნატა სოფრომაძე, მაკა კუკულავა) მიერ გაკეთებული ფოტო-პროექტების უურნალია. „ვირტუალურ ფურცლებზე შევეცდებით დასვათ კითხვები ვეძებოთ პასუხები იმიჯების საშუალებით“, – ასე განმარტავს ამ გაერთიანების ლიდერი სანდრო ასათიანი მათი უურნალის მთავარი კონცეფციის არსს. „სათქმელის უკეთ გამოხატვისთვის ვერბალურ საშუალებებს ვიზუალურ ვამჯობინეთ“, – ამიტომაც Beat შედგება მხოლოდ ფოტოპროექტებისგან. წებისმიერ ადამიანს შეუძლია გააგზავნოს საკუთარი ნამუშევარი ამ უურნალში და მოწონების შემთხვევაში ისინი გამოქვეყნდება უურნალის ვირტუალურ ფურცლებზე. უურნალის შემოქმედი ჯგუფი წინასწარ აცხადებს უურნალის მომავალი ნომრის თემას. უურნალის ინტერნეტ-საიტზე მომხმარებელი ირჩევს, თუ როგორ წაიკითხოს ნომერი – იქვე flash-ვერსიის სახით, თუ pdf ფორმატში სრულიად უფასოდ და ლეგალურად ჩამოტვირთვას შემდეგ. მოინახულე საიტი <http://www.beatmagazine.net/>

**WAS (We Are Sweet)** არის რამდენიმე ახალგაზრდა ენთუზიასტის გაერთიანებული ძალისხმევით შექმნილი ელექტრონული უურნალი, რომლის ძირითადი კონტენტი თანამედროვე ხელოვნების სხვადასხვა დარგის სხვადასხვა მიმართულებაა. დღემდე გამოსულია მხოლოდ ორი ნომერი, ამიტომ საუბარი გარკვეულ პერიოდულობაზე ჯერ ნაადრევია. უურნალს ახლავს ბლოგიც, რომელიც დამხმარე საშუალებად მოიაზრება. რუბრიკები წარმოდგენილია როგორც ბლოგში, ასევე უურნალში. ამ ელექტრონული უურნალის ინტერნეტ-მისამართია: <http://wearesweet.net/>

**CZE**. რედაქტორი, მხატვარი, ამწყობი, ფოტოგრაფი, ექიმი, მენარმე, ლიდერი და ა.შ. ასე შეიძლება დახასიათდეს მესამე უურნალის სულისჩამდგმელი, გიორგი ნებიერიძე, რომელიც მარტო უძღვება თავის ელექტრონულ უურნალს, ეძებს საინტერესო ფოტოგრაფებს, ამყარებს მათთან კონტაქტებს, იწვევს დამწყებ ფოტოგრაფებს სათანამშრომლოდ. წინა ორი უურნალისაგან განსხვავებით CZE-ს არ აქვს საკუთარი დომენი და ჯერჯერობით tumblr-ზეა განთავსებული (tumblr არის დომენი ბლოგებისთვის). ჯერჯერობით მას ორი ნომერი აქვს გამოშვებული და ახლო მომავალში გეგმავს ახალ დომენზე ([cze.net](http://cze.net)) გადასვლას, რათა უფრო გააფართოვოს მეითხველთა თუ დამთვალიერებელთა წრე. გიორგი ნებიერიძის ელექტრონული უურნალის მისამართია: <http://georgenebieridze.tumblr.com/>

**პოლოს** უნდა ითქვას, რომ ეს ახალი წამოწყება საჭიროებს მეტ უურადლებას და განვითარებას, რადგან მომავლის უურნალისტური პროდუქტი ძირითადად ინტერნეტით და სოციალური ქსელებით გავრცელდება. სამივე უურნალი ენთუზიაზმზეა დამყარებული და არანაირ კომერციულ მიერგას არ ითვალისწინებს. საბოლოო მიზნამდე და საჭირო პოლულარობამდე ჯერ შორის. ქართული ელექტრონული უურნალები ჯერ მხოლოდ პორველ ნაბიჯებს დგამენ... ■



## სჩაილის ისტორია

ზოგადად, სმაილები (ან სმაილიკები) მთელი მსოფლიოს ონლაინ- (და არამხოლოდ ონლაინ-) სოციულტურის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია – მათი წყალობით შესაძლებელია ვიზუალური ემოციების გამოხატვა დაუფორმატირებელი ტექსტის საშუალებით!

ფართო მოხმარებაში სმაილიკები მეოცე საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან შემოვიდა. 2002 წელს ჯეფ ბაირდმა ის პირველი წერილის ტექსტიც კი აღმოაჩინა, რომელშიც სმაილების „გამომგონებელმა“ სკოტ ფალმენმა პირველად გამოიყენა ფჩხილების, ტირესა და ორნერტილის კომპინაცია სახის გამოსახატად.

აი ეს წერილიც, ორიგინალში:

19-Sep-82 11:44 Scott E Fahlman :-)

From: Scott E Fahlman

I propose that the following character sequence for joke markers:

:-)

Read it sideways. Actually, it is probably more economical to mark things that are NOT jokes, given current trends. For this, use

:-)

სწორედ ამ პოსტიდან დაიწყო სმაილიკის ისტორია.





იგი მომენტალურად აიტაცა მსოფლიომ – ნიუსგრუპებში და პირველყოფილ მოფორუმო წარმონაქმნებში, ელფოსტის გზავნილებში და ჩატის შეტყობინებებში, SMS-ებსა და მყისიერი შეტყობინებების პროგრამებში, ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც კომუნიკაციის ერთადერთ საშუალებას ტექსტუალური მხარე წარმოადგენდა. დღეს ონლაინში ადამიანთან ურთიერთობა სმაილების საშუალებით ემოციის გამოხატვის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია; ყველგან – ფორუმში, ჩატში ან თუნდაც მესენჯერში... ერთმა სმაილიკა შესაძლოა მთლიანად შეცვალოს მთელი პოსტის აზრი... ან სულაც ერთი სმაილიკი იყოს საკმარისი მთელი სათქმელის გამოსახატავად...




ზუსტად ამიტომ, ჩემთვის და კიდევ ბევრისთვის გამოცანად რჩება, თუ რატომ არ იყენებენ თანამედროვე ბეჭდვით გამოცემებში ემოციის გამომხატავ ამ არაჩვეულებრივ გამოგონებას, რომელიც უკვე 20 წელია ვების განუყოფელ ნაწილად იქცა. იშვიათი გამონაკლისის გარდა, სმაილიკები მხოლოდ ორ შემთხვევაში გამოიყენება ხოლმე: სტატიებში სმაილების შესახებ და ახალგაზრდულ, ნაკლებად სერიოზულ გამოცემებში.

რეალურად კი მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელი სასვენი ნიშნები არსებობს ხასიათისა და ემოციის გადმოსაცემად – ძახილის ნიშანი, კითხვის ნიშანი, სამწერტილი.

ისმის კითხვა: რატომ არ უნდა გამოვიყენოთ სმაილიკები? ისინიც ხომ ჩვეულებრივი პუნქტუაციის ნიშნებისგან არიან შედგენილი? შემდეგში რომელიმე სტატიის კითხვისას დაფიქრდით, როგორ მოუხდებოდა ზოგ ადგილს ასეთი სმაილიკი : ) ან ასეთი : ▶ ან თუნდაც ასეთი : (

ან ვინ იცის, რამდენჯერ გაგჩენიათ სურვილი, რომ რომელიმე თემაში ან რეფერატში გამოგეყენებინათ ისინი? 





## ციგნის პედი ინტერნეტის ეპოქაში

დაგინახავთ ქუჩაში ადამიანები, რომლებსაც მარცხნივ, გულის მხარეს ამოიღლიავებული წიგნი უჭირავთ? ისინი მკითხველები არიან... წიგნის მეითხველები. მათ იციან წიგნის სუნი, გაცრეცილი ფურცლების ნაზად გადაშლა, ზოგი ფართოვიბიან ტანსაცმელსაც ატარებს სპეციალურად, წიგნები რომ ჩაეტიოს. ესენი არიან ადამიანები, რომელთაც ლიტერატურა ძალიან უყვართ... ტრანსპორტსა თუ პარკებში ხშირად დამინახავს ადამიანები წიგნით ხელში... თუმცა მხოლოდ უფროსები... ბებიები და ბაბუები...

**ინტერნეტი** გამოჩენისთანავე ყველა სფეროში შეიქრა. ინტერნეტში ჯერ წიგნები გაჩინდა, მერე – ბიბლიოთეკები. იმასაც ამტკიცებდნენ წიგნს კომპიუტერი ჩაანაცვლებსო, მაგრამ მოხდა ისე, რომ წიგნი რჩება, ოღონდ პარალელურად ელექტრონული წიგნები იქმნება. ელექტრონული წიგნები ელექტრონულ ბიბლიოთეკებშია „დაცული“.

კარგია, რომ ბიბლიოთეკაში წიგნის გამოწერა-მიღების პროცედურას კომპიუტერის ერთი ღილაკის დაჭრით გადაჭრი, არც დროს დაკარგავ ბიბლიოთეკაში მისვლა-მოსვლით და არც სწრაფად კითხვა მოგიწევს ბიბლიოთეკას დაკეტვის შიშით. ნამდვილად ძალიან მოსახერხებელია. თუმცა ამ კომფორტის ეპოქაში სულ დაგვავინყდა წიგნის სუნი, დაგვავინყდა, როგორია, წიგნთან რომ ჩაგეძინება და სიზმარში აგრძელებ მის სიუჟეტს. ახლა ჩვენი წიგნის მაგივრად ლეპტოპს გადავმლით და ვიკარგების დიდ, „გლობალურ სოფელში“ – უფრო მეტად ინფორმაციულ, კომფორტულ და მარტივ სამყაროში, სადაც წიგნმა ფუნქცია თითქმის დაკარგა. ფანრით თუ არ ჩანიშნე, მასთან ერთად თუ არ იძინე და მისი სურნელი თუ არ შეიგრძენი, ის რაღა წიგნია?! 

**ინტერნეტი** – მსოფლიო ელეტრონული ქსელი, ერთბანეთზე მიერთებული კომპიუტერების საჯაროდ ხელმისაწვდომი სისტემა, რომელსაც უბრალოდ ქსელსაც (The NET) უწოდებენ. მომზმარებელს ქსელში არსებული ინფორმაციის მიღება ნებისმიერი კომპიუტერიდან შეუძლია. ინტერნეტი გლობალურ საინფორმაციო სივრცეს ქმნის.

წადით საიტებზე:  
[www.lib.ge](http://www.lib.ge)  
[www.uoo.ge](http://www.uoo.ge)  
[www.literatura.ge](http://www.literatura.ge)

2010 წლის 26 მაისი. თბილისი // ანდლულაძე // 32

რეკლამა პოლიტიკის სამსახურში // კარანაძე // 36

კატინი-2 // მეცნიერებილი // 38

ტელეგრაფი, ხელოვნური თანამგზავრები და კოსმოსური  
ნაგავი // მეცნიერებილი // 42

ნანოტექნოლოგიური მომავალი // ბარამიძე // 46

რუსებზე გავლით ახალი ზელანდისაკენ // ახვლედანი // 50

ქრისტენები პუტინის თვალის დაპყრობის // ლელაძე // 54

საბედისნერ დაშვება ოლიმპიურ ვანკუვერში // ბარამიძე // 56

პარკური – ახალი გატაცება, ახალი სპორტი // ქობულაძე // 60

ვინ და როდის გამოიგონა კომპიუტერის თავგვი? // კარანაძე // 62

## ვირტუალური სივრცე



## რეალური სივრცე



## საკუთარი სივრცე



„იმედის“ რექვიემი  
// ჭანტურა // 96

რეაქცია შემწვარ  
კვერცხზე // სუხიშვილი // 100

ვის უნდა გახდეს  
ქველმოქმედი? // ქარდავა // 106

პანდუსიჩქარა!  
// კობიაშვილი // 108

სამიმარი ქრონიკ ენას  
// ბარამიძე, სუხიშვილი // 112

ახალი კომიუნიტერული  
შესაძლებლობის  
მუსიკოსებისათვის  
// ბაბიძე // 116

რა არის ანიმე? // კარანაძე // 118  
იაპონია // კარელიძე // 119

ქუჩის 3-D ხელოვნება

// ხუბუტია // 122



## ცარიელი სივრცე

## დასკამული სივრცე

## მასტერპლასის სივრცე

მომავლის პროფესიული გზა // სუხიშვილი // 126

არამინიერი ცივილიზაცია: მითით თუ რეალობა // ალადაშვილი // 130

ჰაკერთა შესანიშვნი შეკიდეული // კარანაძე // 134

ყველაზე პოპულარული საძიებო პორტალები // ქობულაძე // 138

ვირტუსები ანტივირტუსების ჩინააღმდეგ // კარანაძე // 142

მექანიზმის დასამაღად თუ მექანიზმის გამოსაჩენა // სუხიშვილი // 146

რა არის სამოთხე? // ხუბუტია // 148

ია ანთაძე // როგორც იქნა, ომი ნავაგეთ // 153

გიორგი გვახარია // მამა, უცბად ვიგრძენი, რომ სულ მარტო ვარ „...“ // 156

ბიძინა მაყიშვილი // სპორტი // 159

ნიკო ნერგაძე // დავითახე მიშვევლი (ჩაცმული ჯობდა) // 161

მაღაზ ხარბედა // გამოსტერება // 166

პატა ქურდაძე // სექსუალურად კორექტული საზოგადოება // 169

პატა ნაცვლიშვილი // ნობელის პირველი ქართველი ნომინანტი // 175

თბილისი – ჩვენი ქალაქი

// მეცნიერებილი // 66

ჩვენი უნივერსიტეტი

// საიტიდან // 70

სტუდენტის გზამკვლევი

// საიტიდან // 71

რეტრონის მიმართვა

// საიტიდან // 76

გრიგოლ რობაქიძე – სახელი

და ადამიანი // ჭანტურა // 78

რობაქიძის „როკვით განვიხილის“

ნაკითხვის შემდეგ // ქობულაძე // 80

ჩები / კარელიძე // 83

გრიგოლ რობაქიძის ანდერძი // 83

ნაკურთხი ამორტიზატორი და სხვა

ამბები // მუჯირიშვილი // 84

შე ახალგაზრდა ვარ: Yes:

// კარელიძე // 85

გლობალურ-ვირტუალური

სოფელი ანუ ჩაანაცვლე,

გენაცვალე // ჭაფოძე // 90

დისტანციური სწავლების

პერსპექტივები // ჭაფოძე // 93



**ლიკა ალადაშვილი**

**ნუცა ანდლულაძე**

გიორგი ახვლედიანი

სალომე ბარამიძე

გიორგი ბერელიძე

ნინო გიგაური

გიორგი კარანაძე

თამარ კარელიძე

**ქეთევან კობიაშვილი**

გიორგი ლელაძე

**ნუცა მუჯირიშვილი**

სალომე პაპიძე

სალომე სუხიშვილი

თამარ ქარდავა

ანო ქობულაძე

ანი შეყლაშვილი

სოფიო ჭანტურია

თათია ჭაფოძე

შორენა ხუბუტია

## 2010 წლის 26 მაისი. თბილისი.

გრიგორიანული კალენდრის 146-ე დღეს, როცა შვედეთში დედის დღეს აღნიშნავდნენ, საქართველო დამოუკიდებლობას ზეიმობდა.

26 მაისს მეც ვიყავი რუსთაველის გამზირზე. ფოტოაპარატი მოვიმარჯვე და სამხედრო აღლუმის გადასაღებად გავეშურე. რუსთაველის გამზირი ასეთი ხალხმრავალი საპროტესტო აქციების შემდეგ არ მინახავს. განსაკუთრებით ბევრი იყო ბავშვი. ისინი საუთარი მამების სანახავად სამხედრო ფორმებში გამოწყობილები მოსულიყვნენ. აღლუმს უმაღლესი მთავარსარდალი, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იბარებდა. გადასაღებად კარგი ადგილის ძებნა დავიწყე. ჩემი მისამართით ბევრი შენიშვნისა და უქმაყოფილობის მიზრის მიუხედავად, ადგილი წინა რიგებში დავიკავე, ობიექტივი გავასწორე და... აი, როგორ გამოიყურება ჩემი თვალით დანახული 26 მაისი...

გადაღებულ ფოტოებს რომ ვათვალიერებდი, რატომღაც მომინდა, გამერკვია რამდენად მნიშვნელოვანი თარიღი იყო 26 მაისი დანარჩენი მსოფლიოსთვის და ინტერნეტის მეშვეობით **ვიკიპედიას** მივმართე:

მაშ ასე, 26 მაისს –

**ვიკიპედია** – ყველაზე პოპულარული ენციკლოპედია ინტერნეტში, რომელიც თავად ინტერნეტ-მომხმარებლების მიერ იწერება. მისი შექმნა დაიწყო 2001 წელს, დღემდე გრძელდება და მომავალშიც გაგრძელდება. ჩვენი უურნალის 150-ე გვერდზე იღეჭდება ვიკიპედიის დამფუძნებლის ჯიმ (ჯიმბო) უელსის 2010 წლის მიმართვა ინტერნეტ-მოსახლეობისადმი.

- 1762: მიხაილ ლომონოსოვმა ვენერაზე ატმოსფერო აღმოაჩინა.
- 1805: ნაპოლეონ ბონაპარტი აკურთხეს იტალიის მეფედ.
- 1864: მონტანა შევიდა აშშ-ში.
- 1865: აშშ-ში დასრულდა სამოქალაქო ომი.
- 1879: რუსეთმა და დიდბრიტანეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის შედეგად ჩამოყალიბდა ავღანეთის სახელმწიფო.



**LEARN  
NEW YORK FILM ACADEMY  
PHOTOGRAPHY**



- 1889: ეიფელის კოშკის პირველი ლიფტი გაიხსნა საზოგადოებისთვის.
- 1895: ტახტზე ავიდა რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი ნიკოლოზ II.
- 1928: ათენში (საბერძნეთი) აჩვენეს პირველი მოძრავი სურათები.
- 1947: სსრკ-ში გაუქმდა სიკვდილით დასჯა.

იმ დღეს მთელმა საქართველომ გაიცნო ლონდონში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი ალექსანდრე (სამა) ბესტავაშვილი, მეტსახელად „გორელი“, რომელიც თავისი 103 წლის მიუხედავად ამ დღისთვის სპეციალურად ჩამოვიდა საქართველოში და რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა ბრნეინგვალების ორდენით დააჯილდოვა. ამ სურათზე აღბეჭდილია მომენტი, როცა იგი ინტერვიუს აძლევს ტელეჟურნალისტს.




- 1966: გამოცხადდა ბრიტანეთის გვიანის დამოუკიდებლობა.
- 1986: ევროპის თანამეგობრობამ დაამტკიცა ევროპის დროშა.
- 2002: მარსზე აღმოაჩინეს წყლის უზარმაზარი ყინულის ნიშნები.
- 2008: ნასამ განახორციელა პირველ წარმატებული დაშვება მარსზე ბოლო 30 წლის განმავლობაში. ¶



#### ცუცა აცდლულაპე

დავიბადე 1990 წლის 26 იანვარს ქალაქ თბილისში, კერძოდ თბილისის ერთ-ერთ ულამაზეს უბანში – სოლოლაკში. მყავს ორი და – ელენიეთ და ანა. დავამთავრე თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია, ეროვნული გამოცდებით მოვხდა 70% დაფინანსებით „ალმა-მატერში“ ზუსტად იმაზე, რაც მინდოდა. ამასთან ვმუშაობ რესტავი 2-ში, დილის გადაცემისთვის რეპორტაჟებს ვმზადებ, ამავდროულად ვმუშაობ სარეკლამო სააგენტო „მოზაიკაში“ გაყიდვების მენეჯერად. ამის გამო ხშირად მიცდება ლექციები, რაზეც ძალიან ეწუხვარ. დღეს-დღეობით საკუთარი ჯიბის ფულის გარეშე მე ვერ ვიარსებებდი.

ჩემ დანარჩენ პატარ-პატარა მიღწევებს აღარ დავწერ. ვარ ძალიან აქტიური, კომუნიკაციური, მინდა ყველაფრის ერთად მოსწრება. ჩემ ცუდ თვისებებზე არ ვსუბრობ, ისინი ისე-დაც ჩანს.



ლიკა ალადაშვილი

ნუცა ანდლულაძე

გიორგი ახვლედიანი

სალომე ბარამიძე

გიორგი ბერელიძე

ნინო გიგაური

**გიორგი კარანაძე**

თამარ კარელიძე

ქეთევან კობიაშვილი

გიორგი ლელაძე

ნუცა მუჯირიშვილი

სალომე პაპიძე

სალომე სუხიშვილი

თამარ ქარდავა

ანო ქობულაძე

ანი შეყვლაშვილი

სოფიო ჭანტურია

თათია ჭაფოძე

შორენა სუბზურია

## ოფიციალი



5. ოფიციალური – ეს ამერიკელი ტელეწამყვანი აშშ-ში, და არა მარტო იქ, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადამიანია. ოფიციალურის შოუ მრავალი წელია უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. უურნალმა Time ოფიციალური 100 ყველაზე გავლენიანი ადამიანის სიაში შეიყვანა 1998 წელს. მას უამრავი ჯილდო აქვს, როგორც სატელევიზიო, ისე საგამოშეცემლო საქმიანობისთვის. იგი არის Oxygen Media Inc.-ს პარტნიორი, რომელიც ქალთათვის განკუთვნილი საკახელო არხის მფლობელია. 2000 წელს დაიწყო პროექტი Use Your Life Award, რაც გულისხმობს 100000-დოლარიან ჯილდოს მისთვის, ვინც სხვის გადასარჩევად სიცოცხლეს სწირავს. ოფიციალური აფრო-ამერიკელი ქალი იყო, რომელიც მიღიარდერი გახდა (2003).

თავი 43-ი გვრდა

საარჩევნო სლოგანები ხომ ძალიან დიდი თემაა, სასაცილო თუ და ამავდროულად სატირალი ამბებით სავსე. ზოგისთვის თბილისი საერთო სახლია, სადაც ყველანი ერთად უნდა ვცხოვრობდეთ და ვზრუნავდეთ ერთმანეთზე, ზოგი საქმით მოდის და ამავდროულად საქმიან დაპირებებსაც იძლევა, ზოგს დრო არ ეყო და კიდევ ბევრი რომ დარჩა გასაკეთებელი. ასევე, არ შეიძლება არ შევეხო ტელევიზიით გადმოცემულ რეკლამებს, რომელთა ხარისხი რადიკალურად განსხვავებულია, მობილური ტელეფონით გადაღებული „სარეკლამო რგოლით“ დაწყებული HD ნამუშევრებით დამთავრებული. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ოპოზიციური სპექტრის გაერთიანება ვერ მოხერხდა ფიზიკურ-იდეოლოგიურად, რაღაცაში მაინც გაერთიანდნენ და ეს ნათლად ჩანს მათ უფასო თუ ფასიან რეკლამებში. ეს არის ხელისუფლების რაც შეიძლება მეტი ნაკლის თუ წუნის ჩვენება, მათი უზარობის და ქმედებების სააშკარაოზე გამოტანა. ეს ყველაფერი შეიძლება მათი მოვალეობაც არის, მაგრამ სამწუხაროა, რომ ივიწყებენ რეკლამის ერთ-ერთ მთავარ კანონს, რომ არ შეიძლება სხვისი ლანდღვა-გინება მიღიოდეს 40-წანიან ვიდეორგოლში. ამ მხრივ უკეთ გამოიყურებიან ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთაც ჭკუა ეყოთ და მარტივად გადაჭრეს მერობის კანდიდატის შესაფუთი რეკლამა: მთანმინდელი ბიჭი, რომელიც უბრალოდ ითხოვს კიდევ ერთ შანსს, რომ თბილისის აღმშენებლობა განაგრძოს. არ შეიძლება არ აღვინიშნოთ უტოპიური დაპირებების ცენტრის ხელმძღვანელი, რომელიც ძალიან დაბალ ტარიფებს გვპირდება. მისი თემით, მალე ისე წავალთ წინ, რომ გადასახადები ყველაზე უმნიშვნელო პრობლემა იქნება თბილისელისთვის. ასევე ძალიან გამაღიზიანებელია საკუთარი მშობლებით, რელიგიით, გარდაცვლილი ადამიანებით მანიპულირება და მათ ხარჯზე საკუთარი „უპირატესობის“ მტკიცება. თუმცა დღევანდელი საზოგადოებისთვის, რომელიც პირდაღებული ელოდება, მორიგ ლურემა-დაპირებას, არსებობს ჯადოსნური სიტყვები, რომლებიც ბანგივით მოქმედებენ, მაგალითად: ქრისტიანობა, ეროვნულობა, აფხაზეთი (რა შუაშია მერობის არჩევნებთან, მაგრამ მაინც), ერთიანობა, პატრიარქი (კარგია, თუ მასთან ვიდეოც გაქვს გადაღებული) და ა.შ.

პლაკატებით აჭრელებული ქუჩები, რა თქმა უნდა, საშინელი შესახედია, მაგრამ ჩამოხეულის ყურება უკვე მეტისმეტია. როგორც დავაკვირდი, ძირითადად მაინც „რატომ“-ის პლაკატებს ხევდნენ და კიდევ ოპოზიციის კანდიდატებისა, რომლებიც საქმის გასაკეთებლად მოდიან. ჩამოხეულ პლაკატს კი არა, კარგად გატკიცინებულსაც არავინ კითხულობს.

ბოლოს კი მინდა სოციალური ქსელების თვალით დაგანახოთ წინასაარჩევნო პერიოდი, სადაც თითქმის ყველა კანდიდატი გადასხვაფერებულია და დაცინვის ობიექტად არის გამოყვანილი, იქმნება ჯგუფები თუ გაერთიანებები, რომლებიც საუკეთესოდ გამოხატავენ საზოგადოების იმ ნაწილის შეხედულებებს, რომელსაც მოახლოვებული არჩევნები, მორიგი უნიჭო სპექტაკლი ჰერნია. აუცილებელია იქნება ამ პლაკატის (იხ. ფოტოზე) გამოყენება, რომელიც ზედგამოჭრილი იქნება დღევანდელი სკამების მომლოდინე კანდიდატებისთვის და ასევე მათი ამომრჩევლებისთვის. სურათებისთვის დიდი მაღლობა კრეატიულ ადამიანებს. მ.

გრაფიკული  
საგამომცემლო  
სტუდია

## პეტიტი



[www.petite.ge](http://www.petite.ge)

თბილისი, შარამიძის ქ. 6  
ტელ.: 292289



ლიკა ალადაშვილი

ნუცა ანდლულაძე

გიორგი ახვლედიანი

სალომე ბარამიძე

გიორგი ბერელიძე  
ნინო გიგაური

გიორგი კარანაძე

თამარ კარელიძე

ქეთევან კობიაშვილი  
გიორგი ლელაძე

ნუცა მუჯირიშვილი

სალომე პაპიძე

სალომე სუხიშვილი

თამარ ქარდავა

ანო ქობულაძე

**ანი შეყლაშვილი**

სოფიო ჭანტურია

თათია ჭაფოძე

შორენა ხუბუტია

## კატინი-2

სოფელი კატინი კიდევ ძალიან დიდხანს ემახსოვრება მსოფლიოს. ამიერიდან ის უკვე ორმაგ ტრაგედიასთან ასოცირდება, სადაც დაზარალებული მხარე უცვლელია, დამზარალებელი – კვლავ გაურკვეველი.

1940 წელს საბჭოთა კავშირის **შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა** 22 ათასი პოლონელი დახოცა. დაღუპულთა ძორის ძირითადად სამხედრო პირები იყვნენ, ასევე – საეკლესიო პირები და უბრალო ადამიანები. განაჩენი რამდენიმე ადგილას აღასრულეს, თუმცა **სმოლენსკის** ოლქის **კატინი** ამ მოვლენათა სიმბოლოდ იქცა.

ზუსტად 70 წლის შემდეგ ამ ადგილზე მრავალი პოლონელი და რუსი ადამიანი შეიკრიბა. ისინი პატივს მიაგებდნენ დაღუპულთა ხსოვნას. ყველა წუთი-წუთზე ელოდა პოლონეთის დელეგაციის ჩამოფრენას. ახალი ამბავი კი სწრაფად მოედო შეკრებილ ხალხს.

2010 წლის 10 აპრილს მოსკოვის დროით 10 საათსა და 56 წუთზე სმოლენსკის აეროპორტის სიახლოეს თვითმფრინავმა **ტუ 154**-მა კატასტროფა განიცადა. მინაზე დაცემის შედეგად თვითმფრინავს ცეცხლი გაუჩნდა. ბორტზე იმყოფებოდა პოლონეთის პრეზიდენტი **ლეს კაჩინსკი** მეუღლესთან ერთად და პოლონეთის მთელი პოლიტიკური ელიტა, სულ 96 კაცი – მთავრობის წარმომადგენლები, საეკლესიო პირები და უურნალისტები. ყველა მგზავრი დაიღუპა.

კატინის პირველ ტრაგედიაზე დღეს ღიად საუბრობენ. ის რუსთის „გმირობების“ ერთ-ერთი ნაწილია. სმოლენსკის კატასტროფა კი ოფიციალური ვერსიით უამინდობას და ხეებს დაბრალდა.

### შინაგან საქმეთა სახალხო

**კომისარიატი** იგივე ნკვდ –  
საბჭოთა კავშირის  
საეკლესიო უშიშროების  
კომიტეტის – კაგებეს –  
წინამორბედი.

**სმოლენსკი** – რუსეთის ოლქი,  
მისა ადმინისტრაციული  
ცენტრი, ქალაქი სმოლენსკი  
გაშენებულია მდინარე  
დნეპრზე.

**კატინი** – სოფელი რუსეთში,  
სმოლენსკის ოლქში.

**ტუ(პოლევ)-154** – რუსული  
სამრავიანი თვითმფრინავი,  
გათვალისწინებული საშუალო  
მანძილებზე საფრენად.

**ლეს კაჩინსკი** (1949-2010) –  
პოლონეთის პრეზიდენტი 2005  
წლიდან გარდაცვალებამდე.



## საქართველოს ეროვნული გმირი

„დღეს საქართველო, ხვალ უკრაინა, შემდეგ პოლონეთის ჯერიც დადგება“, – ეს განცხადება ლეხ კაჩინსკიმ საქართველო-რუსეთის ომის დროს გააკეთა. ის არ მაღავდა თავის ანტირუსულ განწყობას და მოუწოდებდა ევროპას, ზომები მიელო აგრესორი ქვეყნის წინააღმდეგ.

კაჩინსკის სიტყვები რუსეთმა მეგობრულ რჩევასავით მიიღო. საქართველოს შემდეგ უკრაინის ჯერი დადგა. რუსეთს მიზნის მისაღწევად ბომბდამშენების გამოყენება არ უცდია. საპრეზიდენტო არჩევნებმა უკრაინას ოლქებად დაყოფის საფრთხე შეუქმნა, ხოლო რუსეთს ყირიმის მიერთების საუკეთესო პერსპექტივა დაუსახა. რაც შეეხება პოლონეთს, მოძიო, ამ ეტაპზე თავი შევიტავოთ მკვეთრი კომენტარისგან.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებით, საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვაში შეტანილი პირადი წოდება მიენიჭა, 11 პირილი კი საქართველოში გლოვის დღე გამოცხადდა.

2008 წლის 12 აგვისტოს კაჩინსკი ლიტვის, უკრაინის და ესტონეთის პრეზიდენტებთან ერთად საქართველოში ჩამოტრინდა. გავრცელებული ინფორმაციით, პილოტი უარს ამბობდა საქართველოს საპარო ზონაში შესვლაზე, მას სურდა ნებართვა რუსეთისგან აეღო, მაგრამ პრეზიდენტების დაუინებული მოთხოვნით თვითმფრინავი მაინც დაეშვა თბილისის აეროპორტში.

ერთი წლის შემდეგ საქართველოსკენ მომავალი კაჩინსკი ისევ წააწყდა პრობლემას. მისი ლანერი მწყობრიდან გამოვიდა და პილოტი იძულებული გახდა, **განჯაში** დაესვა თვითმფრინავი. პრეზიდენტმა მგზავრობა მატარებლით გააგრძელა. ჩამოსვლის მიზეზი ვარდების რევოლუციისადმი მიძღვნილი ლონისძიება იყო. პრეზიდენტებმა **კასპის** რაიონში დევნილთა ბანაკი მოინახულეს... 17 საათზე ლეხ კაჩინსკის კორტეჟს საოცენაციო ჯარებმა ცეცხლი გაუხსნეს. ამ ამბავს ეჭვით შეხვდა პოლონეთის ოპოზიცია. რუსეთმა მომხდარს ქართულ-პოლონური პროვოკაცია უწოდა, თავად კაჩინსკი – „რუსეთის ლობის“ მიერ მოწყობილი გამიზნული თავდასხმა.

ქართველმა უურნალისტებმა „პროგრესული აზროვნება“ მის მიმართაც გამოაჩინეს. 13 მარტის „**იმიტირებულმა ქრონიკამ**“ პოლონეთის პრეზიდენტის თვითმფრინავს კატასროფა უნინასწარმეტყველა.

კაჩინსკი ერთადერთი იყო მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური პარტიის პილოტი, რომელთანაც საქართველოს პრეზიდენტს ბოლომდე კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ პოლონეთი, სავარაუდოდ, პრემიერ-მინისტრ **ტუსკის** დაბალანსებულ პოლიტიკას გააგრძელებს. მას რუსეთთან უფრო ლოიალური დამოკიდებულება და მეტი საერთო ინტერესები ჰქონდა.

როგორ აისახება კაჩინსკის დაღუპვა ქართულ-პოლონურ ურთიერთობებზე? მეგობრობა, ალბათ, გარეგნულ სახეს არ შეიცვლის, თუმცა პოლონეთი დღეიდან



**ყირიმი** – უკრაინის ავტონომიური რესპუბლიკა, შავი ზღვის ნახევარკუნძული.

**განჯა** – ქალაქი აზერბაიჯანში.

**კასპი** – ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში.

**„იმიტირებული ქრონიკა“** – იხ. სოფო ჭანტურიას საუკუნალო პოსტი 96-ე გვერდზე.

**დონალდ ტუსკი** – პოლონეთის მექმედი პრემიერ-მინისტრი 2007 წლიდან.



მოერიდება კრემლის გაღიზიანებას, მით უმეტეს საქართველოს გამო. რუსეთს მუდამ აღიზიანებდა ამ ორ ქვეყანას შორის კარგი დამოკიდებულება, თუმცა ეს არ იყო კრემლის უთანხმოების მთავარი მიზეზი პოლონეთის პრეზიდენტთან. კაჩინსკისა და რუსეთის ურთიერთობას ცალკე ისტორია აქვს.

## ლეხ კაჩინსკის ანტირუსული განწყობა

პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა პოლიტიკური კარიერა 1977 წლიდან დაიწყო ლეხ ვალენსას კომიტეტში. შემდეგ იყო „სოლიდარობის“ ერთ-ერთი თავმჯდომარე, სეიმისა და სენატის წევრი, პარტია „თანხმობის“ ერთ-ერთი ლიდერი, იუსტიციის მინისტრი ეჟი ბუზეკის მთავრობაში, ვარშავის მერი, 2005 წელს კი პოლონეთის პრეზიდენტად აირჩიეს. ამ წნის მანძილზე მისი კურსი არ შეცვლილა, არ შეუცვლია იდეები და შესედულებები. მას უბრალოდ მიაჩნდა, რომ ამერიკა და „ნატო“ კარგია, რუსეთი და გერმანია – ცუდი. ამის გამო ბევრი თანამოაზრე ჩამოშორდა, მათ შორის ყოფილი პრეზიდენტი და ნობელის პრემიის ლაურეატი ლეხ ვალენსა.

კაჩინსკი დაუინგებით მოითხოვდა, კრემლს ელიარებინა თავისი დანაშაული კატინის ტრაგედიაში. 90-ინი წლების შემდეგ რუსეთმა კატინის საქმეს მოხსნა გრიფი „საიდუმლო“ და მასზე ლიად დაწყო საუბარი. რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობები პრემიერ-მინისტრების ინიციატივით შერიგების გზას დაადგა. მაგრამ პოლონეთის ყოფილ პრეზიდენტს აზრის შეცვლა არც უფიქრია. იყო თუ არა ეს დამოკიდებულება მისთვის საბედისნერო? როგორც ისტორიამ გვაჩვენა, რუსეთის მიმართ ურჩ პოლიტიკოსებს ბედი ნაკლებად წყალობთ. 1943 წელს პოლონელი გენერალი ვლადისლავ სიკორსკი თვითმფრინავის აფეთქების დროს დღემდე გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. მისმა სიკვდილმა პოლონეთს ყველაზე სანდო და კომპეტენტური ლიდერი გამოაცალა ხელიდან, რამაც საბჭოთა კავშირს კიდევ უფრო გაუადვილა პოლონეთში შესვლა.

## როგორ მოხდა ტრაგედია სმოლენსკის აეროდრომზე

რუსეთის საშუალო მანძილის სამძრავიანი თვითმფრინავი „ტუ-154“ ვარშავა-სმოლენსკის მიმართულებით რეისს ასრულებდა. 10 აპრილს, მეტეოროლოგების განცხადებით, სმოლენსკის თავზე ნისლი და ცუდი ხილვადობა იყო თვითმფრინავი სეებს ნამოედო და მინაზე დაეცა. პოლონეთის ტელევიზიის ცნობით, თვითმფრინავი სამჯერ შეეცადა სმოლენსკის აეროპორტში დაჯდომას, მეოთხე მცდელობა კი ტრაგედიით დასრულდა. კატასტროფის ადგილზე მიეღინენ რუსეთის ფედერაციის საგამომძიებლო კომიტეტის ნარმომადგენლები. კატასტროფის მიზეზად დასახელდა: ცუდი ამინდი, პილოტის შეცდომა და „ტუ-154“-ის გაუმართაობა.

პოლონელი შურნალისტები აცხადებდნენ, რომ სმოლენსკის აეროპორტში ძლიერი ნისლი არ ყოფილა. თვითმფრინავის ტექნიკური მდგომარეობა კარგი იყო. 2009 წლის დეკემბერში პრეზიდენტის ლაინერმა რუსეთში კაპიტალური რემონტი გაიარა.



**ლეხ ვალენსა** – პოლონეთის პრეზიდენტი 1990-95 წლებში.

**სეიმი** – პოლონეთის პარლამენტი, სახელმწიფო სელისუფლების უმაღლესი ორგანო.

**სენატი** – სეიმის ზედა პალატა.

**ეჟი ბუზეკი** – პოლონეთის პრემიერი 2001-07 წლებში, ევროპის პარლამენტის პრეზიდენტი.

**ნატო** – ჩრდილოატლანტიკური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი.



### აი თებულაშვილი

ორი ხელი, ორი ფეხი, ოვალუბი, ცხვირი, ტუჩები – გარეგნულად ყველაფერი თავს ადგლზე + ამას უახრავი დაინტერესება, სურვილები, ოცნებები და ინედება. მაქს საჭირო ენერგიაც ამ მიზნების განსახორციელებლად, მაგრამ ამავე დროს სულში მიზნის ის მშვალებელი, რასაც ჩვენ სიზარმაცეს ვეძახით. მაგალითად, თენდება წვიმიანი ორშაბთი, შენ დასკვერული ხარ ასე თუ სე, გაქცე დიდი სურვილი წამოხტე ლოგოზიდან და „ალმა-შატერის“ კიდევბი აირბინ. აი, სწორედ აյ იჩენს ხოლო თავს ჩერი მწვალებელი თავისი მაც-დური აზრებით: გარე წვემა, და-ლიან ნაარევეც აცივდა, შენც ცოტა გაციიბული ხარ, მოზი, დარჩი ლოგოზი, დედიკო ცხელ ყავას მოგოტანს, ხვალ კიდევ მზე გამოვა და უნივერსატეტიც თავის ადგილზე დაგვედრა.

სამუშაოდ, ას ეპრძით ერთ-მანებას მე და ჩემი სიზრმაცე. ზოგჯერ ერთი იმარჯვებას, ზოგჯერ მე-ორე. უფრო ხშირად ვინც მარცხდება ეს ჩემმა ძეირფასმა კურსელებმაც კარგად იციათ. თუმცა, მე მაინც ჩემი ენერგიის იმედი მაქსს.

მაქსს უამრავი ინტერესი. ბავშვობიდან უპირველესი დაინტერესება იყო ცეკვა და მუსიკა, შემდეგ – უუნალისტიკა. რაც უფრო რამ მაინც ჩემი დანართი უფრო გამოიდებოდა, უფრო მეტი რამ მაინც ჩემი მიყვარდა კითხვა, ფილმების ყურება, კარგი მუსიკის მოსმება.

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, თვითმფრინავი შემონმდა გაფრენის წინ, თუმცა შესაძლოა მგზავრობის დროს დაზიანდა. რაც შეეხება პილოტის შეცდომას, სავარაუდოდ მას აეროპორტიდან არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს.

ბრძანების გარეშე ის ვერ გარისკავდა ლანგერის დასმას. შავი ყუთის გახსნამ კი აჩვენა, რომ დაჯდომის შესახებ ბრძანება კაჩინსკის არ გაუცია. გამოძიება დაინიშნა პოლონეთსა და რუსეთში. ამერიკის სადაზვერვო სამსახურებმა ცოტა ხნის წინ ვიდეომასალა გაავრცელეს. მათი განცხადებით, მგზავრები ჩამოვარდნის შემდეგ რუსეთის სპეც-სამსახურებმა დახოცეს, ხოლო აეროპორტის სანათები არასწორად იყო დამონტაჟებული პილოტის შეცდომაში შესაყვანად.

გამოძიებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს „შავი ყუთის“ „გაშიფრას. 31 მაისს მოსკოვში რუსულმა მსარემ პოლონეთს ჩანაწერის ასლები გადასცა. მასში ბევრი მნიშვნელოვანი დეტალია, მაგრამ პოლონეთში აცხადებენ, რომ ეს ჩანაწერი კითხვებზე პასუხს ვერ სცემს. გაშიფრის შემდეგ გარკვა, რომ კატასტროფამდე 15 წელით ადრე სმოლენსკის აეროპორტის დისპეტჩერმა ეკაპაჟს ნისლის შესახებ აცნობა. მან შეატყობინა რომ „დაშვებისთვის პირობები არ არის“. გაფრთხილება მეორე პოლონური თვითმფრინავის პილოტმაც მისცა, რომელმაც დაშვება მანამდე მოახერხა.

პოლონური საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელმა ედმუნდ კლიტმა კატასტროფის მიზეზად ეკიპაჟის დაუდევრობაც დაასახელა. მისი თქმით, ისინი გაუმართლებელ რისკზე წავიდნენ.

ორივე მხარე შეთანხმდა, რომ ბორტზე აფეთქებას ადგილი არ ჰქონია და ხელსაწყოები გამართული იყო.

„ლენტა.რუ“-ს ინფორმაციით, გამოძიება რუსული მსარის გამო გაჭიანურდა. ამის შესახებ განცხადა დალუპული პრეზიდენტის ქმამ და პრეზიდენტობის კანდიდატმა იაროსლავ კაჩინსკიმ. რუსეთის მიმართ უნდობლობას ის ფაქტიც იწვევს, რომ მან უარი თქვა საერთაშორისო გამოძიებაზე, რაც მსგავსი კატასტროფისთვის ნამდვილად წარმოუდგენელია.

ინტერნეტსა და პრესაში გაჩნდა ვერსიები, რომ კატასტროფის მიზეზი აეროდრომზე ფრენის მართვის თანამედროვე სისტემის არარსებობა გახდა. ის სმოლენსკის აეროდრომზე სპეციალურად პუტინის ვიზიტისთვის დაამონტაჟეს და შემდეგ ისევ მოხსნეს. ერთ-ერთი ვერსიით, სპეციალური მოწყობილობით კურსიდან პილოტის განზრას აცდენას შეეცადნენ.

კიდევ ბევრი ეჭვი და ვარაუდი გამოითქვა კატასტროფის მიზეზებთან დაკავშირებით, ბევრიც ალბათ მომავალში გამოითქმება. პოლონეთმა კი 6 ივლისს ახალი პოლიტიკური ცხოვრება დაიწყო. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ბრონისლავ კომაროვსკიმ გაიმარჯვა.

როგორი იქნება პოლონეთის მომავალი ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ გავიგებთ. კატასტროფის მთავარი მიზეზი კი კიდევ დიდხანს იქნება გაურკვეველი. ■

ამავე თემას ეხება  
გორგი გვახარის ბლოგ-  
პოსტი ჩვენი უურნალის  
„მასტერელასის სივრცეში“,  
156-ე გვერდზე.

თუ მეტი გაინტერესებთ,  
ნადით საიტებზე:

Wikipedia.org  
<http://new.interpressnews.ge/ge/>  
<http://internet.ge/>  
<http://www.24saati.ge/>  
<http://www.kvirispalitra.ge/>



## ტელეგრაფი, ხელოვნური თანამზადები და კოსმოსური ნაგავი

ლიკა ალადაშვილი
ნუცა ანდლულაძე
გიორგი ახვლედიანი
სალომე ბარამიძე
გიორგი ბერელიძე
ნინო გიგაური
გიორგი კარანაძე
თამარ კარელიძე
ქეთევან კობიაშვილი
გიორგი ლელაძე
ნუცა მუჯირიშვილი
სალომე პაპიძე
სალომე სუხიშვილი
თამარ ქარდავა
ანო ქობულაძე
<b>ანი შეყლაშვილი</b>
სოფიო ჭანტურია
თათია ჭაფოძე
შორენა ხუბუტია

ადამიანთა ურთიერთობებს კომუნიკაცია არეგულირებს. კომუნიკატორის მთავარი მიზანია, სათქმელი რაც შეიძლება სწრაფად მიაწოდოს აუდიტორიას. ეს ხდება **ვერბალური** და არავერბალური გზით. განასხვავებენ კომუნიკაციის მექანიკურ და და შემოქმედებით მიდგომებსაც. კომუნიკაციის მექანიკური მიდგომა არის ინფორმაციის გადაცემის ცალმხრივი პროცესი წყაროდან მიმღებამდე, ხოლო შემოქმედებითი მეთოდის დროს ხდება სათქმელის გაცვლა ინდივიდებს შორის. ის საგნებსა და მოქმედებებზე საერთო შეხედულებებს ქმნის.

კომუნიკაცია სიახლის გავრცელებას ემსახურება, რაც ზეპირსიტყვიერად, წერით და ელექტრონული სიგნალების საშუალებით ხდება. თანამედროვე მსოფლიო საზოგადოება კომუნიკაციის გლობალურ ქსელშია „გახლართული“. მას განვითარების თავისებური ისტორია აქვს. საუკუნეების მანძილზე დაგროვილმა ცოდნამ საშუალება მისცა ადამიანს, გადატრიალება მოეხდინა ტექნიკურ მიღწევებში. ბოლო სამი საუკუნის განმავლობაში თითოეულმა გარკვეულ ნარმატებას მიაღწია.

XVIII საუკუნე მექანიკური სისტემების ერა იყო. ოპტიკური ტელეგრაფი ამ ეპოქის პროგრესის მთავარ ბიძგად იქცა. 1794 წელს ერთმანეთს ამ გზით დაუკავშირდა პარიზი და ლილი.

**ვერბალური** – სიტყვიერი,  
ზეპირი.

## ოფიციალი



6. პილ გეიტსი. Microsoft-ის პრეზიდენტი და მრავალი კომპიუტერული პროგრამის შექმნელი გეიტსი კომპიუტერული რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლიდერია. ცნობილია, რომ გეიტსი დიდხანს ყველაზე მდიდარი ადამიანი იყო მსოფლიოში წლიწადში 50-მილიარდიანი სუფთა შემოსავლით. კარიერის მანძილზე „მაიკროსოფტში“ მას ეკავა ხელმძღვანელისა და კოდმანუტერული პროგრამების მთავარი არქიტექტორის პოზიცია. იგი ორგანიზაციაში კვლავაც ყველაზე დიდი მნიშვნელობის საერთო აქციების 8 პროცენტზე მეტით. გეიტსი არის აგრეთვე მრავალი წიგნის ავტორი და თანაავტორი. გარდა ამისა, ის და მისი მეუღლე საკმაოდ დიდ საქველმოქმედო ფონდს უდგანიან სათავეში.

თე 47-ე გვრდა

XIX საუკუნეში ელექტრომაგნიტური ტალღების აღმოჩენას მოჰყვა ამერიკელი გამომგონებლის **სამუელ მორზეს** ნიშანთა სისტემა. ის საჭირო იყო ინფორმაციის გადაწერისა და ჩანარისათვის. მორზეს აპარატი საფუძვლად დაედო თანამედროვე ტელეგრაფს. მალე მორზეს გამოგონებამ ოკეანე გადალახა და 1866 წელს ტრანსატლანტიკურმა კავშირმა ერთმანეთს დაუკავშირა ევროპა და ამერიკა. 1871 წელს, დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით მორზეს ძეგლი დაუდგეს ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში.

შემდეგ იყო სიგნალის გადაცემის უმავთულო ცდები. ბოძისა და კაბელების საჭიროება დღის წესრიგიდან მოიხსნა. სიგნალი უმავთულოდ გადაიცემოდა ერთი წერტილიდან მეორეში, ერთი კონტინენტიდან მეორეზე. სატელეფონი კავშირისა და მაგნიტური ფირის შემდეგ, უკვე 1907 საზოგადოებამ ტელევიზორის მოდელი იხილა.

XX საუკუნე ინფორმაციის შეგროვების, გადამუშავებისა და გავრცელების შესაძლებლობის მწვერვალად იქცა. სხვა ტექნოლოგიური წარმატებების გვერდით ჩნდება კომპიუტერული ინდუსტრია და საკომუნიკაციო თანამგზავრი. სელოვნური თანამგზავრის იდეამ ტრანსლაცია და სიგნალის მიწოდება კიდევ უფრო ადვილი გახადა. დღეისათვის ისინი ინფორმაციის იპერატიულობას უწყობენ წელს. თანამგზავრი დედამიწის გარშემო მოძრავ ობიექტს ეწოდება. ორბიტაზე მოძრაობისთვის მან უნდა განავითაროს პირველი კოსმოსური სიჩქარე. მას დედამიწიდან კოსმოსში მრავალსაფეხურიანი რაკეტა-მატარებლით უშვებენ.

სელოვნური თანამგზავრის მეშვეობით კომუნიკაციის იდეა 1945 წელს გაჩნდა. დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი ორბიტაზე 1957 წლის 4 ოქტომბერს გაუშვა საბჭოთა კავშირმა, რაც დიდი მოულოდნელობა იყო დასავლეთისათვის. ეს დღე ისტორიაში კოსმოსური ერის დასაწყისად ითვლება.

დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი (რუსულად – „სპუტნიკ“) გარეგნულად გამოიყურებოდა როგორც გაპრიალებული სფერო ოთხი ანტენით. თანამგზავრს ჰქონდა ორი რადიოგადამცემი. რადიოსიგნალები გამოიყენებოდა იმისთვის, რომ შეეგროვებინა ინფორმაცია იონოსფეროში ელექტრონატების რაოდენობის შესახებ. მასთან ერთად ორბიტაზე გასული რაკეტა-მატარებელი ღამ-ღამობით ვარსკვლავური სიდიდის იპერატიული ჩანდა.

დღეს დედამიწისირგვლივ ორბიტაზე ათასობით ხელოვნური თანამგზავრი მოძრაობს. მათ მიერ შექმნილი ქსელი საერთაშორისო სატელეფონო საუბრებს, სატელევიზიო- და რადიოსიგნალების გადაცემას, გემებისა და თვითმფრინავების კოორდინირებას უზრუნველყოფს. სიგნალი ჯერ დედამიწიდან თანამგზავრზე გადაიცემა, ის კი მას სხვა თანამგზავრებს ან დედამიწაზე არსებულ ლოკატორებს გადასცემს.



**სამუელ მორზე** – ამერიკელი გამომგონებელი და შხატვარი, მის განსაკუთრებულ გამოგონებას წარმადებენს ელექტრომაგნიტური მბეჭდავი ტელეგრაფი და მორზეს ანბანი.

## ოფიციალური

### ზრელ-ზრელი ამპეპი

თვალის გუგა 45 პროცენტამდე ფართოვდება, როდესაც რამე სასიამოვნოს უყურებს.

აპაპი ცერეტლის ერთადეკრთი ვაჟი აღექსი საფრანგეთშია დაკრძალული.

კოლიბრი ერთადერთი ჩიტია, რომელსაც უკუმიმართულებით ფრენა შეუძლია.

პარაგვაიში დუელი ნება-დართულია იმ შემთხვევაში, თუ ორივე დუელიანტი დონორია.

მსოფლიოში ყველაზე დიდი კერძია შემწვარი აქლემი, გატენილი ცხვრით, ქათმით, თვეზითა და კვერცხით.


ზველაზე მეტი ვულკანი კუნძული იავაზეა, სადაც 136 ვულკანიდან 28 მოქმედია.

ზღაპრის გული წუთში საშუალოდ 300-ჯერ ცემს.

პირობებაში იმზელაზე შეუძლია პირის გაღება, რომ 1 მეტრი და 30 სანტიმეტრის სიმაღლის ბავშვი შიგ თავისუფლად შეეტივა.

ცელინადში დაახლოებით 10000 ჩიტი კვდება ფანჯრებზე შეჯახებით.

დადი შედგ გვრდა



თანამგზავრის აგება ძვირია, მაგრამ ამ გამოგონებას მსოფლიო კომუნიკაციების სრული რევოლუცია მოჰყვა. კოსმოსიდან გადაღებული სურათები საშუალებას იძლევა გავიგოთ, რა ხდება დედამიწის ნებისმიერ ნერტილში.

ქართული ტელეარხები თანამგზავრს 1999 წლიდან დაუკავშირდნენ. „რუსთავი-2“ პირველი ქართული ტელეარხია თანამგზავრზე. 23 იანვარს, საქართველოს ევროსაბჭოში მიღების დღეს, მოწყო პირველი პირდაპირი ჩართვა სტრასბურგიდან. ამავე წელს თანამგზავრულ მუწწებლობას იწყებს სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხიც. გაფართოვდა საინფორმაციო არეალი, გაიზარდა ინფორმაციის მიწოდების ოპერატორობა.

თანამგზავრების ბატარეებს მზის ენერგია კვებავს. ისინი ორბიტაზე მრავალი წლის განმალობაში რჩებიან. მათი სასარგებლო თვისებების გვერდით ახალი პრობლემა იჩენს თავს. ზოგიერთი მათგანი უკვე აღარ ფუნქციონირებს და ე.წ.

კოსმოსურ „ნაგავს“ წარმოქმნის. ესენი არიან ვადაგასული თანამგზავრები, რაკეტა-მატარებლების ზედა საფეხურები, რომლებიც ორბიტაზე რჩებიან და სხვა თანამგზავრებთან დაჯახების შედეგად წარმოქმნიან უამრავ წვრილ ნამსხვრევს.

ერთ-ერთი ასეთი მსხვილი შეჯახება 2008 წლის 11 თებერვალს მოხდა, როდესაც უმოქმედო თანამგზავრი შეეჯახა მოქმედ „ირიდიუმ 33-ს“. ეს მოხდა ჩრდილოეთ

**ციმბირის** თავზე. კოსმოსური ნამსხვრევები განსაკუთრებით საშიშია, რადგან მათი აღმოჩენა და თვალის დევნება გაცილებით ძნელია ვიდრე მსხვილი ობიექტებისა. განადგურდა ორივე და წარმოიშვა კოსმოსური „ნაგვის“ კიდევ ერთი გროვა. მათ შემადგენელ ნაწილთა ზუსტი რაოდენობა ჯერ არაა ცნობილი. მალე, შესაძლებელია, დედამიწის ირგვლივ წვრილი ნამსხვრევების მთელი ფენა გაჩნდეს. კოსმოსურ რბოლაში სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა ერთვება და კოსმოსური ობიექტების რიცხვიც სწრაფად იზრდება. ზოგიერთი შეფასებით,

**ციმბირი** – რუსეთის ფედერალური ოკრუგი ქვეყნის ტერიტორიის აზიურ ნაწილში.

**ცნ გვრდენ**

მოგილური ტელეფონების მწარმოებელი ფირმა „ნოკია“ მობილურებამდე ტუალეტის ქაღალდს უშვებდა.

„პეპსი-პოლას“ 2-ლიტრიანი ბოთლი 90 ჩას კოვზ სუფთა შაქარს შეიცავს;

ადამიანი ნელიწადში საშუალოდ 1460-ჯერ ოცნებობს.

ყოველდღიურად მსოფლიოში 20 ბანკი იძარცვება.

მარც ტვენს არ დაუმთავრებია საშუალო სკოლა.


ადამიანის ნერვების საერთო სიგრძე 70 კილომეტრია.

მოამზადა შორენა ხუბუტიაშ



კოსმოსური „ნაგავი“ უახლოეს ხანებში დედამიწის ახალი ხელოვნური თანამგზავრების ორბიტაზე გაყვანას შეუმძლის ხელს. ამ საკითხის მოსაგვარებლად მრავალი აზრი გამოიიქვავა. ერთ-ერთი იყო კოსმოსური „ნაგვის“ შენოვა, მათი „აორთქლება“ **ლაზერების** საშუალებით ხდება. ეს იდეები ძალიან საინტერესო და გამოყენებადია, თუმცა მათ სათანადო დახვენა და პრაქტიკაში გამოცდა სჭირდება.

**ლაზერი** – სინათლის ნაკადის გამაძლიერებელი სპეციალური ხელსაწყო მონიქრომატული სინათლის არაჩვეულებრივად ინტენსიურ და ვინწრო კონის მისაღებად; გამოიგონეს 1960 წელს და დღიდა გამოყენება აქვს ტექნიკაში, მედიცინაში, სამეცნიერო გამოკლევებში.



ლიკა ალადაშვილი

ნუცა ანდლულაძე

გიორგი ახვლედიანი

**სალომე ბარამიძე**

გიორგი ბერელიძე

ნინო გიგაური

გიორგი კარანაძე

თამარ კარელიძე

ქეთევან კობიაშვილი

გიორგი ლელაძე

ნუცა მუჯირიშვილი

სალომე პაპიძე

სალომე სუხიშვილი

თამარ ქარდავა

ანო ქობულაძე

ანი შეყლაშვილი

სოფიო ჭანტურია

თათია ჭაფოძე

შორენა ხუბუტია

## ნანოტექნოლოგიური მომავალი

„იმედი მაქვს, რომ ადამიანი არის ყველაზე ჭკვიანი და ვერაგი **ხიშნივი** და მასზე საშიში არავინ მეგულება დედამიწაზე. მოსახდენი უნდა მოხდეს, ღმერთთან შეჯიბრი დიდი ხნის დაწყებულია“.

„ადამიანს მალე ალარაფერი დარჩება შესაქმნელი და მაშინ დაიწყება დასასრული ანუ დასაწყისი, გადავალთ განვითარების სხვა ეტაპზე, რასაც მეორედ მოსვლა ჰქვია“.

მსგავსი შინაარსის მრავალი კომენტარის ნახვა შეიძლება ფორუმებზე, სადაც მეცნიერების განვითარებასა და ტექნიკაზე საუბრობენ, თუმცა, როგორც ჩანს, ნანოტექნოლოგიების მოსალოდნელმა შესაძლებლობებმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ზოგი მას რელიგიური კუთხით განიხილავს, ზოგი კი უბრალოდ მშვიდად ხვდება 21-ე საუკუნის ტექნოლოგიურ წინსვლას. მაინც რას გვპირდებიან ან რითი გვემუქრებიან მეცნიერები, რომ ზოგი ამით აღფრთოვანებულია, ზოგი კი უბრალოდ შეშინებული?

**„ნანოტექნოლოგია,** ვინრო გაგებით წარმოადგენს ნივთიერებასთან მუშაობის ტექნოლოგიას ცალკეული ატომების დონეზე.

„ხიშნივი“ – ბარბარიზმი, რომელიც შემოსულია რუსულ ენიდან და ნიშნავს მტაცებელს.

## ოფიციალური



7. ოსაბა პირ-ლადინი.  
საუდელ ბინ-ლადენთა  
ცნობილი ოჯახის წევრი და  
ჯიშადისტური არაბინზაფია  
„ალ-ჯაიდას“ დამაარსებელი.  
ის ტერორისტად არის  
შერაცხული მედიის,  
ანალიტიკოსებისა და  
სამართალდამცავი  
ორგანიზაციის მიერ.  
1996 და 1998 წლებში სხვა  
ისლამურ სამხედრო  
ლიდერებთან ერთად მან  
გამოაცხადა ორი ფატვა –  
რელიგიური ომი – არაბეთის  
ნახევარუნძულდან  
აერიკის შეერთებული  
შტატებისა და მისი  
მოკავშირების სამხედრო  
ძალები გაყვანის  
მოთხოვნით. ამას ის და მისი  
თანამოაზრები  
ახორციელებდნენ  
ტერორისტული აქტებით  
ამერიკულ სამხედრო და  
სამოქალაქო ობიექტებზე.  
მიუხედავად იმისა, რომ  
ბინ-ლადენ პირადად არ  
მოანიჭეობდა 2001 წლის  
11 სექტემბრის  
ტერორისტულ აქტებში,  
ყველა პასუხისმგებლობა  
მან თავის თავზე აიღო.

ტერმინი „ნანოტექნოლოგია“ იაპონელებს ეკუთვნით. იგი მხოლოდ ნივთიერებათა ფანტასტიურ დაპატარავებას, უხილავად ქცევას კი არ ნიშნავს, არამედ იმასაც რომ ზომების ასეთ ინტერვალში ნივთიერებები გარდაიქმნებიან სრულიად სხვა, ჯერ არარსებულ ნივთიერებებად. მათ ფაქტობრივად სასწაულების მოხდენის უნარი აქვთ და მასშტაბურ ნივთებს ფუნქციებს უკარგავნ. ასეთ ნივთიერებას შეუძლია თავისით გადაადგილდეს, დაიმალოს და კვლავ გარდაიქმნას ახალ ნივთიერებად. ასეთი ნივთიერებისგან დამზადებული კომპიუტერი ნახევარ საათში ასრულებს ყველა იმ ოპერაციას, რისთვისაც თანამედროვე კომპიუტერს იმდენი დრო დასჭირდება, რამდენიც სამყაროს შექმნიდან დღემდეა გასული. ერთ-ერთმა კანადურმა კომპიუტერულმა ფირმამ უკვე დაამზადა ამგვარი კომპიუტერის ელემენტები". ([www.ucnauri.com](http://www.ucnauri.com))

„ურნალმა nature nanotechnology გამოაქვეყნა სტატია, რომლის ავტორებმაც გვიჩვენეს, რომ ადამიანის დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება ნანოტექნოლოგიების მიმართ დამოკიდებულია იმაზე, რამდენად რელიგიურია იგი. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ რაც უფრო რელიგიურია ქვეყნის მოსახლეობა, მით უფრო ნაკლებია მათ შორის დადებითი დამოკიდებულება ნანოტექნოლოგიების მიმართ. გამოკვლევის ავტორები თვლიან, რომ რელიგიურობა ქმნის გარკვეულ ფილტრს, რომელშიც ადამიანები ატარებენ მთელ ახალ ინფორმაციას, რის შედეგადაც ისინი მას აღიქვამენ საკამაოდ განსხვავებულად, ვიდრე ათეიისტები“. ([www.internet.ge](http://www.internet.ge))

ეს შედეგები საჭიროა ალბათ იმისთვისაც, რომ უფრო ობიექტურად განვიხილოთ და გავარკვიოთ, რა მოვლენის წინაშე ვდგავართ რეალურად. თუმცა სანამ ჩვენ ამის გააზრებას მოვასწრებთ, სხვები უკვე იმაზე ფიქრობენ, როგორ გამოიყენონ ეს გამოგონება თავიანთ სასარგებლოდ.

„კრემლი თვლის, რომ ნანოტექნოლოგიები რუსეთის ეკონომიკას გადაარჩენს. რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა მოსკოვში გამოსვლისას განაცხადა, რომ ნანოტექნოლოგიების განვითარება რუსეთს ნაკლებად დამოკიდებულს გახდის ნავთობისა და ბუნებრივი აირის გაყიდვაზე. მისი თქმით, 2015 წლისთვის ნანოტექნოლოგიების დახმარებით შექმნილი პროდუქციის მსოფლიო ბაზარი სამი ტრილიონი დოლარის ღირებულებას მიაღწევს“. ([www.news.com](http://www.news.com))

მაგრამ რას მოიმოქმედებენ მოდელირებული ტვინი ან ნანოტექნოლოგიებით შექმნილი სხვა მოლეკულური რობოტები, თუ მათ მოქმედებას სრული თავისუფლებით დავაპროგრამებთ და ისინი ბოროტგანმზრახველთა ხელში მოხვდებან? „ნანოტექნოლოგიურ რობოტებს ყველაფრის უნარი ექნებათ, შეეძლებათ თვითდამშა, თვითაღდება, შეეძლებათ დაპროგრამდნენ, როგორც ბაქტერიები, რომლებიც გაანადგურებენ ადამიანის სასიცოცხლო ორგანოებს... მათ შეეძლებათ საუკუნებით შენახული დნმ-დან შექმნან ახალი ადამიანი ან მისი ზუსტი ასლი.“


**დნმ** – დეზოქსირბონუკლეინის მჟავა. დნმ ცოცხალი ორგანიზმის გენეტიკური მასალის – ქრომოსომების ძირითადი შემადგენელი ნაწილია. დნმ-ის ფუნქცია უჯრედში ინფორმაციის შენახვა და შთამომავლობით გადაცემა.

**ოფიციალური**



8. ბონო (პოლ დევიდ ბოუსონი). დაიბადა და გაიზარდა დუბლინში. არის ცნობილი ირლანდური ბენდის U2-ის სოლისტი. გარდა საკონცერტო საქმიანობისა, აქტიურად არის ჩართული ჰუმანიტარულ აქციებში. სწორედ თავისი აქტიურობით ამ საფეროში, ბონო გახდა მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ფილანტროპი. იგი არის ერთადერთი ადამიანი, რომელიც ნომინირებული იყო „ოსკარზე“, „ოქროს გლობუსზე“, „გრემიზე“ და ნობელის პრემიაზე. მშენებლის ნობელის პრემიაზე ბონო ნომინირებული 2003, 2005 და 2006 წლებში. 2002 წელს ის დაასახლეს 100 უდიდეს ბრიტანელს შორის. 2004 და 2006 წლებში ურნალმა Time იგი 100 ყველაზე გავლენიან ადამიანს შორის დაასახლა. 2005 წელს ბონო გახდა ნლის ადამიანი პილ გეითსასა და მელინდა გეითსთან ერთად.

თავი 68-ი გვრდა



ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში ნანონანილაკებით შექმნილი ტექნოლოგიები არა მხოლოდ კაცობრიობის ცხოვრების წესს, არამედ იერსაც შეცვლის. „ნანორევოლუციის“ დაწყება კი დაახლოებით 2025 წლისთვის „იგეგმება“. მომავლის ადამიანის გარეგნული იერი არც ისეთი სახარბიელო იქნება – კანი კიდევ უფრო გასქელდება, რომ ორგანიზმი ქიმიური დაბინძურებისგან დაიცვას, თმის საფარი თავზე მთლიანად გაქრება, გაიზრდება თირკმელებისა და ფილტვების ზომა, ბევრად გაიზრდება ტვინის მოცულობაც. ფაქტია, რომ წლიდან წლამდე უფრო ჭკვიანები ვხდებით.

კომპანია „სონი მაიკროსისტემის“ ერთ-ერთი დამაარსებელი პილ ჯონი ასეთ პროგნოზს გამოთქვამს უახლოესი 50 წლისათვის: სამრეწველო წარმოება მოკვდება, რადგან ადამიანები ყველაფერს რაც დასჭირდებათ თვითონვე შექმნიან ნანორობოტების დახმარებით. გაიყიდება მხოლოდ ინფორმაცია და ინტელექტი.

დოქტორი ერიკ დრეკლერიც ხატავს ნანოტექნოლოგიური რევოლუციისშემდგომ მსოფლიოს სურათს, რომელიც თითქოს მიმზიდველად გამოიყურება: მოისპობა შიმშილი, ავადმყოფობა, გარემოს დაბინძურება და გადაწყდება სხვა ყოფითი პრობლემები. პრაქტიკულად ყველაფერს, რაც აუცილებელია ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობისათვის დაამზადებენ ნანორობოტები გარემოს ატომებისა და მოლეკულებისაგან. კვების პროდუქტები დამზადდება ნიადაგისა და ჰერისგან, ზუსტად ისე, როგორც ეს მცენარეებში ხდება, წარმოება გახდება გაცილებით ეკოლოგიური, ვიდრე დღევანდელი მრეწველობა და სოფლის მეურნეობაა.


**ეკოლოგია** – ბიოლოგიის ნაწილია, რომელიც ცოცხალ ორგანიზმებს შორის ურთიერთკავშირებს შეისწავლის. ტერმინი „ეკოლოგია“ ზოგჯერ „გარემოს დაცვის“ აღსანიშნავადაც გამოიყენება.



### სალომე გარაშიძე

ცოტა ემოციური, მორცხვი, შევიდი, შგონი ზარმაციც... ვარ 19 წლის, დავიბადე და გავიზარ - დე ბათუმში, 16-17 წლის ასაკში ავირჩიე ჩემი მომავალი პროფესია. მიჭირს ჩემს თავზე ლაპარაკი, როგორც წესი, მეგობრები მახასიათებენ ხოლმე, ამიტომ მხოლოდ ამ ინფორმაციით შე-მოვიფარგლები.

იმისათვის, რომ ცხოვრებას მარავალფეროვნება შემატო, შენ თვითონ უნდა იყო მარავალფეროვნი, გაგინდეს ყველაფრის მიმართ ინტერესი და გქონდეს ბევრის ცოდნის სურვილი. ჩემი დაინტერესება არის ჟურნალის - ტიკა და ვცდილობ ყველაფრი ვასწავლო რაც საჭიროა ამ პროექტების დაუფლებისათვის. ეს არის ჩემი ცხოვრების მთა - ვარი ინტერესი. ისე კი მინდა დავეუფლო სხვადასხვა ხელობას, თუმცა ჯერჯერობით არ აფრისთვის არ მომიერდია ხელი. კერძოდ, მინდა ვისწავლო ვიზა - უსტობა, ეს - ისე, ჩემთვის... მინდა ვისწავლო ასევე ცაპვა. დროთა განმავლობაში ეს ინტერესები მეცვლება, მაგრამ საბოლოოდ ჩემი პროფესია იქნება



ნანომედიცინის მიზანია XXI საუკუნის ყველაზე ფართოდ გავრცელებული დაავადებათა განკურნება, ტკივილის დამარცხება, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და მისი გონებრივი შესაძლებლობების გაზრდა.

ნანოტექნოლოგიებს შეუძლიათ მოარჩინონ უმძიმესი და უკურნებელი დაავადებები, შეუძლიათ შეაჩერონ სიბერე, ძვლების გამოფიტვა და ეს შორეული მომავლის საქმე არ არის. ცოტა ხნის წინ სამა ამერიკელმა ბიოლოგმა შექმნა ნანონივთიერებები, რომლებიც შევლენ სახსარში და აღადგენენ გამოფიტულ სახსრებს.

ნანოტექნოლოგიების საიტები რომ არ გატყდეს, იქმნება მათი დაშიფვრის უჭკვიანესი სისტემა. ბოროტმოქმედმა, რომელიც ამას შეეცდება, მარტივ მამრავლებად უხდა დაშალოს მრავალნიშნიანი რიცხვი, ეს კი შეუძლებელია. თუნდაც მხოლოდ 155-ნიშნა რიცხვის დასაშლელად კომპიუტერსაც კი 35 წელიწადი სჭირდება". ([www.ucnauri.com](http://www.ucnauri.com))

საკამათო ალბათ ძალიან ბევრია, თუმცა სანამ საბოლოოდ ჩვენი თვალით არ ვიხილავთ სინამდვილეში რა შეუძლიათ ნანოტექნოლოგიებს, დასკვნის გამოტანა გაგვიჭირდება. შეიძლება მან მართლაც უმნიშვნელო გახადოს ადამიანის ფუნქციები ან შეიძლება ეს უბრალოდ შემდეგი ტექნოლოგიური წინსვლაა, რომელსაც ადამიანები მუდამ შიშით ხვდებოდნენ. ¶



ლიკა ალადაშვილი

ნუცა ანდლულაძე

**გიორგი ახვლედიანი**

სალომე ბარამიძე

გიორგი ბერელიძე

ნინო გიგაური

გიორგი კარანაძე

თამარ კარელიძე

ქეთევან კობიაშვილი

გიორგი ლელაძე

ნუცა მუჯირიშვილი

სალომე პაპიძე

სალომე სუხიშვილი

თამარ ქარდავა

ანო ქობულაძე

ანი შეყლაშვილი

სოფიო ჭანტურია

თათია ჭაფოძე

შორენა ხუბუტია

**რუსეპზე გავლით ახალი ზელანდისაკენ**

2010 წლის 20 მარტს ჩატარებული სარაგბო შეხვედრა თურქეთის ქალაქ ტრაბზონში, „აქჩაბაათის“ სტადიონზე ამ წლის ყველაზე მნიშვნელოვან თუ არა, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. სპორტში და საქართველოს მასშტაბით, რა თქმაუნდა.

ეს სარაგბო მატჩი არ იყო ბრძოლა მხოლოდ 2011 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისათვის. ეს იყო ბრძოლა ღირსებისათვის. იმის მიუხედავად, რომ „აქჩაბაათის“ სტადიონზე ხუთჯერ უფრო ნაკლები მაყურებელი ეტევა ვიდრე ჩვენს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე და თორმეტჯერ უფრო ნაკლები ვიდრე ეროვნულ არენაზე, „აქჩაბაათზე“ შეკრებილი გულშემატკივარი იმდენად აქტიური და მობილიზებული იყო, ისე შუკავშირებულიყო ერთი იდეისა და ერთი დროშის ქვეშ, რომ ტრაბზონის ეს ერთი ციდა სტადიონი უზარმაზარ და გადაჭედილ „ნოუკამპს“ მოაგონებდა ადამიანს „ელ კლასიკოს“ დღეს. აღსანიშნავი და საგულისხმოა, რომ ქართველ გულშემატკივარს არც იტალიის და არც საფრანგეთის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ფორმები არ ეცვათ და, ეჭვგარეშეა, რომ ამ მატჩზე არც მონინაალმდეგე გუნდის მოგებაზეც არ ექნებოდათ „გამაზული“ ქართველებს. ამის თქმის საფუძველს მატჩის შემდეგ ფორუმებზე დაპოსტილი სიტყვებიც მაძლევს:

სპორტის თემას ეხება  
ბიძინა მაყაშვილის ბლოგ-  
პოსტი ჩვენი უურნალის  
„მასტერკლასის სივრცეში“,  
159-ე გვერდზე.

**ოფიციალი**



სამარანჩი მოკვდა,  
გაშმარჯოს სამარანჩის!

21 აპრილს თავის მშობლიურ  
ბარსელონაში, ხირონის  
ჰოსპიტალში გარდაიცვალა  
თანამედროვე მსოფლიო  
ოლიმპიური მოძრაობის  
ყველაზე თვალსაჩინო  
მოღვაწე, მარკიზი ხუან  
ანტონიო სამარანჩი.

იგი 1980 წლიდან 2001 წლმდე  
სათავეში ედგა  
საერთაშორისო ოლიმპიურ  
კომიტეტის და ეს ორგანიზაცია  
მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე  
გავლენიან ძალად აქცია,  
ხოლო ოლიმპიური თამაშები  
მისი წყალობით ყველაზე  
პოპულარული და  
შემოსავლიანი სანახაობა  
გახდა მსოფლიში.

ხუან ანტონიო სამარანჩი  
დაბადა და 1920 წლის 17 ივნისს  
ბარსელონაში. იყო ესპანეთის  
კონტესის წევრი ფრანკოს  
რეჟიმის დროს. 1967-1971  
წლებში იყო სპორტის  
მინისტრი ფრანკოს



mr.waters: გადაუარეთ... მაგარი იყოო... :)

ILDANI: გილოცავთ. ულოცავ მორაგბეებს. ძალიან მაგრები არიან და მადლობა  
მათ :

**გიორგი 68:** ვულოცავ ქართველ რაგბისტებს წარმატებას... ასევე ვუსურვებ  
წარმატებებს ახალ ზელანდიაში მსოფლიო ჩემპიონატზე.

ზემოთ აღვნიშნე, რომ ეს იყო ბრძოლა ღირსებისათვის, უფრო კონკრეტულად –  
შელახული ღირსების აღსადგენად. ეს ფაქტი ძლიერ მახარებს და იმედით მავსებს,  
რადგან ისეთ მოუმწიფებელ, ჩამოუყალიბებელ და უამრავი ნაკლის მქონე  
საზოგადოებაში, როგორიც ჩევნია, ჯერ კიდევ აქვთ განცდა, რომ ღირსება  
შეულახეს და რომ ამ ღირსებას აღდგენა სჭირდება. იმის მიუხედავად რომ  
ბრძოლის ველზე საქართველო და რუსეთის რაგბის ნაკრებები დაუპირისპირდნენ  
ერთმანეთს, ამ ბრძოლაში არ იყო გამოყენებული ტანკები, სამხედრო  
თვითმფრინავები და სხვა სამხედრო აღჭურვილობა. მეტოქეებს ბრძოლისათვის

მთავრობაში. მას სიცოცხლის ბოლომდე უკიუინებდნენ ფრანგულთან თანამშრომლობას და სიმპათიას ფაშიზმისადმი. ესპანეთში დემოკრატიის აღდგენის შემდევ აირჩიეს კატალონიის მთავრობის საბჭოს თავმჯდომარედ. 1977 წელს მეფე ხუან კარლოსმა იგი ესპანეთის ერჩად დანიშნა საბჭოთა კავშირსა და მონლილეთში. ეს პისტი სამარანჩმა კარგად გამოიყენა და მოსკოვში 1980 წელს გამართულ ოლიმპიური კონგრესზე სოციალისტური ბანაკის მხარდაჭერა მოიპოვა, რის შედეგადაც იგი სოკის პრეზიდენტიდად აირჩიეს.

სამარანჩი მისი პრეზიდენტობის პერიოდში მრკევე სტუმრობდა საქართველოს.

ბოლო დიდი მოვლენა, რომელსაც სამარანჩი დაესწრი, ზამთრის თამაშები იყო ვანკუვერში.

იგი 90 წლისა გარდაიცვალა გულის უკმარისობისაგან. მისი ცხედარი კატალონიის მთავრობის სასახლეში დაასვენეს. სამგლოვიარო მესა შესრულდა სანტა-უსტალიას კათედრალში. დაკრძალვას, რომელიც 22 აპრილს შედგა, ესპანეთის სამეფო ოჯახის და საერთაშორისო ოლიმპიური მიძრაბის წარმომადგენლება დაესწრნენ.

2001 წელს, როცა სამარანჩი პრეზიდენტობიდან გადადგა, სოკის წევრად აირჩიეს მისი ვაჟი – ხუან ანტონიო სამარანჩი-უმცროსი, რომელიც დღეს 50 წლისა. ოლიმპიური ესტაფეტა გრძელდება.



მხოლოდ მებრძოლთა (მორაგბეთა) გამძლეობა, ბრძოლისუნარიანობა და გამარჯვებისკენ მომართული ჟინი ჰქონდათ იარაღად, თუმცა ქართველები უფრო გამძლენიც, ბრძოლისუნარიანი და ჟინიანიც აღმოჩნდნენ. ეს თამაშმაც ცხადყო და ტაბლომაც – 36:8 ჩვენს სასარგებოდ.

მატჩში ანგარში ჩვენებმა გახსნეს – მეშვიდე წუთზე ზუსტად შესრულებული არეკნი და ტაბლოზე 3:0 დაფიქსირდა. მე-15 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც რუსებმა ლელო დაგვიდეს და დაწინაურდნენ. თუმცა გარდასახვა ვერ შეასრულეს, მაგრამ ტაბლოზე აღმეჭდილმა ანგარიშმა – 3:5 – ყველას ძლიერ დასწყვიტა გული,



გიორგი ასვლენიანი

ମାଜ୍ବେ ରୂପନୀଳ ଗାରଟୁଲେବ୍ସ-  
ଲୀ ଫୋରମା, ରନ୍ମେଲ୍ଲିଓ ଶ୍ଵତ୍ର ସାର-  
କ୍ଯାଥିଶ୍ରୀ ଗାଫାଇଠାରଫା, ଶେମିଡ଼ିଆ  
”ପ୍ରେଲାଫାଗ୍ରା” ପ୍ରେଲାବ୍ସ, ପ୍ରେଲାଫ୍ରେ-  
ରଖ୍ୟ, ଶେମିଡ଼ିଆ ଆଦାମିନାନ୍ତ ତ୍ଵାନ-  
ତମକୁଲେଲନ୍ଦାମଧ୍ୟ ମିଶ୍ରପାନ୍ଥ.  
ରୀମି ମେଘନର୍ଧେରୀ ଏହି ତଥାରୀନା,  
ରନ୍ମ କାରଙ୍ଗୀ ରୂପନୀଳଙ୍କ ଗର୍ଦନ୍ଦା  
ମାଜ୍ବେ, ମେ ଥେଲୋଲିଙ୍ଗ ଗ୍ରେଲାରୋନ୍ଦା ଗା-  
ମରନ୍ତର୍କାପାଦୀ ମାର୍ବାର୍କେଲ୍ସ, ରନ୍ମ-  
ଲେବ୍ଚେକ୍ ମଥେଲାନ୍ଦ ମେ ମେଫିନ୍କର୍ଦା.  
ଶ୍ଵେତ ପିତାଙ୍କ “ର୍କାର୍ଲସ” ଏହି ପାତ୍ର-  
ନାମକ୍ରମ ଦ୍ୱାରାସେଇଲନ୍ଦାନ୍ତର୍ଥୀ (ଦ୍ୱାରାଶ୍ଵେତ-  
ଦିନିଧାନ). ଅପ୍ରେର୍ଗ୍ସିଲୁଣ ପାର, ଶ୍ଵ-  
ଶିନ ତାଙ୍କୁ ପାଇଲାବ୍ଦା, ମାଗରାମ ଏହି  
ଗାମର୍ଗିଦା, ଗାନ୍ଧିମିଦା. ମେହାମେ  
ସାରତୁଲିଦାନ ରନ୍ମ ଗାଫାଗବ୍ରତୀ,  
ମନନ ଶ୍ଵେତ ପାପ. ମେ ଏହି ମିଶ୍ରପାନ୍ଥ  
ଶିଶୁ ଦ୍ୱାରାଶ୍ଵେତକାବା...  
ରୀମି

ამ ბოლო დროს ძალიან შევი -  
ცვალე, ამას ჩემი ფანჯრებიდან  
ხედის შეცვლას ვაბრალებ.

ბევრი ააღლება, ბევრი დააბნია და ბევრიც უფრო ხმამაღლა ააყვირა. თამაშის ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ ეს ლელო რუსებს მხოლოდ „გაუვარდათ“, ხოლო მათ განადგურებას საფუძველი მეათე წუთზე დავით ზაქარიაშვილმა ჩაუყარა, გარდასახვაც გამოვიყენეთ და ანგარიში ისევ ჩვენს სასარგებლოდ შეიცვალა – 10:5. შემდეგი ლელო, რომელიც ჩვენ დავდეთ, ნამდვილი საოცრება იყო, რუსები მთელი 30 მეტრი „ათრიეს“ ჩვენმა ბიჭებმა და თამაშში მეორე ლელოც დაიდო – 15:5. ამას მოჰყენა ჩხაიძის ლელო 32 წუთზე, რამაც თავისი გარდასახვიანად პირველი ტაიმი 17-ქულიანი უპირატესობით დაგვამთავრებინა – 22:5.

მეორე ტაიმში, 46-ე წუთზე ბესიკ უდესიანმა რუსების ჩაგვრა განაგრძო და კიდევ ერთი ლელო დაუდო, გარდასახვაც გავიტანეთ და – 29:5. შემდეგ იყო რუსების საჯარიმო დარტყმა – 29:8. ეს უკანასკნელი იყო, რაც რუსებს გამოუვიდათ ამ თამაშში. საბოლოოდ, რუსებს კიდევ ერთი ლელო დავუდეთ, უფრო სწორად – მსაჯმა რუსები დააჯარიმა და ჩვენ ტექნიკური ლელო ჩაგვითვალა.

კვირიკაშვილმა კვლავ სწორედ გარდასახა და საბოლოო ანგრიშიც დააფიქსირა – 36:8.

ამ მატჩით ყველამ საოცარი სიამოვნება მიიღო, ჩვენმა მორაგბებმა ნამდვილი გმირობა ჩაიდინეს და მთელი ქვეყნის უდიდესი სიხარული მოუტანეს. გულშემატკიცარიც ღირსეულად შეეგძა თავის რაინდებს თურქეთშიც და საქართველოშიც.

საქართველოს ნაკრებმა შესარჩევში პირველი ადგილი დაიკავა და 2011 წელს  
ახალ ზელანდიაში იასპარეზებს მსოფლიო ჩემპიონატში. ჯგუფში ჩვენთან ერთად  
იქნებიან არგენტინა, ინგლისი, შოტლანდია და რეპერშაუში გამარჯვებული კიდევ  
ერთი გუნდი.

იმედია, ბიჭები 2011 წლის მსოფლიოზეც ისე გაგვახარებენ, როგორც 2010 წლის 20 მარტს გაგვახარეს. **(\*)**



ଗୁରୁତବ ପଦବୀରେ  
ନିର୍ମାଣକାରୀ-  
ଏକତ୍ରିବିନ୍ଦୁରେ  
କୌଣସିବାରୁ?

ეს თქვენი  
პანერის  
ადგილია!



## ჩართველება პუტინის თვალწინ დაიპურეს ევროპა

ლიკა ალადაშვილი  
ნუცა ანდლულაძე  
გიორგი ახვლედიანი  
სალომე ბარამიძე  
გიორგი ბერელიძე  
ნინო გიგაური  
გიორგი კარანაძე  
თამარ კარელიძე  
ქეთევან კობიაშვილი  
**გიორგი ლელაძე**  
ნუცა მუჯირიშვილი  
სალომე პაპიძე  
სალომე სუხიშვილი  
თამარ ქარდავა  
ანო ქობულაძე  
ანი შეყლაშვილი  
სოფიო ჭანტურია  
თათია ჭაფოძე  
შორენა ხუბუტია

საქართველოში ამ ეტაპზე აღმატება სპორტის ორაფ-ორი სახეობით ხარობენ: რაგბი და **ძიუდო**. ეს სპორტის ის სახეობებია, რომელიც ასე თუ ისე გვაქვს მსოფლიო მასშტაბის წარმატებები. ძიუდოში ქართველებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი. ეს ყველაფერი იმის ფონზე, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინ საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში საქმაოდ დაძაბული სიტუაცია იყო, ნაკრებში გამოსვლაზე უარი განაცხადა ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ცირეკიძემ, მთავარი მწვრთნელის პისტი დატოვა (თუ დაატოვებინება) შოთა ხაბარელმა და მაინც გვაქვს წარმატებები და გამარჯვებები. **შოთა ხაბარელის ნაცვლად მთავარ მწვრთნელად ამირან**

**ტოტივაშვილი** დაინიშნა, 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში **ირაკლი ცირეკიძე** ვარლამ ლიპარტელიანმა ჩანაცვლა (და საკმაოდ წარმატებულადაც), გუნდის ახალ ლიდერად კი 73 კგ კატეგორიაში გადასული **ზაზა კედელაშვილი** იქცა.

სპორტის ამ სახეობაში რუსებიც საკმაოდ ძლიერები არიან. ვენაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე კი ჩვენს ქვეყანაშიც და მეზობელ რუსეთშიც დიდი მოლოდინი იყო ურთიერთდაპირისპირებისა, თუმცა სულ ტყუილად. გუნდურ ბირველობაზე იყო შანსი ფინალში სწორედ საქართველო-რუსეთი გვეხილა, მაგრამ ფინალის გზა რუსებს ფრანგებმა გადაულობეს. აქედან გამომდინარე, ვენაში სპეციალურად ამ ტურნირისთვის ჩასული ვლადიმირ პუტინი ყოველმხრივ განშილებული დარჩა.

2010 წლის 25 აპრილი, ვენა, ძიუდოში ევროპის ჩემპიონატის ბოლო დღე, გუნდური შეჯიბრების ფინალი: საქართველო-საფრანგეთი. როგორც წესი, სპორტსმენები ხუთ

**ძიუდო** – (იაპონური სიტყვაა: ძიუ – „მოქნილი“, დო – „გზა“) – იაპონური სპორტი, ფილოსოფია და საბრძოლო ხელოვნება. მშამად გავრცელებულა მთელ მსოფლიოში, არის სპორტის ოლიმპიური სახეობა. ვარჯიშებისა და შეჯიბრებათა ძირითადი წესები და პრინციპები ჩამოაყალიბა ძიგარი კანომ 1882 წელს. ძიუდოისტთა ორთაბრძოლები იმრთება კვადრატულ ფარდაგზე (ტატამი) ზომებით 8X8 ან 10X10 გ.

**შოთა ხაბარელი** – სახელოვანი ქართველი ძიუდოისტი. დაიბ. 1958 წლის 26 დეკემბერს სოფ. ძლევისჯვარში (ქარელის რაიონი). ოლიმპიური ჩემპიონი (1980). სპორტის დამსახურებული ოსტატი. ოთხჯერ დასახულეს ევროპის საუკეთესო მწვრთნელად.

**ამირან ტოტივაშვილი** დაიბ. 1969 წლის 21 ივნისს. ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი (1988 წ.). საქართველოს ძიუდოისტთა ერთაც ნაკრების მთავარი მწვრთნელი. მწვრთნელი.

**ირაკლი ცირეკიძე** – ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ქართველი ძიუდოისტი. დაიბ. 1982 წლის 3 მაისს. ოლიმპიური (2008) და მსოფლიო ჩემპიონი (2007).

**ზაზა კედელაშვილი** – ძიუდოისტი, საქართველოს ნაკრების წევრი. დაიბადა 1985 წლის 12 ნოემბერს. გამოდიოდა 66 კგ წონით კატეგორიაში, ამშამად გამოდის 73 კგ წონით კატეგორიაში. ევროპის ჩემპიონი (2007 წ.).



ગુરૂનાથ લાલાપ્ચ

კიბოცისლობა, მაშასადამე ...

ვარსებობა ამ არც თუ ისე და-  
აგებულ ქვეყანაში. ვარსებობა  
ირითადად ორი რამისთვის:

1. ვიყო ნარმატებული, განა-  
ლებული ჟურნალისტი, რომე -  
იც თავისი ქვეყნისთვის რა-  
აც მნიშვნელოვანს და ღირე -  
ოს გაკეთებს და

2. ცოცხლობრივის, ჩემი შვილის, ჩემი ოჯახისთვის. მარალია, ცხოვრებისთვის სტიმული ყოველთვის მქონდა, მაგან ამ სარძნაში ზაფხულში ქვეყანას იუვლინა ჩემი შვილი, რომლის მოწყველაფერს გავაკეთებ. მ ფაქტორმა ჩემი მოტივაცია იშვილოვნად გააძლიერა.

მე ვეცდები ყველანაირად  
ჩეოტანო ჩემი წვლილი ჩვენი  
ღვავანდელობის უკეთესობი -  
პერ შეცდლაში, რათა ჩემმა  
ცილმა და საერთოდ მომავალ-  
თაობამ ჩვენზე უკეთეს გა-  
ემოში იცხოვროს.

წონით კატეგორიაში (66, 73, 81, 90 და +90 კვ) დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. შეხვედრა ჩვენთვის ნარულად დაიწყო: 66 კვ წონით კატეგორიაში დავით ასუმბანი სოფიან მიღუსტან იპონით დამარცხდა, თუმცა 73 კილოგრამში მოჭიდავე ზაზა კედელაშვილმა ლუის კორვალი 3 წუთსა და 2 წამში ორი ვაზარით დაამარცხა. ანგარიში გათანაბრდა – 1:1. შემდეგი შეხვედრა 81 კვ წონით კატეგორიაში ლევან წილაურსა და ანტუან ჯანინის შორის გაიმართა. წილაურმა მონინალმდევე იპონით დაამარცხა და საქართველოს ნაკრები დაანინაურა. დარჩენილ ორ შეხვედრაში ერთ-ერთს თუ მაინც მოიგებდნენ ჩვენი ბიჭები, ევროპის ჩემპიონები ხდებოდნენ. ოქროს მედლებთან ასე ახლოს მყოფებს კი მონდომება ალბათ გაუირმაგდათ, ამიტომაც 90 კვ წონით კატეგორიაში ვარლამ ლიპარტელიანმა რომან ბუფე უპრობლემოდ დაამარცხა იპონით და ლაშა გუჯევიანისა და ტედი რინერის შეხვედრა ფორმალობად აქცია (უმოტივაციო გუჯევიანმა შეხვედრა იპონით დათმო). საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა.

ფინალამდე საქართველოს ნაკრებმა მოლდოვა და პოლონეთი ერთნაირი ანგარიშით – 3:2 დამარცხა. ადსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ლევან წიკლაურმა და ვარლამ ლიპარტელიანმა სამივე შეხვედრაში იმარჯვეს. მორიგი ტიტულის მოგებით ქართველმა ძიუდოისტებმა ყველა ქართველი გაახარეს, მათ შორის ქვეყნის პირველი პირი მიხეილ სააკადემიკო, რომელმაც გამარჯვიშა ამერიკიდან მიუღლოკა ბიჭებს.

ჩვენი უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი, ჩვენი კოლეგა შოთა ჯავახაძე უკურნალისტიკის სწავლასთან ერთად აქტიურად ვარჯიშობს ძიუდოშიც. არის საქართველოს ძიუდოსიტად ეროვნული ნაკრების წევრი 81 კვ წონით კატეგორიაში, სადაც მოროვ ნომერია ლევან წილაშვილის შემდეგ.

— ნაკრების გამარჯვება წიკლურმა და ლიპარტელიანმა გადაწყვიტეს, — გვეუბნება შოთა, — ამით მათ ფაქტობრივად გაინაღდეს მსოფლიო თასისთვის ნაკრებში ადგილი თავიანთ წონებში. ცენიდან დაბრუნებისას იყო დახვედრა აეროპორტში. ბიჭებს გამარჯვების შემდეგ ხელფასები მნიშვნელოვნად გაუზიარდეს. ლიპარტელიანს 1850 ლარი გაუზდა, წიკლაურს 1300, გუჯეჯიანს 300 ლარიდან 1000-მდე გაეზარდა ხელფასი. უნდა ითქვას, რომ ლაშა გუჯეჯიანს მოტივაციაც რომ ჰქონდა, ტედი რინერთან გამარჯვება მაინც ძალიან გაუჭირდებოდა, რადგან რინერი დღესდღეობით თავის წონაში მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია. გუჯეჯიანს მხოლოდ ერთხელ აქვს მოგებული მასთან, 2005-ში. ევროპის ჩემპიონობა ბიჭებმა ერთად ავლისწერ, — განაცხადა ჩვენმა კოლეგა მეგობარმა.

ყველაფერი ძალიან კარგი იყო, გარდა იმისა, რომ არც ერთხმა ქართულმა ტელეკარხმა ეს ტურნირი პირდაპირ ეთერში არ გააშუქა, მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებებიდან ულოცავდნენ ბიჭებს წარმატებას. ამის გამო მეც და, დარწმუნებული ვარ, ძიუდოს ბევრ მოყვარულს თუ გულშემატყივარს ინტერნეტი მოგვინია ინფორმაციის მოძიება, თუმცა არც აქ იყო ინფორმაცია თავზესაყრელი. საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ინტერნეტ-გვერდზე ([www.gif.ge](http://www.gif.ge)) იყო მხოლოდ მიღლივა და მოკლედ ნათებამი, რომ ქართველმა ძიუდოსტებმა ევროპის გუნდური ჩემპიონატი მოიგეს, ამიტომაც მივიღეთ და მეტი და საინტერესო ინფორმაცია მიღილეთ. 

**ვაზარი** – უმაღლესი შეფასება,  
ნახევარი გამარჯვება  
ძიუდოში; ორი ვაზარი იპონს  
უდრის.

**იპონი** – სუფთა გამარჯვება  
ძილდოში.





ლიკა ალადაშვილი

ნუცა ანდლულაძე

გიორგი ახვლედიანი

**სალომე ბარამიძე**

გიორგი ბერელიძე

ნინო გიგაური

გიორგი კარანაძე

თამარ კარელიძე

ქეთევან კობიაშვილი

გიორგი ლელაძე

ნუცა მუჯირიშვილი

სალომე პაპიძე

სალომე სუხიშვილი

თამარ ქარდავა

ანო ქობულაძე

ანი შეყლაშვილი

სოფიო ჭანტურია

თათია ჭაფოძე

შორენა ხუბუტია

**საჩედისცერო დაშვება  
ოლიმპიურ ვანკუვერში**

2010 წლის 12 თებერვალს, ვანკუვერში საზეიმოდ გაიხსნა ზამთრის 21-ე **ოლიმპიური თამაშები**. გახსნის ცერემონიალზე 82 ქვეყნის ნარმომადგენლებს შორის, ქართული დელეგაციაც მიაბიჯებდა, ოლონდ ნევრნაკლული, შავი სამკლაურებითა და შარფებით. შავი ლენტა ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო დროშასაც. საქართველო და მასთან ერთად მთელი მსოფლიოც 21 წლის მოციგავეს ნოდარ ქუმარიტაშვილს გლოვობდა, რომელიც ოლიმპიადის გახსნამდე რამდენიმე საათით ადრე სავარჯიშო დაშვებისას მიღებული ტრავმით დაიღუპა.

ტრაგედია უისტლერის ოლიმპიურ ტრასზე მოხდა ერთ-ერთი ბოლო სავარჯიშო დაშვებისას, ქუმარიტაშვილმა მართვა დაკარგა და 145 კმ/სთ სიჩქარით მოძრავი ციგა ბორტს დაეჯახა. დარტყმის ძალამ სპორტსმენი ციგიდან ამოაგდო და ტრასის გვერდით მდგარ ლითონის კონსტრუქციას მიანარცხა. სასწრაფო დახმარების ვერტმფრენით ის მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს, სამწუხაროდ, სპორტსმენის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

„ორგანიზაციონთა თავდაპირველი განცხადებით, ტრაგედია მოციგავის შეცდომას მოჰყვა. ქუმარიტაშვილმა მე-15 მოსახვევიდან გამოსვლა დააგვიანა და მომდევნოში სწორად შესვლა ვერ შეძლო. ამის გამო, ყველა მცდელობის მიუხედავად, ციგის მართვა დაკარგა“ – ნათევამია ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტისა და ციგაობის საერთაშორისო ფედერაციის (FIL) ერთობლივ განცხადებაში.

**ოლიმპიური თამაშები –**

უძველესი და ყველაზე პოპულარული დღესასწაული და შეჯიბრება. სათავეს იღებს ძვლ საბერძნეთში. ოლიმპიური თამაშები ტარდება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ და ყოველ თამაშებს ენიჭება ნუმერაცია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თამაშები არ ჩატარდა რაიმე მიზეზის გამო. 1924 წლიდან სისტემატურად ტარდება ზამთრის ოლიმპიური თამაშებიც. ოლიმპიური ალამი თეთრი ფერის დროშა და მასზე გამოსახულია ხუთი ერთმანეთზე გადაჯაჭვული სხვადასხვა ფერის რგოლი (ცისფერი, ყველი, შავი, მწვანე, ნითელი), რომელიც დედამინის ხუთ კონტინენტს განასახიერებენ.

## ოცდოპიკი

### BMX-ის ისტორია და ტიპები

BMX-ი – ველოსპორტის ესტრდულური სახეობაა: რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა, კერძოდ – კალიფორნიის შტატში.

მის, ასე ვოქვათ „მამად“ ანუ დამჯურებულად ითვლება გაი ტერნი (Gay Term).

ამ ახალგაზრდა კაცმა BMX-ის პროტოტიპი თავისი შვილისათვის შექმნა, რომელსაც არ შეეძლო მოტოციკლის ტარება და ველოსიპედზე ვარჯიშობდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ როდა გაი ტერნდა თავისი მოდელი შექმნა, BMX-ი როგორც სპორტის სახეობა მაშინ უკვე არსებობდა, ოღონდ მოტოციკლებით...

გარდა სპორტის სახეობისა, BMX ანუ bike moto extreame თავად ველოსიპედსაც ჰქვია.



თავისი შემოსის ფოტო

მომხდარის დაღუპული სპორტსმენისთვის გადაბრალება ყველაზე იოლი გამოსავალია, თუმცა ტრაგედიის მიზეზი რომ მხოლოდ ქუმარიტაშვილის შეცდომა არ უნდა იყოს, ამაზე რუსეთის ციგაობის ფედერაციის პრეზიდენტისა და ამავდროულად FIL-ის წევრის ვალერი სილაკოვის განცხადებაც მეტყველებს. სილაკოვი ტრაგედიაში ოლიმპიადის ორგანიზატორებს ადანაშაულებს.


ტრაგედია დატრიალდა მეექვსე, დასკვნითი სავარჯიშო სესიის დროს, რომელმაც სტარტი ადგილობრივი დროით 10 საათზე აილო. რატომძაც ორგანიზატორები არ დაელოდნენ ვარჯიშის დასრულებას და ტრასის სპეციალური ტენტებით გადახურვა დაიწყეს, რათა ყინული მზის სხივებისგან დაეცვათ. თანაც პირველად უკანასკნელი, ყველაზე სახიფათო მოსახვევი გადახურეს. იმის მიუხედავად, რომ FIL-ის წევრებში მკაფიოდაა ნათევამი: ყველა დაშვება, ოფიციალური და სავარჯიშოც, ღია ხილვადობის პირობებში უნდა მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სპორტსმენები სხვა ორიენტირებს აღიქვამენ. დახურულ ტრასაზე ისინი ფაქტობრივად გვირაბში მისრიალებენ და ვერაფერს ხედავენ.

ორგანიზატორებს არც ის უხსენებიათ, რომ უისტლერის ტრასა ერთ-ერთი ყველაზე სწრაფია მსოფლიოში და სპორტსმენები ხშირად უჩივიან ტრასის კონფიგურაციას, რის გამოც ქუმარიტაშვილზე ბევრად გამოცდილი სპორტსმენებიც ხშირად კარგავენ ციგაზე კონტროლს. ამის დასტურად წლევანდელი თამაშებიც გამოდგება. ტრაგედიამდეც და მის მერეც, რამდენიმე სპორტსმენმა უარი განაცხადა უისტლერის ტრასაზე დაშვებაზე, იმის მიუხედავად, რომ ტრაგედიის შემდეგ ტრასა დაამოკლეს და სტარტიც ქვემოთ ჩამოიტანეს. საწვრთნელი დაშვებისას, ზუსტად იმ მოსახვევში ძლივს გადაურჩა ტრაგედიას ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, იტალიელი არმინ ცოგელერი, რომელმაც მართვა დაკარგა, ციგიდან გადმოვარდა და 200 მეტრი ზურგზე დაცემულმა ისრიალა. შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს რუმინელი მოციგავე ვიოლეტა სტრამატურარუ, რომელსაც დაცემისას ტვინის შერყევა დაუდგინეს და ექიმებმა შეჯიბრებიდან მოხსნეს.

ტრაგედიამდე ციგაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჯოზეფ ფენდტმა „დეილი ტელეგრაფთან“ საუბრისას განაცხადა, რომ უისტლერის ტრასა არასწორად არის დაპროექტებული: ძალიან სწრაფი ტრასაა, ჩვენ ვგეგმავდით რომ მასზე განხორციელებული მაქსიმალური სიჩქარე უნდა ყოფილიყო 137 კმ/სთ, სინამდვილეში კი 20 კმ/სთ-ით მეტია დასაშვებზე...

საინტერესოა ასევე რუსი მოციგავის, მსოფლიო ჩემპიონის ალბერტ დემჩენკოს მოსაზრებაც:

— უისტლერის ტრასაზე ოთხჯერ მომინია გამოსვლა, აქ სიჩქარე 154 კილომეტრს ალწევს საათში, მაშინ როდესაც ტურინის ტრასაზე სიჩქარე 138 კილომეტრ-საათს არ აჭარბებს. ასეთი სისწრაფის დროს შეცდომა რომ დაუშვა, გადარჩენის ძალზე მცირე შანსი გაქვს.



ეს არის 20-დღუმიანი პატარა ველოსიპედი ბორბლებით და დაბალი ჩარჩოთი. მას არ აქვს სიჩქარეები, ვერ დაურეგულირებ საჭის სიბალლეს და ვერ დაუყენებ ამორტიზატორიან „ჩანგალს“.

განასხვავებენ BMX-ის სამ ტიპს:  
Racing, Flatland, Street.

1. Racing არის BMX-ის ბაბუა, ანუ პირველი ველოსიპედი, რასაც BMX დაუძახეს. ეს ბაიკები თავის დროზე სპეციალურად შექმნეს მოტოკროსის ტრასების დამოკლებულ ვარიანტებზე რბოლასათვის. ამ ბაიკის მოყვარულებს რეისერები ჰქვიათ.

2. Flatland-Flat BMX-ის ყველაზე რთული სახეობაა. Flatland-ის ბაიკები გამოიჩინევა პატარა ზომით და სიმსუბუქით. სპორტის ამ ექსტრემალურ სახეობაში ყველაზე მეტად დახელოვნებულები სწორებ ამ ტიპს ამჯობინებენ.

3. Street. ბაიკის ეს ტიპი თავად იყოფა საშ ქვეტიპად: თუმცა ისინი ისე ჰევანან ერთმანეთს, რომ უცხო თვალი განსხვავებას ვერც ამჩნევს.

1. Dirt Jumping ან უბრალოდ Dirt. ამ ტიპის ველოსიპედს არ გააჩნიათ პეგები და



ჩნდება კითხვები: თუ ტრასას არ ჰქონდა დეფექტები, რატომ გახდა მისი გადაკეთება საჭირო? ტრაგედიის შემდეგ რატომ ასწიეს სასწრაფოდ მისი ბორტები ორგანიზატორებმა? ისე გამოდის, რომ სპორტსმენებს პირდაპირ ეუბნებოდნენ – შეგეშლება? დაილუპები!

ვანკუვერის ოლიმპიადაზე ქართული ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი ირაკლი ჯაფარიძე აცხადებს:

— ერთ ღამეში ააშენეს დამცავი კედელი. აქამდე სად იყვნენ? მაინცდამაინც ტრაგედია უნდა მომხდარიყო, უსაფრთხოების ზომები რომ გაეკაცრებინათ? ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა უისტლერის ტრასაზე სპორტსმენი ციგის მართვას კარგავს. სამწუხაროდ, ნოდარი ყველაზე უიღბლო აღმოჩნდა... მომხდარს ბევრი ნოდარის გამოუცდელობას უკავშირებს, რაზეც ირაკლი ჯაფარიძე უპასუხებს, რომ შეუძლებელია მოუმზადებელი სპორტსმენი ოლიმპიადაზე მოხვდეს. ვანკუვერში გამგზავრებამდე ნოდარმა სამი საკვალიფიკაციო ასპარეზობა გაიარა და საკმაოდ მაღალი შედეგები ჰქონდა, ხოლო ბიძის, ფელიქს ქუმარიტაშვილის სახით ძალიან გამოცდილი მწვრთნელი ჰყავდა. ქუმარიტაშვილები საქართველოში სპორტის ამ სახეობის ფუძემდებლები არიან. რადგან ბაკურიანში საციგაო ტრასა აღარ არსებობს, ნოდარი შეჯიბრებისთვის ავსტრიასა და გერმანიაში ემზადებოდა, ამიტომაც ინფორმაცია მისი გამოუცდელობის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება.

ნოდარ ქუმარიტაშვილი მის მშობლიურ ბაკურიანში, ეკლესიის ეზოში დაკრძალეს. პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელიც საქართველოს ოლიმპიური ნაკრების ფორმა

მარცხენა ფოტოზე აღსეჭდილია ტრაგედიის მომენტი, მარჯვენაზე – საქართველოს მგლოვიარე დელეგაციის გამოსვლა ოლიმპიადის საზეიმო გახსნის ცერემონიალზე.



წინა მუხრუჭი; მისი ჩარჩოს ზომაა არაუმცირეს 20.5 დიუმისა. ასეთი კომპლექტაცია იმასთანაა დაკავშირებული, რომ ამ ტიპის რაიდერებს უნევთ სტუნობა მიწის ტრამპლინებსა და ორმობზე, რაც პატარა ზომის ჩარჩოებით ძალზე მოუხერხებელია...

2. Vert-ის ბაიკები დიდად არ განსხვავდება წინა ტიპის ბაიკებსგან, უბრალოდ ადამიანი რომელიც ღარში დაჰქრის, თავის ველოსიპედს Vert-ის ბაიკს ეძახის სტრიტერისთვის კი ზუსტად იგივე ან ოდნავ განსხავებული ველოსიპედი street-ია.

3. street საკუთრივ მესამე ქვეტის წარმოადგენს და ყველაზე პოპულარულია ყველა ასაკის ახალგაზრდებში.

საქართველოში, სადაც ველოსპორტს აქვს გარკვეული ტრადიციები, ეს ველოსიპედები და ველოსპორტის ეს სახე ჯერჯერობით პოპულარული არ არის.

მოამზადა ანო ქობულაძემ

ეცვა, დაკრძალვაზე დეპუტატებისა და მთავრობის წევრების ჯგუფთან ერთად მივიღა.

საბოლოო დასკვნაში, რომელიც ციგაობის საერთაშორისო ფედერაციამ 19 აპრილს ვებგვერდზე განათავსა, ნათქვამია:

„ტრაგედია, რომელიც ნოდარ ქუმარიტაშვილს დაატყდა თავს, წინასწარგაუთვლელი უბედური შემთხვევა იყო, რომელიც სიკვდილით დასრულდა. ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე დადგინდა რომ არ არსებობს ერთი მიზეზი, როს გამოც, ნოდარი გარდაიცვალა. ეს იყო ერთმანეთთან დაკავშირებული რთულ მოვლენათა ჯაჭვი, რამაც ამ ტრაგედიამდე მიგვიყვანა“.

ანგარიშში სრულად არის გაანალიზებული ქუმარიტაშვილის საბედისწერო დაშვების დეტალები. ასევე ნათქვამია, რომ მოციგავეთა საერთაშორისო ფედერაცია აგრძელებს ნოდარ ქუმარიტაშვილის ოვაბის თანადგომას, თანადგომას უცხადებს საქართველოსაც, რომელიც ბაკურიანში ქუმარიტაშვილის სახელობის საციგაო ტრასის აგებას გეგმავს.

„ციგაობის საერთაშორისო ფედერაცია გააკეთებს ყველაფერს, რომ მსგავსი ტრაგედია აღარასდროს განმეორდეს“, – ნათქვამია ანგარიშში.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტში აცხადებენ რომ, ქუმარიტაშვილის ტრაგიკული დაღუპვა ქართული სპორტისთვის დიდი დანაკლისია, ის ახალგაზრდა მაგრამ უკვე გამოცდილი სპორტსმენი იყო, მიმდინარე სეზონზე მსოფლიო პირველობის ხუთ ეტაპში მონაწილეობდა და რეიტინგში 44-ე ადგილი ეკავა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია რომ „ერთმანეთთან დაკავშირებულმა რთულ მოვლენათა ჯაჭვები“ საქართველოს დააკარგვინა სპორტსმენი, რომელმაც ვერ მოასწორ მთელ მსოფლიოს გაეცნო იგი, როგორც ოლიმპიადის მონაწილე სპორტის ერთ-ერთ ყველაზე რთულ სახეობაში და არა როგორც უბედური შემთხვევის მსხვერპლი. ¶

გამოყენებულია შემდეგი რესურსები:

[www.allsport.ge](http://www.allsport.ge)  
[www.civil.ge](http://www.civil.ge)  
[www.ambebi.ge](http://www.ambebi.ge)  
[www.presa.ge](http://www.presa.ge)





## პარკური – ახალი გატაცება, ახალი სპორტი

ლიკა ალადაშვილი
ნუცა ანდლულაძე
გიორგი ახვლედიანი
სალომე ბარამიძე
გიორგი ბერელიძე
ნინო გიგაური
გიორგი კარანაძე
თამარ კარელიძე
ქეთევან კობიაშვილი
გიორგი ლელაძე
ნუცა მუჯირიშვილი
სალომე პაპიძე
სალომე სუხიშვილი
თამარ ქარდავა
<b>ანო ქობულაძე</b>
ანი შეყლაშვილი
სოფიო ჭანტურია
თათია ჭაფოძე
შორენა ხუბუტია

რამდენი სახის სპორტი არსებობს დედამინაზე? მკითხველი ალბათ გონებაში ჩამოთვლის: ფეხბურთი, კალათბურთი, ჩიგბურთი... მაგრამ არა მგონია, ვინმემ პარკური გაიფიქროს. ეს არის სპორტის სახეობა რომელსაც არცთუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. მისი ფუძემდებელია დევიდ ბეილი. პარკური – ეს არის დაბრკოლებათა რაციონალური გადალახვის და ქალაქში გადაადგილების ხელოვნება. აქ ადამიანი ძლევს დაბრკოლებებს (კედლებს, ღობეებს, სახლებს და მანქანებს.) თავისი კუნთების საშუალებით. ამასთანავე პარკურით გატაცებული ადამიანის ანუ ტრეისერის მთავარი ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტურად გაუმკლავდეს ურბანულ ჯუნგლებს. როგორც ცნობილია, პარკურის გამოყენება ძალიან ეფექტურია ექსტრემალურ სიტუაციებში. სპორტის ამ სახეობის ისტორია შეიძლება ხუთ მთავარ ეტაპად დაიყოს: შეხვედრა საფრანგეთის ერთ-ერთ ქალაქში ლისში, რომელიც 1987 წელს ჩატარდა. სწორედ ამ შეხვედრაზე შეხვდნენ ერთმანეთს **სებასტიენი** და დევიდი. შეხვდნენ და გადაწყვიტეს მომავალში ერთად გაეგრძელებინათ თავიანთი სპორტული საქმიანობა.

### სებასტიან ფუკანი

(Sebastien Foucan) დაიბადა საფრანგეთში 1974 წლის 24 მაისს. იგი პარკურის დამფუძნებლად ითვლება დევიდ ბეილთან ერთად.

პარკური განსაკუთრებით სახალისო რეაქციას იწვევს ხოლმე შედარებით ასაკოვან ხალხში, რომლებიც დაბნეული თვალებით ათვალიერებენ ბიჭებს, რომლებიც ერთი ღობიდან მეორეზე კომპიუტერული თამაშის გმირებივით დახტიან. ეს ისე, მაგალითისვის. მივუბრუნდეთ პარკურის განვითარებას. დევიდმა და სებასტიენმა აიმალეს დონე და ამასთანავე გადაწყვიტეს მოხტუნავე სპორტის ილეთებისთვის სახელები ეჩუქნათ.

1995-1997 წელს მათ გაიცნეს ახალგაზრდები, რომლებიც ასევე გატაცებულები იყვნენ პარკურისთვის. ყველანი ერთად ცდილობდნენ ქალაქში ისეთი ადგილები მოქნახათ, სადაც სპორტის ეს სახეობა კიდევ უფრო დაიხვეწებოდა და საფუძველი ჩაეყრებოდა ახალი ილეთების გამოგონებას.

მოტივირებულმა, მიზანდასახულმა ადამიანებმა შეძლეს ისეთი რამ, რაც მხოლოდ კარგად ნავარჯიშებ სპორტსმენს შეეძლო.

1997 წელს შეიქმნა ჯგუფი იამაკასი (Yamakas). მასში გაერთიანებული იყო რვა მეგობარი: დევიდი, სებასტიანი, იანი, ჩარლზი, მალიკი, გუილანი, ჩაუ და უილიამი. ბიჭებს სკეროდათ თავიანთი ტალანტის და ამიტომაც გადაწყვიტეს, გამხდარიყვნენ პარკურის პროფესიონალები და თავიანთი ჰკეოვრათ.

1998 წელს ჯგუფს შესთავაზეს აკრობატული ილეთების შესრულება მიუზიკლში „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“. სწორედ ამ დროს მოხდა განხეთქილება, წევრებმა ვერ მიაღწიეს კონსესუს და იგი დაიშალა (დევიდი და სებასტიენი თვლიდნენ, რომ მიუზიკლში მონაწილეობა შეარყევდა მათ ინდივიდუალობას).



2000 წლის 31 მაისს შეიქმნა ახალი ასოციაცია სახელად „პარკურ“. მის, ასე ვთქვათ, პრეზიდენტად სებასტიენი გვევლინება. რადგან პარკურის ისტორია ვითარდებოდა, ლისში ყოველწლიურად 2002 წლიდან მოყოლებული, აღინიშნება პარკურის დღები, რომელშიც მონაწილეობს უამრავი ახალბედა ჯგუფი.

ამ სპორტის მიმდევრები ამ ბოლო დროს საქართველოშიც გამოჩნდნენ. „რუსთავი-2“-ის ეთერში გასულმა ერთ-ერთმა ყველაზე რეიტინგიანმა კონკურსმა ისინი ფართო საზოგადოებას გააცნო. „ნიჭიერში“ მონაწილე პარკურის ჯგუფმა ფინალის საგზურიც კი დაიმსახურა და, უიურის თქმით, მათ ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო სანახაობა წარმოადგინეს.\* შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ გადაცემის შემდეგ პარკური საქართველოში კიდევ უფრო პოპულარული და წარმატებული სპორტული სახეობა იქნება. ¶



\* „ნიჭიერის შესახებ იხილეთ სალომე სუშიშვილის პოსტი ჩვენი უურნალის მე-100 გვერდზე.





## ვინ და როდის გამოიგონა კომპიუტერის თაგვი

ლიკა ალადაშვილი  
ნუცა ანდლულაძე  
გიორგი ახვლედიანი  
სალომე ბარამიძე  
გიორგი ბერელიძე  
ნინო გიგაური  
**გიორგი კარანაძე**  
თამარ კარელიძე  
ქეთევან კობიაშვილი  
გიორგი ლელაძე  
ნუცა მუჯირიშვილი  
სალომე პაპიძე  
სალომე სუხიშვილი  
თამარ ქარდავა  
ანო ქობულაძე  
ანი შეყლაშვილი  
სოფიო ჭანტურია  
თათია ჭაფოძე  
შორენა სუბტია

კომპიუტერთან მუშაობისას ყველა იყენებს თაგვს. თუ ის კარგად ფუნქციონირებს, მის არსებობას ვერც კი ვგრძნობთ, თუ სათანადოდ ვერ მუშაობს, თითქოს ხელი მოვაჭრესო. თაგვებმა თითქმის აავსეს მსოფლიო. არავინ იცის, 40 წლის მანძილზე რამდენი თაგვი იქნა გამოშვებული.


ერთი კომპიუტერული ლეგენდის მიხედვით, კომპიუტერის თაგვი Xerox-ის ლაბორატორიაში შექმნეს, მეორის თანხმად კი იგი კომპანია Apple-ის შეკვეთით შეიქმნა. სინამდვილეში კი თაგვი, იგივე X და Y პოზიციის ინდიკატორი, იგივე კომპიუტერული მანიპულატორი, იგივე თაგვის ფორმის მანიპულატორი, შეიქმნა 1964 წელს. იგი გამოიგონა დუგლას კარლ ენგელბარტმა სტენფორდის კვლევით ინსტიტუტში. ენგელბარტი მუშაობდა NLS (On-Line System) ოპერაციული სისტემა შექმნაზე. მუშაობის პროცესში გაჩნდა „ფანჯრული“ ინტერფეისის შექმნის კონცეფცია, ხოლო თაგვი შეიქმნა როგორც შესაძლო მანიპულატორი ფანჯრებთან მუშაობისას. ამგვარი მანიპულატორის შექმნის იდეა გაჩნდა 1963 წელს, ხოლო 1964 წელს კი დაამზადეს პირველი მოქმედი პროტოტიპი. პირველი კომპიუტერული თაგვი ნარმოადგენდა ხელით დამზადებულ ხის კოლოფს, რომლის შიგნით იყო ორი პერპენდიკულარული ბორბალი და კნობი. თაგვის მოძრაობისას ბორბალი გადაადგილდებოდა მაგიდაზე და მოწყობილობის მოძრაობის მიმართულების და სიდიდის განსაზღვრის საშუალებას იძლეოდა. ეს მონაცემები ემთხვეოდა ეკრანზე ეურსორის მოძრაობას.



1968 წლის 9 დეკემბერს პირველად მოხდა NLS სისტემის და მასთან ერთად თაგვის პროტოტიპის დემონსტრირება. 1970 წელს კი ენგელბარტმა მიიღო პატენტი „დისპლეის სისტემის X და Y კოორდინატორის ინდიკატორზე“. ენგელბარტი მანიპულატორის შექმნაზე მარტო არ მუშაობდა, მან მხოლოდ „გამოიგონა“ თაგვი, იდეა კი პრაქტიკულად განახორციელა მისმა ასპირანტმა ბილ ინგლიშმა. მოგვიანებით ჯეფ რალიფსონმა არსებითად გააუმჯობესა თაგვის კონსტრუქცია და მისთვის პროგრამული უზრუნველყოფა შეიმუშავა.

შემდგომი ნაბიჯი გადაიდგა 1972 წელს Xerox PARC კვლევით ცენტრში პალო-ალტოში. გაუმჯობესებული თაგვი ბილ ინგლიშმა შექმნა, რომელიც პალო-ალტოს ცენტრში ენგელბარტის ლაბორატორიიდან გადავიდა. კორპუსის დიზაინმა თანამედროვე თაგვის ფორმა მიიღო.

XX საუკუნის 80-იან წლებამდე თაგვი ეგზოტიკურ მოწყობილობად რჩებოდა. 1983 წელს არსებობდა სხვადასხვა მოდელის მწარმოებელი და გამყიდველი 10-მდე



ორ ჩვეულებრივ რუს კომპიუტერულ ნრუნუნას შორის მოქცეული ქათქათა მულტისენსორული თაგვი, რომელიც ეფლის ბილო სიტყვაა კომპიუტერულ თაგვომშენებლობაში.

კომპანია. თაგვი საქმაოდ ძვირდა. მაგალითად, კომპანია The Mouse House-ის თაგვები Xerox-ის დიზაინით და პატენტით 400 დოლარამდე ღირდა (პლუს 300 დოლარი თაგვის შესაერთებელი ინტერფეისის პლატისთვის). სიძვირეს განაპირობებდა თაგვის რთული მექანიკური მოწყობილობა.

1970 წელს კომპანია Apple-მა შექმნა პერსონალური კომპიუტერები Macintosh და Lisa. მათთვის სტივ ჯობსმა დიზაინერულ კომპანიას Hovey-Kelley Design-ის შეუკვეთა 20-30 დოლარამდე თვითიღირებულების თაგვი. შედეგად თაგვი დაიხვენა და თანამედროვე სახე მიიღო. კომპიუტერული თაგვმა პოპულარობა მოიხვეჭა Apple Macintosh კომპიუტერების მეშვეობით, ხოლო მეორე მხრივ თაგვმა განაპირობა Macintosh-ის კომპიუტერის წარმატება 1984 წელს. 1995 წელს Windows-95-ის წარმატებული სტარტი ასევე თაგვმა განაპირობა.

Microsoft-მა პირველმა შეიყვანა თაგვის მხარდაჭერა IBM PC-ში 1983 წელს, მაგრამ Apple-ზე გვიან მიაქცია ყურადღება თაგვის გამოყენების შესაძლებლობას „ფანჯრული“ სისტემის მუშაობისას.

რაც შეეხება თვით სახელწოდებას, ენგელბარტი აღნიშნავდა: „არ ვიცი, რატომ შევარჩიეთ სახელწოდებად თაგვი. ეს უკიდურესი მოხდა და მერე აღარ შეგვიცვლია.“

1968 წელს ენგელბარტმა თავისი გამოგონებისთვის მიიღო 10 000 დოლარი. 2000 წლის 1 დეკემბერს ენგელბარტი ყველა თავის გამოგონებისთვის, მათ შორის თაგვისთვის დაჯილდოვდა ტექნოლოგიის ნაციონალური მედალით (The National Medal of Technology) - მეცნიერთა უმაღლესი ამერიკული ჯილდოთი IT-სფეროში მიღწევებისთვის.

ბოლოს ერთ-ერთი ბოლო სიახლე: კორპორაცია Apple-მა გამოუშვა მსოფლიოში პირველი მულტისისორული მართვის თაგვი. მოწყობილობას, რომელსაც Magic Mouse ჰქვია, არა აქვს ლილაკები და გორგოლაჭი. მომხმარებელი მას თითებით მართავს. თაგვისთვის ბრძანების მიცემა ინდივიდუალურად უესტების საშუალებით ხდება. კორპორაცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ Magic Mouse-ის გამოყენება შეუძლიათ როგორც მემარჯვენებს, ასევე ცაციებს. ახალი მოწყობილობა უსადენოა, ის კომპიუტერს Bluetooth-ით უერთდება. კომპანიაში აცხადებენ, რომ Magic Mouse-ში სპეციალური ენერგოდაზოგვის სისტემაა ჩამონატაჟებული, რომელიც აკუმულატორის გარეშე მუშაობის საშუალებას იძლევა. ■■



სახლის სისტემატიკა  
მართვის უკიდურესი გვარი

EMAIL - რეკლამა —  
კომპიუტერის მართვის უკიდურესი გვარი

ტელ: 8(93) 79-77-73

Hovey Design Center  
www.hovey.com.kz



ესეც მაუსია. მაუსი, რომელიც ამ გვერდზე მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ ჩვენს უურნალს „ობობა“ გვიქვია. ეს მაუს-სპაიდერია – თაგვი-ობობა, რომელსაც ეს სახელი იმიტომ დაარქვეს, რომ ეგონა, თაგვეპივით ღრმად თხრიდნენ სოროს. თუმცა ეს ამბავი მოგვანებით არ დადასტურდა, მაგრამ სახელი კი ამ ობობებს თაგვისა შერჩით.

თაგვი-ობობას ზომა 1-დან 3 სანტიმეტრამდეა. აქვს პრიალა ჯავშანი და მაღალი, ფართო თავი ნინ გამოწეული თვალებით.

ყველა მდედრი შავი ფერისაა, მამრები და სხვადასხვა ფერისანი არიან.

თაგვი-ობობა აგსტრალიაში ბინადრობს და მხოლოდ ერთადერთი მისი სახეობაა ნაპონი ჩილეში. ეტყობა, თავის დროზე „კონ-ტიკის“ კვალს გაჰყვნება.

მდედრი თაგვი-ობობები მთელი სიცოცხლე 30 საანტიმეტრამდე სიღრმის სოროებში ცხოვრობენ და ზემოთ არ ამოდიან. როცა მოენატრებათ სწორედ ამ ორმოებში აკითხავენ მათ სუფთა პაერზე მოსეირნე მამრები.

თაგვი ობობა არ არის შხამიანი და ნაკლებად აგრესიულია.

დეფინიცია: ინტერნეტი// ქობულაძე//6  
 მომავლის მედია(?)//კარელიძე//10  
 შენი კუთხე ინტერნეტში//ალადაშვილი//16  
 ქსელში შეზღუდული თავისუფლება//გიგაური//20  
 ეკოლი იყოს თქვენი მობილური გლობულური კომერციისა და  
 ინტერნეტ-პაზნეის სამყაროში//ბერელიძე//22  
 პირველი ქართული ელექტრონული უზრაღები//კარანაძე//26  
 სმაილის ისტორია//კარანაძე//28  
 წიგნის პედი ინტერნეტის ეპოქაში//კობიაშვილი//30

## ვირტუალური სივრცე



„იმედის“ რექვიესი  
 //ჭანტურა//96  
 რეაქცია შემწვარ  
 კვერცხზე//სუხიშვილი//100  
 ვის უნდა გახდეს  
 ქველმოქმედი?//ქარდავა//106  
 პანდუსიჩქარა!  
 //კობიაშვილი//108  
 სამიმართ ქრონიკ ენას  
 //ბარამიძე, სუხიშვილი//112  
 ახალი კომიუნიტერული  
 შესაძლებლობანი  
 მუსიკოსებისათვის  
 //ბაბიძე//116  
 რა არის ანიმე?//კარანაძე//118  
 იაპონია//კარელიძე//119  
 ქუჩის 3-D ხელოვნება  
 //ხუბუტია//122



## ცარიელი სივრცე

მომავლის პროფესიული გზა//სუხიშვილი//126  
 არამინიერი ცივილიზაცია: მითით თუ რეალობა//ალადაშვილი//130  
 ჰაკერთა შესანიშნავი შეკიდული//კარანაძე//134  
 ყველაზე პოპულარული საძიებო პორტალები//ქობულაძე//138  
 ვირტუსები ანტივირტუსების წინააღმდეგ//კარანაძე//142  
 მექერდის დასამალად თუ მექერდის გამოსაჩენად//სუხიშვილი//146  
 რა არის სამოთხე?//ხუბუტია//148

2010 წლის 26 მაისი. თბილისი//ანდლულაძე//32  
 რეალამა პოლიტიკის სამსახურში//კარანაძე//36

კატინი-2//შეყლაშვილი//38  
 ტელეგრაფი, ხელოვნური თანამგზავრები და კოსმოსური  
 ნაგავი//შეყლაშვილი//42  
 ნანოტექნოლოგიური მომავალი//ბარამიძე//46  
 რუსებზე გავლით ახალი ზელანდიისაკენ//აზვლედანი//50  
 ქრისტენებია პუტინის თვალნინ დაპყრეს ეროვა//ლელაძე//54  
 საბედისნერო დაშვება ოლიმპიურ ვანკუვერში//ბარამიძე//56  
 პარკური – ახალი გატაცება, ახალი სპორტი//ქობულაძე//60  
 ვინ და როდის გამოიგონა კომპიუტერის თავგვე?//კარანაძე//62

## რეალური სივრცე



## საკუთარი სივრცე



თბილისი – ჩვენი ქალაქი  
 //შეყლაშვილი//66  
 ჩვენი უნივერსიტეტი  
 //საიტიდან//70  
 სტუდენტის გზამკვლევი  
 //საიტიდან//71  
 რეტროსის მიმართვა  
 //საიტიდან//76  
 გრიგოლ რობაქიძე – სახელი  
 და ადამიანი//ჭანტურა//78  
 რობაქიძის „როკვით განვითარის“  
 წაკითხვის შემდეგ//ქობულაძე//80  
 ჩემი//კარელიძე//83  
 გრიგოლ რობაქიძის ანდერძი//83  
 ნაკურთხი ამორტიზატორი და სხვა  
 ამბები//მუჯირიშვილი//84  
 მე ახალგაზრდა ვარ: Yes:  
 //კარელიძე//85  
 გლობალურ-ეირტუალური  
 სოფელი ანუ ჩაანაცვლე,  
 გრიგორი//ჭაფოძე//90  
 დისტანციური სისვლების  
 პერსპექტივები//ჭაფოძე//93



## დასკამული სივრცე

ია ანთაძე//როგორც იქნა, ომი ნავაგეთ//153  
 გიორგი გვახარია//,მამა, უცბად ვიგრძენი, რომ სულ მარტო ვარ...//156  
 ბიძინა მაყიშვილი//სპორტი//159  
 ნიკო ნერგაძე//დავითახე მიშვევლი (ჩაცმული ჯობდა) //161  
 მაღაზაზ ხარბედია//გამოსტრება//166  
ყველა აკადემიური პროგრამა ითვალისწინებს დავალებების დამოუკიდებლად შესრულებას როგორც ისე ფინანსურული კორპუსით – საკურსო კვლევითი ან შემოქმედებითი პროექტის სახით, ყველა ტაბის დავალებების ჩაბარება სილაბუსით დაგვამიღება აუცილებელია. დავა-

**რეჩიტატიულ** თანხლებას ემსგავსებიან. დღეს რობაქიძის ნაწარმოებები ბევრისთვის გაუგებარია – ჩვენი ყოველდღიური სასაუბრო ლექსიკა დიდი ხანია ულტრათანამედროვე სიტყვებითა და უარგონით გამდიდრდა. ხშირად სიტყვას თავისი პირვანდელი მნიშვნელობა ეკარგება და სრულიად საპირისპიროს აღნიშნავს, მაგრამ ამაზე დაფიქრება, ასე ვთქვათ, დღის წესრიგში არ დგას, უბრალოდ არააქტუალურია. რობაქიძე კი ქართული სიტყვების ფუძეებს სკრუფულობურად სწავლობს და ერთ ფუძეზე ნარმოქმნილი, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვებით ენაში დამარხულ დიდ საიდუმლოებებს იმეცნებს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ და უშუალოდ რეცენზიაზე გადავიდეთ, საბოლოოდ დავადასტუროთ, რომ „როკვით განფენილი“ რობაქიძის კალმისთვის ტიპური ქმნილებაა, რომელიც იმთავითვე გულისხმობს უსაშველო და ზღვარდაუდებელ ემოციურ მუხტებს, მისტიკურ ბუნდოვანებას და ამასთან ერთად ეჭვშეუტანელ ლოგიკურ მსჯელობებს.

რობაქიძე გვთავაზობს ძალიან საინტერესო ჯაჭვს „ჯიშის“ ცნებიდან „ქართულ ცეკვამდე“. მისი განმარტებით, „ჯიში“, როგორც „რასის“ პირვანდელი გაგება, უძველეს დროში, მსხვერპლშეწირვების, ანუ ზორვის დროს ჩაისახა. ამ დროს ადამიანს ეძლეოდა შანსი, მოენერსრიგებინა ქაოტური – ანუ ქაოსი ექცია კოსმოსად, შესაბამისად, დემიურგი გამხდარიყო. (დემიურგი – უზენაესი შემოქმედი, ღმერთი) მოეპოვებინა რჩეულის სტატუსი და ქცეულიყო „თავადად“, ოღონდ ამ სიტყვის არა სოციალურ-კლასობრივ კონტექსტში მინიჭებული მნიშვნელობით. დემიურგობის, რჩეულობის უნარი, მნერლის აზრით, „თესლზე“ და „სისხლზე“, ანუ გენეტიკაზე ახდენენ გავლენას და ამ გზით მემკვიდრეობით, შთამომავლობით გადაეცემიან თაობიდან თაობას, მაგრამ აქვე აღნიშნავს, რომ მემკვიდრეობითი უნარები უძლურნი ხდებიან მემკვიდრის გონითი პასიურობის შემთხვევაში. „მეორე დაბადება“ მემკვიდრეობისა და გონითი აქტივობის აუცილებელი ნაზავი უნდა იყოს.

რობაქიძე ტყულად არ ახსენებს მსხვერპლშეწირვას. მსხვერპლშეწირვა იგივე რიტუალია, რიტუალი კი მხოლოდ ვერბალური ასპექტებით, რა თქმა უნდა, არ ითარგლება და აი, მივადექით როკვას, როგორც უძველეს უნარს, უძველეს ჩევევას ადამიანისას. უდავოა, რომ პირველყოფილი ადამიანის როკვა (ცეკვა) მხოლოდ რიტუალური ხასიათის შეიძლება ყოფილიყო. მონოგრაფური რიტმის – დოლის სმაზე უკიდურესად აღვზნებული ადამიანები გაუჩერებელი, ენერგიული როკვით ექსტატიკურ მდგომარეობაში ვარდებიან – ისინი მთლიანად ეძლევიან როკვის სტიქიას. ზუსტად იმ უძველესი გენის, ჯიშის აღორძინება შეიგრძნო გრიგოლ რობაქიძემ სუსტიულების დასის ყურებისას. მან გააანალიზა, რომ ქართული ცეკვა გაჩნდა რიტუალური როკვით, რომელიც შემდეგ ტრადიციად გარდაისახა და ქართული ცეკვის სახელით უენევის სცენიდან პირველყოფილი, ულიმიტო ვნებებისა და ემოციების ინსპირატორად იქცა. აქედან გაჩნდა ის

**რეჩიტატიული** – წამლერებით ლაპარაკი; გვევდება ქრთული სიმღერებშიც, განსაკუთრებით ე. ნ. დატირებებში.

**ინსპირატორი –** შთამაგონებელი; ინსპირაცია – შთაგონება, ემოციური მუხტის მიწოდება.



ლების მიცემისას პროფესიონალური კიდევ ერთხელ აზუსტებს ჯგუფის წინაშე ნაშრომის წარდგენის ვადას.

ობიექტურ გარემოებათა გამო შესაძლოა პროფესიონალური მიერ დათ - ქმული ვადა არ დატოხვევს გრაფიკში მითითებულს. სუთ შემთხვევაში, სტუდენტის მიერ გაცხადებული დრო ითვლება.

გრაფიკში კორექტივის შეტანის შესახებ, როგორც წესი, პროფესიონალური უნდა აცნობოს დევანტას.

დაგენერილ ვადის გასვლის შემდეგ ნაშრომი მიიღება შესაფასებლად, მაგრამ ამ შემთხვევაში მესამე-მასულურ ულვრად ჩითვლება 70 პროცენტი, ამასთან, თუ ეს ნაშრომი ვადის გასვლის შემდგომი ხუთი საჭრება დღის ვადაში ბარდება. თუ ნაშრომი მეორე ვადის გასვლის მომდევნობრივი სამუშაო ბარება, შეფასების მაქსიმალური ზღვარია 55 პროცენტი. მესამე ვადაში ჩაბარებული დავალება არ ფასდება.

სტუდენტს შეუძლია მოითხოვოს დავალების ჩაბარების გადავადება, თუ მისივე არსებობას კვლებასან დაკავშირებული პრობლემები ან სხვა საპატო მიზეზები.

გადავადების თხოვნით, თუ ეს თხოვნა ეხება ესსეს, სტუდენტი განცადებით მიმრთავს სასწავლო კურსის ხელმძღვანელს, ხოლო ნაკურსო პროექტის გადავადებისათვის პროგრამის ხელმძღვანელს. მხოლოდ მათი დასტურის შემთხვევაში ითვლება გადავადებულად ნაშრომის წარმოდგენის ვადა.

სტუდენტმდე გადავადების თხოვნით განცხადებით უნდა მიმრთოს ადრესატს დადგენილი ვადის გასვლამდე არაუგვიანეს სამი დღით ადრე. ამ ვადის გასვლის შემდეგ განცხადება არ მიიღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საპატო მიზნით გამოწვეული შეფერხბა აღნიშნულ სამ დღეს მოიცავს.

აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და დიპლომის მინიჭებისათვის

ზღვარდაუდებელი და თავშეუკავებელი აღტაცება, რომელიც ქართული ცეკვის, როგორც მსოფლიო ფენომენის პანეგირიკში გადაიზარდა. რობაქიძე სათითაოდ განიხილავს ცეკვათა ნაირსახეობებს და ყველას ცალ-ცალკე ახასიათებს - ისევ და ისევ გრძნობით-ემოციურ შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით. ქართულ ცეკვაზე ნათევამი ყველა სიტყვა რაღაც არაჩევულებრივს, აღმატებულ ხარისხში აყვანილს გამოხატავს. სამშობლოდან იძულებით გადახვენილი მწერლის ნოსტალგია სცილდება უბრალო სენტიმენტალობის საზღვრებს და რაღაც მარადიულ, ალბათ, მარადიულ მონატრებასთან და მოლოდინთან თანაარსებობს.

ცნობილია კიდევ ერთი უცხოელი მაყურებლის მოგონება, რომელიც იმასაც იხსენებდა, რომ ვიღაც მოხუცი აკანკალებული ხელებით ეფერებოდა ქართული ცეკვის კოსტიუმებს და ნაჭერს თვალცემლიანი კოცნიდა. ვიღაც მოხუცი კი ამ შემთხვევაშიც გრიგოლ რობაქიძე გახლდათ.

რეცენზია დროს შეუყვარდა და იმდენიც კი მოახერხა XXI საუკუნეში იგი ვირტუალურ სივრცეშიც კი დაბადა, გააჩინა. აალაპარაკა მილიონობით ხალხი ჩატებში, მეილებზე, ფორუმებზე, დააწერინა ვირტუალებს ბლოგები:


„რობაქიძე ფლობდა რაღაცას, რასაც დღეს იშვიათად იპოვით - სიბრძნეს. სიბრძნე სიყვარულსა და ნრფელ გულს გულისხმობს. ჩვენ, ალბათ, შეგვიძლია ვიპოვოთ გრიგოლ რობაქიძის პიროვნებაში შეცდომები, მაგრამ მისი ჭეშმარიტი მე, მისი მშვინვერი და სულიერი მე იყო სასწაულებრივი“  
(<http://www.face.ge/blog/34681>).

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნება ჩვენი ეროვნული სიმდიდრე და სიამაყება, სიმდიდრეს კი რუდუნებით მოვლა-შენახვა, შესწავლა- გადარჩენა და, გარკვეული აზრით, გამრავლება-გამრავლეროვნება თუ განვითარება ესაჭიროება. ქართული ცეკვა მარტო ცეკვა (გართობის დონეზე) როდია, იგი ქართული მენტალიტეტის ერთ-ერთი საფუძველია, ამავდროულად სამსედრო-ფიზიკური სამზადისიცა, ფიზიკური კულტურაცა, ესთეტიზმის უშრეტი წყარო და ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ტყუილად როდი უკავშირებდა გრიგოლ რობაქიძე ქართულ როკვას ეროვნულობას, რასის თვისისძრიობას. ამაში ღრმა საკრალური აზრი ძევს და მისი უყურადღებოდ დატოვება დაუშვებელია  
(<http://pic2.piczo.com/zakaraaa/?g=28786878>).

ეს სულიერი მდგომარეობა, რომელიც გრიგოლმა წლების და საუკუნეების წინ გადმოსცა თავის ქართველ მონატრებულ მინას და ერს, სამუდამოდ დარჩება ჩვეულებრივი ადამიანების და ვირტუალების გულებში ან, თუ გნებავთ, ტვინებში. ის ნამდვილი გენით იყო შეთხზული. ჩემი ნაწერი კი უბრალო, ასე ვთქვათ, საშინაო დაგალებას წარმოადგენდა, რომელშიც შევეცადე დამენახვებინა ის სითბო და ქვეყნის სიყვარული, რომელიც გენიალურმა ადამიანმა 1000 კილომეტრის დაშორებით განიცადა. მდ.



**პანეგირიკი** – სახოტბო სიტყვა ვისიმე პატივსაცემად, გადაჭარბებული ქება-დიდება.



ჩემი  
11 მაისი, 2010

აღმათ, თათოვეულ თქვენგანს შექვე კანკრტული ადგალი, ქალაქი, თუ დასახლება, რომელიც განსაკუთრებით გაყვართ. მცხეთაში რომ ჩავიდოვა, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს სუკუნებზე ვმოგზაურობ. ვეგდები, რომ ჩემა... ჯვრის მონასტერი, აღბათ, ცველა ისტორიულ ქვეგლზე უძურად მიყვარს. სულ რჯვერ ვარ ნამყოფი, თუმცა, კირამი ამდენჯერვე მაქს შესაძლებლობა (გორ ში მიმოსვლისას), გნიდან რომ დავინახო ასეთი: მთაზე ნამომართული და უძველესი. ყოველთვის ჟრუანტელ მიღლის და შემძინა. შემძინა მისა, რომ რამე არ დაემართოს. წარმოიდგინეთ რა ძველია, მეშვიდე სავუპნის მეორე ნახევარი... წინ კერძოში ბერის ცხენები განახოთარებული მოვლენებს გამო, მგრად ვინერიულები: ჯვარი რომ დგას, იმ მთაზე ცრ რომ და მოდეს, ვერ გადავიტან. რა ვქნა, მიყვარს მე ჩემი ქვეყნა, თან ძალიან.

თამუნა კარლიძის პოსტი  
მისივე ბლოგიდან



## გრიგოლ რობაძის ანდერძი

ჩემმა მკითხველმა იცის, თუ როგორ მესახვის მე მცხეთა, იგი წმინდა საშოა ჩვენი მიწისა. იქ ეგულებოდა ჩემს ძვლებს საფლავი კარდჰუსი. მცხეთის მიდამო აირჩის ძველმა მოვებმა, ერთი ადგილი: იქ ადიდებდნენ და თაყვანს სცემდნენ მზესა და ცეცხლს, მცხეთის უბეში მივიღეთ ჩვენ ქრისტეს რჯული, აქ გამოსჭრა ნინომ ჯვარი ვაზისა ნასხლავებისაგან და მოახვია მას თავისი თმები, იქვე მტკიცდებოდა ხელმწიფება საქართველოში.

აი, მცხეთა, როგორც კამარა მოკლებული „მთელი“ ერთი დაუნერელი პოემა – ღვთიურისა და ადამიანურის ურთიერთზიარებისა. „სვეტიცხოველი“ ამ ზიარების ქვით ნაშენი ტანია, შედიხარ ტაძარში და ამჩნევ კუთხეში პანა სალოცავს, ძველისძველად აშენებულს, ტაძრის მშენებლებს იგი არ დაუნგრევიათ.


თუ ზემოხსენებული ამბები ქართული გენის ნაპერნკალია, ეს სალოცავი ამ მადლის განმარტებაა თვითონ, იგი თითქმის აკვანია იმ პირველ ლოცვისა, რომელიც აქ აღმოხდათ ღვთის ძის მიმართ მღვივარ გულებს. ჩვენს ძვლებს ხელი არ უხლიათ მისთვის, რათა არ წაშლილიყო პირველი ლოცვის ნეტარმაცხოვლებელი კვალი. რა სინაზეა აქ, რა სისუფთავეა ნივთიერებისადმი, რომელშიაც ადამიანში შობილ ღვთიურ ნაკადს გაუვლია...

ჩემი ნატვრაა: როცა მე ამსოფლად აღარ ვიქნები, მოდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთას, წიფობის, ჩემი დაბადების თვეში, სანთელს აანთებდეს და პანა სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს, მეტს არასა ვთხოვ საქართველოს! (<http://www.gruni.edu.ge/main/geo/newgrun1261485557.php>)

2010 წლის 28 ოქტომბერს  
დიდ ქართველ მწერალსა და  
მოაზროვნეს გრიგოლ  
რობაძიძეს უსრულდება  
დაბადებიდან 130 წლი. გრიგოლ რობაძიძის  
სახელობის უნივერსიტეტი  
საიუბილეო თარიღის  
აღსანიშნავად გეგმავს  
ღონისძიებათა ციკლის  
ჩატარებას.

პროგრამის ფარგლებში  
გათვალისწიებულია  
საერთაშორისო სამეცნიერო  
კონფერენციის (სამეცნიერო  
კონფერენცია ჩატარდება  
გრიგოლ რობაძიძის  
სახელობის უნივერსიტეტის  
საკონვერენციო დარბაზში),  
გამოფენებისა და სხვა  
მასშტაბური ღონისძიებების  
გამართვა. განსაზღვრულია  
გრიგოლ რობაძიძის  
შემოქმედების შემსრულებლი  
ქართველი და უცხოელი  
მკვლევარების, მეცნიერების,  
სამთავრობო და  
საერთაშორისო  
ორგანიზაციების  
წარმომადგენლათ მოწვევა.  
საერთაშორისო სამეცნიერო  
კონფერენციაში  
მონაწილეობის მსურველებს  
ვთხოვთ, შეავსონ და  
გამოგვიგზავნონ განაცხადი  
(<http://www.gruni.edu.ge/news-grun1273591758.php?nid=377&>).

საკონტაქტო პირი:  
ქეთევან კიტოვანი  
k.kitovani@gruni.edu.ge  
keti\_kitovani@yahoo.com



## ნაკურთხი ამორტიზატორი და სხვა ამპეპი

ლიკა ალადაშვილი  
ნუცა ანდლულაძე  
გიორგი ახვლედიანი  
სალომე ბარამიძე  
გიორგი ბერელიძე  
ნინო გიგაური  
გიორგი კარანაძე  
თამარ კარელიძე  
ქეთევან კობიაშვილი  
გიორგი ლელაძე  
**ნუცა მუჯირიშვილი**

სალომე პაპიძე  
სალომე სუხიშვილი  
თამარ ქარდავა  
ანო ქობულაძე  
ანი შეყლაშვილი  
სოფიო ჭანტურია  
თათია ჭაფოძე  
შორენა ხუბუტია

„თბილისის ფორუმზე“ ძრომიალისას უცნაურ პოსტს წავანებდი:

„მე ღმერთსა და ჩემს შორის მოციქული არ მჭირდება მით უმეტეს ინტერნეტით“  
(10 მაისი. 2004 წ. Naomi. [www.forum.ge](http://www.forum.ge)). დავინტერესდი და სხვა პოსტების  
კითხვას შევყევი:

„ახალგაზრდები ერთობოდნენ, მიცვივდნენ **ფანატიკოსები** (მათ შორის  
მღვდლებიც) და დალენები მთელი აპარატურა, გაინიერ ხალხისაკენ, იძახდნენ  
უშმაკები ჰეთი ჩასახლებულებით“ (29 მაისი. 2009 წ. Gute. [www.internet.ge](http://www.internet.ge)).

ერთი კი უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რატომ დასეირნობენ ბერები  
ძვირადღირებული მანქანებითო. ვიფიქრე, იქნებ პასუხები მართლმადიდებლურ  
ფორუმებზე ვიპოვო-მეტქი, მაგრამ ამაოდ ამიტომ „**დავსერჩე**“, „ხულიგნური“  
კითხვები, „**დავასეივე**“ იქ, „საიდანაც ვერ ამოშლი“ და სხვადასხვა დროს  
ვესტუმრე ინტერვიუმდე ჩემთვის უცნობ ორ მოძღვარს: მამა კონსტანტინეს  
(ლეკიშვილს) წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში და მამა მალხაზს (ყიფიანს)  
დემეტრე თავდადებულის სახელობის ეკლესიაში.

პირველად მამა კონსტანტინეს ვესაუბრეთ:

**ფანატიკოსი** – [ლათ. fanaticus  
გაშმაგებული] – რაიმე  
რწმენით (რელიგიით და სხვ.)  
უკიდურესად გატაცებული  
ადამიანი; ბრძადმორწმუნე.

**დავსერჩე** [ინგლ. search –  
ძიება] – (კომპიუტერული  
ჟარგონი) მოვძებნე.

**დავასეივე** [ინგლ. Save –  
შენახვა, დამახსოვრება] –  
(კომპიუტერული ჟარგონი)  
დავიმახსოვრე.

— წმინდა მამები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პირჯვერის სწორად გადასახვას და რამდენად მართებულია, როდესაც ტრანსპორტში მჯდომი ადამიანები პირჯვარს იწერენ?

— მინდა გითხართ, რომ პეტრე მოციქული თავდაყირა გააკრეს ჯვარზე და ის ასეთ მდგომარეობაში ქადაგებდა სახარებას და ამით სახარება არ დაენინებულა. ასე რომ, უფლის დიდება ყველა მდგომარეობაში შეიძლება, ოღონდ ეს არ უნდა იყოს, ასე ვთქვათ, სიზარმაციდან გამომდინარე – აი, ახლა მე ვერ ავდგები და პირჯვარს ისე ვერ გამოვისახავ. თუ ტრანსპორტში ვსხედვართ და ფეხზე ადგომის საშუალება არ არის, მაშინ შეგვიძლია, დამსხდრებმა ვცეთ თაყვანი ტაძარს.

— მართებულია, როდესაც მანქანას აკურთხებენ და დიდ ჯვარს გამოსახავენ მასზე?

— მანქანის კურთხევა ისევე აუცილებელია, როგორც სახლის, რადგან ჩვენ მანქანაში დროის გარევეულ ნაწილს ვატარებთ. ჯვრის გამოსახვის დროს კი ზომიერება უნდა დავიცვათ. შეიძლება, რომ მცირე ზომის ჯვარი გამოვსახოთ ან დავკიდოთ. ეს არანაირ დარღვევას არ წარმოადგენს, პირიქით – მადლია.

— იცით თუ არა, რომ არსებობს სამარხვო კვერცხი და ყველი, ხოლო შოკოლად „ბარამბოს“ ერთ-ერთი სახის ბატონზე, რომელიც შემადგენლობის მიხედვით სამარხვოა, არ არის გაცემული კურთხევა.

— სამარხვო კვერცხისა და ყველის შესახებ ნამდვილად არაფერი ვიცი. რადგან თქვენ ამბობთ, ალბათ მართლაც არის ასეთი რამ. მე ვურჩევდი იმ ადამიანებს, ვისაც კვერცხის ჭამა უყვართ, რომ ხსნილში მიირთვან ის, ასევე ყველის შემთხვევაში და ისე იმარხულონ, როგორც ეკლესია და მოძღვარი აძლევს კურთხევას. საერთოდ, ადამიანს შეიძლება უყვარდეს ტკბილული, მარხვაში ვერ მოითხოვს და მიირთვას, თუკი აღნიშნულია, რომ ის სამარხვოა. იქნება ეს ნამცხვარი თუ შოკოლადი. თავისითვად დარღვევა არ იქნება იმ მხრივ, რომ არასამარხვო საკვებს არ იღებს, მაგრამ მეორეა, რამდენად მართებულია მარხვის დროს ასეთი ტკბილულის მიღება. ზოგიერთი ვერ ითმენს და ამაში დანაშაული არ არის, ოღონდ იმარხულოს და არა უშავს, მიიღოს ის სამარხვო ტკბილულიც.

— გავიგე, რომ არსებობს ნაკურთხი ამორტიზატორი და თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

— თავისითვად, როცა მანქანა იკურთხება იქ ამორტიზატორიც ნაკურთხია და საბურავიც.

— ერთ დროს ეკლესია კრძალავდა მიკროფონის გამოყენებას ტაძრებში და დღეს რომ იყენებენ?

— მიკროფონის აკრძალვის ინფორმაციას ნამდვილად ვერ დავადასტურებ. ალბათ, იყო პერიოდი, როდესაც ეკლესია კი არ კრძალავდა, არამედ უშიშროება,



## მე ახალგაზრდა

ვარ: YES:

25 მაისი, 2010

გვაკურთხე, მამაო! „ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოში კცხოვრობთ და ყველას გვაქვს გამოხატვის უფლება იმ ფორმით, რომლითაც გვინდა“ – ციტატა ჩემი დემაგოგიური გამოსვლიდან.

ბოლო პერიოდია, რაც ჩვენს ქვეყანაში ღვთისმოშიში და ღრმადმორნმუნებული ადამიანები მომრავლდნენ. არა, ცუდს ამაში ვერაფერს

დაღი ჰპდგ გრძელ

ვხედავ, მაგრამ როცა  
რელიგიურობა მარაზმში  
გადადის, იქ ვხედავ.  
ალბათ ყველას  
შეგიმჩნევიათ ჯვრები  
მანქანებზე, ტელეონებზე,  
ხატებით გამოტენილი  
ლენინის პორტრეტისათვის  
განკუთხნილი კუთხე  
პოლიტიკოსების  
კაბინეტებში, ასევე  
მანქანების სალონები.  
ადამიანებით ატარებენ  
უამრავ რელიგიურ  
ატრიბუტების: ბეჭდებით,  
ფსალმუნებითა თუ  
სამაჯურებით არიან  
აღჭურვილი, რამდენჯერაც  
დაინახავნ ტაბარს,  
იმდენჯერ იწერენ  
პირჯვარს და აკეთებენ  
მეტანიას, ასფალტს თავებს  
ურტყავენ, თან მალულად  
გამვლელებისაკენ აპარებენ  
თვალს: ისნავლეთ, როგორ  
უნდა გნამდეთო.  
ჟო, ჯვრებიან მანქანზე ე  
გამახსენდა:  
ავტობუსით ვგმ ზავრობდი  
და წინ BAYERISCHE  
MOTOREN WERKE-ს მანქანამ  
ჩაგვიქროლა. უკანა მინაზე  
დიდი ასოებით ეწერა:  
„უფალო შეგვიწყალენ!“  
(თავისთავად იგულისხმება,  
რომ ნისლსანიანაღმდეგო  
ფარსზემოთ დიდი ნაკურთხი  
ჯვარიც ჰქონდა გაერული.)  
სხვათა შორის, ხშირია  
საგნების კურთხევის  
შემთხვევები: მაგალითად,  
მოძღვრებს  
აკურთხებინებენ  
თაღი შოდზ გვრდა

რომ წირვა-ლოცვის ხმა გარეთ არ გამოსულიყო. მიკროფონი ჩვეულებრივი ამბავია დიდ ტაძრებში, როცა ადამიანს სურს მოისმინოს ლოცვა და ვერ ისმენს, მიკროფონი მას ამაში ესმარება.

— ჯერ ტელევიზორსაც და ახლა კომპიუტერსაც ხშირად უწოდებდნენ „ეშმაკის ყუთს“ და დღეს კი არსებობს მართლმადიდებლური არხი და საიტები. როგორია ამ ყველაფრისადმი თქვენი დამოკიდებულება?

— ყველაფრენ აქვს თავისი დანიშნულება, თუ ჩვენ სასარგებლოდ გამოვიყენებთ მას და თუნდაც ტელევიზორის ყურების დროს სარგებელს შევძინო სულს, რა თქმა უნდა, ეს ცოდვა არ არის. ძალიან ბევრი, როდესაც მობილურიან მღვდელს დაინახავდა, ამბობდა, ეს როგორ შეიძლება. მე, მაგალითად, უცხოეთიდან მირეკავენ სულიერი შვილები, იღებენ კურთხევას და პრობლემების მოსაგვარებლად რჩევებს მთხოვენ. ტელეფონი არის კარგი საშუალება, რომ გაუადვილო ადამიანს ურთიერთობა მოძღვართან, ახლობელთან და ასე შემდეგ. ნუ უყურებ ისეთ გადაცემას, რომელიც შენს სულს დააზიანებს და უყურე თუნდაც იმ გადაცემებს, რომლებიც საპატრიარქოს არზე გადის. მაგრამ არ შეიძლება ადამიანი უყურებდეს მხოლოდ რელიგიური თემატიკის გადაცემებს, რადგან უნდა მივიღოთ მრავალმხრივი ინფორმაცია, რომ არ განვვითარდეთ მხოლოდ ერთი მიმართულებით.

— რამდენდაც ვიცი, კათოლიკებში გავრცელებულია ინტერნეტ-აღსარება და თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

— თუ ამაზე ვიმსჯელებთ, როგორც წერილობით ფორმაზე, მინდა გითხრათ, რომ ადრე წერდნენ აღსარებას ფურცელზე და უგზავნიდნენ სულიერ მამას, ხოლო ისიც წერილობით პასუხობდა მათ. არსებობს ასეთი წერილების ნაკრებიც, თუნდაც ბერი პაისის დარიგებები სულიერი შვილებისადმი. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ბერი განყენებულად ცხოვრობდა და სულიერი შვილი ვერ ახერხებდა მასთან ჩასვლას. შეიძლება მოძღვარს დაურეკო ან SMS-ის ფორმით ჰქითხო რაღაც, ეს ყველაფრენი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად დაცულია საუბარი სხვისი ყურისაგან და თვალისაგან.

— დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ფილმშა „და ვინჩის კოდი“ ...

— ეკლესიამ გამოთქვა თავისი აზრი და ურჩია საზოგადოებას, რომ არ ეყურებანათ ამ ფილმისთვის. საერთოდ, ეკლესია ურჩევს და არჩევანი კი ადამიანზეა. ყველანაირ აკრძალვას აქვს უარყოფითი მხარე, დადებითი არა. აკრძალვა არის კატეგორიულობიდან გამომდინარე და კატეგორიულობა კი დამღუპველია, უკიდურესობაში გადავარდნაა. არა აქვს მნიშვნელობა, რომელ მხარეს გადავარდება ადამიანი უკიდურესობაში. მორწმუნისათვის სასურველია ზომიერების შენარჩუნება და საუფლო გზით სვლა, რასაც ჩვენი პატრიარქი ყოველთვის უსვამს ხაზს.



**კათოლიკები** — მომდინარეობს ბერძნულიდან კათოლიკის (კათოლიკოს), რაც „საერთოს“ ან „უნივერსალურს“ ნიშნავს. კათოლიკური ეკლესიას ქრისტიანულ ეკლესიებს შორის ყველაზე მრავალრიცხვანი მრევლი ჰყავს მსოფლიოში (1 მილიარდ 100 მილიონი, რაც ქრისტიანთა საერთო რაოდენობის 52 პროცენტს შეადგენს). კათოლიკები რომელს პაპებს პეტრე მოციქულის მემკვიდრებად აღიარებენ.

**„და ვინჩის კოდი“** — რონ პოვარდის სკანდალური ფილმი (2006 წელი), გადაღებული დენ ბრაუნის სკანდალური წიგნის მიხედვით.

ტელეფონებს, მანქანებს, საათებს... და ეს ყველაფერი სერიოზულად ხდება. ალბათ, მალე გავიგებ, რომ მამაო მრევლის რომელიმე ღრმადმორნმუნე წევრს დუბაიში ნაყიდ ნამდვილ ჯინსს უკურთხებს. მერე აბსტრაქტული რაღაცების კურთხევაზეც გადავალთ. აი, მაგალითად, დიეტაზე დაჯდომა რომ მოვინდება, მიხვალ მამაოსთან და ექსის მერე უქმელობის კურთხევას სთხოვ, ასევე აიღებ კურთხევას ეშმაკის მანქანა კომპიუტერისა და გარყვნილების ბუდე – ინტერნეტის გამოყენებაზეც, კურთხევას ავიღებთ მოკლე კაბებისა და ტანგების ტარებაზე, ქვეყნიდან გასვლაზე, სამსახურის დაწყებაზე, ხელფასის ალებაზე, შემდეგ სახელფასო კარტას მივიტანთ ტაძარში და ვაკურთხებინებთ. ეკლესიდან კი დამშვიდებულები გამოვალთ, აბა რა! ჩვენ ხომ ანი ეშმაკი ვერ მოგვერევა. სამწუხაროა, რომ ხალხის ეკლესისისადმი დამოკიდებულება ყველაფარ მარაზმს სცილდება. მათ სწამთ, მაგრამ ამ რწმენას სულელური დამოკიდებულებია ამასინჯებენ. საზოგადოების არაჯანსაღ მიღრეკილებებს

თაღი შედგენ გვრდა

— ნიგნ „საიდუმლო სირობის“ შემთხვევაშიც იგივე განმეორდა, იყო შეხლა-შემოხლა, არც ერთი ეგზემპლარი გასაყიდი არ დარჩენილა...

— მე გეტყვით ერთს, ამ ადამიანმა შეურაცხყოფა მიაყენა ჩვენს მრნამსს. ამისი აფიშირება კი გამიზნულად მოხდა, რომ ამ ნიგნს ასეთი აუიოტაჟი გამოეწვია, თორემ არავინ წაიკითხავდა. შეიძლება წაეკითხათ კიდეც, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ვინც წაიკითხა ოთხმოცდაცხრამეტ პროცენტს უკარყოფითი დამოკიდებულება გაუჩნდა წიგნისადმი. შეიძლებოდა, რომ მშვიდად და წყნარად მოგვარებულიყო ეს სიტუაცია.

— როგორ ფიქრობთ, ის ადამიანი, რომელმაც კაცი მოკლა, შემდგომ კი ეკლესიურ ცხოვრებას შეუდგა, უფრო მეტად ღირსეულია, თუ ის ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება პატიოსნად ცხოვრობდა, მუხლჩაუხრელად შრომობდა და ეკლესიაში არ დადიოდა?

— წმინდა სერაფიმე საროველს ჰყავდა ერთი სულიერი შვილი, რომელიც მონასტერში მსახურობდა ტრაპეზარად. ერთ დღეს ბერებმა ჰკითხეს სერაფიმე საროველს, ჩვენს მონასტერში ყველაზე ახლოს უფალთან ვინ არის? მან კი უპასუხა – ჩვენი ტრაპეზარიო. კი მაგრამ რატომ, გაუკვირდათ, რადგან ისინი ყველაზე მლოცველი ბერები იყვნენ. იმიტომ, რომ ტრაპეზარი ყველაზე მეტად ებრძვის თავის მრისხანე ხასიათს, ამ ბრძოლიდან გამომდინარე ყველაზე მეტად ახსენებს უფლის სახელს და ამდენად ყველაზე ახლოს დგას შემოქმედთან.

— განსხვავდება თუ არა ინტერნეტში მოსმენილი ლოცვა ტაძარში მოსმენილისგან? შეიძლება ორივე ადამიანს მლოცველი ერქვას?

— ლოცვაში წარმოთქმულ სიტყვებს თავისი ძალა და მადლი აქვს. ერთია, როდესაც ადამიანი დადგება ხატების წინ, გადაიწერს პირჯვარს და ლოცულობს, მეორეა, როდესაც თუნდაც საპატრიარქოს არხით გადმოიცემა ლოცვა. ეს ლოცვა არის მათთვის ვინც ვერ ხედავს კარგად ან კათხვა არ შეუძლია ან სულაც სიამოვნებს მოსმენა და არა წაკითხვა. მე მგონი, ამაში ცუდი არაფერი უნდა იყოს.

ახლა გვესაუბრება მამა მალხაზი:

— რამდენად მართებულია როდესაც ხმამაღლა და საჯაროდ ვახდენთ ეკლესიურობის დემონსტრირებას. მაგალითად: მე ვმარხულობ, მე ეკლესიაში დავდივარ, შენ არა? თუ ეს ყველაფერი მაქსიმალურად ფარული უნდა იყოს?

— ამის ნათელი პასუხი წერია სახარებაში, როდესაც ქრისტე ეუბნება მოციულებს, რომ ადამიანს რომელიც დაფარულში ლოცულობს, ასეთივე ფორმით მიეგება. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ადამიანები თავიანთი რწმენის საჯაროდ დემონსტრირების დროს, მონამეობრივ გვირგვინს იდგამდნენ თავზე. დღეს ამის აუცილებლობა არ არის. ადამიანი თავისი ცხოვრების წესითა და ზნეობით უნდა ახდენდეს რწმენის დემონსტრირებას, კარგი გაგებით, ანუ



„საიდუმლო სირობა“ – ერევლე დეისამის წიგნი (2010 წელი)

ტრაპეზარი (ბერძ.) – აქ: ადამიანი, რომელიც განაცებს მონასტრის სამზირეულოს.

საპატრიარქოს არხი „ივერია“, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“ – წადი <http://www.iveria-tv.ge/>

კი აკეირდება და  
რელიგიური გრძნობებით  
მანიულირებს ყველა: ქალი,  
კაცი, ძაღლი თუ მამაბაღლი.  
ხალხი კი ამ დროს თავის  
ქვიშში ჰყოფს, მერე რა,  
რომ იქ დახუთულობა!  
მიუხედავად იმისა, რომ  
დემოკრატიულ და  
აყვავებულ სახელმწიფოში  
ვცხოვობთ, მე, როგორც  
რიგით მოკვდავს, არ მაქვს  
დანარჩენების  
გაკრიტიკების მორალური  
უფლება, მაგრამ  
დღევანდელი საზოგადოების  
მდგომარეობას ერთი,  
სამასოიანი სიტყვა ზუსტად  
ასახავს.  
აქედან გამომდინარე, მე  
უკვე აღარც ის  
გამიკვირდება, ერთ  
შშენიერ დღეს რომელიმე  
მღვდელს რომ ახალგაზრდა  
წყვილი მიადგეს და  
სოხოვოს: მამაო, სეჭიი  
გვინდა და გვიკურთხეო.  
თამუნა კარელიძის პოსტი  
მისივე ბლოგიდან

შესაძლოა ადამიანი არ ქადაგებდეს, რწმენის ჭეშმარიტებაზე არ საუბრობდეს, მაგრამ მისი ქცევა ადამიანებთან, განსაკუთრებული სითბო და სიყვარული გამოარჩევს მას, შეემნის ისეთ შეხედულებას, რომ ის ნამდვილად ღვთისმოსავია. აუცილებელია, ადამიანს გულით სწავლა და საქმით ამტკიცებდეს ხოლო მესამე – ბაგითაც აღიარებდეს, შეიძლება გამოვრიცხოთ.

— ხშირად მინახავს, როგორ უხეშად მიმართავენ სასულიერო პირები ადამიანებს და თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

— მღვდელმსახურს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აკისრია ღვთის წინაშე. სახარებაშიც წერია, „ესრეთ ბრწყინავდნენ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილონ საქმენი თქვენი და ესრეთ ადიდებდნენ მამასა თქვენსა ზეცათასა.“ რადგან სასულიერო პირებს ასეთი დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია ღვთისაგან, მეტიც მოგვეთხოვება და ბევრსაც პასუხისმგება მიგვინევს ჩვენი ქცევის გამო ღვთის წინაშე. მღვდელმსახურის თუნდაც უხეშ მიმართვას თანაგრძნობით უნდა შევხედოთ – როგორ პატივშია და როგორ არ იქცევა თავისი ღირსებისდა შესაბამისად, ჩვენ უნდა ვლოცულობდეთ მასზე.

— რამდენად სწორია, როდესაც ბერები სარგებლობენ ძვირადლირებული მანქანებით, რაც ხშირად განკითხვაში აგდებს ხალხს?

— საერთოდ მინდა გითხათ, რომ ქრისტეს დროს მოციქულები სარგებლობდნენ გადაადგილების ყველა იმ საშუალებით, რომელიც მაშინ არსებობდა. ეს ადამიანის რწმენის სფეროა და მის ნაკლებმორწმუნეობას უსვამს ხაზს, რომ იგი აქცევს ყურადღებას, თუ ვინ რა მარკისა და ლირებულების მანქანით დადის, რადგან ისინი მნიშვნელობას ანიჭებენ სასულიერო პირთა ძვირადლირებული მანქანით სიარულს და არა იმას, თუ რას აკეთებენ სასულიერო პირები. თუმცალა შეიძლება ითქვას, რომ სასულიერო პირმა იმ მანქანის შექნით არ უნდა შეუქმნას საფუძველი ადამიანს განკითხვისა. ზოგ ადამინს ისე უყვარს თავისი მოძღვარი, რომ ყიდულობს ამ ძვირადლირებულ მანქანას და ჩუქნის მას. შესაძლოა, მან იაროს ერთი კვირა, თვე ან წელი და იმანაც გააჩქქოს. მაგრამ ეს ხომ ჩვენ არ ვიცით, ჩვენ ვხედავთ იმას, რომ ის ძვირადლირებულ მანქანაში ზის და ამის გამო განვიკითხავთ და ჩვენც ცოდვაში ვვარდებით.

— არამართლმადიდებლურ დღესასწაულზე „პელოუინზე“ მართლმადიდებელ მშობელთა კავშირთან ერთად იყვნენ სასულიერო პირებიც და როგორც ცნობილია, მათაც მიიღეს მონაწილეობა იქ მყოფთა დარბევაში. როგორია თქვენი კომენტარი?

— ზოგადად ეს დღესასწაული არ არის მოსაწონი მართლმადიდებელისათვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ დავარბიოთ ან ფიზიკური შეურაცხყოფა მივაყენოთ მათ. ეს, რა თქმა უნდა, არ არის ლამაზი და შესაწყნარებელი. მე არ მგონია, რომ სასულიერო პირი ჩართულიყო „პელოუინის“ დღესასწაულის





### ნება მუჯისივალი

დაბადებას 9 აპრილის სევდიან მოვლენას ვუმადლი; გაზრდას – მშობლებს და უფროს და-ქმას; მთის, მდინარის და მოხუცების სიყვარულს კი იმ პატარა სოფელს, რომელშიც გაიზიარდა.

მარტოზელა დედა, სამი და-ქმა, კატები და ძალლები, დიდი თუთის ხე და ხედი აიგნიდან ჩემს ყოველ-დღიურ ყოფას წარმოადგენ. იყო „დედანი“ პერიოდი, ხასხური ცეკვების და სიმღერის, გალობების ჟა-რობა. იყო სკოლა, გავეთილები, ხმაურიანი ბავშვები, პირველი სიყვარული და არის უნივერსიტეტი, ლექციები, ფოტოები, კამერა... მონატრებული სახლი, ფედა...

ჩემი მიზანი გავხდე წარმატებული უურნალისტი, რამდენადაც ეს შემძლია და ვიყო კარგი ადამიანი. დაინტერესებული ვარ ფოტო - გრაფიკი, მინდა კარგად წერა შევ-ძლო, ამისთვის კი ბევრი კითხვა და წერა საჭირო. ჩემი ინტერესის საგანს წარმოადგენი ადამიანები და მოყვარს ჩუმ-ჩუმდ შათზე დაკვირვება. დაინტერესებული ვარ მუ-სიკით და კინოთი. მუსიკალური მიმდინარეობებიდან ვუსენ ყველაფრს, ან მინდა ვიქება, რომ მოწინოს ჯაზი და თან არ ვიცოდე რა არის ეს.

რაც უპირველესია, ვცდილობ საკუთარი თავის შესწავლას, რა-ღაცების კონტროლს და რაღაცებ-ზე დაკვირვებას.

დარბევაში. ვფიქრობ, რომ ჩვენი დანიშნულება და ჩვენი მოვალეობა სხვა არის და არა ის, რომ ჩვენ ადამიანებს ფიზიკური შეურაცხყოფა მივაყენოთ. სხვა ქვეყნების ტრადიციებშიც არის კარგი და გასათვალისწინებელი და ჩვენშიც არის ცუდი და მანკიერი დღესასწაული, რომლისგანაც უნდა განვთავისუფლდეთ, როგორც მანკიერი მიღრეკილებისაგან.

— ეთნმებით თუ არა იმ მოსაზრებას, რომ ბევრი ახალგაზრდა ტაძარში „მოდის“ გამო დადის, რასაც თან არ ახლავს შესაბამისი სულიერი მდგომარეობა?

— შესაძლებელია, ზოგი სხვათა მიბაძვით მოდიოდეს ტაძარში, მაგრამ ესეც შესაწყნარებელია, რადგან იმ ადამიანზე ტაძარში მოსვლა გარკვეულ კეთილ და დადგებთ გავლენას ახდენს. პავლე მოციქული ამბობს, „მობაძვ ჩემდა იყავით, ვითარცა მე ქრისტესა“, ე. ი. თუნდაც მოდას აყოლილი ადამიანი, თუ მასში სიკეთის იოტისოდენა მარცვალი მაინც დევს, აუცილებლად მიბაძავს კეთილს, ღვთისმოშიშს, რომელიც მას ტაძარში დახვდებიან.

— ქართველ და რუს ერს ერთმორწმუნებად მოიხსენიებენ. როგორია თქვენი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ?


— იმის მაგალითს თუ გადაიღებენ ადამიანები, როგორი დამოკიდებულებაც აქვთ რუს და ქართველ სასულიერო პირებს ერთმანეთისადმი, მე ვფიქრობ, რომ ეს მისაბაძი უნდა იყოს პოლიტიკური გაერთიანებებისა და საზოგადოებისათვის. ვფიქრობ, რომ რუსეთთან, როგორც ერთმორწმუნე ქვეყანასთან, ჩვენ გვმართებს თანაბარულებანობით განსაზღვრული ურთიერთობა, რაც გულისხმობს ერთმანეთის გვერდში დგომას, ერთმანეთის ტკივილისა და სიხარულის გაზიარებას და არავითარ შემთხვევაში იმას, რომ მე ვარ დიდი ერი და შენ – პატარა. ამიტომ ერთმა არ უნდა დაჩაგროს მეორე. ანდა მე ვარ შენზე დიდი ისტორიის მქონე და შენ უფრო სხვანაირად უნდა მეპყრობოდე. ეს ურთიერთობა ურთერთგაგებაზე, პატივისცემასა და სიყვარულზე უნდა იყოს დაფუძნებული. ■



სუვენირების  
წარმოება და  
რეალიზაცია

**Combimap**

თბილისი, ლევაცის ქ. №21, ტელ.: 292289; 891 225 275



## გლობალურ-ვილტუალური სოცელი ანუ ჩანაცვლე, განაცვალე!

ლიკა ალადაშვილი
ნუცა ანდლულაძე
გიორგი ახვლედიანი
სალომე ბარამიძე
გიორგი ბერელიძე
ნინო გიგაური
გიორგი კარანაძე
თამარ კარელიძე
ქეთევან კობიაშვილი
გიორგი ლელაძე
ნუცა მუჯირიშვილი
სალომე პაპიძე
სალომე სუხიშვილი
თამარ ქარდავა
ანო ქობულაძე
ანი შეყლაშვილი
სოფიო ჭანტურია
თათია ჭაფოძე
შორენა ხუბუტია

2010 წლის 6 აპრილს ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გასვლით სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობის წევრებს განათლების სფეროში დაგეგმილი ახალი **რეფორმის** პროექტი გააცნო და მას „კომპიუტერულ-ლინგვისტური რევოლუცია“ უწოდა.

„მომავალი წლიდან წიგნს კომპიუტერი ჩანაცვლება, რომელიც ყველაზე თანამედროვეა, რომელიც წყალში არ იძირება, შეგიძლია დააგდო და არ ტყდება, ეს არის კომპიუტერი მხოლოდ ჩვენი ბავშვებისათვის, მათ შორის იმათთვისაც, ვინც წერა-კითხვა არ იციან. ის **სიმბოლოებით ოპერირებს**, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

100-დოლარიანი კომპიუტერების შექმნის იდეა, რომლითაც უნდა აღიჭურვოს სკოლები ღარიბ ქვეყნებში, უკვე რამდენიმე წელია რაც გაჩნდა. შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია **One laptop per child (OLPC)**. 2009 წელს 35 ქვეყანაში, მათ შორის ამერიკაში, კოსტარიკაში, ვენესუელასა და პაკისტანში იგი 1.4 მილიონ ბავშვს დაურიგდა.

საქართველოში პროექტი მოიცავს დიდი ქალაქების, ტურისტული ზონების, დევნილთა დასახლებების, ანუ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ზუგდიდის, მესტიის სკოლებს.

**რეფორმის** [ფრანგ. reforme] –  
1. გარდაქმნა, შეცვლა რისამე.  
2. პოლიტიკური გარდაქმნა,  
რომელსაც ახდენს მმართველი  
კლასი არსებული  
სახელმწიფოებრივი  
წყობილების შეუცვლელად.

**ლინგვისტიკა** [ფრანგ.  
linguistique, ლათ. lingua ენა] –  
მეცნიერება, ენის შესახებ;  
ენათმეცნიერება.

**რევოლუცია** [ფრანგ.  
revolution] – (გადატ.).  
ძირფესიანი ცელილება,  
გადატრიალება ცოდნის რაიმე  
დარგში, ტექნიკაში,  
ხელოვნებაში და სხვ.

**სიმბოლო** [სერძ. symbolon] –  
1. საგანი, მოქმედება და სხვ.,  
რომელიც რაიმე ცნების, იდეის  
პირობით ნიშანს წარმოადგენს.  
2. რამე სიდიდის პირობითი  
აღნიშვნა, რაც მიღებულია ამა  
თუ იმ მეცნიერებაში.

აუცილებელია პროგრამით დადგენილი კრედიტების დაგროვება:

ა) ბაკალავრის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭებისათვის – არანაკლებ 240 კრედიტი;

ბ) დიპლომორებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭებისათვის – არანაკლებ 300 კრედიტი.

აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება ორი ხარისხის დაპლომით – ნარჩინების დიპლომი, დიპლომი.

დიპლომის ხარისხი განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) ნარჩინების დაპლომის მინიჭებისათვის სწავლის შედეგების შეფასების ზღვარი 81% +.

ბ) დიპლომის მინიჭებისათვის – 51-80%.

აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების საფუძვლები

აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭებისათვის, სპასაბალავრო დონეზე მოხლო ციკლის მანილზე დადგენილი ღოვნით დაგროვებული კრედიტების გარდა, აუცილებელია შესაბამისი ნაშრომების დაცვა.

ტელე-რადიო ჟურნალისტების ფარგლებშის სტუდენტებმა, რომლებმაც გავლილი აქვთ სატელევიზიო შემოქმედებითი სახელმწიფო სრული კურსი, შეიძლება საკალიფიციონი ნაშრომად ნარადგინონ შემოქმედებითი ნამუშევრან.

ნამრიმის დაცვა არ მითხოვება ინგლისური ენისა და ლიტერატურის საპაკალავრო და დაპლომირუბული მედიკოსის აკადემიურ პროგრამებზე, ამ შემთხვევაში ტარდება საკალიფიციონი გამოცდა.

საკალიფიციაციის ნაშრომების დაცვისა და გამოცდის ჩასატარებლად ფარგლეტებზე მოქმედებს საატესტაციო საბჭო.

იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი არ გამოცდადება ან არ იქნება დაშვებული (კრედიტების დაუკროვებლობის შემთხვევაში) საკალიფიციო გამოცდაზე ან მიღებს უარყოფით

იგი არის **XO ტიპის ლეპტოპი**, რომელიც ამ ეტაპზე წიგნებს მხოლოდ პირველკლასელებს შეუცვლის. მასში ყოველწლიურად ჩაიტვირთება ახალი სასწავლო წლის სახელმძღვანელოები.

„ასეთი ტიპის კომპიუტერები ბავშვებს გაჰყვება 4, 5, 6 წელი და ეს არის რეალურად მათი საგზური მომავალ ცხოვრებაში. გარდა ამისა, თქვენ იცით, რომ ჩვენ ვურიგებთ ათოსნებს კომპიუტერებს და ეს გაგრძელდება წელსაც, მომავალ წელსაც. რაც უფრო მეტი ათოსანი გვეყოლება, მით მეტი კომპიუტერიზებული ბავშვი გაიზრდება. ამ ყველაფერს ჩვენ ბავშვებს ვჩუქნით.“

მანამდე, 2008 წელს **პრეზიდენტის პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“**-ს ფარგლებში „**ირმის ნახტომი**“-ს მიერ საქართველოს საჯარო და კერძო სკოლის 8035 მოსწავლე დაჯილდოვდა, ხოლო 2009 წელს – 3212 ბავშვი, ყველა ის, ვისაც 9,7 და მეტი ქულა ჰქონდა ყველა საგანში ერთად. პორტატული კომპიუტერებით სრულად აღიჭურვა საქართველოს 72 საგანმანათლებლო რესურსცენტრი.

ხოლო 2005-2009 წლებში ღია ტენდენციების საშუალებით 26500 კომპიუტერი იქნა შეძენილი და განაწილებული საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში. მათ შორის სხვადასხვა ეტაპზე, ფონდ „ირმის ნახტომისათვის“ დონორების მიერ შეძენილი სკოლებში დასარიგებლად იქნა 10600 კომპიუტერი. შედეგად დღეს საქართველოში ყოველ 22 მოსწავლეზე ერთი კომპიუტერი მოდის.

2010 წელს დონორი ორგანიზაციის „სხივი XXI“ დახმარებით იგეგმება 2720 კომპიუტერის დარიგება საქართველოს საჯარო სკოლებში.

ეს ყველაფერი ბავშვების უკეთესი განვითარებისთვის, მათი განათლების დონის ასამაღლებლად კეთდება. ამისათვის, რომ „საქართველო, როგორც ქვეყანა, როგორც მრავალეთი კური ერი, მართლა თანამედროვე ერად და იმ სახელმწიფოდ იქცეს, როგორიც ჩვენ ნარმოვიდგენია – ამ რეგიონის სინგაცურად, ამ რეგიონის შევიცარიად.“

ცხადია ყველას უნდა უკეთესი მომავალი და ისიც ნაკლებსადაოა, რამდენად საკმარისია სკოლების კომპიუტერიზაცია მსგავსი ოცნებების განსახორციელებლად. პრეზიდენტის ახალი იდეას კი საყოველთაო აღფრთვანებით არ შეხვედრიან მასწავლებლები და მშობლები.

ფორუმებზე საკმაოდ უარყოფითი შეფასებები დაფიქსირდა:

„კომპიუტერებში პროგრამა ყოველ წელს იქნება ჩასატვირთი, რაც სავარაუდოდ გარკვეულ თანხებთან იქნება დაკავშირებული. გარდა ამისა, პრობლემები შეექმნებათ გამომცემლობებს და ბიძლიოთეკებს“.

„ბავშვმა თუ არ ისწავლა წიგნთან ურთიერთობა, ვერ ისწავლის აზროვნებას“.

„წიგნების ნაცვლად კომპიუტერები პირველ კლასში! სულ გარეკა ამ საცოდავმა!“

### **XO ტიპის ლეპტოპი შეიქმნა**

პროექტის „ლეპტოპი ყველა ბავშვისათვის“ ფარგლებში, ჰგავს ელექტრონულ წიგნს.

XO2 ორჯერ უფრო პატარაა და მსუბუქი, ვიდრე მისი

ნიანდობებდა და უფრო ნაკლებ ენერგიას მოიხმარს. ახალი

XO2 ბავშვებისათვის მისაწვდომი გახდება 2010 წელს. მას არ აქვს

ჩვეულებრივი კლავიატურა, ის

ჩანაცვლებულია სენსორული ეკრანით. ეს შესაძლებლობას აძლევს ბავშვებს გადაქციოს მოწყობილობა ლეპტოპად – კლავიატურით და სენსორული ეკრანით, ან გამოიყენოს ის

როგორც წიგნი.

### **პრეზიდენტის პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“**

პირველად განხორციელდა 2008 წელს. პროგრამის

ბენეფიციარებს

წარმოადგენდნენ

საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების X-XI

კლასების ბოლო 3 წლის

განმავლობაში

ნარჩინებული შედეგების მქონე მოსწავლეები.

### **ირმის ნახტომი** –

საქართველოს სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამა

საქართველოს

საგანმანათლებლო რეფორმის ფარგლებში. პროგრამა 2005

წელს დაიწყო და მიზნად

ისხავს თოხი წლის მანილზე

საქართველოს ყველა სკოლის უზრუნველყოფას

კომპიუტერული ტექნიკით და ინტერნეტ-კავშირით,

ინფორმაციული

ტექნოლოგიების

ინტეგრირებას მოედ



### თათია ჭავოძე

არ მიყვარს, როდესაც იძულებული ვარ, სხვას საკუთარ თავზე მივაწოდო ინფორმაცია. არა იმა - ტომ, რომ შებოჭილი ვარ, ან მრცხვენია და რამე მსგავსი, უბრალოდ არასდროს ვიცი რა ვთქვა. ზოგჯერ თავს ისე ვგრძნობ, როგორც ადამიანი ჰაერში ყოველგვარი ფრთებისა და უმნიშვნელო საყრდენების გარეშე. ამ დროს ვერ ვიგებ სად ვარ, რა მინდა და საერთოდ რისთვის ვარსებობ. ტყუილი იქნება, თუ ამ გაუგებარ მდგომა - რეიბაში ჟურნალისტიკაზე ჩაბა - რებას დავადანაშაულებ, მაგრამ იქნებ ამნაც იქონია გარკვეული გავლენა. თუ ზოგჯერ, უბრალოდ ერთი უმნიშვნელო ფოტოც კი ისეთი გამოვა, როგორიც მინდოდა, ვერც კი აღვწერ როგორი გრძნობა მეუფლება, მგონია სამყაროს შექვრაც კი შემიძლია. ცუდი კი ის არის, რომ ეს კველაფერი მხოლოდ წამიერია. ისევ სადღაც, გაურკვეველ სივრცეში აღმოვჩნდები ხოლმე და ვარ - კვევით ვზედავ, რომ 19 წელი ისე ვიცხოვრე, რომ თქვენთვის ერთი მნიშვნელოვანი სიტყვის თქმაც ვერ მოვახერხე.

„საწყალი ბავშვები ამ მთავრობის ხელში. ნეტა კომპიუტებს სათვალეებიც მოყვება?“  
„ჯერ თვალები დაევსება და მერე სულ დაქლიავდება....“

„არსებობს ტექნოლოგია ე-ინკ, თუ მასზეა საუბარი – პირიქით, დადებითად იმოქმედებს, ასე გვონია რომ ფურცლიდან კითხულობ“.

„კარგია მსგავსი რეფორმის განხორციელება, როდესაც საქმე განვითარებულ ქვეყანას ეხება და კომპიუტერი სწავლის პროცესში დამატებითი წამახალისებლის ფუნქციას ასრულებს. საქართველო კი ამ ეუთხით საკმაოდ მძიმე ვითარებაშია. ერთი მხრივ, კარგია, მოსწავლისთვის გაცილებით უფრო მოსახერხებელია ერთი ლეპტოპის ტარება შიგ ჩატვირთული სახელმძღვანელოებით, ვიდრე ამდენი წიგნის ერთად, მაგრამ ამავდროულად გარკვეულ საფრთხეს ქმნის მისი დაკარგვის ან გატეხვის შემთხვევაში“.

ვითარება კი ასეთია:

საქართველოში საგანმანათლებლო მიღწევების საერთაშორისო ასოციაციის (PIRLS) დაკვეთით გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა გამოიკვლია მოსწავლეების განათლების დონე. მასში 45 ქვეყანა მონაწილეობდა. ჩვენი ქვეყანა წერა-კითხვის ცოდნით ბოლოდან მეექვსე ადგილზეა და მხოლოდ ირანს, ინდონეზიას, მარკოს, ქუვეიტსა და ყატარს უსწრებს.

„თუ ჩვენ გვინდა **მოდერნზაცია** განვიცადოთ, მაშინ უნდა შევედაროთ ჩვენი ზომის ევროპულ ქვეყნებს, რომლებმაც მოახერხეს სწარფი წინსვლა და პროგრესი: ტურისტული ზონები, დიდი ქალაქები...“ – განაცხადა პრეზიდენტმა. შესაძლოა, ჯერ ისევ გასარკვევია, რა გვინდა და შემდგომ უკვე, თუ რა გზით უნდა მივალნიოთ სურვილების ასრულებას. ¶

სასარგებლო ლინკები:

<http://www.esida.ge/ge/agency/samoqmedo-gegma.html>  
<http://www.naec.ge/info.php?t=info.php&f=12&su=cenrisistoria3&lang=geo>  
<http://laptop.org/en/laptop/hardware/xo3.shtml>  
[http://navigator.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=2&info\\_id=420](http://navigator.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=2&info_id=420)  
[www.forum.ge](http://www.forum.ge)  
<http://planeta.ge/index.php?showtopic=15772&st=0&start=0>  
<http://rtv.ge/index.php?m=713&newsid=2105>

სასანავლო პროცესში, სხვადასხვა საგნის სწავლებაში. პროექტის ბოლოსთვის საქართველოს საშუალო სკოლების მოსწავლეების 100 პროცენტი დადაგოგების 70 პროცენტზე მეტი დაუფლება ძირითად კომპიუტერულ ჩვევებს, შეიქმნება ახალი სასწავლო კომპიუტერული პროგრამები, განხორციელდება ახალი სასკოლო პროექტები.





ლიკა ალადაშვილი

ნუცა ანდლულაძე

გიორგი ახვლედიანი

სალომე ბარამიძე

გიორგი ბერელიძე

ნინო გიგაური

გიორგი კარანაძე

თამარ კარელიძე

ქეთევან კობიაშვილი

გიორგი ლელაძე

ნუცა მუჯირიშვილი

სალომე პაპიძე

სალომე სუხიშვილი

თამარ ქარდავა

ანო ქობულაძე

ანი შეყლაშვილი

სოფიო ჭანტურია

**თათია ჭაფოძე**

შორენა ხუბუტია



## დისტანციური სრავლ(ებ)ის პერსპექტივები

„ასჯერ დანახვას ერთხელ ნახვა სჯობს, პროფესიის ონლაინ-რეჟიმში ათვისებას კი – „ლაივში“ ზეინკლობის სწავლა“.

მსგავსი მოსაზრებები გაუდერდა ინტერნეტ-ფორუმებზე, ხოლო მსოფლიოს ბევრ უნივერსიტეტში იგი ასეთი პოზიცია სწავლების ერთგვარ აღტერნატივად მოიაზრება.

**გაერომ** ყველა ქვეყნის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროებისაგან მოითხოვა განათლების სისტემის ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიებით სრულყოფა. **იუნესკოს** ინფორმაციული ტექნოლოგიებით სწავლების ინსტიტუტმა შეადგინა რეგიონული პროგრამა „**დსთ** ქვეყნების განათლების სისტემის სრულყოფა INT-ზე დაყრდნობით“. მასში გაერთიანებული ქვეყნებისათვის შეიქმნა სპეციალური პროგრამა Moodle 1.7 ვერსია...

თუ განიცდი დროის დეფიციტს ან უცხოეთში წასვლასთან დაკავშირებით გაქვს პრობლემები, შეგიძლია ვირტუალურად ისწავლონ ნებისმიერ პრესტიულ უნივერსიტეტში, ან რამდენიმეში ერთად და განათლება სხვადასხვა სფეროში შედარებით ხელმისაწვდომ ფასებში მიიღო. იღებ ისეთივე დიპლომს, როგორც დასწრებული კურსის დამთავრების შემთხვევაში (საქართველოში უფასო კურსებიც არის და უკეთეს შემთხვევაში სერთიფიკატსაც გაძლევენ). სტუდენტსა

**გაერო** – (აბრევიატურა)

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, საყოველთაო მშენდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობისათვის შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაცია. შეიქმნა 1945 წლის 26 ივნისს, როცა სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე 50-მა სახელმწიფომ ხელი მოაწერა მის წესდებას, რომელიც ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს. ეს დღე ყოველწლიურად აღინიშნება მსოფლიოში როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღე. მისი შტაბ-ბინა ნიუ-იორკშია.

**იუნესკო** – გაერთიანებული

ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში. იგი გაერთიალიზრებული სააგენტოა, რომელიც 1945 წელს დაარსდა. მისი მიზანი ხელი შეუწყოს განათლებისა და კულტურის გაფრცელებას, მეცნიერების განვითარებას, ადამიანის უფლებებისა და ძრობად თავისუფლებათა პატივისცემას რასის, სექსის, ენისა და რელიგიის მიუხედავად. იუნესკოში გაერთიანებულია 191 ქვეყანა. ორგანიზაციის შტაბ-ბინა პარიზშია.

**დსთ** – დამოუკიდებელ

სახელმწიფოთა თანამეგობრობა, ესენგე (რუსულად – СНГ – Содружество Независимых Государств). საერთაშორისო ორგანიზაცია ან ალიასი, შედგება 10 ყოფილი სახელმწიფოთა რესუბლიკისგან: აზერბაიჯანი, ბელარუსი, თურქეთითი, მოლდოვა, სომხეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი. თურქეთმა 2005 წლის 26 აგვისტოს სრულუფლებიანი წევრობისგან ნებისმიერი მიმდევარი გადასახლდება.

შეფასებას, იგი უფლებამოსილია მო-  
თხოვთ დამატებითი საკალიფიკა-  
ციო გამოცდის დაინიშნა, მაგრა არა  
უფასანეს 4 თეოს შემდეგ, რისთვისაც  
სტუდენტი დაეკასრება დამტეტითი  
სერვისის საზღაური ადმინისტრაცი-  
ის მიერ დაგდენილი ოდენიბით.

იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი  
დამტეტით საკალიფიკაციო გამო-  
ცდაზე მიღებს უპროცესო შე-  
ფასებას ან გამოცემებზეს წინა ა-  
ზაციო გათვალისწინებულ შესაძ-  
ლებლობას – გლობალურა

დაწეროს განცხადება საკალიფი-  
კაციო გამოცდაზე ხელმოწერდ გას-  
ვლისა და სტუდენტის სტატუსს შე-  
ჩერების ან გაგრძელების შესახებ.  
წინააღმდეგ შემთხვევამი განხილუ-  
ბა საკითხის ას სტატუსის შეწყვეტის  
შესახებ. სტუდენტს უფლება აქვს  
გამოიყენოს საკალიფიკაციო გამო-  
ცდაზე გასლების შესაძლებლობა ხელ-  
-შეკრულების შეჩერებით მომდე-  
ვნო 5 წლის მანძილზე, მაგრამ არა  
უმეტეს 3-ჯერ, რისთვისაც მოქმედ-  
ებს სტუდენტის სტატუსის აღდგენა-  
სთან დაკავშირებული პროცედურა.

#### საპაკალავრო ნაშრომი

საბაკალავრო ნაშრომი არის წე-  
რითი ან შემოქმედებითი ხასიათის  
პროექტი, რომელიც უნდა შესარუ-  
ლოს სტუდენტმა კადაგმიური პრო-  
გრამის დასრულების ბოლოს და და-  
იცვას საატესტაციო საბჭოს და  
სხდომაზე ნაშრომში უნდა გამოვ-  
ლინდეს სტუდენტის ცოდნის დო-  
ნის, შემოქმედებითი და კვლევითი  
უნარ-ჩვევების ხარისხის შესაბამი-  
სობა აკადემიური პროგრამით გან-  
საზღვრულ მოთხოვნებიან. ნაშრო-  
მის შეფასების კრიტერიუმები ეყ-  
რდნობა უნივერსიტეტში მოქმედი  
ზოგადი შეფასების კრიტერიუმებს,  
თუმცა პროგრამების კრიტეტებს  
შეუძლიათ განსაზღვრონ დამატე-  
ბითი კრიტერიუმები.

საპაკალავრო ნაშრომი, შეფასე-  
ბის საერთო სისტემაში, განისაზ-  
ღვრება დამოუკიდებელი პროცენ-  
ტული წილით, ხოლო დაცვის შე-  
დეგად მიღებული შეფასება აღ-  
ნიშნება დიპლომის დანართში.

და მასწავლებელს შორის კომუნიკაცია მყარდება რომელიმე მესინჯერის  
საშუალებით. სავარჯიშოები და ტესტები მიეწოდებათ იმეილით და მეცადინეობა  
ტარდება როგორც აუდიო, ასევე წერითი სახით. სწავლება მიმდინარეობს  
ჯუფური ან ინდივიდუალური მეთოდით.

ეს ჩვენთვის ჯერ ისევ სიახლეა, ამიტომ ეჭვით ვუყურებთ და შესაბამისად  
არასერიოზულად ვაფასებთ. არადა, ეს ცველასთვის კარგად ნაცნობი  
ტრადიციული დაუსწრებელი სწავლების ვარიაციაა, უბრალოდ ახალი,  
თანამედროვე ფორმით მიწოდებული. გაუმჯობესებული იმ მხრივ, რომ ამ  
შემთხვევაში სტუდენტს ყოველდღიური ურთიერთობა მაინც აქვს ლექტორთან,  
თუნდაც ვირტუალური, შეუძლია გაურკვევლობის შემთხვევაში კითხვის დასმა  
და გარკვეულწილად პასუხსაც იღებს, განსხვავებით ძევლი ფორმისა, როდესაც  
სემესტრის მანძილზე მხოლოდ რამდენიმე კვირის განმავლობაში დადიოდნენ  
სასწავლებელში და დროის ამ მონაკვეთში ჰქონდათ ურთიერთობა ლექტორებთან.

თუმცა არ უნდა დაგვავინცდეს, რომ ეს პროცესი პირდაპირ კავშირშია ახალი  
ტექნოლოგიების არსებობასა და მათი გამოყენების ცოდნასთან. პატარა ქალაქში  
**დისტანციური სწავლება** ნაკლებად საჭიროა, ზოგიერთ რაიონსა და სოფელში  
კი ინტერნეტი საერთოდ არ არის. ამ შემთხვევაში დევიზი – „გახდი სტუდენტი  
1.32 წუთში“ ვერ ხორციელდება. და მაინც, დისტანციური სწავლების მეთოდი  
საქართველოს რიგ უნივერსიტეტებში ან უკვე ინერგება ან გეგმაში აქვთ.  
დისტანციური სწავლის მსურველი ჯერ არც ისე ბევრია, მაგრამ ისინი მაინც

გამოჩენდნენ. პროექტში ჩართულია თითქმის ყველა სპეციალობა. მათ შორის  
ყველაზე ხშირია ინგლისური ენის კურსები, მენეჯმენტი, ბიზნესი, ისწავლება  
აგრძელებულ კომპიუტერულ-სამომხმარებლო პროგრამები,  
უურნალისტიკა. შევხვდებით ისეთ პროფესიებსაც, რომლებიც ერთი შეხედვით  
საერთოდ თუ ისწავლება, არ გვგონია ხოლმე. კერძოდ, საბავშვო მწერლობა,  
შემოქმედებითი წერა, ხელოვნება, ტარდება „ვორკშოფები“...

ვინ იცის, კარგია თუ ცუდი, დსტ-დან დროზე რომ ვერ „გამოვასწარით“ და  
ამ „გაუგებრობაში“ მოვყევით. ფაქტი ერთია, მხოლოდ მაშინ ისწავლი, როცა  
ნამდვილად გინდა... შესაძლოა კმაყოფილებიც ვართ, დისტანციურ სწავლებას  
მაინც არაქართული სურნელი ახლავს, ჩვენ კი ყველაფერი სხვისი საოცრად  
გვიზიდავს. ■

#### სასარგებლო ლინკები:

- <http://www.britishcouncil.org/geo/ge-education-distance-learning-courses.htm>
- [http://www.navigator.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=2&info\\_id=483](http://www.navigator.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=2&info_id=483)
- <http://www.gsau.edu.ge/index.php?mainmenuid=8>
- <http://www.teusdli.edu.ge/index.htm>
- <http://www.edu-guide.ge/?lan=geo&page=18&sub=0&show=763>

უარი განაცხადა და ამჟამად  
ასოცირებული წევრია. მიხეილ  
საკაშვილმა დსტ-ს დატოვების  
გადაწყვეტილება 2008 წლის 12  
აგვისტოს გამოაცხადა, როგორც  
„დამშენებლება საბჭოთა  
კავშირთან“. ერთნებიანი  
ფორმალური პროცედურის  
შემდეგ, 18 აგვისტოს  
საქართველომ საბოლოოდ  
დატოვა დამოუკიდებელ  
სახელმწიფოთა თანამეგობრობა.  
საქართველო იყო უკანასენელი  
ქვეყანა, რომელმაც 1993 წლის  
დეკემბერში გადაწყვიტა  
შერთობოდა დსტ-ს და პირველი,  
რომელიც დატოვა ეს  
ორგანიზაცია.

**INT** – მოდალურ ბიურეტ-  
ორიენტირებული დინამიური  
სწავლების გარემო. 90-იან  
წლებში შემუშავა მარტინ  
დუგიასმა. არის ღია კოდებზე  
დაფუძნებული პლატფორმა,  
რომელიც სიტის სიგრავს  
მართვის სისტემას ნარმალდებს  
და სპეციალურად შემუშავდა  
მანავლებლებისათვის თოლიან-  
კურსების შესაქმნელად. იგი  
50 ქვეყანაშია აპრობირებული.

**დისტანციური სწავლების**  
შესახებ პრველად ცნობა 1728  
წელს, ბოსტონის გაზებში  
დაიბეჭდა: „მასწავლებელი  
სეილებ ფილიპსი (Caleb Phillips),  
რომელიც ასხავლის მიედე  
ხელის (short hand) ახალი  
მეთოდით, ეძებს მოსწავლეებს“.  
დისტანციური სწავლება  
კლასკურ ფორმით პირველად  
განახორციელა ისააკ პილტმანი (Isaac Piltman) დიდ ბრიტანეთში.  
1858 წელს ლონდონის  
უნივერსტეტი იყო პირველი,  
რომელმაც სტუდენტებს  
დისტანციური სწავლების  
კურსები შესავაზა.  
დღესდღეობით მრავალი მსგავსი  
უნივერსიტეტია მსოფლიოში და  
ისინი ღია უნივერსიტეტის (Open  
University) სახელს ატარებს.

დეფინიცია: ინტერნეტი// ქობულაძე//6  
 მომავლის მედია(?)//კარელიძე//10  
 შენი კუთხე ინტერნეტში//ალადაშვილი//16  
 ქსელში შეზღუდული თავისუფლება//გიგაური//20  
 ეკოლი იყოს თქვენი მობილური გლობულური კომერციისა და  
 ინტერნეტ-პაზნეის სამყაროში//ბერელიძე//22  
 პირველი ქართული ელექტრონული უზრნალები//კარანაძე//26  
 სმაილის ისტორია//კარანაძე//28  
 წიგნის პედი ინტერნეტის ეპოქაში//კობიაშვილი//30

## ვირტუალური სივრცე



„იმედის“ რექვიემი  
 //ჭანტურა//96  
 რეაქცია შემწვარ  
 კვერცხზე//სუხიშვილი//100  
 ვის უნდა გახდეს  
 ქველმოქმედი?//ქარდავა//106  
 პანდუსი,ჩეარა!  
 //კობიაშვილი//108  
 სამიმართ ქრონიკ ენას  
 //ბარამიძე, სუხიშვილი//112  
 ახალი კომიუნიტერული  
 შესაძლებლობანი  
 მუსიკოსებისათვის  
 //ბაბიძე//116  
 რა არის ანიმე?//კარანაძე//118  
 იაპონია//კარელიძე//119  
 ქუჩის 3-D ხელოვნება  
 //ზუბუტია//122



## ცარიელი სივრცე

მომავლის პროფესიული გზა//სუხიშვილი//126  
 არამინიერი ცივილიზაცია: მითით თუ რეალობა//ალადაშვილი//130  
 ჰაკერთა შესანიშნავი შეკიდული//კარანაძე//134  
 ყველაზე პოპულარული საძიებო პორტალები//ქობულაძე//138  
 ვირტუსები ანტივირტუსების წინააღმდეგ//კარანაძე//142  
 მექერდის დასამალად თუ მექერდის გამოსაჩენად//სუხიშვილი//146  
 რა არის სამოთხე?//ზუბუტია//148

2010 წლის 26 მაისი. თბილისი//ანდლულაძე//32  
 რელამა პოლიტიკის სამსახურში//კარანაძე//36  
 კატინი-2//შეყლაშვილი//38  
 ტელეგრაფი, ხელოვნური თანამგზავრები და კოსმოსური  
 ნაგავი//შეყლაშვილი//42

ნანოტექნოლოგიური მომავალი//ბარამიძე//46  
 რუსებზე გავლია ახალი ზელანდიისაკენ//აზვლედანი//50  
 ქრისტენებია პუტინის თვალნინ დაპყროსა//ლელაძე//54  
 საბედისნერ დაშვება ოლიმპიურ ვანკუვერში//ბარამიძე//56  
 პაკური – ახალი გატაცება, ახალი სპორტი//ქობულაძე//60  
 ვინ და როდის გამოიგონა კომპიუტერის თავგვე?//კარანაძე//62

## რეალური სივრცე



## საკუთარი სივრცე



თბილისი – ჩვენი ქალაქი  
 //შეყლაშვილი//66  
 ჩვენი უნივერსიტეტი  
 //საიტიდან//70  
 სტუდენტის გზამკვლევი  
 //საიტიდან//71  
 რეტროსის მიმართვა  
 //საიტიდან//76  
 გრიგოლ რობაქიძე – სახელი  
 და ადამიანი//ჭანტურა//78  
 რობაქიძის „როკვით განვიხილის“  
 ნაკითხვის შემდეგ//ქობულაძე//80  
 ჩემი//კარელიძე//83  
 გრიგოლ რობაქიძის ანდერძი//83  
 ნაკურთხი ამორტიზატორი და სხვა  
 ამბები//მუჯირიშვილი//84  
 მე ახალგაზრდა ვარ: Yes:  
 //კარელიძე//85  
 გლობალურ-ვირტუალური  
 სოფელი ანუ ჩაანაცვლე,  
 გრიგორალე!//ჭაფოძე//90  
 დისტანციური სწავლების  
 პერსპექტივები//ჭაფოძე//93



## დასკამული სივრცე



## მასტერპლასის სივრცე

ია ანთაძე//როგორც იქნა, ომი ნავაგეთ//153  
 გიორგი გვახარია//,მამა, უცბად ვიგრძენი, რომ სულ მარტო ვარ „...“//156  
 ბიძინა მაყიშვილი//სპორტი//159  
 ნიკო ნერგაძე//დავითახე შიშველი (ჩაცმული ჯობდა) //161  
 მაღაზ ხარბედია//გამოსტერება//166  
 პატარა ქურდაძე//სექსუალურად კორექტული საზოგადოება//169  
 პატარა ნაცვლიშვილი//ნობელის პირველი ქართველი ნომინანტი//175



ლიკა ალადაშვილი  
ნუცა ანდლულაძე  
გიორგი ახვლედიანი  
სალომე ბარამიძე  
გიორგი ბერელიძე  
ნინო გიგაური  
გიორგი კარანაძე  
თამარ კარელიძე  
ქეთევან კობიაშვილი  
გიორგი ლელაძე  
ნუცა მუჯირიშვილი  
სალომე პაპიძე  
სალომე სუხიშვილი  
თამარ ქარდავა  
ანო ქობულაძე  
ანი შეყლაშვილი  
**სოფიო ჭანტურია**  
თათია ჭაფოძე  
შორენა ხუბუტია

## „იმედის“ რეპიონი

13 მარტი ის თემაა, რომელზეც წლების მერეც ისაუბრებენ და სალაპარაკო მაინც კიდევ ბევრი დარჩება. მე სხვათა აზრის გასაგებად და ჩემი მოსაზრების გასამყარებლად მასალები ინტერნეტში მოვიძიე, ბევრი კარგი რამ ვიპოვე, ბევრიც უვარესის. Facebook-ის საშუალებით დავეკონტაქტე ია ანთაძეს, ნათია კობერიძეს, **შორენა შავერდაშვილს**. ამათვან ზოგმა ირონიულად მიპასუხა, ზოგმაც დახმარების ხელი გამომიწოდა. მე ყველა მოძიებული მასალა „გაფილტრე“ და შევეცადე ჩემს მოსაზრებებთან ერთად საურნალო მასალად მექცია.

რა მოხდა 2010 წლის 13 მარტს 20:00 საათზე, იმედის გადაცემაში „სპეციალური რეპორტაჟი“?

„ბოლო ორი წლის განმავლობაში მომხდარი ფაქტების დამონტაჟებული კადრების საფუძველზე „ქრონიკის“ წამყვანი აცხადებს, რომ თითქოსდა სამხრეთ ოსეთის ლიდერის, ედუარდ კოკოითის წინააღმდეგ განხორციელდა ტერაქტი, საქართველოში არსებულმა ოპოზიციამ შექმნა ხელისუფლება, რომელთა ლიდერებმა რუსეთთან კავშირი დამყარეს, აჯანყდნენ, რუსეთის პრეზიდენტმა კი საქართველოს სრული ანექსიის ბრძანება გასცა.“

ეს ფოტო ოლეგ პანფილოვთან ვნახე ფეისბუქზე, ვთხოვე და ჩვენს ურნალისთვის მათხოვა. მგონა, რომ ეს წითელნისკარტა ჩიტი, სარკეში თავი არწივად რომ წარმოუდგენია, ძალან ჰგავს იმ ხალხს, ვინც „იმედის“ 13 მარტის იმიტირებული „ქრონიკა“ ჯერ მოიფიქრა, მერე დაგეგმა და ბოლოს განახორციელა (ს.ჭ.).

**შორენა შავერდაშვილი —**  
ურნალების „ცხელი შოკოლადისა“ და „ლიბერალის“ გამომცემელი და რედაქტორი,  
საზოგადოებრივი მაუნტებლის ბორდის წევრი.

შეფასების  
გაპროცესტება-კოლიზია  
კოლიზიად ჩათვლება ის სიტუა-  
ცია, როდესაც სტუდენტი თვლის,  
რომ მისი ცოდნა ამა თუ იმ დისცი-  
პლინის კონკრეტული ელემენტის  
ფარგლებში ობიექტურა არ შე-  
ფარგლება არ მიანია, რომ არსებობს  
ობიექტური ფაქტორები, რომელმაც  
განააირობა მისთვის მიუღებელი  
შეფასება.

**პროცესტი**  
კოლიზის შემთხვევაში სტუ-  
დენტს შეუძლია მიმართოს დასაძუ-  
თვული განცხადებით დეკანს.

პრეტენზიები მიღება შეფასების  
გაცნობილად 3 დღის ვადში.

ზეპირ გამოცდას შედეგის გა-  
რენტენის შემთხვევაში, არა უმ-  
ტეს 2 სამუშაო დღის შუალედით,  
დეკანის განჯარებულებით, ინსპექტა-  
ციურულტეტშე მომქმედი საატესტა-  
ციონ საბჭოს სხდომა.

იმ შემთხვევაში თუ საპროცესტო  
განცხადება ეხება ნება ნაშროვა,  
საატესტაციო საბჭოს შეუძლია ნაშ-  
რომი გაასაკვს ერთ ან ორ ექს-  
პროტესტურიზისთვის, რისთვი-  
საც განისაზღვრება არა უმტეს 3  
სამუშაო დღე.

საბჭოს სხდომაზე, რომელსაც ეს-  
წრება განმცხადებელიც, განიხილე-  
ბა ექსპრეტიზის შედეგები და მი-  
იღება შემდეგი გადაწყვეტილებე-  
ბიდან ერთ-ერთ:

ა) გამოცდაზე მიღებული შეფასე-  
ბის ძალაში დარღვევა;

ბ) გამოცდაზე დაწერილი ნიშნის  
კორექცია, რომელიც არ გაუარე-  
სებს სტუდენტის შეფასებას.

გადაწყვეტილება მიღებული  
რე წევრობი ბების უმრავლესობით.

სტუდენტი უფლებამოსილია აც-  
ილება მისცეს კომისიის რომელმე  
ნევრს.

ნებისმიერი პრეტენზის განხილ-  
ვის დროს საბჭო უპირატესდ ითვა-  
ლისინიებს სტუდენტის ინტერესებს  
და სადაც სტუდენტის იღებს გადაწ-  
ყვეტლებს მის სასარგებლობ (მხე-  
დველობაში მიღებული მისი საერთო  
აკადემიური მაჩვენებლები და სხვა  
ფაქტორები).

დადა შედგ გვდა

**იმიტირებული** გადაცემის თანახმად მოხდა საქართველოს პრეზიდენტის  
ლიკვიდაცია და თბილისში რუსეთის ჯარები შევიდა“.

„გადაცემა, როგორც ჩანს პოლიტიკური სატირის სახით იყო ჩაფიქრებული,  
თუმცა თხრობა იმდენად რეალისტური და შთამბეჭდავი გახლდათ, რომ  
მაყურებლები სიტუაციის გარკვევასაც აღარ შეეცადენ და შესაბამისი ზომების  
მიღება დაიწყეს. ტელეკომპანია „იმედის“ პროდიუსერებმა გადაცემა საღამოს  
საინფორმაციო გამოშვების სტუდიაში ჩაწერეს, ის მაყურებლისთვის ნაცნობ  
ნამყვანს მიყავდა“ (**New York Times**).

„გვინდოდა საზოგადოების უყრადღება ჩვენი ქვეყნის ნინაშე არსებულ  
საკითხებზე გაგვემახვილებინა და გვეთქვა, რომ ამ საფრთხეებისაკენ მიმავალ  
გზაზე უფრო ფრთხილად უნდა ვიაროთ“, – **გიორგი არველაძე**.

გაგვაფრთხილეს თუ დაგვაშინეს?

სიუჟეტში ნახენებია 7 ივნისი, ეს არის თარიღი, როდესაც უნდა გამოქვეყნდეს  
2010 წლის მერის არჩევნების შედეგები. ამ დღეს „იმედის“ სიუჟეტის თანახმად,  
მშვიდობიანი მოსახლეობის მიტინგი ირბევა. ე.ი გვაშინებენ პროტესტი არ  
გამოვთქვათ არჩევნების შედეგებზე?!

„მედია ვალდებულია, საზოგადოებას დაანახოს, რომ გვაქვს ორი პოლიტიკური  
მხარე – ერთი, რომელსაც სურს არჩევნები დემოკრატიული განვითარებისთვის  
და მეორე, რომელსაც ეს იმისთვის სჭირდება, რომ სიტუაცია არიდოს“, – ეს  
სიტყვებიც გიორგი არველაძეს ეკუთვნის.

„იმედმა“ თავისი ტელეპატიური ნიჭი უკვე გამოავლინა. სიმულირებული  
„ქრონიკის“ სიუჟეტში, პოლონეთის პრეზიდენტის თვითმფრინავის  
აფრენისთანავე იბომბება აეროპორტი. ამ სიუჟეტის ტელევიზიაში გასვლიდან,  
სულ რაღაც ერთ თვეში ავიაკატასტროფა იღუპება პოლონეთის პრეზიდენტი.  
ამ მომაბეზრებელ სიუჟეტთან დაკავშირებით თითქმის არც ერთ შეკითხვაზე  
დღემდე დამაჯერებელი პასუხი არ მიგვიღია“, – **ია ანთაძე**.

„ტიტრების გაშვებაზე ვიმსჯელეთ, მაგრამ საბოლოოდ გადაწყდა სიუჟეტი  
ტიტრების გარეშე გაგვეშვა და ამაზე პასუხისებების საკუთარ თავზე ვიღებ.  
არ გვინდოდა, რომ ეს გადაცემულიყო არასერიოზულ, ხელოვნურ და ცოტა  
დასაცინ გადაცემად. პირიქით, ვეცადეთ, მაქსიმალურად სერიოზული ხასითი  
ჰქონიდა თუმცა, იმდენად სერიოზული გამოვიდა, რომ აგრესიაც კი გამოიწვია“, –  
გიორგი არველაძე

„არ მომენტა, თუმცა, არ გამიპროტესტებია“, – **ნათია კობერიძე**:

ეს არის მარტივი პასუხები რთული სიმულირებული ქრონიკის  
„შემქმნელებისაგან“, რომელზეც კიდევ ბევრ ისაუბრებენ.

**იმიტაცია** [L. Imitatio] –

1. ზუსტი მბაძვა, მიმსგავსება (ვისიმე ან რისამე სმისა, მიხვრა-მოხვრისა და სხვ.);
2. არანამდვილი, მაგრამ ნამდვილს დამსგავსებული რამე. მაგ., ტყავის იმიტაცია. მარგალიტის იმიტაცია.

**The New York Times** – „ნიუ-იორკ ტაიმსი“ – პოპულარობით მესამე გაზეთა ამერიკაში, ისევე, როგორც სხვა დანარჩენი, ესეც შექმნილია, როგორც რეგიონული გამოცემა. დაარსდა 1851 წლის 18 სექტემბერს. უურნალისტ და პოლიტიკოლოგ ჰენრი რეიმონდის მიერ.

**გიორგი არველაძე** – „ოო, გიორგი არველაძის სტატუსი ჩემთვის ნამდვილად უცნობია. ახლა თქვენთვის მოვძებნე და ინტერნეტ-ტელევიზიაში წავანყდი: „ჯორჯიან იმედი პროდაქშენ გრუპის“ ხელმძღვანელი გიორგი არველაძე. თავს ვერ დავდებ, რომ ეს სტატუსი ზუსტია“ (ია ანთაძესაგან ავტორს).

**ია ანთაძე** – სიამოვნებით. ორიდან ერთ-ერთი, რომელიც გსურთ, შეგიძლიათ, გამოიყენოთ: „რადიო თავისუფლების“ უურნალისტი, სამიქალაქო განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელი. <http://www.tavisupleba.org/content/blog/1988273.html>

**ნათია კობერიძე** – „ჩემი სტატუსი არ ვიცი, მაგრამ ვარ ტელეურნალისტი და ასევე ვიცავ ხარისხს სერიაში პოლიტიკი. ვმუშაობ იმედში“ გადაცემის ავტორად და ნამყვანად“.

სტუდიები, თუ მას არ აქმაყოფილებს საატესტაციო საბჭოს გადაწყვეტილება, უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილების გაცნობილა 3 დღის ვადში.

რექტორი არა უგვიანეს 48 საათისა ქმნის დროებით საექსპერტო კომისიას არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით, რომლის მუშაობის რეგლამენტი განისაზღვრება მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე რექტორი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.



#### ინფორმაციით სარგებლობა

უნივერსიტეტში ძრითად საინფორმაციო წყაროების უნივერსიტეტის ეტ-გვერდი და სანიფრმაციო გაფაფი. ეს რეალურები მნიშვნელოვანია და სარულებელ უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების მართვისა და ამ მოვლენების სტუდენტთა მონაცენების თვალსაზრისით.

სტუდენტი ვალდებულია ოვალური ადგვინოს ორივე სანიფრმაციო წყაროს.

ყოველი სამართლებრივი აქტი, რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდას და/ნ საინფორმაციო დაფულზე, ითვლება. ძალიში შესულად, შესაბამისად, მოზეზი ინფორმაციის არცონის შესახებ არ ჩაითვლება სფურვლად ამ აქტებით დადგენილი ნორმიდან გადადომის გასამართლებლად.

#### ფინანსური დისციპლინა

სტუდენტს ფინანსური ვალდებულება წარმოეშვება მისი ჩაირცხვის დღიდან მთელი კალენდარული წლის პერიოდზე განვითარებით, ხოლო ეს ვალდებულება ესწენება სტუდენტის სტატუსის შეჩრების ან შეწყვეტის მომენტიდან.

საბუთების გატანის შემთხვევაში (ნებისმიერ მიზეზით) თუ სტუდენტს გადასდილი აქვს სწავლის და/ან დამტებოთი სერვისის საზღაური – უბრუნდება ამ საზღაურის

**პროტესტი** [ეგრმ. Protest] – რაიმე მოვლენისადმი უარყოფითი დამოკიდებულების, უკმაყოფილების ენერგიული გამოხატვა.

**ეზოპე** იგავარაკული ქანრის ფუძემდებელია. ბერძენია გადმოცემით, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა VI საუკუნეში ჩვენს ერამდე (620-560 წნ).

ეზოპე მეტად გონიერი ყოფილა. ერთი ძველი ქართული ხელნაზერით, იყი „უშეურაცხეს იყო უფროს ყოველთა კაცთა... მოოხრილ ბეჭითა და მოქცეული კისრითა და ცხვირითა მოხრილ“...

მაგრამ „რაოდენ იყო შეურაცხ და ხენგუ ხორცითა, ეგოდენ იყო იგი გონიერ გულითა და ყოვლის სატყვის მიგებად ფრიად მზა“. უმძიმესი იყო ეზოპეს ცხოვრებისა და შემოქმედების გზა. იგი არა ერთხელ გაუყიდიათ მონათა ბაზარზე. ეზოპემ აღმოაჩინა ჭეშმარიტი სიცილის საიდუმლოება. სეზოპეს იგავი სხარტი და ლაკონურია. იგი ორი ნანილისაგან შედგება. პირველია ფატულა, ცოცხალი მაგალითი, ხოლო მას მოსდევს დასკვნა – შეგონებითი ნანილი. ეზოპეს იგავები დღეისათვის თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე, მათ შორის – ქართულადაც.

ვინ უნდა გამოთქვას **პროტესტი**? საზოგადოებამ, რომელიც საღად აზროვნებს და დაინტერესებულია ქვეყნის მომავლით, უურნალისტებმა, რომლებიც საკუთარ პროფესიულ მოვალეობებს პირნათლად ასრულებენ თუ სახელმწიფომ, რომელმაც უნდა უზრუნველყოს თავისი ქვეყნის მოსახლეობის ინტერესების დაცვა! (საუბედუროდ, არც ერთი არ გვყავს!)

„მთავარი მაინც ქართული საზოგადოებაა, რომელიც სიუჟეტის შემდეგ ორ რადიკალურ ნანილად გაიყო. ერთი ნანილის აზრით, ისევ ტელემაზურებლის ბრალია, თუ მან ტყუილი და მართალი ერთმანეთისაგან ვერ გაარჩია და თავი პანიკაში ჩაიგდო. მეორე ნანილი კი პრეზიდენტის ფინიკურ ჯანმრთელბას აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ.“

„არ შეიძლება ყველაფერზე თვალის დახუჭვა, არ შეიძლება სუბიექტური მიზეზების გამო ასეთ შეცდომაზე საკუთარ ხალხზე „დებილის“ და „შეუგნებლის“ ძახილი. რა გგონიათ, იტალიელს, ფრანგს, ესპანელს იგივე რეაქცია არ ექნებოდათ?“

„უცხოელები სიუჟეტს უწოდებენ არა „უსიამოვნოს“ – როგორც მას საქართველოს პრეზიდენტმა უწოდა, – არამედ „უპასუხისმგებლოს“, – ია ანთაძე

„ეს არ იყო სპონტანური სიგიჟე, ეს იყო ნინასნარი, კარგად გამიზნული ბოროტი ჩანაფიქრი, რომელსაც ფსიქოლოგიური მოვლენები უნდა გამოეწვია. ადამიანს მეტად აშინებს გაურკვეველი სიტუაცია, ვიდრე უკვე მომხდარი ცუდი ფაქტი.“

„რაღა უნდა მოხდეს ჩვენს ტელესივრცეში იმაზე უარესი და შოკისმომგვრელი, რომელმაც საერთაშორისო იმიჯი შეგვიღაბა, რომელმაც ასეთი უმკაცრესი შეფასებები დაიმსახურა“... – ირაკლი სესიაშვილი

იმით, რომ „იმედმა“ მთელი საქართველო ეზოპე ცნობილი იგავის ბიჭისა და მგლის მდგომარეობაში ჩააგდო მან დაარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, მუხლი 13, პუნქტი 5:

ის ნაწილი, რომელიც დადგინდება კალენდარული წლის მი პერიოდზე გაანგარიშებით, ვიდრე გამოიცემა შესაბამისი ინდივიდუალური აღმინი-ისტორიულ-სამართლებრივი აქტი.

თუ სტუდენტის ფინანსური და-  
ვალიანება ნარმოება (დამატებითი  
სერვისის საზღაურის ჩათვალში)  
სტუდენტის სტატუსის შეჩერების  
ან გაუქმების შესახებ ინდიკიდუ-  
ალური ადმინისტრაციულ-საბართ-  
ლებრივი აქტის გამოცემამდე, იგი  
ვალდებულია დაფაროს საზღაურის  
ის ღინძობა, რაც დადგინდება ამ აქ-  
ტის გამოცემამდე პროლეტ გან-  
გარიშებით გაუთვალისწინებული  
ფინანსური პრობლემის შემთხვე-  
ვაში, სტუდენტმა დაყურნებლივ უნ-  
და მიმართოს განცხადებით რექ-  
ტორს დასაბუთებული არგუმენტე-  
ბით, ნინაღმდება შემთხვევის ავ-  
ტორიატურად შეკა ძალაში სტუდენ-  
ტის სტატუსის შეჩერების პროცე-  
დურა.

## სასწავლო რესურსით სარგებლობა

რესურსით სარგებლობისას იგი  
ალდებულია დაიცვას შესაბამისი  
სეპი.

ების დაზიანების/დაკარგვის შემცხვევაში სტუდენტს შეიძლება და-კისროს ფინანსური საზღაური ზა-ალის ანაზღაურებისათვის.

## გისურვებთ წარმატებას...

[http://www.gruni.edu.ge/docs/mtavari/sxvadasxva/bakalavrebis\\_gzamklevi.pdf](http://www.gruni.edu.ge/docs/mtavari/sxvadasxva/bakalavrebis_gzamklevi.pdf)

„აუდიტორიის შეცდომაში შეევანის თავიდან აცილების მიზნით მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ახალ ამბებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში დადგმებისა და ინსცენირების გამოყენებისგან, ან ნათლად უნდა განმარტოს, რომ ეს არის დადგმა ან ინსცენირება. დოკუმენტური ან რეალური ფაქტების ყოველი სამაუწყებლო რეკონსტრუქცია უნდა იყოს ნათლად მითითებული.“

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ტელეკომპანია „იმედს“ ამ დარღვევის გამო დაავალა მაყურებლისათვის ბოდიშის მოხადა 5 დღის განმავლობაში. აგრეთვე მას დაევალა განიხილოს თთოველი მოქალაქეს საჩივარი.

„იმდენად პოლიტიზირებულია ჩვენი მარეგულირებელი კომისია, რომ მოლოდინი სამართლიანი გადაწყვეტილებისა, გულწრფელად გითხრათ, არც მქონია“,-  
შორენა შავერდაშვილი

„ტელეკომპანია „იმედამ“ ამ შემთხვევაში არ გაუცრუა იმედები კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას. ის ზუსტად ჩატარდა ბოდიშის ფორმის მოსაფიქრებლად განკუთვნილ ხუთდღიან ვადაში და ერთწინადადებიან მორბენალ სტრიქონს, რომელიც იმიტირებული „ქრონიკის“ გასვლის შემდეგ პოპულარული ტელესერიალის „შუა ქალაქში“ მსვლელობისას ტრიალებდა და მოსახლეობას ბოდიშს უხდიდა, კიდევ რამდენიმე აბზაცი მიემატა“, – ნინო თარხნიშვილი

ტელეკომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ვკითხულობთ:

„შეუძლებელია სიტყვებით გამოვხატოთ ის, თუ რამდენად ვწუშვართ იმ შეშფოთებისა და ნერვიულობის გამო, რაც თქვენ, თქვენმა ოჯახებმა და მეგობრებმა განიცადეს 13 მარტის გადაცემის შედეგად. ტელეკომპანია „იმედი“ მხოლოდ საზოგადოებას და საქართველოს უკეთეს მომავალს იმსახურება. ვაკონბირებთ, რომ ჩვენი აათავებით იმუდრები ააგირებთ.

მიზნად არასოდეს დაგვისახავს, რომ ის მოვლენები, რომლებიც ნაჩვენები იყო ჩვენს პროგრამაში, აღქმულიყო სინამდვილედ. ყველა ჩვენგანი ტელეკომპანია „იმედში“ გამოთქვას სინაულს, რომ მოდელირებულმა რეპორტაჟმა ამდენ ადამიანზე, მათ შორის ჩვენს საკუთარ ოჯახებზე – ასე უარყოფითად იმოქმედა. ვწუთვართ, რომ ვერ გავთვალეთ მოვლენის მსგავსი


წერილში ძირითადად გამოყენებულია „რადიო თავისუფლების“ მასალები. გამოყენებულია აპროტო მასალები საიტშიცან:

[www.imedi.ge](http://www.imedi.ge)  
[www.isanmisferi.wordpress.com](http://www.isanmisferi.wordpress.com)  
[www.foringpress.ge](http://www.foringpress.ge)  
[www.facebook.com](http://www.facebook.com)  
[http://liberali.ge/node/1467.](http://liberali.ge/node/1467)

## რადიო თავისუფალი ევროპა / რადიო თავისუფლების

ჟურნალისტები ყოველ ღონის  
ხმარობენ, რათა მთელი  
მაუწყებლობა და კველა  
პუბლიკაცია (ინტერნეტით  
გავრცელებულის თავილით)  
ემყარებოდენ და ზუსტებულ  
ფაქტებს. თუ რომელიმე  
ფაქტის მინიჭებულოვანი  
დეტალები ეჭხსა ან  
უთანხმობას წნევეს,  
ინცორმაცია უნდა  
ემყარებოდეს, სულ ცოტა,  
ორ დამოუკიდებელ წყაროს.  
რადიო თავისუფლების  
ჟურნალისტები  
მაუწყებლობისთვის ან  
გამოსაქვეყნებლად არ  
იყენებინ მასალას, რომელიც  
დაუჭერდა მითქმა-მოთქმას ან  
დაუსაბუთებელ ინფორმაციას.  
ფაქტობრივი შეცდომები (თუ  
მანაც დაშვებულ იქნა) უმოკლეს  
ხაში უნდა გამოსწორდეს.

რადიო თავისიუფლება  
დამოუკიდებელი უნდა იყოს  
ნებისმიერი პოლიტიკური  
პარტიის, მმართველი თუ  
ოპოზიციური ჯაგუფისგან,  
ემიგრანტთა  
ორგანიზაციებისგან,  
კომერციული ან სხვა, კერძო  
ინტერესის შექონე  
ორგანიზაციისგან თუ  
რელიგიური უწყებისგან,  
იქნება ეს რადიო თავისიუფალი  
ევროპა რადიო თავისიუფლების  
სამაუწყებლო სივრცეში  
შემავალ ქვეყნებში თუ მათს  
საზღვრებს გარეთ, და არ უნდა  
ეწყოდეს კონკრეტული  
პოლიტიკური, ეკონომიკური  
თუ რელიგიური  
შეხედულებების მხარდაჭერასა  
და პროპაგანდას.  
[http://www.tavisupleba.org/info/about\\_us/338.html](http://www.tavisupleba.org/info/about_us/338.html)



## რეაქცია შემწვარ კვერცხზე

ლიკა ალადაშვილი  
ნუცა ანდლულაძე  
გიორგი ახვლედიანი  
სალომე ბარამიძე  
გიორგი ბერელიძე  
ნინო გიგაური  
გიორგი კარანაძე  
თამარ კარელიძე  
ქეთევან კობიაშვილი  
გიორგი ლელაძე  
ნუცა მუჯირიშვილი  
სალომე პაპიძე  
**სალომე სუხიშვილი**  
თამარ ქარდავა  
ანო ქობულაძე  
ანი შეყლაშვილი  
სოფიო ჭანტურია  
თათია ჭაფოძე  
შორენა ხუბუტია

Got Talant ბრიტანული ტელეპროექტია, რომელიც სამონ კოუელის კომპანია SIYO-მ შემუშავა და 30-ზე მეტ ქვეყანაში გადის. 2010 წლის 1 თებერვლიდან, ამ ქვეყნების ჩამონათვალს საქართველოც შეემატა. შოუს ჩვენთან „ნიჭიერი“ დაერქვა. აქამდე არსებულ სხვა ტელეპროექტებისგან „ნიჭიერი“ იმითაც განსხვავდებოდა, რომ პროექტის ორგანიზატორებმა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს სოციალური ქსელების მხარდაჭერა და აქტიურობა და შეიქმნა „ნიჭიერის“ ბლოგი ([www.nichieri.ge](http://www.nichieri.ge)), რომელიც პროექტის მიმდინარეობისას გამუდმებით ახლდებოდა და ერთგვარ ფორუმადაც კი იცცა საზოგადოებისთვის, საკუთარი შეფასებების, კრიტიკის, მოსაზრებების გასაზიარებლად. საზოგადოების მაღალ ჩართულობას, ისიც მოწმობს, რომ პროექტის ერთ-ერთი მონაწილის, მარიამ კახელიშვილის ვიდეოს 195000-ზე მეტი მნახველი ჰყავდა.

ბლოგის სრულფასოვანი მუშაობისთვის, მოინვიეს ბლოგერები, რომელთა შერჩევაც კონკურსის მეშვეობით მოხდა. ინტერნეტ-მარკეტინგს ხელმძღვანელობდა ინტერნეტ სივრცეში კარგად ცნობილი დოდკა (dodka.ge – dream is destiny), რომელიც იყო ამ პროექტის ტრანსმედია-პროდუსერი, მის მოვალეობაში შედიოდა პროექტის ცნობადობის უზრუნველყოფა მის


13 მარტის იმიტირებულ „ქრონიკას“, ტელეშოუებს და ზოგადად სატელევიზიო თემატიკას ეხება და ჩვენი ურნალის „მასტერელასის სივრცეში“ გამოქვეყნებული ია ანთაძის (გვ. 153), ნიკო ნერგაძის (გვ. 161) მალხაზ ხარბეგიას (გვ. 166) და პატა ქურდაძის (გვ. 169 და გვ. 170) ბლოგ-პოსტები.

## პალეტი



### ოცენებაახდენილი

„ნიჭიერის“ ინგლისურმა ორიგინალმა ერთი ნამდვილი ტალანტი აღმოჩინდა, და ჭეშმარიტ ვარსკვლავადაც აქცია. სუზან ბოილი – სოფლელი დედაკაცი, რომლის პირველ გამოჩენას სცენაზე ჟიური თავშეუკავებელი ირჩნიათ შეხვდა, მალე მოჟღამა ინგლისმა გაიცნო. უპირმა, მაგრამ მართლა ნიჭიერმა ქალმა არათუ გაიმარჯვა „ნიჭიერის“ კონკურსში, არამედ საკონცერტო ტურნეც გამართა და თავისი



დაწყებამდე, ბლოგის მართვა, პოსტების რედაქტირება, ვიდეოების დადება და facebook-ისთვის „ნიჭიერის“ ჯგუფის შექმნა, რომელიც, სხვათაშორის, 11600-მდე ფანს აერთიანებს. მხარდამჭერი ბლოგერთა სია ასეთია: landish (landish.ge), mchxapneli (doin.ge), piccolina (piccolina.ge), tiny (tiny.ge). თითოეული მათგანი ყოველი ტურის შემდეგ საკუთარ შეფასებებს აკეთებდა გადაცემაზე, მონანილებზე, ჟიურიზე და წამყვანებზე, ხმირად მათი შეფასებები გამოირჩეოდა სამწვავით და სრულიად განსხვავდებოდა ჟიურის შეფასებებისგან. ისინი ამას პროექტის ხელმძღვანელების მხრიდან სრული ჩაურევლობით ხსნიან.

რაც შეეხება პროექტის წამყვანებს და ჟიურის, ამ საკითხზე საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა იყო (forum.ge, nichieri.ge, roko.ge).

Knowiaallz: „ჟიურიში საშინლად მაღიზიანებს ცრემლების დედოფალი. რა უბედურებაა გაბადრული სახე, გულზე დადებული ხელები, სენტიმეტრალური გამოხედვა... ნიკა საჭირო კაცი, რეალურად აფასებს კონკურსანტებს, გეგა ფალავანდიშვილს რაც შეეხება, კრიტიკულად აფასებს მონანილებს და დასაფასებელია.“

საბა ბლოგერი ni-2.ge-დან: „ამ ბიჭის დაზეპირებულმა ფრაზეოლოგიამ მომკლა რა! „ეს შოუ იმითაა განსაკუთრებული... სამი კი გაქ, მარა 2 კიც გამსვლელია“... კარგი ნომრების მქონეთაც უხურებს, გასაგებია საიმონს ბაძავს, მაგრამ მთლად ვერ გამოსდის, ღილაკზე ხელის დაჭერით ერთობა და მკაცრი იმიჯის შენარჩუნებას ცდილობს. მაია, ნუ ეს ქალი ვერ გამოვიდა პროფილიდან, ფაქტიურად თავისი გადაცემა მიჰყავს.“

Vincxa: „რო დაფიქრდეთ, მაია იდეალურია ამ შოუსთვის, ამანდას აბსოლუტური ანალოგია (ბრიტანული ვერსიის ჟიური), ორივე ემოციურია აი, ადვილად რომ აღშფორთოვანდებიან (აღშფორთებას+აღფორთოვანება). შოუს ესე სჭირდება.“

„ნიჭიერის“ წამყვანებზე უფრო ერთსულოვანია საზოგადოება:

roko.ge: „შოუს ფორმატი ისეთია, რომ წამყვანების ტექსტი, ემოციები წინასწარ არ არის გათვლილი, იმ მომენტში ხდება ყველაფერი. მე თამამად შემიძლია ვთქვა, თიკამ და ვანიკომ ძალიან კარგად გაართვეს თავი, კარგი წყვილია, დიდი ხანია ქართულ ტელესივრცები ასე არ მომწონებია შოუს წამყვანები.“

mdzinara: „ნიჭიერები წამყვანები არიან, ვანიკომ გრელკაც გახეთქა და მანქანაც განია ხელით ტანი ტიპია ტ. თიკაზე აღარაფერს ვამბობ, ულამაზესია.“

3 მაისს „ნიჭიერის“ ფინალი გაიმართა, პროექტის გამარჯვებული ლევან შავაძე გახდა, რომელმაც შეასრულა ცნობილი სიმღერა „ხმალი ავლესოთ, ქართველებო“ გოგი დოლიძის რეპერტუარიდან. მისი გამარჯვება ბევრისთვის მოულოდნელი და ამასთან, მიუღებელი აღმოჩნდა. ამ თემასთან დაკავშირებით



04 იანვარი



ცერემონია და დასახური



სიმღერების დისკიც  
გამოშვა, რომელსაც  
ნიშანდობლივი სათაური  
„მე მქონდა ოცნება“  
დაარქვა. სუზან ბოილს  
იცნება აუხდა. სუზან  
ბოილის სახე და სახელი არ  
მოშორებია ტალენტრანსა და  
ურნალების ფურცლებს.  
იგი ინგლისელ და არა  
მარტო ინგლისელ  
მხატვართა შთაგონების  
წყაროდაც იქცა.

მას შემდეგ, რაც 2010 წლის  
1 თებერვალს ქართულ  
„ნიჭიერში“ პირველად  
იმღერა ცაგერელმა  
გულნაზი ვოლეოთანმა,  
ინტერნეტის აქტიურმა

თავი შვდება

დისკურსია არ წყდება სხვადასხვა სოციალურ ქსელში. ბლოგზე დაიდო პოსტი, სადაც „ნიჭიერის გუნდი პროექტის შესახებ“ საუბრობს, რომელიც, მე თუ მეიოთხავთ, მობოლიშებას, თავისმართლებას უფრო ჰეგავს:

„ახლა როდესაც პირველი სეზონი დამთავრდა და ჩვენ უკვე გვყავს გამარჯვებული, გაგვიჩნდა სურვილი თავადვე გაგვეცა პასუხი, თქვენს კითხვებზე. ბლოგზე 3 კომენტარიდან 2 ასე უდერდა: „ნიჭიერი“ თუ „ჯეოსტრარი“? თუმცა საბოლოო ჯამში, ქართული „ნიჭიერის“ ფინალი, ყველა არსებულ ანალოგზე მრავალფეროვანი გამოვიდა, 12 ფინალისტიდან:

6 სიმღერა,

1 ცეკვა,

1 ბიტ-ბოქსი,

1 პარკური,

1 ილუზიონისტი,

1 სამეჯლისო ცეკვა და

ერთიც გიტარისტი.

რაც მთავარია, პროექტმა მოახერხა და 12 ისეთი ფინალისტი შეკრიბა, რომლის გამოსვლის დროს მაყურებლის უმრავლესობა სწორედ მას გულშემატკივრობდა, ვინც კონკრეტულად იდგა იმ მომენტისთვის სცენაზე. მაყურებელთა ნაწილმა გადაწყვიტა, რომ ლევან შავაძე იმსახურებდა გამარჯვებას და ეს ხმების 28.2 პროცენტით გამოხატა აქტიურმა მაყურებელმა, რა თქმა უნდა, მაშინ, როცა დანარჩენი 71 პროცენტი სხვა ნიჭიერს გულშემატკივრობდა. არ გაგვკირვებია ბლოგის მეოთხეულების პროტესტი. რეალურად არ არსებობს ნიჭიერის ზუსტი მათემატიკური საზომი, რა ვერ გააკეთა ნებისმიერმა კონკურსანტმა ისე, რომ მასზე ვინმეს ეთქვა რომ არ იმსახურებს ერქვას ნიჭიერი? სწორედ ამიტომ, ხმის მიცემის ფორმა, არის სწორედ ის ოპტიმალური ვარიანტი, რაც პროექტს უნარჩუნებს დემოკრატიულობას, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანს – სახალხობას. ხოლო გამარჯვების ვინაობას არკვევს, ის სუბიექტური სიმპატია, რასაც მაყურებელი ხმის მიცემით გამოხატავს. ფაქტია, ყველა ვერ იქნებოდა შედევით კმაყოფილი და პროტესტი გარდაუვალი იქნებოდა.“

პროექტის ასეთი დასასრული, როგორც ჩანს, ბლოგერებისთვისაც მოულოდნელი იყო; ისინი კორექტულად, მაგრამ მაინც გამოხატავდნენ იმედგაცრუებას.

Mchxapneli: „პროექტის ფინალის FIN-ალური ნაწილის ალი, არც იმდენად მხურვალე აღმოჩნდა, რომ მაყურებელთა უმეტესობის გული დადებითად

**ბიტ-ბოქსი** პიპ-ჰოპის კულტურის შემადგენელი ნაწილია და ნარმოადგენს ერთგვარ სუნთქვით ვარჯიშებს, რომელშიაც მონაცილეობს პირი, ტუჩიბი, ენა და ყელი. ხმოვანი ჟღერადობით ხდება სხვადასხვა ინსტრუმენტის მმისა და სიმღერის იმიტაციაც კი. ერთ-ერთი ვერსიით, ბიტ-ბოქსი ნარმოიშვი ინდოეთში, ათასწლეულებს წინაა; შემდეგ ეს კულტურა ჩინეთშიც განვითარდა, მერე კი აფრიკის ზოგიერთმა ტოშმა ხელში და პირი დაიხმარა მუსიკალური ჟღერადობის შექმნაში; გვიანდელია აგრეთვე – ღრმად ამოსუნთქვა და ჩასუნთქვა, რაც დღევანდელ ბიტ-ბოქსში გამოიყენდა. 1980 წელს ბიტ-ბოქსი პიპ-ჰოპმა გამოიყენა მუსიკალური გაფორმებისთვის. პირველი რეპერ-ბიტბოქსელები იყვნენ Doug E. FRESH და Buffy.

**პარკური** იხ. ანო ქობულაძის პოსტი მე-60 გვრდზ.



გუგა ტურნი



ნუსალა რიჩის ნახატი

მოსახლეობამ იგი იმავე  
ლაქეს ბოილის ქართველ  
ტყუპისცალად მონათლა.  
საჭაპურის ჭამის კადრით  
იმთავითვე აშკარა გახდა,  
რომ „ნიჭიერის“ ქართველი  
ორგანიზატორები კარგად  
იცნობდნენ სუზან ბოილის  
ფენომენს და მისი ქართული  
ანალოგის შექმნას  
ესწრაფოდნენ.

აი, რამდენიმე პოსტი:

**ყვავშეთ:** ბრიტანულ  
ვარიანტში რომ იყო ქალი,  
იმის ზუსტი ასლია,  
ეს შემთხვევითია თუ  
სპეციალურად შეირჩა?

**თათი:** ძალიან მაგრად  
მღერის... ხაჭაპური :))

**მაია:** ხალხნო, რა  
გვაგოიმებს ეს რუსთავი-2,  
რა უბედურებაა, ყველა  
ქართველები იდიოტები  
ვგონივართ??? სირცხვილია  
ამ დადგმულ სპექტაკლზე  
რამე კომენტარის  
გაკეთება. თუ გონია სუზენ

თავი შედგ ვიდა

აეგიზგიზებინა, პირიქით შედეგი ისეთივე მოულოდნელი იყო ყველასათვის,  
როგორც უცხოელისათვის თხილის 9 ნაწილად გაყოფის ალბათობის დაშვება.“

დამაბნეველი შესავლის შემდეგ tiny-s მთავარი სათქმელიც ნათელია:

„კითხვები გაჩნდა, რატომ შეასრულეს იგივე სიმღერებიო და პასუხს გაგცემთ, –  
ეს არის პროექტის ფორმატი, ყველა მონაწილე, რომელიც ფინანში გადის,  
ასრულებს იმ ნომერს, რაც კასტინგში ან ნახევარფინალში შეასრულა. ნიჭიერის  
ხელმძღვანელებს მოუხდათ სპეციალური ნებართვის აღება, რომ მომღერლების  
გარდა სხვა მონაწილეებს მაინც ჰქონდათ ახალი ნომრის შემოთავაზების  
უფლება. არაფერს ვიტყვი სამეულზე, ეს იყო ხალხის გადაწყვეტილება და  
უბრალოდ მივულოცავ. საერთო ჯამში „ნიჭიერის“ ფინალი ნამდვილად იყო  
სატელევიზიო სივრცის ისტორიაში ყველაზე განსაკუთრებული.“

Dodka უფრო თამამი და გულწრფელია საკუთარი აზრის გამოხატვისას:

„ბოლო დროის მანძილზე ათობით ადამიანმა მკითხა: გაგიტყდა? პასუხი: კი.  
შემდეგ ბევრს ვფიქრობდი ამ თემაზე, სინამდვილეში მისი გამარჯვება არ  
გამიტყდა, სხვა რამ იყო გულდასაწყვეტი:

- 1) ის, რომ ნაცარაშვილი, ხანჩალიანი და რობაქიძე ეს სამი ფენომენალური  
ადამიანი სამეულშიც ვერ მოხვდა.
- 2) ის, რომ ამდენი ვინვალეთ, ასე დავიხარჯეთ, ასეთი შოუ დაიდო ქართულ  
ტელესივრცები, ამდენი განსხვავებული ნომერი... და ხალხმა ისევ ის აირჩია,  
რასაც წლებია ირჩევს. არ ვიცი, როგორ გადმოვცე. აი, კვერცხს, რომ შეწვავ და  
სტუმრებს გაუმასპინძლდები, მეორე დღეს კი ხინკალს, ნიგვზიან ბაღრიჯანს,  
სოკოს კეცზე რომ დადებ სუფრაზე და სტუმრებს იგივე რეაქცია რომ აქვთ,  
რაც შემწვარ კვერცხზე ჰქონდათ!“

კარგად თუ დააკვირდებით მათ პოსტებს, ბლოგერებს თავიანთი ფავორიტებიც  
ჰყავთ, რომელთა შემადგენლობაც, თავის მხრივაც განსხვავებულია ბლოგზე  
გამოქვეყნებული გამოკითხვისაგან:

1. ანა ხანჩალიანი – 23 პროცენტი;
2. მარიამ კახელიშვილი – 17 პროცენტი;
3. დავით რობაქიძე – 16 პროცენტი.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 13070-მა ადამიანმა.

რაც შეეხება ბლოგერთა ფავორიტებს:

„ანა ხანჩალიანის მიმართ ნათქვამი ნიკას სიტყვები, მეგონა უკანასკნელი  
თეთრები გავიღე საყვარელი მომღერლის კონცერტზე დასასწრებადო, იმ  
მომენტში ალბათ იყო ყველა იმ ადამიანის ემოცია, ვინც კარგად იცის მუსიკის



გულწრფელი ბერებიანა



მარიამ კახელიშვილი



ბიოლი არ გვინახავს? კოპირება ბრიტანული ნიჭიერის ანუ 'ბრიტანის გოთ ტალანტის'. ეს უნამუსო ჟიურიც კი იგივე რეაქციებს თამაშობს. გირჩევთ ნახოთ britain's got talent და გააკეთოთ თქვენი დასკვნა. მართ ძან მაგარია, მაგრამ ეს ხაჭაპურის გადალება რა იყო კითხმა? ნარმატებას ვუსურვებ ამ ქალს. მართლა ნიჭიერია.

**ნანა:** რუსთავი-2 ისე შეეჩინა ტყუილებს, რომ მართლაც ნიჭიერ საქართველოში გულნაზ ბოილით „გვაბოლებს“. ჩემ მართ, ხაჭაპურიც მათი იდგა არ არის. უბრალოდ, სუზენ ბოილიც ჭამდა გამოსვლამდე და სრული კოპირება გააკეთებინეს.

საბოლოოდ როგორ დამთავრდა ყველაფერი, ყველამ კარგად დაინახა.

აშკარად გამოჩნდა არა მხოლოდ სხვაობა, რომელიც არის გულნაზი გოლეთიანმა და სუზენ ბოილს შორის, არამედ სხვაობა, რომელიც არის საქართველოსა და ინგლისის ტელევიზიებს შორის და საერთოდ – საქართველოსა და ინგლისს შორის.

ფასი. არ ვიცი, ანა როგორ ახერხებს, მსმენელში ამხელა ემცია გამოიწვიოს. გაოცებული ვარ და გულდაწყვეტილი სამეულშიც ვერ მოხვდა.“

„თამამად ვამბობ, რომ დავით რობაქიძის ნომერი საუკეთესო იყო ფინალურ შოუზე. გენიალურად იყო გაკეთებული ნომრის მთავარი, ფოკუსის შემსწავლელი სემინარის, შენელებული კადრი. გული დამწყდა, რომ სამეულს შორის მაინც არ იყო.“

„მე რომ ავთო ნაცარაშვილის დაკრული შევაფასო, მოგვიანებით, მინიმუმ სინდისმა უნდა მქეჯნოს. სინდისი კი ყველაზე დიდი ინკვიზიტორია.“

„გუგა ჭყონიამ ფინალში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძალიან ნიჭიერია. სცენაზე ათი ინსტრუმენტის და მომღერლის მაგივრად ერთი ადამიანი დგას და ასე ნარმატებით უკარგავს ფუნქციებს, ინსტრუმენტებსაც და მომღერალსაც.“

„Next level“-ის სამიერ ნომერი საუკეთესო იყო, მთელი შოუს მანძილზე. რთული მოძრაობები და საოცარი სინქრონი აქვთ. ისინი პირველები არიან ამ ჟანრში.“

დღეში ასობით კომენტარი იდებოდა, როგორც „ნიჭიერის“ ბლოგზე, ისე facebook-ის ჯგუფზე. მათი უმრავლესობა კატეგორიულობით გამოირჩევა, აკრიტიკებენ, აღშფოთებას გამოთქვამენ, გული სწყდებათ, უმცირესობა ულოცავს მხოლოდ...

გივი: „ამაზე უკეთ ვერავინ იტყოდა, რომ ქართველები უნიჭოები ვართ!“

თინ: „ერთა დამბლადაცემული, ველარ ხვდება ხალხი, რა არის კარგი და რა ცუდი. ხალხს, რომელსაც მაია ასათიანი მოსწონს, სწორ გადაწყვეტილებას სთხოვ შენ?!“

კოლეგანი: „ნიჭიერი, არა ხა, ფთუ!“

Dugliko: „საქართველოში ვერასოდეს გამოვა მსგავსი პროექტები კარგი, ისევ სუფრული სიმღერები მოსწონს ხალხს, შავაძის და გულნაზის ნაირად ბევრი მღერის რესტორანში, ავთომ უსამართლოდ მიიღო 2%.“

fen Sui ტტტ: „გაგარტყით პატრიოტიზმში – ანა ხანჩალიანი საუკეთესო იყო.“

მატარაზო: „ხალხის რჩეულია, რას ვიზამთ, როგორც სჩანს, ერი კიდევ ამ სტადიაზეა, ყველაფერი იმად ღირდა ეს ადამიანები: ავთო, დათო და მარიამი რომ აღმოეჩინა პროექტს.“

ელენე: „ნუ ხართ შურიანები, შეარგეთ კაცს და მიულოცეთ. მიგეცათ ხმა თქვენი ფავორიტისთვის და აღარ იწუნებდით.“

თამი: „ხალხს ზუსტადაც მოენატრა ნამდვილი ქართული სიმღერა! ვულოცავ ლევან შავაძეს!“





#### სალომე სუსიშვილი

ჩემზე ასე წერენ: „დიქტატორი, ცენზორი. ამ ორი სიტყვის ხსენება საქართვისა, რომ მივჰედეთ, ვისქეა საუბარი...“

ამის გარდა სალომე ერთგულია, ულფია, ისეთი, ნებისმიერ დროს მზად როა კოლეგას დაგეხმაროს. კიდევ იდეალისტია და მეოცნებე, თუმცა არა იმ ადამიანივით, რომელიც სამ სართულიანი სახლის მეცხრე სართულზე ცხოვრობს.

რა შემიძლია დავამატო, უკვე იმდენი ითქვა...“

ჩემს „სუსტ“ მხარეებს რაც შეეხება: მიყვარს ნალექანი ყავა, parov stelar, შოკოლადი და ბრაზილიის გუნდს ვეულშემატკიცრობ ამ ჩემპიონატზე

დასასრულს ისევ ბლოგის ერთ-ერთ მკითხველის ზემფირა-ს კომენტარს მოვიშველიებ:

„რა სურათი იქნებოდა იმ შემთხვევაში თუ სხვა კონკურსანტი გაიმარჯვებდა? გასაკრიტიკებელს მაინც ნახავდით რამეს. ხანჩალიანი გაიმარჯვებდა – კახელიშვილი ჯობდა, კახელიშვილი გაიმარჯვებდა – ხანჩალიანს არ გაამარჯვებინეს, არადა ის ჯობდა! ავთო ნაცარაშვილი – აქ თავს ნამოყოფდა მასის ის ნაწილი, რომელიც სელინ დიონს უსმენს, ეს რა იყო რაღაცას უბარტყუნებდა გიტარაზე. ნექსთ ლეველი – ნიუ სტაილი ჯობდა, ძალით გაიყვანეს ბლა...ბლა ბლა! ფაჩულია – დედა არ ჰყავს და შეეცოდათ, დავით რობაქიძე – კი კარგია, მაგრამ ნიჭიერი მაინც სხვა არი რა... გულნაზი გაიმარჯვებდა, პროდუსერებმა გააკეთეს სუზან ბოილი.“

რაც შეეხება მათ შორის პარალელს, მართლაც უამრავი აზრი გამოითქვა, პროექტის ავტორების მცდელობაზე, სუზან ბოილად ექციათ გულნაზი გოლეთიანი. იყო პარალელები ხაჭაპურის ჭამაზე, უიურის ემოციაზე, პროვინციულ ნარმომავლობაზე.

Mchxapneli: „თუნდაც „დადგმის“ მიუხედავად, ბევრი არ დაუკარგავს გულნაზის ნომერს, პირიქით, მოიპოვა (დიდი ინტერესი), ანუ პროექტით დააინტერესა ის ადამიანები, ვისაც ნანახი არ პქონდათ გადაცემა და იმის გამო უყურა, რომ მეორე დღეს ბევრი ლაპარაკობდა ქართველ სუზან ბოილზე.“

ვერ უარყოფი, რომ გულნაზი გოლეთიანი კარგად მღერის და შთამბეჭდავი გამოსვლაც ჰქონდა, მაგრამ გამარჯვების შემთხვევაშიც, როგორც ხდება ხოლმე, მეორე სეზონის დაწყებამდე თუ ემახსოვებოდა ხალხს. საქართველო დიდი ბრიტანეთი ხომ არაა, საკუთარი ტალანტები დააფასოს, როგორც საჭიროა. სუზან ბოილი თავისი ქვეყნის ნამდვილ ვარსკვლავად იქცა – კონცერტტები, ალბომები, ტურნეები. 2009 წელს მისი რვა მილიონ სამასი ათასი დისკი გაიყიდა.

Zemfira: „მოკლედ, ძალიან კარგი რომ გაიმარჯვა შავაძემ, ვულოცავთ ტრიუმფი რესპექტები მის გულშემატკივარს, ასე უხმაუროდ გაამარჯვებინეს.“

დაბოლოს, გთავაზობთ ჩვენს ბლოგზე ([impulsegroup.blogspot.com](http://impulsegroup.blogspot.com)) გამოკითხვის შედეგად გამოვლენილ ჩვენი ჯგუფის ფინალისტთა სამეულს:

1. დავით რობაქიძე;
2. გუგა ჭყონია/ავთო ნაცარაშვილი (ხმების თანაბარი რაოდენობით);
3. ანა ხანჩალიანი



ელია ალაგარიძე



გადაფენის თამაშები:  
სიცა ჭავჭავაძე და  
ვალე თარანიშვილი





## ვის უცდა გახდეს ქველმოქმედი?

ლიკა ალადაშვილი
ნუცა ანდლულაძე
გიორგი ახვლედიანი
სალომე ბარამიძე
გიორგი ბერელიძე
ნინო გიგაური
გიორგი კარანაძე
თამარ კარელიძე
ქეთევან კობიაშვილი
გიორგი ლელაძე
ნუცა მუჯირიშვილი
სალომე პაპიძე
სალომე სუხიშვილი
თამარ ქარდავა
ანო ქობულაძე
ანი შეყლაშვილი
სოფიო ჭანტურია
თათია ჭაფოძე
შორენა ხუბუტია

სატელევიზიო ინტელექტუალური გასართობი შოუ „ვის უნდა ოცი ათასი“ 2009 წელს „რუსთავი-2“-ის ეთერში განახლებული ფორმატით და ახალი წამყვანით დაპრუნდა. „ეს არის ინტელექტუალური გადაცემა, რომელიც გონების გავარჯიშებას ეხმარება“. რეალურად სწორედ ესაა მისი ფუნქცია. ყოველ შემთხვევაში, ინგლისური პროექტი ამისთვისაა შექმნილი და ქართულ ტელესივრცეში აქამდე არსებული ამავე სახელწოდების ანალოგიც ამ მიზნის მატარებელი იყო. თუმცა 2009 წლის სატელევიზიო სეზონში პროექტი განსხვავებული ფორმატით დაპრუნდა, რომლის თანახმად მოთამაშე სპეციალურად შერჩეული ცნობილი ადამიანია, რომელსაც ერთადერთი მიზანი ამოძრავებს – ითამაშოს სხვა ადამიანისთვის, რომელსაც თანხა ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებისთვის სჭირდება (გადაუდებელი ოპერაცია, სწავლის დაფინანსება, სახლის აშენება და ა.შ.). ასე რომ, მოთამაშეს აქვს კონკრეტული ამოცანა – მოიგოს საქველმოქმედო თანხა. გადაცემის ეთერში გასვლის დროს პარალელურად შემოდის თანხა სატელეფონო ზარების მეშვეობით, რომელიც თამაშის დროს მოგებულ თანხასთან ერთად გადაეცემა პროექტის ავტორთა მიერ შერჩეულ პიროვნებას.

საზოგადოების სხვადასხვა ნაწილში ამ პროექტისადმი დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია. ხშირად საუბრობენ, რომ შოუში მოხვედრა ნაცნობ-მეგობრების გარეშე საკმაოდ რთულია. თბილისის მკვიდრი ქალბატონი ნანა ლეჟავა ხუთი თვის განმავლობაში ცდილობდა, მისი შვილი ნიკუშა კასიევი პროექტში მოხვედრილიყო, მაგრამ უშედეგოდ.





### თამარ ჩარდავა

დაეგიანა 1990 წელს ლენტეზის რაიონში. მყავს მშობლები და ორი და. დავამთავრე კერძო სკოლა „გრო“ და ამჟამდ ვსწავლობ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტ „ალმა-მატერი“, ტელე-რადიოუნივერსალისტიკის ფაკულტეტზე. ამ ფაკულტეტზე მოხვდება ჩემთვის მოულონდნელი იყო. მართალია მანამდე ეს პროფესია ძალიან ადვილად მეჩვენებოდა, მხიბლავდა ტელეერანზე გამოჩენაზე ფიჭი, თუმცა ამ ორი წლის ძილზე მივხდა, რომ ეს პროფესია არის ერთ-ერთი ურთულესი.

ჩემი ყველაზე დიდი სურვილია ამ დროისათვის რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიღიღო ურნალისტის პროფესიზე, შევიძინო როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული გამოცდილებაც.

მაინტერესებს ფსიქოლოგების აზრი, რჩევები თუ რეკომენდაციები ურნალისტების შესახებ. მინდა, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოვიძო და გავეცნა.

ჩემი ინტერესთა სფეროში ასე - ვე შედას ინგლისურ ენის სწავლა, რადგან დღევანდელ დღეს ამ ენის ფორმაცია აუცილებელია.

ნანა ლეუჯავა: „ცერებრალური დამბლის უმძიმესი ფორმით დაავადებულ ჩემს ვაჟს არ შეუძლია მოძრაობა, დაქვეითებული აქვს სმენა და მხედველობა. იგი მუდმივად საჭიროებს ძეირადღირებული მედიკამენტების მიღებას, ჩვენ კი სილარიბის ზღვრს მიღმა მყოფ ფენას ვეკუთვნით და ამის საშუალება არა გვაქვა. როდესაც „რუსთავი 2“-ზე საქველმოქმედო შოუ დაიწყო, იმედი გამიჩნდა, ტელეკომპანიას თხოვნა-მუდარის ნერილიც მივწერე. თვენანევრის შემდეგ დაგვიკავშირდა უურნალისტი, დაწვრილებით გამოიკითხა ნიკუშას მფგომარეობა და დაგვპირდა, რომ მოვიდოდა გადამღები ჯგუფი. მათ ორი თვე ამაოდ ველოდით, შემდეგ ისევ მივწერე. პროექტის პროდიუსერმა თეა ყიფშიძემ ნერილობით მაცნობა: ჩვენ ისეთ ბავშვებს ვეხმარებით, რომლებსაც აქვთ გამოჯანმრთელების რეალური შანსი“.

ზოგიერთი იმასაც ეჭვევეშ აყენებს, არის თუ არა ეს ქველმოქმედება უანგარო. კომპანიები „მაგთა“ და „კეოსელი“ გადაცემაში განხორციელებული ზარებიდან შემოსული თანხის 18 პროცენტს იტოვებენ დღგ-ს სახით. დარჩენილი თანხა გადაეცემა „რუსთავი 2“-ს, რომელიც თავის მხრივ 15 პროცენტს იტოვებს. ეს პროექტი ინგლისურია, რომლის ლიცენზია ტელეკომპანიას იჯარით აქვს აღებული და ამ 15 პროცენტს სწორედ ბრიტანელებს უხდის. ამას ემატება 20-პროცენტიანი საშემოსავლო დაბეგვრა და ადამიანს, ვისთვისაც მოგებული და შემოსული თანხა განკუთვნილი, რეალურად მისი მხოლოდ 47 პროცენტი რჩება. არის მეორე მხარეც, ანუ გადაცემის ახალი ფორმატი: რამდენად შეიძლება ინტელექტუალური პროექტი გადავაქციოთ საქველმოქმედოდ? ქველმოქმედება რომ მისასალმებელია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ამისთვის ალბათ სპეციალური გადაცემები უნდა არსებობდეს. იმის თქმის უფლებას, რომ პროექტი წარუმატებლად დაბრუნდა, მაძლევს ქართულ ინტერნეტსივრცეში არსებული მასალები ამ თემის ირგვლივ. დამოკიდებულება თითქმის ერთგვაროვანია...


„ვის უნდა 20 000 დაბრუნდა“, თუმცა წარუმატებლად გადაცემის წარუმატებლის მიზეზების ძებნას დიდი კვლევა-ძება არ სჭირდება, როცა გასართობ გადაცემას უცვლი ხასიათს, თამაშის მთავარ გმირს უცვლი მოტივაციას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სახელი მაინც შეეცვალათ და დაერქმიათ „ვის უნდა გახდეს ქველმოქმედი“. მართლაც რომ, ასე, რადგან აქ საუბარი არა სურვილზე არამედ საჭიროებაზეა, ამ ადამიანებს ეს თანხა აუცილებლად ესაჭიროებათ და თანაც 20 000 არაფერ შუაშია რადგან თითოეულ სტუმარს ინდივიდუალური თანხა სჭირდება. ასე რომ, საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ როდესაც გადაცემას უცვლი მიზანს, ის საზოგადოებაში კარგავს ინტერესს, რაც განსაზღვრავს ამ გადაცემის დაბალ რეიტინგს. ¶

გამოყენებული რესურსები:

[www.freelandia.wordpress.com](http://www.freelandia.wordpress.com)

[www.rustavi 2.com](http://www.rustavi 2.com)

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“





ლიკა ალადაშვილი

ნუცა ანდლულაძე

გიორგი ახვლედიანი

სალომე ბარამიძე

გიორგი ბერელიძე

ნინო გიგაური

გიორგი კარანაძე

თამარ კარელიძე

**ქათევან კობიაშვილი**

გიორგი ლელაძე

ნუცა მუჯირიშვილი

სალომე პაპიძე

სალომე სუხიშვილი

თამარ ქარდავა

ანო ქობულაძე

ანი შეყლაშვილი

სოფიო ჭანტურია

თათია ჭაფოძე

შორენა სუბტია

## ანა გოგუაძე: პანდუსი, ჩქარა!!!

სტატისტიკას თუ დავუჯერებთ, საქართველოში 200000 ინვალიდი ცხოვრობს. მათგან რამდენი პროცენტი ახერხებს საკუთარი თავის რეალიზებას, რთული სათქმელია, თუმცადა რიცხვი რომ სამწუხარო იქნება, ეს ცხადია...

„ადამიანის სული, გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული“, –... **ნოდარ დუმბაძისეული** მარადისობის კანონი ანი გოგუაძისთვის იმპულსად იქცა.

მიუხედავად შეზღუდული უნარისა, ანი (ასე უწოდებენ მეგობრები) აქტიურად მუშაობს ფოტოგრაფიაში და მეგობრის სტუდიაში იღებს შეკვეთებს.

2004 წელს იგი ინტერნეტ-კონკურსის ერთ-ერთი დიპლომანტი გახდა – მისმა გაზაფხულის ფოტომ მოწონება დამსახურა... სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი: გამოფენები, ფოტოპროექტები, საქველმოქმედო აქციები, მოკლედ ყველაფერი ის, რაც ბევრი უნარიანი ადამინის ცხოვრებაშიც არ ყოფილა.

18 წლიდან მუშაობს. ჯერ „მწვანე ტალღა“ იყო, შემდეგ „რადიო 106“.


პარალელურად ფოტოხელოვნებასაც არ თმობდა. ახლაც ესაა მისი შემოსავლის წყარო...

**ნოდარ დუმბაძე** – გამოჩენილი მწერალი. ავტორი რომანებისა „მე, ბება, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „გზა მშვიდობისა, ჯაყო!“, „მარადისობის კანონი“ და სხვა. წადი <http://lib.ge/authors.php?77>

ფოთოები:  
ანა გოგუაძე,  
თეოფილე და იყა.



ამ გვერდზე: ანა გოგუაძის  
ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი  
ფოტო მისივე პორტრეტების  
გარემოცვაში.





ერთეული კონიაშვილი

9 თვეს არ დაველოდე, რა მინ-  
დოდა ამდენ ხანს იქ? ჰოდა, ერთ  
მშვენიერ დღეს, 1990 წლის 31  
მარტს ქვეყანას მოევლინ „მე“.  
ყველა გიროტვლით „ბიჭი“, რა-  
ტომლაც გოგონა დავიბადე. მამა  
ყველაზე რთულად შეეგუა ამ  
ფაქტს. სწორედ ამიტომცაა, რომ  
ბავშვების სურათი არ მაქვს ისე -  
თი, სადაც გოგოს ვეგარ ტპრ -  
ველ კლასშიც ასეთი – შარვალ-  
კოსტუმინი და „ნანეტანი“ მივე-  
დი. სარკის ნინაც მზოლოდ იმიტ-  
ობ ვდგებოდი, რომ ხელში კოშზი  
ამძლო და ახალი ამბები გამცნო  
ჩერი „აუდიტორიისთვის.“

მანიტერესებს ყველაფერი ჩე-  
მი პროფესიის შესახებ, მაინტე-  
რესებს როგორია ნარმატებული  
ჯურნალისტის ცხოვრება, შემოქ-  
მედებითა პროცესი – დაფასებუ-  
ლი და შეფასებული.

მაინტერესებს ფოტოგრაფი-  
აც, თუმცა თავად ნაკლებად გა-  
მომდის; ასევე სხვადასხვა მიმდ-  
ინარების მუსიკა.

სიამოვნებით დავაგემოვნებდი  
ყველა ქვეყნის საფორმო კერძს.

სიამოვნებით ჩავატარებდი გა-  
მოკითხვებს თემებზე: ადრესული  
ქორნინგბა, სულიერ ცხოვრება,  
111 არასრულფასოვნების კომპლე-  
ქსი, სიკვდილის შეში.



თავა შევა



2009 წელს მას ჰქონდა ყველაზე მასშტაბური ფოტოპროექტი „მე ანია“, რომლის  
მთავარი მესიჯი იყო „**პანდუსი** ყველა ასასვლელს!“ მან ახალგაზრდა, ლამზი  
მოდელი ქალბატონები ინვალიდის ეტლში ჩასვა და გააპროტესტა სახელმწიფოს  
ინდიფერენტული დამოკიდებულება უნარშეზღუდულთა მიმართ.

იმ იღბლიანი ინტერნეტ-კონკურსიდან მოყოლებული, ინტერნეტს დიდი ადგილი  
უჭირავს მის ცხოვრებაში და მომხრეა ყველა იმ ღონისძიებისა, რაც ინვალიდების  
ინტერნეტიზაციას შეუწყობს ხელს. თუმცა არ ეთანხმება იმას, რომ სახლში  
გამოიკეტონ ეს ადამიანები. არც სულ ახალთახალ დისტანციურ სანავლებას უჭერს  
მხარს, რადგან სახლში ჯდომა ყველაზე დიდი სასჯელია მისთვის. ¶

**პანდუსი** – (აქ) ასასვლელი  
ინვალიდების ეტლისათვის.

**დისტანციური სანავლება** –  
ეს მეთადი დღესდღეობით  
მხოლოდ რამდენიმე უმაღლეს  
სასწავლებელში, მათ შორის  
წმ. ანდრია პირველოდებულის  
სახელობის ქართულ  
უნივერსიტეტში ინირგება.  
აქ უკვე შუმეშავებულია  
დისტანციური სანავლების  
სკოლის პროგრამა.

– ყველაზე მიმზიდველი ისაა,  
რომ შეგიძლია 1,32 ნუთში  
გახდე ამ სკოლის მოსწავლე,  
უსასყიდლოდ და სრულიად  
უფასოდ. საიტზე  
დარეგისტრირების  
შემთხვევაში კი გაკვეთილებს  
ონლაინ-ტელევიზით  
მოისმენ... – ამბობს პროგრამის  
ხელმძღვანელი გია შერვაშიძე-  
ის. აგრეთვე თავია ჭავია ჭავიძის  
პოსტი 93-ე გვრდზ და  
<http://www.sangu.ge/0/index.php>



## სამძიმარი ქართულ ენას

ლიკა ალადაშვილი
ნუცა ანდლულაძე
გიორგი ახვლედიანი
<b>სალომე ბარამიძე</b>
გიორგი ბერელიძე
ნინო გიგაური
გიორგი კარანაძე
თამარ კარელიძე
ქეთევან კობიაშვილი
გიორგი ლელაძე
ნუცა მუჯირიშვილი
<b>სალომე სუხიშვილი</b>
სალომე სუხიშვილი
თამარ ქარდავა
ანო ქობულაძე
ანი შეყლაშვილი
სოფიო ჭანტურია
თათია ჭაფოძე
შორენა სუბუტია

„რადიო თავისუფლების“ საიტზე [tavisupleba.org](http://tavisupleba.org) ვკითხულობთ:

„თბილისო, მე რომ შენთან მოვედი,  
სიყვარულით ვიდექ მდუმარი  
მეც უნდა ვიყო შენი პოეტი,  
მე არ ვიქნები შენი სტუმარი.

ასე მიმართა საქართველის დედაქალაქს, ნახევარი საუკუნის წინათ, ჩვენმა  
დღევანდელმა იუბილარმა, რომელიც უკვე კარგა ხანია ღირსეული პოეტი  
გახდავთ არა მარტო თბილისისა, არამედ მთლიანი საქართველოსი.

წინათაც და დღესაც ყოველი ჭეშმარიტი ქართველი პოეტი საქართველოთია  
დაავადებული:

— ღმერთო სამშობლო მიცოცხლე,  
ძილშიაც ამას ვდუდუნებ! — წერდა ვაჟა.  
— დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა  
და საქართველოს მედგას უღელი! — წერდა ტიციანი.

მუხრან მაჭავარიანი დაიბადა  
საჩხერის რაიონის სოფელ  
არგვეთაში 1929 წელს. 1954  
წელს დაამთავრა თბილისის  
უნივერსიტეტის ფილოლოგიის  
ფაკულტეტი, იყო ქურნალების  
„პიონერის“, „დილის“,  
„საუნჯის“ მთავარი  
რედაქტორი; სხვადასხვა დროს  
არჩეული იყო საქართველოს  
მწერლთა კავშირის  
თავმჯდომარედ,  
საქართველოს უზენაესი  
საბჭოს წევრად, საქართველოს  
პარლამენტის წევრად.

პირველი ლექსები 1952 წელს  
გამოაქვეყნა. მისი პირველი  
წიგნი „ლექსები“ 1955 წელს  
გამოიიდა.

## ოფიციალური

### იცოდი?

\*\*\*

ერთხელ მარკ ტვენტია  
ანონიმური წერილი მიიღო,  
რომელშიც მხოლოდ ერთი  
სიტყვა — „ლორი“ — ეწერა.

„ნინონიმურ წერილებს მე  
საერთოდ ხელმოწერის გარეშე  
ვიდება“, — პრესის საშუალებით  
უპასუხა ანონიმს მეტარამბა, —  
„მაგრამ გუშინ, ჩემდა  
გასაკვირად, მხოლოდ  
ხელმოწერა მივიღე.“

\*\*\*

„ტაქტი — ეს არის ხელოვნება,  
აფიქრებინო სხვებს, რომ მათ  
თქვენზე მეტი იციან“, —  
აშპობდა, რაიმობდ  
მორტიმერი.

\*\*\*

ერთმა დამწყებმა ავტორმა  
ო'ჰენრის თავისი მოთხრობა  
გაუგზავნა. მოთხრობას თან  
ერთოდა მინანერი: „მისი  
შექმნით მე დავბადე, როგორც  
მწერალი.“ „მასი წაკითხვით კი  
მე გარდავიცვალე, როგორც  
მწერალი“, — წერილითვე  
უპასუხა ო'ჰენრიმ.

\*\*\*

„რა თანხას ინატრებდით, რომ  
ბედნიერად გეგრძნოთ თავი?“  
— ჰკიოთხეს ერთხელ ბერნად  
შოუს: „ზუსტად იმდენს,  
რამდენსაც ჩემი მეზობლების  
ვარაუდით ვშოულობ“, —  
უპასუხა დრამატურგია.  
„შენი ხელის თავისუფლება იქ  
მთავრდება, სადაც სხვისი  
ცხვირი ინყება“, — ამბობდა  
ვალტერი.

დაღი შედგ გარდა

— სამშობლო არ დაგავიწყდეთ,  
სამშობლო უმთავრესია! — წერდა გალაკტიონი.

— როცა გიჭირს შინ და გარეთ  
და ქვეყანა ჩვენი გოდებს,  
ღმერთმა ნუ ქნას სადმე ქართველს  
ქართველობა არ უნდოდეს! — წერს ფრიდონ ხალვაში.

არადა, არამცუ, სხვაგან, ამჟამად, თვით საქართველოში, სამწუხაროდ, არიან  
ქართველები, რომლებსაც მაინცდამაინც დიდად არაფრად მიაჩნიათ შენი  
ქართველობა “....

მუხრან მაჭავარიანის ეს სიტყვები, 17 მაისს, ფრიდონ ხალვაშის 85 წლის  
იუბილეზე წარმოთქმული რუსთაველის თეატრის სცენაზე მისი უკანასკნელი  
სიტყვები აღმოჩნდა.

გარდაიცვალა პოეტი, ვინაც ხმამაღალ სიტყვასაც ამბობდა და სევდიანსაც, მნარე  
სიმართლითაც გვაფხიზლებდა და ოცნებობდა კიდეც. იგი მუდამ მამულზე  
ფიქრობდა, ხოლო მისი უმთავრესი პოეტური კონცეფტი ყოველთვის სისხლი იყო,  
სისხლი და თავგანწირვა. ქვეყნისთვის თავდადება. უკვე ფორმულად იქცა მისი  
სტრიქონები:

- და დღეს  
შოთაის ნაქონი სისხლით,
- და დღეს  
ვახტანგის ნაქონი სისხლით,
- და დღეს  
სულხანის ნაქონი სისხლით —  
თბილისის ფართო ქუჩებში დადის....

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ სახელებს მუხრან მაჭავარიანის  
სახელიც შეუერთდა და თანამედროვე პოეზის სისხლმა უკანასკნელად სწორედ  
მის გულში გაიარა.

ეს სიტყვები კი ფორუმიდანაა ([www.forum.ge](http://www.forum.ge) meli 18 მაისი, 22:08):

მუხრან მაჭავარიანი მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე  
გამორჩეული ხმა იყო. მისი ლექსი ყოველთვის ჭრიდა სიმართლით, სიმწვავით,  
ოსტატობით. ბოლო წლებში იგი სოფელს დაუბრუნდა, დაუბრუნდა ლექსებს,  
რომლებიც მანამდე სხვანაირად უღერდა, მარტოობაში კი უცებ ასეთი  
სტრიქონებიც მოვისმინეთ მისგან:

ერწყმის მდუმარებას ბინდი ზეპუნებრივს.  
და დუმს ბრონეული.  
და დუმს ალუბალი.

1958 წელს გამოიცა პოეტის  
ორი კრებული: „წითელი მზე  
და მწვანე ბალახი“ და „სიჩუმე  
უშენოდ“. ამ კრებულებისთვის  
მუხრან მაჭავარიანს  
ახალგაზრდობსა და  
სტუდენტთა მეშვიდე  
მსოფლიო ფესტივალის  
ლაურეატის წოდება მიენიჭა.

მუხრან მაჭავარიანის ლექსები  
თარგმნილია რუსულ,  
ინგლისურ, გერმანულ,  
ფრანგულ, ბულგარულ, ჩეხურ  
და სხვა ენებზე.



## ოფიციალური

\* \* \*

თავისი 26-წლიანი საპარლამენტო კარიერის განმავლობაში, ისააკ ნიუტონმა მხოლოდ ერთხელ ითხოვა სიტყვა. „ბატონები, – მიმართა მან შექრებილ ლორდებს, – გთხოვთ, დახუროთ ფუჯარ, ორპირია და მეშინია არ გავცივდე“...

\* \* \*

რემპბრანდტმა ერთხელ ხმა გაავრცელა თავისი გარდაცვალების შესახებ, რათა მისი ნახატები უფრო კარგად გაყიდულყო.

\* \* \*

ჰენრი ფორდს ძალიან უყვარდა ანგადოტი ერთი ფერმერის შესახებ, რომელმაც ანდერძად დაიბარა: სიკვდილის შემდეგ „ფორდში“ ჩამსვით და ისე დამასაცალვეთ, ამ მანქანას შე ყველა ორმოდან ამოვყავდიო.

\* \* \*

ქალს მხოლოდ ერთი საიდუმლოს შენახა შეუძლია და ეს არის მისივე ასაკი“, – ამბობდა ვოლტერი.

\* \* \*

ნურასოდეს დაგეგმავთ თვითმკერდობას ცუდ ამინდში, – ხუმრობენ ნიუ-იორკელები მას შემდეგ, რაც მათი ერთ-ერთი თანამოქალაქე თავის მოსაკლავად „ემფაირ სტეიტ ბილდინგ“-ის 86-ე სართულიდან გადმისტა, მაგრამ ქლიერმა ქარმა ისევ უკან, 83-ე სართული და ფანჯარაში შეაგდო.

დაიღ შედგ გვრდა

სხედან აიგანზე მოხუცებულები, სინანულისანი მესმის გალობანი..

გაზეთ „24 საათის“ საიტზე (24saati.ge 23 მაისი, 2010) ვკითხულობთ:

მანამდე მუხრან მაჭავარინი აქტიურად იყო ჩაბმული ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოვლენაში. გაზეთ 24 საათთან ინტერვიუში იგი ამ პერიოდს იხსენებს: „ეროვნულ მოძრაობაში მუდამ ვიყავი. ზვიადი და მერაბი ჩემზე 10 წლით უმცროსები იყვნენ. ბატონი კონსტატინე ჩემი უფროსი მეგობარი გახლდათ და რა თქმა უნდა, ზვიადასაც ვიცნობდი. როცა ის დისიდენტი იყო, უურნალები „მოამბე“ და „ოქროს საწმისი“ მოპქონდა და ვკითხულობდით. მან იცოდა, რომ ჩვენი სამშობლოს მიმართ ერთი აზრი გვამოძრავებდა. პოლიტიკა არ მაინტერესებდა და არც ახლა მაინტერესებს. ზვიადმა მთხოვა, მჭირდებიო და „მრგვალ მაგიდაში“ შევვედი.

გადატრიალება რომ მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ კიტოვანი და იოსელიანი მიცნობდნენ, პატივს მცემდნენ და სამსახურიდან არ გამაგდებდნენ, მწერალთა კავშირი მაინც დავტოვე, მათი დიქტატის ქვეშ მსახურება არ მინდოდა”


თითქოს ამ ფრაზას აგრძელებსო, [www.ambebi.ge](http://www.ambebi.ge) წერს:

ამ იმედგაცრუების შემდეგ, მუხრან მაჭავარინი დიდი ხნის მანძილზე ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა, მაგრამ ვინაიდან იგი პოეტის მოვალეობად სამშობლოს სამსახურში ყოფნას მიიჩნევდა, უახლოესი პოლიტიკური წარსულის, ვარდების რევოლუციის აქტიური მონაწილე და მხარდამჭერიც გახლდათ, მოგვიანებით კი არც ამ გუნდის კრიტიკას ერიდებოდა და შეცდომად თვლიდა მის ადრინდელ პოზიციას.

ქვეყნის პირველი პირის მიმართ დამოკიდებულება კარგად გამოჩნდა პოეტის 80 წლის იუბილეზე, რომელიც საჩერებელი გადაიხადა. სააკაშვილს მუხრან მაჭავარიანთან სტუმრობა და დაბადების დღის მილოცვა ნდომებია, მაგრამ მუხრანს მის მასპინძლობაზე უარი უთქვამს. პრეზიდენტის მოგვიანებით სტუმრობაზე კი ასეთი კომენტარი გააკეთა — „თუ გასაკრიტიკებლად მოიქცევა, მომავალშიც გავაკრიტიკებ. ვინ ამიკრძალავს ვთქვა, რაც არ მომწონს? ამჯერად თავი შევიკავე, გინახავთ, ქართველი კაცი სტუმარს აგინებდეს? რაკი პრეზიდენტი მესტუმრა, ადათის დაცვით ვუმასპინძლე. სიკეთით მოვიდა და სიკეთით დავხვდი. სუფრასთანაც, წესისამებრ, დავლოცეთ ჩვენი სამშობლო“.

პოეტი ბოლო წლებში თავს არიდებდა პომპეზურ ღონისძიებებს და უარს ამბობდა ყოველგვარ ჯილდოზე.

„ეს იმის გამო კი არ ხდება, რომ ვიღაც არ მომწონს, უბრალოდ ხალისი დავკარგე, თორემ ვიცი, რომ ჩემი აქტიურობა ბევრს გაუხარდება. რა ვქნა, ასეთი ხასიათი ჩამომიყალიბდა... ასეთი კი არ ვიყავი, ორმოცდაათი წლის ასაკში პომპეზურობა



**დისიდენტი** — პიროვნება, რომელიც ენინაალმდეგება დამყარებულ მოსაზრებებს, პოლიტიკას ან სისტემას. უფრო ხმილად გამოიყენება ავტორიტარული რეჟიმების წინაალმდეგ მემორიალი ადამიანის მიმართ. საბჭოთა კავშირში დისიტენტები იდევნებოდნენ ხელისუფლების მიერ.

## ოფიციალური

\* \* \*

დეპრესიით შეპყრობილმა პაციენტმა ექიმს მიმართა. „ყოველ დღით ზომებინკოს თითო მოთხრობა წაიკითხეთ“, – ურჩა ექიმმა. ამის გაგონებაზე პაციენტი უფრო დანალებიანდა, რადგან ის თავად იყო მიხაილ ზომებინკო.

\* \* \*

ვეტერანი ალპინისტი ქერარ ომელი, რომელიც ევერესტზე ექცევერ იყო ასული, სახლში ნათურის გარიცვლისას კიბიდან ჩამოვარდა, თავი ფანჯრის რაფას ჩამოარტყა და გარდაიცვალა.

\* \* \*

ერთი ისტერიული გოგოს თვითმკვლელობის საყურებლად ვიეტნამის ქალაქ ჰოჩიმინს ერთ-ერთ ხიდზე უარისვამი ცნობისმოყვარები მოიყარა თავი. ხიდმა სიმძიმეს ვერ გაუძლო და ჩაინგრა. გოგონა გადარჩა, მაგრამ ცხრა კაც დაიხრო.

\* \* \*

იმის გასაგებად, თუ როგორ მიიღო მკითხველამ მისი ნაწარმოები, ვიქტორ ჰიუგომ რედაქტორს მოკლე წერილი გაუგზავნა: „?“. რედაქტორმა ასევე ლაკონურად უპასუხა: „!“.

\* \* \*

ჩრდილოირლანდიელმა ქალმა ანდლიზ რეიმ 1 994 წლის 16 აპრილს ბელფასტში, სარეკორდო -121,7 დეციბელის ხმა გამოსცა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ სიტყვა, რომელიც მან იყვირა, იყო „სიჩუმე“.

მიყვარდა. ცუდია ხალის რომ დაკარგავ, თუმცა მარტო ეს არ არის მიზეზი. უცნაური რაღაც მოხდა — როცა ოცი წლის ვიყავი, მნერლებზე ძალიან ცუდი აზრი მქონდა და საკუთარ თავზე ძალიან დიდი წარმოლებენა. მერე ჩვეულებრივი გავხდი და ახლა ისეთი ვარ, როგორიც ოცი წლის ასაკში... მაგრამ როცა ოცი წლის ვიყავი, ეს უსაფუძვლო იყო, ქვეცნობიერად ხდებოდა, ახლა გამოცდილებით ვფიქრობ ასე და საფუძველიც არსებობს...“



პოეტის უჩვეულო გარდაცვალებას სოციალურ ქსელებში, უამრავი გამოხმაურება მოჰყვა:

„ძალიან მტკიცა და ძალიან განვიცდი..... ასე იციან ჩვენს ქვეყანაში, გარდაცვალების შემდეგ დაიგიუებენ თავს..... სულ ვიძახი — ღმერთია მონამე, რომ ვერ ვაფასებთ და ვერ ვცემთ სათანადო პატივს ამ დიდებულ ადამიანს-მეთქი..... არ ვიცი, იქნებ თვითონ მოინდომა ჩრდილში ყოფნა.. თუ საზოგადოებამ გარიყა... დიდი ქართველი კაცი და გმირი — სულ ვიძეორებდი მის გამონათქვამებს, განსაკუთრებით თუ ვინმე რამეს მატყუებდა, თავს დამიქნევდა და მეტყოდა კი ბატონოვო, ღიმილით ვეტყყოდი: „და ყველაფერზე თავის კანტური, საქციელია არაქართული“ თან დავუმატებდი, მუხრანმა თქვა-მეთქი“ (nino iordani 17 მაისი, 21:59 urakparaki).

„ღმერთი არ მნამს, მნამს სამშობლო, მარადისობას საქართველოთი ვუკავშირდები და იმაში, რომ ასეთი ვარ, ორმოცდათი პროცენტი მუხრან მაჭავარიანის კვალია“ (axalirevolucia 18 მაისი, 13:05 www.forum.ge).

„მუხრან მაჭავარიანმა ქართველებს დაგვიტოვა ეპიტაფია: წასაწერი საფლავის ქვის ორივე მხარეზე (ქვედაზეც, ზედაზეც, მკვდარმაც რომ წაიკითხოს და ცოცხალმაც):

შენი არ იყოს — ჩემო ირაკლი!  
ვერ ვიდევვგმირე — ვერ ვინინაპრე!  
ჭირმა ჩემმა და ჩემმა სილალემ!  
მამულმა შენებრ შემინირა მე” (forum.ge).





## ახალი კომპიუტერული შესაძლებლობანი მუსიკოსებისათვის

ლიკა ალადაშვილი
ნუცა ანდლულაძე
გიორგი ახვლედიანი
სალომე ბარამიძე
გიორგი ბერელიძე
ნინო გიგაური
გიორგი კარანაძე
თამარ კარელიძე
ქეთევან კობიაშვილი
გიორგი ლელაძე
ნუცა მუჯირიშვილი
<b>სალომე ჰაპიძე</b>
სალომე სუხიშვილი
თამარ ქარდავა
ანო ქობულაძე
ანი შეყლაშვილი
სოფიო ჭანტურია
თათია ჭაფოძე
შორენა ხუბუტია

XXI საუკუნე ყველას გვაოცებს თავისი უნიკალური შესაძლებლობებით. დღესადეისობით აღარ არის საჭირო გვქონდეს მუსიკის ნიჭი ან მიღრეკილება მისაღმი, მთავარია მხოლოდ მონდომება და შესაძლებელია სანუკარი ოცნებაც კი ავისრულოთ. თუ ადრე მუსიკის დაუფლებისთვის და სასურველი ნაწარმოების შესასრულებლად უდიდესი შრომა იყო საჭირო, ახლა, თუნდაც წარმოდგენა არ გქონდეთ ნოტებზე, კომპიუტერული პროგრამების დახმარებით შეგიძლიათ ნებისმიერი ეპოქის, ნებისმიერი უანრისა თუ სტილის ნაწარმოების ან რომელიმე ფილმის, მულტფილმის, სარეკლამო რგოლის ან გადაცემის საუნდტრეკის შესრულება. ამისათვის საჭიროა მიუთითოთ ამ ნაწარმოების შესახებ და „კომპიუტერის კლავიშები“ თავად დაუკრავეს და თქვენც მხედველობითი მეხსიერებით შეძლებთ მელოდის დამახსოვრებას ყოველგვარი ნოტების კითხვისა და გარჩევის გარეშე. მუსიკალური პროგრამები არ ამონიურება მხოლოდ ფორტეპიანოზე შესასრულებელი მელოდიებით, თქვენ ასევე შეგიძლიათ შექმნათ და შემდეგ დატკეთ სინთეზატორის, ვიოლინის, დასარტყები ინსტრუმენტების და სხვა მრავალი ინსტრუმენტისათვის შექმნილი მუსიკით.

ერთ-ერთი ასეთი პროგრამაა არის „Piano FX Studio“, რომელიც გვაძლევს საშუალებას გამოვიყენოთ 69 კლავიში. იგი ნამდვილი სინთეზატორის რეალური ანალოგია და აქვს 127 მუსიკალური და დასარტყებამი ინსტრუმენტის, ფორტეპიანოს აკორდების ოთხნოტიანი პოლიფონის სხვადასხვა ულერადობა. პროგრამას

**პოლიფონია** ბერძნული სიტყვაა რომელიც ნიშნავს ხმის ერთდროულ შეხამებას ვიკალურ ან ინსტრუმენტულ ნაწარმოებში; მრავალხმიანობა.



### სალომე პაპიძე

დაიბადა 1989 წლის 21 ნოემბერს თბილისში, მე-2 სამშობლოში. დაბადებიდან ჩეიდმეტი წლის განმავლობაში ვცხოვრობდი ჩემს მშობლებთან ერთად. მყავს და-ძმა.

ბალის ასკურიან დავდიოდი ქართულ ცეკვებზე, ბალეტზე, მუსიკაზე და ტანცვარჯიშზე. გამოვდიოდი საოპერო სპექტაკლებში: „კარმენი“, „პიკის ქალი“, „ტოსკა“, „სოფლის ღირსება“...

სკოლის დამთავრებასთანავე გავთხოვდი და შემებრა ირი ბიჭი. საბა ნაჭებას ქვეყანას მოევლინა 2008 წლის 8 აგვის ტოს. ეტყობა, იგრძნო მის დან-ყება და თავისი არსებობით სურ-და წვლილის შეტანა მშვიდობის დამყარებაში. ჩემი მეორე პანა-წუნა არის სანდრო, რომელიც დაიბადა 2009 წლის 20 ნოემბერს. ის ჩემთვის იყო ყველაზე კარგი და რა დღესმეტი უზუებიათ დაბადების დღეზე.

ძალიან დიდი სურვილი მქონდა მესანგლა ფისკოლოგიურზე, მაგრამ სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა გრივოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ტე-ლე-რადიოუნივერსალისტიკის ფა-კულტეტზე, რისიც ძალიან კმაყოფილი ვარ. ეს ღვთის ნება იყო.

მოჰყვება აგრეთვე დასარტყამი ინსტრუმენტის **სამპლები** – „ნიმუშები“ რიტმებისა თუ ხმების სახით. პროგრამა შეგიძლიათ მართოთ კლავიატურიდან ან მაუსის საშუალებით, ხოლო მელოდიის ჩანერა შეგიძლიათ **WAV** ფორმატში.

მუსიკოსებისთვის, კერძოდ კი კომპოზიტორებისთვის, რომლებიც ქმნიან ნაწარმოებს, აუცილებელია მისი ჩანერა სანოტო ფურცელზე. ვისაც მუსიკასთან შეხება გაქვთ, დამერჩმუნებით რომ ეს არცთუ ისე ადვილი საქმეა: ჯერ უნდა დაუკრა, შემდევ თავიდან უნდა გაიხსნო, თუ რა დაუკარი და ამის შემდევ ეს ყველაფერი სანოტო ფურცელზე გადაიტანო. მაგრამ ახლა ამის მაგივრად შეგიძლიათ ისე ადვილად შექმნათ სანოტო ჩანაწერი, რომ ამისთვის სულ ერთხელ დაკვრა დაგჭირდებათ.

არსებობს პროგრამები – „Sonar 8.0“, „Reason“, „Cubase“, სადაც კომპიუტერი სინთეზატორთანა მიერთებული. თქვენ დაუკრავთ და კომპიუტერი პირდაპირ ჩანერს მელოდიას სანოტო სისტემაში. მეტი მრავალფეროვნებისთვის არსებობს უფრო პროფესიული პროგრამებიც, მაგალითად, „Fruity Loops Studio“ – რედაქტორის ახალი და სრული ვერსია საკუთარი მუსიკის დასაწერად. პროექტების კომპოზიციის მთავარი შემადგენელი ნაწილია **გენერატორი**, იგი ახდენს სინთეზირებას, ხოლო მისი მეშვეობით შემდგომ ხდება ხმის გაშეკრა. კომპოზიციის პროექტებში შეიძლება იყოს შეუზღუდვავი რაოდენობის გენერატორი. თითოეული გენერატორის ხმა შეიძლება დამუშავდეს უამრავი ეფექტის მეშვეობით – პროგრამის დახმარებით თქვენ შექმნით **სქრეჩის** და დაადებთ მელოდიას უამრავ ეფექტს. ყველა სხვა პროგრამისაგან განსხვავებით, ეს პროგრამა გამოირჩევა მრავალი შესაძლებლობით, რომლის გამოყენებაც რეალურ დროში შეიძლება. სმასთან სამუშაოდ მასში ჩართულია თანამედროვე ტექნოლოგიებით შექმნილი მძლავრი ხელსახუყობის კრებული, აქვს რედაქტირების სხვადასხვა ფუნქცია, მაღალხარისხოვანი ეფექტები და სხვა.

კომპანია „Image-Line Software“-მა განახლა თავისი პროგრამა „FL Studio“ – პოპულარული რედაქტორი **სეკვენსორი მუსიკის** დასაწერად.

„FL Studio XXL v.9.0.1“ – ამ პროგრამის მეშვეობით, მუსიკა იქმნება midi ან აუდიო მასალის ჩანერის და დამუშავების შედეგად. მომზადებული ჩანაწერები შეგიძლიათ შეინახოთ WAV ან MP3 ფორმატში, რომელსაც თავისუფლად გახსნით ნებისმიერ მედიაფლერში. მოცემული პროგრამა ითვლება ხმოვან რედაქტორად. ეს ახალი ვერსია შეიცავს 3900 ხმოვან ეფექტს, რომლიც გეხმარებათ როგორც მუსიკის შექმნაში, ასევე მათ რედაქტირებაში. დღესდღეობით ამ პროგრამას იყენებს 80 ათასზე მეტი მომხმარებელი მთელ მსოფლიოში. მის მთავარ უპირატესობად ითვლება მისი სიმარტივე ნებისმიერი მომხმარებლისთვის.

ჩემს მიერ ჩამოთვლილი პროგრამები არის უმცირესი იმ პროგრამათაგან, რომლებიც არსებობს. თქვენ მათი მოძებნა შეგიძლიათ ინტერნეტსივრცეში, კერძოდ კი File.ge-ზე, Man.ge-ზე, gol.ge-ზე და ა.შ. საიდანაც შეგიძლიათ ამ პროგრამების უფასოდ გადმოწერა და **დაინსტალირება**. ¶

**სამპლები** – მზა ხმები.

**WAV**-ის ფორმატი ანუ wave – Waveform-Audio file format – Microsoft-ის და IBM-ის აუდიოფაილის ფორმატი, რომელიც კომპიუტერში ინხავს ციფრულ აუდიოჩანაწერს.

**გენერატორი** – (აქ) წარმოშობი.

**სქრეჩი** – შექმნილია ლოგოს საფუძველზე, დაწერილია სკვიკის ენაზე.

**სეკვენსორი მუსიკა** – მარტივი, მძლავრი და უნიკალური პროგრამის ახალი ვერსია, რომელიც განკუთვნილია სხვადასხვა უანრის მუსიკის გადმოსაწერად სრულიად უფასოდ.

**ინსტალირება** – დაყენება.



ოსამუ ტეზუკა

ლიკა ალადაშვილი  
ნუცა ანდლულაძე  
გიორგი ახვლედიანი  
სალომე ბარამიძე  
გიორგი ბერელიძე  
ნინო გიგაური  
**გიორგი კარანაძე**  
თამარ კარელიძე  
ქეთევან კობიაშვილი  
გიორგი ლელაძე  
ნუცა მუჯირიშვილი  
სალომე პაპიძე  
სალომე სუხიშვილი  
თამარ ქარდავა  
ანო ქობულაძე  
ანი შეყლაშვილი  
სოფიო ჭანტურია  
თათია ჭაფოძე  
შორენა ხუბუტია

## რა არის ანიმე?

ანიმე XX საუკუნის დასაწყისში დაიბადა, როდესაც იაპონელმა რეჟისორებმა პირველი ექსპერიმენტები დაიწყეს დასავლეთიდან შემოტანილი ანიმაციის ხელოვნებაში. დღეისთვის ცნობილი პირველი ანიმე შეიქმნა 1907 წელს. ის წარმოადგენს მოკლე, სამარამიან ჩანახატს მეზღვაურ ბიჭზე. თანდათან, ეს ხელოვნება დიდ პოპულარობას იძენს იაპონიაში, რადგან შეზღუდული ბიუჯეტის, სასურველი გადასაღები მოედნების მიუწვდომელობის და დასავლური სტილის მსახიობების ნაკლებობის პირობებში, რეჟისორებს უჭირდათ ისეთი კინოფილმების გადაღება, რომელთა სიუჟეტი იაპონიის ყოველდღიურ ცხოვრებას სცილდებოდა, ანიმაციის გამოყენებით კი მხატვრებს და ანიმატორებს შეეძლოთ ნებისმიერი საჭირო სცენისა თუ პერსონაჟის შექმნა.

თანამედროვე ანიმეს დამფუძნებლად ითვლება ოსამუ ტეზუკა (Osamu Tezuka), რომელიც ხშირად მოიხსენიება, როგორც „ლეგენდა“ და „მანგას ღვთაება“. ის იყო პირველი, ვინც გამოიყენა ნახატის სტილიზაციის დისნეისეული ხერხი, რომელშიც პერსონაჟის ემოციების გადმოცემა არაპროპორციულად დიდი თვალების მეშვეობით ხდება.

წლების განმავლობაში ანიმეს სიუჟეტები, რომლებიც თავიდან ბავშვებზე იყო გათვლილი, იხვეწებოდა და მათში ასახული პრობლემებიც რთულდებოდა. გაჩნდა ნამუშევრები, რომლებიც ხშირად მოზრდილებში უფრო პოპულარული იყო, ვიდრე ბავშვებში. განვითარებაში ანიმე ოდნავ ჩამორჩება მანგას, რომელიც მასზე რამდენიმე წლით ადრე გაჩნდა და იმ დროისთვის უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა იაპონიის მოსახლეობის ყველა ფენაში.

**უოლტ დისნეი** (1901-1966) – სახელგანთქმული ამერიკელი მულტიპლიკატორი – მიკო-მაუსის, დონალდ დაკისა და სხვა მულტიპლიკაციური პერსონაჟების ავტორი, ტომისა და ჯერის პოპულარული სერიალის შემქმნელი. მისი ცნობილი ანიმაციური ფილმებია „აგრეთვე „სამი გოჭი“, „ბებჩა“, „ფიფქა და შვიდი ჯუჯა“ და სხვა.

## იბაზნია

22 იანვარი, 2010

ახლა ვეითხულობ ერთ-ერთ  
იაპონული მწერლის –  
იასუნარი კაგაბატას „რომანს  
„ათასორთიანი წერი“. ძალიან  
საინტერესო რაღაც ჩანს, უკვე  
შუამდევ მივედი. კი ვიფაქრე,  
რომ დავამთავრებ: მერე

გავუზიარებ-მეთქმ აზრებს  
ჩემი ბლოგის მკითხველს,  
მაგრამ ვერ მოვითმინე,  
კითხვის პროცესში კიდევ  
ერთხელ ვრწმუნდება, რომ  
იაპონური კულტურა  
განყენებულია ყველა  
სხვისაგან. ნებისმიერი  
იაპონელებმერლის

ნაწარმოების კითხვისას,  
როგორიც არ უნდა იყოს ის,  
სხვა სამყარიში გადავდავარ,  
აღმოსავლური სუნ მომდის  
ხოლმე (ღმერთი ჩემი, რა  
პათეტიკა) და დღეს

ვუიქრობდი, რომ რაღაცა  
არსებობს.  
რომანის შინაარსს არ  
მოგიყვებით, მერე ეში  
დაეკარგება, თუმცა გეტყვით,  
რომ მისი კითხვისას  
რამდენიმე იაპონურ  
ტრადიციას გაეცნობით.

ჸო, კაგაბატა 1968 ნოემბრის

პრემიის ლაურეატია, თუმცა

მე სულ სხვა რაღაცაზე მინდა

გელაპარაკოთ..

კარგით რა, ნუ შეშინდით,  
ჭეშმარიტ ღმერთზე საუბარს  
არ ვაპირებ. უბრალოდ, მინდა  
ჩემი აზრი გაგიზიაროთ

უცნაურ დამთხვევებთან

დაკაგირებით.

იაპონელებს ძალიან ბევრი  
საინტერესო მწერალი ჰყავთ,

მაგრამ მათ შორის ჩვენთვის

ამუამად ანიმე ნარმოადგენს უნიკალურ კულტურულ ფენომენს, რომელშიც  
გაერთიანებულია, როგორც ანიმე მის პირველად ფორმაში, ანუ ანიმე  
ბავშვებისათვის (ჟანრი კუდომო), ასევე უფრო რთული და სერიოზული  
ნაწარმოები, რომლებიც გათვლილია ბევრად უფროს აუდიტორიაზე (ჟანრები:  
შიონენი – ანიმე ბიჭებისათვის და შოუჯო – ანიმე გოგონებისათვის). ცალკე  
ჟანრადაა გამოყოფილი ჰერცაი – პორნოგრაფიული ხასიათის ანიმაციური  
ფილმები, და მისი განხრები – იური და იაოი, რომლებიც მოგვითხრობენ (ხშირად  
ეროტიული ელემენტების გარეშეც) მამაკაცებსა და ქალების შორის  
ურთიერთობებზე.

**რითი განსხვავდება ანიმე ჩვეულებრივი მულტფილმისაგან?**

ეს კითხვა შეიძლება დაგვათ ასეთი სახით: რა განსხვავებაა ბემბისა და Ghost in  
the Shell-ს შორის? ყველაზე დიდი განსხვავება ჩვეულებრივ ანიმაციასა და ანიმეს  
შორის ის არის, რომ ანიმე ნებისმიერი ასაკის ადამიანზეა გათვლილი,



ყველაზე ნაცნობია რიუნისკე აკუტაგავა (მისი ნანორმოების კითხვის სულ ერთი ეპთეტი მიტრიალებს თავში: აღმოსაფლელი ედგარ პო). იუკიო მიშმა ქართულად არ არის ნათარგმნი, თუმცა საემაოდ საინტერესო რომანები აქვს და ასეთივე პიროვნება იყო (იხილეთ ჩემი პისტი). ახლა კავკაბტა აღმოვაჩინე (ეჭვი მაქს, მისი სხვა რომანები არ იქნება ნათარგმნი ჩვენს შშობლიურ ენაზე). ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც წავიკითხე, რომ ამ მწერალმც თვითმევლებისთვის დაასრულა სიცოცხლე. თან დაავირდით, სამივე, მიშიბა, აკუტაგავა და კავკაბატაც ერთმანეთს თანამედროვება იყვნენ (ნუ, ხმაურიან სიკედილში კი აჯობა მათ იუკიომ) და ძალიან კარგი მწერლები. ჰოდა, მე გამიჩნდა კითხვა, რადატომ იკლავდნენ გედებზევით თავში?

ვითომ, რა მიზეზი შეიძლება ყოფილიყო. წარმოიდგინეთ, გაქვთ ყველა აურ და მანც სუიციდს ენევით... ჰოდა, ცოტა არ იყოს, „გამიტყდა“. თან უკვე მეორე დღეა, ამ თემაზე ფიქრით ვიჭყლეტ ტენის გამოცდა მაქსს სამშაბათს, ამას გადავაგორებ და მერე დაწერილებით ცნობების შეკროვებას უნდა შევუდგე კავკაბატასა და აკუტაგავაზე (იუკიო მიშიმას ამბავი ჩემთვის ლეგენდა). თუმცა, სანამ მომავლი კვირიდან გამოიიყებას დავიწყებდე, არ შემიძლია არ



ჩვეულებრივი ანიმაცია კი უმეტესად პატარა ბავშვებისთვის არის განკუთვნილი. ჩვეულებრივი ანიმაციისგან განსხვავებით, ანიმეს გაცილებით მეტი მაყურებელი ჰყავს. ანიმეს ნებისმიერი ასაკის ადამიანი უყურებს სიამოვნებით. განვიხილოთ ლეგენდარული მამორუ ოშიის Ghost in the Shell-ი, რომელიც ამერიკაში ბესტსელერი ანიმე-DVD გახდა. ამ ანიმემ გაუსწორ ყველა ამერიკულ ბესტსელერ ფილმს და პირველი ადგილი დაიმკვიდრა მათ შორის. როთი იყო განსაკუთრებით შოკის მომგვრელი ეს ანიმაცია ამერიკელებითვის? იმით, რომ მათ პირველად ნახეს ანიმაცია, რომელიც არ იყო საბაგშვო. პირველად ნახეს ისეთი ანიმაცია, რომლის მთავარ არსს მხოლოდ ნაკითხი და განათლებული ადამიანი მიხვდებოდა. ასეთივე შოკისმომგვრელი იყო ამერიკელი მაყურებლისთვის ანიმე „აკირას“ სილვა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ იაპონიის საზღვრებს გარეთ ანიმეს სახელი სწორედ ამ ორმა შედევრმა გაუთქვა.

ჩვეულებრივი მულტფილმებში არანაირი იდეოლოგია არ დევს. თითქმის ყველა ერთი და იგივეა, ჩვეულებრივ ანიმაციას, როგორც წესი, სიკეთის გამარჯვებით



გაგიზიაროთ დასკვნა, რომელიც გამოვიტანება: იაპონელი მწერლების კითხვა ძალიან მაშვიდებს. ზოგადად, კარგი მუხტი მოდის მათი ნაწარმოებებიდან და ისეთი შეგრძება, მაჩინდა, თოვჭის იქ ვარ, იაპონიაში, კიმონო მაცვაა, ტატუაზე ვზიგვრ ფეხმორთხმული, ან იაპონურ ბაღში დაესეირნობ, იაპონური ქლდა მიჭირავს და იაპონურ ხალურ მუსკას ვუსმენ.

თამუნა კარელიძის პოსტი მისვე ბლოგიდან

სურათებზე (ზემოდან ქვემოთ):  
აკუტაგავა, კაფაპატა და მიშიძა




ასრულებენ ან თუ საქმე მრავალეპიზოდიან მულტფილმს ეხება, უსასრულოდ იღეჭებიან ერთსა და იმავე სიუჟეტს. აქაც დიდი განსხვავებაა. მრავალეპიზოდიან ანიმეს ახასიათებს პერსონაჟების ხასიათის განვითარება. ავილოთ თუნდაც დექსტერის და ნარუტი. „დექსტერის ლაბორატორია“ 10 წლინადზე მეტია, რაც ტელეკრანზე გადის, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში, მისი მთავარი გმირი არ გაზრდილა, არაფერი შემატებია. ნარუტო კი იცვლება. ყოველი სერიის დასრულების შემდეგ, მაყურებელი ამჩნევს პერსონაჟის ფიზიკურ, სულიერ, გარეგნულ ზრდას. ასე რომ, ანიმეს ვიზუალურ განვითარებას, ისე როგორც რეალურ ცხოვრებას, განსაზღვრავს დრო. ანუ ამით შეიძლეა ითქვას რომ ანიმე ძალიან ახლოს არის რეალურ ცხოვრებასთან. გადის დრო და ხედავ, რომ შენი საყვარელი გმირი შენთან ერთად იზრდება, ნუთუ მსგავსი გრძნობა რომელიმე სხვა ანიმაციას აღუძრავთ თქვენში? ჩემთვის პირადად ნარუტო ძალიან ბევრს ნიშნავს... ■■■



თუ გინდათ მონახოთ ანიმებზე ზუსტი ინფორმაცია, შედით ანიმე-ენციკლოპედიაში, ანუ იგივე [www.anidb.info](http://www.anidb.info)-ში ჩანართი Search-ში რა ანიმეზეც გჭირდებათ ინფო და ყველა ფერს მოგანვდით, ამავე დროს anidb-ს შესაძლებლობები მხოლოდ ანიმეზე ინფოს მონახვით არ შემოიფარგლება, შესაძლებელია გადმოსაწერი ლინკების მოძებნაც.

თუ ამ უანრმა დაგაინტერესათ, მოინახულეთ შემდეგი საიტები:

[www.anime.ge](http://www.anime.ge)  
[www.animecentral.ge](http://www.animecentral.ge)  
[www.anime-planet.com](http://www.anime-planet.com)  
[www.myanimelist.net](http://www.myanimelist.net)  
[www.world-art.ru](http://www.world-art.ru)  
[www.animenewsnetwork.com](http://www.animenewsnetwork.com)



ლიკა ალადაშვილი

ნუცა ანდლულაძე

გიორგი ახვლედიანი

სალომე ბარამიძე

გიორგი ბერელიძე

ნინო გიგაური

გიორგი კარანაძე

თამარ კარელიძე

ქეთევან კობიაშვილი

გიორგი ლელაძე

ნუცა მუჯირიშვილი

სალომე პაპიძე

სალომე სუხიშვილი

თამარ ქარდავა

ანო ქობულაძე

ანი შეყვლაშვილი

სოფიო ჭანტურია

თათია ჭაფოძე

**შორენა სუბუტია**

## ძუჩის 3-D ხელოვნება

ამერიკელი კურტ ვენერი ქუჩის მხატვარია, რომელმაც შეძლო შეექმნა სამგანზომილებიანი ილუზია. თავისი შემოქმედება მან დაიწყო რომში 1982 წელს. იგი შთაგონა იტალიური რენესანსის ეპოქის კედლის მხატვრობამ და ქანდაკებამ. მისი შემოქმედების სტილი ქუჩის ილუზიური ფერწერის (illusionistic street painting) უანრს განეკუთვნება.

იგი აოცებს ქალაქების მაცხოვრებლებსა და ტურისტებს თითოეული საკუთარი ნამუშევრით, რომელიც პირდაპირ ასფალტზე იქმნება. კურტი ამ გასაოცარ 3-D ნახატებს პასტელს ფერებით ასრულებს.

კურტ ვენერი დაიბადა ამერიკაში, ენ-ჰარბორში, მიჩიგანის შტატში. პირველი შეკვეთილი ნამუშევარი მან შეასრულა 16 წლისამ. ერთ წლის შემდეგ მან გადაწყიტა მთელი ცხოვრება ფერწერისთვის მიეძღვნა. მუშაობდა მხატვარ-ილუსტრატორად **ნასაში** და აკეთებდა მათთვის პროექტების ილუსტრაციას. 1982 წელს ნამოვიდა ნასადან, გაყიდა მთელი თავისი ქონება და იტალიისკენ გაეშურა ხელოვნების შესასწავლად.

ერთხელ მან შემთხვევით დაინახა ადამიანი, რომელიც ტროტუარზე ცარცით ხატავდა. ნახატმა, რომელიც თითქმის დასრულებული იყო, იმდენად აღაფრთოვანა კურტი, რომ მას ძალიან მოუნდა შეესწავლა მისთვის უცნობი

**3-D – სამგანზომილებიანი.**

**ნასა** (NASA – National Aeronautics and Space Administration) – აშშ




აერონავტიკისა და კოსმოსური სიგრანი კვლევის ეროვნული სამსართველო; დაარსდა 1958 წლის 29 ივნისს; შტაბ-ბინა აქვს ვაშინგტონში.



ხელოვნების დარგი. მან მხატვარს კითხვები დააყარა. აშკარად ჩანდა, რომ მას წერილმანი დეტალებიც კი აინტერესებდა. მხატვარმა მოკლედ უამბო ცნობისმოყვარ უცნობს ევროპის ქუჩის მხატვრობაზე. მან თქვა, რომ მოვიდა წახემსების დრო და სწრაფად ჩამოშორდა. ვენერმა დრო იხელთა და დაინტე ღვთიური ანგელოზის პორტრეტის დამთავრება. უცნობია, როგორ მიიღო მისი დახმარება მხატვარმა, რამეთუ რამდენიმე წუთში ვენერი ანთებული თვალებით უკე მიქროდა უახლოეს სპეციალიზებულ მაღაზიაში ცარცის საყიდლად.

ხელოვნების ამ დარგმა მთლიანად ჩაითრია კურტ ვენერი. ის ცდილობდა თავის ნაშრომებში მთელი ის ცოდნა და გამოცდილება ჩაედო, რაც ამ წლების განმავლობაში დააგროვა. ქუჩის ნახატებს ვენერი ქმნიდა სპეციალურ პასტელით, რომელიც ხელით კეთდება.

„როდესაც მე დავიწყე ამ დარგში მუშაობა, მე გამოვიყენე ჩვეულებრივი ცარცი, მაგრამ მალევე ალმოვაჩინე, რომ იგი ძალიან მსხვრევადი იყო და ნახატები ქარს მიჰქონდა. ახლა მე ვხმარობ ცარცს, რომელსაც მე თვითონ ვამზადებ, მაგრამ ეს ძალიან ძვირი სიამოვნებაა, – ამბობს ვენერი.





### შორენა ხუბუთია

ამჟამინდელი საცხოვრებელი: თბილისი, საქართველო.

ოჯახური მდგომარეობა: გაურკვეველია.

რელიგია: მართმადიდებელი ქრისტიანი.


ინტერესები: ფილმები.

საყვარელი კომპოზიტორი: ჰანს ციმერი.

საყვარელი ფილმები: „ბეჭდების მბრძანებელი“, „სასტკივი თამაშები“, „ორმაგი თამაში“, „ოთხი თათახი“, „სიამაყე და ცრუნწმენა“, „დიდებული ბიჭები“, „ვარსკვლავური მტვერი“, „ფანის ლაბირინთი“, „სანიტერესო თამაშები“.

საყვარელი მუტფილმი: „მშერატორის თავგადასავლები“

საყვარელი წიგნი: დოსტოევსკის „იდიოტი“.



ქუჩის ნახატებს უაღრესად უმოკლებს სიცოცხლეს კლიმატი, ამინდი, მანქანები, ველოსიპედისტები და ფეხით მოსიარულენი.

– ქუჩის ნახატის ყველაზე საშინელი მტერი წვიმაა! – აცხადებს კურტი. წვიმის წვეთები „სვრის“ ნახატს. პლასტიკური საფარიც ვერ ეხმარება, რადგან ადრე თუ გვიან წყალი აუცილებლად გაუշონავს მასში, განსაკუთრებით – ხანგრძლივი წვიმების დროს, რაც ძალიან ხშირია ევროპაში.

ქარი, მზე, მტვერი ან წვიმა უეჭველად ჩაერევა ქუჩის ნახატის ბიოგრაფიაში. გამოდის, რომ კურტი არა მხოლოდ ერწყმის გარემოს, არამედ მისი ნაწილიც ხდება.

კურტ ვენერი ერთ-ერთია ქუჩის ფერნერის მცირერიცხოვან ისტატაგან. ისტორიული პირები, მითოლოგიური პერსონაჟები, ბიბლიური ისტორიები პირდაპირ გამვლელების თვალწინ ცოცხლდებიან.

როდესაც, ნამუშევარი მთავრდება, ძნელია გარკვევა, სად არის აქ რეალობა და სად – ფანტაზია. ■

დეფინიცია: ინტერნეტი// ქობულაძე//6  
 მომავლის მედია(?)//კარელიძე//10  
 შენი კუთხე ინტერნეტში//ალადაშვილი//16  
 ქსელში შეზღუდული თავისუფლება//გიგაური//20  
 ეკოლი იყოს თქვენი მობილური გლობალური კომერციისა და  
 ინტერნეტ-პაზნეის სამყაროში//ბერელიძე//22  
 პირველი ქართული ელექტრონული უზრაღები//კარანაძე//26  
 სმაილის ისტორია//კარანაძე//28  
 წიგნის პედი ინტერნეტის ეპოქაში//კობიაშვილი//30

## ვირტუალური სივრცე



„იმედის“ რექვიეში  
 //ჭანტურა//96  
 რეაქცია შემწვარ  
 კვერცხზე//სუხიშვილი//100  
 ვის უნდა გაძლევ  
 ქველმოქმედი?//ქარდავა//106  
 პანდუსიჩარა!  
 //კობიაშვილი//108  
 სამიმარი ქრონიკ ენას  
 //ბარამიძე, სუხიშვილი//112  
 ახალი კომიუნიტერული  
 შესაძლებლობანი  
 მუსიკოსებისათვის  
 //ბაბიძე//116  
 რა არის ანიმე?//კარანაძე//118  
 იაპონია//კარელიძე//119  
 ქუჩის 3-D ხელოვნება  
 //ხუბუტია//122



## ცარიელი სივრცე

მომავლის პროფესიული გზა//სუხიშვილი//126  
 არამინიერი ცივილიზაცია: მითით თუ რეალობა//ალადაშვილი//130  
 ჰაკერთა შესანიშნავი შეკიდული//კარანაძე//134  
 ყველაზე პოპულარული საძიებო პორტალები//ქობულაძე//138  
 ვირტუსები ანტივირტუსების წინააღმდეგ//კარანაძე//142  
 მექანიზმის დასამაღად თუ მექანიზმის გამოსაჩენად//სუხიშვილი//146  
 რა არის სამოთხე?//ხუბუტია//148

2010 წლის 26 მაისი. თბილისი//ანდლულაძე//32  
 რეალმა პოლიტიკის სამსახურში//კარანაძე//36  
 კატინი-2//შეყლაშვილი//38  
 ტელეგრაფი, ხელოვნური თანამგზავრები და კოსმოსური

ნაგავი//შეყლაშვილი//42  
 ნანოტექნოლოგიური მომავალი//ბარამიძე//46  
 რუსებზე გავლით ახალი ზელანდიისაკენ//აზვლედანი//50  
 ქრისტენებია პუტინის თვალინი დაპყროსა//ლელაძე//54  
 საბედისნერ დაშვება ოლიმპიურ ვანკუვერში//ბარამიძე//56  
 პაკური - ახალი გატაცება, ახალი სპორტი//ქობულაძე//60  
 ვინ და როდის გამოიგონა კომპიუტერის თავგვე?//კარანაძე//62

## რეალური სივრცე



## საკუთარი სივრცე



თბილისი - ჩვენი ქალაქი  
 //შეყლაშვილი//66  
 ჩვენი უნივერსიტეტი  
 //საიტიდან//70  
 სტუდენტის გზამკვლევი  
 //საიტიდან//71  
 რეტროსის მიმართვა  
 //საიტიდან//76  
 გრიგოლ რობაქიძე - სახელი  
 და ადამიანი//ჭანტურა//78  
 რობაქიძის „როკვით განვიხილის“  
 ნაკითხვის შემდეგ//ქობულაძე//80  
 ჩები//კარელიძე//83  
 გრიგოლ რობაქიძის ანდერძი//83  
 ნაკურთხი ამორტიზატორი და სხვა  
 ამბები//მუჯირიშვილი//84  
 მე ახალგაზრდა ვარ: Yes:  
 //კარელიძე//85  
 გლობალურ-ვირტუალური  
 სოფელი ანუ ჩაანაცვლე,  
 გრიგორალე!//ჭაფოძე//90  
 დისტანციური სწავლების  
 პერსპექტივები//ჭაფოძე//93



## დასპამული სივრცე



## მასტერპლასის სივრცე

ია ანთაძე//როგორც იქნა, ომი ნავაგეთ//153  
 გიორგი გვახარია//,მამა, უცბად ვიგრძენი, რომ სულ მარტო ვარ“...//156  
 ბიძინა მაყიშვილი//სპორტი//159  
 ნიკო ნერგაძე//დავითახე მიშვევი (ჩაცმული ჯობდა) //161  
 მაღაზ ხარბედია//გამოსტერება//166  
 პატარა ქურდაძე//სექსუალურად კორექტული საზოგადოება//169  
 პატარა ნაცვლიშვილი//ნობელის პრემიის პირველი ქომინანტი//175



ლიკა ალადაშვილი

ნუცა ანდლულაძე

გიორგი ახვლედიანი

სალომე ბარამიძე

გიორგი ბერელიძე

ნინო გიგაური

გიორგი კარანაძე

თამარ კარელიძე

ქეთევან კობიაშვილი

გიორგი ლელაძე

ნუცა მუჯირიშვილი

სალომე პაპიძე

**სალომე სუხიშვილი**

თამარ ქარდავა

ანო ქობულაძე

ანი შეყლაშვილი

სოფიო ჭანტურია

თათია ჭაფოძე

შორენა სუბზურია

## მომავლის პროცესიული გზა

ქართველები პრეტენზიული ხალხი ვართ, სულ რაღაცას ვაპროტესტებთ და გარემოებასა თუ ბეჭ-ილბალს ვაბრალებთ არასწორ არჩევანს.

რამდენჯერ მოგვისმენია, ამა თუ იმ სპეციალობაზე შემთხვევით მოხვედრილს, მთლად განათლების რეფორმაზე „შეუწმენდია ხელი“, არადა, ეკონომიკურზე ჩაბარების მსურველს, სახვითი ხელოვნება თუნდაც მეშვიდე რატომ უნდა გენეროს?

„გამკენლავი“ შესავლის მერე პირდაპირ სათქმელზე გადავალ: მინდა შეგახსენოთ ძველი პროფესიები, რომელიც წარსულში არსებობდა და ტექნიკური პროგრესის გამო აღარ არსებობს, ან მცირე სახით თუ შემოგვრჩა. მინდა გაგაცნოთ ის პროფესიები, რომელიც არსებობს, მაგრამ ცოტამ თუ იცის მათ შესახეს. საუპარია ტექნოლოგიური პროგრესის ნაშობ პროფესიებსა და მომავლის საქმიანობებზე.

მართალია, დღეს თბილისი სინათლის ქალაქია, მაგრამ იყო დრო, როდესაც ჩვენი ქალაქი მეფარნის მეშვეობით ნათდებოდა. ან კიდევ, Georgian Water and Power-ის მაგივრად, თბილის თულუბი – ბოჩქებით „შეცვალა (იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონი“).

**თულუბი** – საზოგადოდ წყლის დამტარებელს ნიშნავს. ეს სიტყვა წარმოდგება თულუბიდან: თულუბი – ტყავის ტომარაა. ძველად ტყილისში წყალსადენი არ იყო, წყალს პირდაპირ მტკვრიდან იღებდნენ და კამერის ტყავიდან გაკეთებულ რუმბებით ეზიდებოდნენ ოჯახებში. 1893 წ. ქალაქის თვითმართველობამ თულუბი „ბოჩქებით“ შეცვალა (იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონი“).

## ოფიციალური

როგორ  
ვაძლიოთ  
არასახალისო  
სახალისოდ

ინტერნეტი  
მრავალმხრივია, ის  
საშუალებას აძლევს  
ადამიანს, თვითონებალიზდეს  
ნებისმიერ სფეროში, იქნება  
ეს მხატვრობა, რეჟისურა,  
ფოტოგრაფია თუ  
მეცნიერება... ახლახან  
გადავაწყდი საიტს,  
რომელიც წოვატორული,  
გამოგონებლური იდეებით  
არის დახუნდლული და  
ვებ.სივრცეში ასეთი  
მისამართ აქვს:

[www.Thefuntheory.com](http://www.Thefuntheory.com)

ქვემოთ მოყვანილი  
ორიგინალური  
გამოგონებები, რომლებიც  
ამ საიტიდან არის  
შერჩეული, შეიძლება  
ბეპერმა, ახალგაზრდა, ან  
თუნდაც, საშაულო ასაკის  
ადამიანებმ, შექმნეს,  
მაგრამ ამას დიდი  
მნიშვნელობა როდი აქვს –  
ინტერნეტს ხომ ძალიან  
იშვიათად ახასიათებს  
ასაკობრივი შეზღუდვები

1. პერდო სიჩარის  
შეზღუდვის ნიშვნას  
დავითოსობის


შესაძლებელია თუ არა  
სიჩქარის შეზღუდვა  
სახალისო გავრადოთ?  
კი, თუ კამერით  
დავაფიქსირებთ

პროფესიათა უმრავლესობა აღარ არსებობს, მაგრამ თავის მხრივ თითოეული  
მათგანი ახალი პროფესიის სათავედ იქცა.

სამომხმარებლო ბაზრის მრავალფეროვნებამ ახალ, უჩვეულო პროფესიების  
გაჩენას შეუწყო ხელი. მაგალითად, ევროპის ზოგიერთ დიდ საკონდიტრო  
კომპანიაში გაჩნდა ისეთი რეიტინგული პროფესია, როგორიცაა „კვერცხების  
მყნოსავი“. მისი მოვალეობაა ფიზიკური ჩარევის გარეშე გამოიცნოს გაფუჭებული  
კვერცხი; „წინილების სქესის განმსაზღვრელის“ პროფესიული მოვალეობაა  
გამოჩეკისთანავე განსაზღვროს წინილის სქესი, რომ ამის მიხედვით შეუჩიონ  
კვების რაციონი. მახვილი მზერის პატრონებს „ხანძრის აღმომჩენის“  
თანამდებობა უკავიათ, მათ ქალაქის ყველაზე მაღალ ადგილას სვამენ, ხანძრის  
საწისის ეტაპზე გამოსავლენად და შესაძლო საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ჩვენს ქვეყანაში სხვა მრავალი მიზეზის გარდა, ალბათ, ამიტომაც ჭირს სამუშაო  
ადგილები, ყველა იურისტი ან ეკონომისტია, არადა ჩვენს ქვეყანასაც ხომ  
სჭირდება „წინილების სქესის განმსაზღვრელი“?

ამ საკითხზე სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ მაინც მინდა წარმოიდგინოთ  
იმ ქართველის უკმაყოფილება, „ნაწილების გამსწორებლის“ ნაცვლად (ზოგიერთ



## ოფიციალური

იმ მანქანებს რომლებიც  
იცავენ სიჩქარის ლიმიტს.  
ამ მანქანების  
სარეგისტრაციო ნომრები  
(მისი მფლობელის/მძღოლის  
ვინაობა) გადაგზავნილი  
იქნება ლოტოში. გამარჯვე-  
ბულები შეტყობინებას  
მოგების შესახებ ელ-  
ფოსტით მიიღებენ. მოგების  
ფონდი კი შეიცვება  
გადაჭარბებული სიჩქარის  
კვარიმებიდან.

კევინ რიჩარდსონი (აშშ)

### 2. როგორ მოვახდოთ, რომ ჩავვაებება სიამოვნებით

#### დააპინარო თავიანთი ტანსაცმელი?

სასაცილოა, მაგრამ თუ  
დავფიქრდებით, შესაძლე-  
ბელია ისეთი მძიმე ჯაფა,  
როგორიცაა დალაგება,  
სასიამოვნო და ამსათანავე  
სახალისოც გავრადით. თუ  
ბავშვების ტანსაცმელზე  
მივამაგრებთ თხელ და  
ამასთანავე ძლიერ  
მაგნიტებს ეს პრობლემა  
შემდეგნაირად გადაიჭრება:  
მათ ალარ მოუწევთ  
ტანსაცმლის დასალაგებლად,  
ზედმეტი მომრაობა,  
ისინი უბრალოდ მუჭში  
მოიქცევენ, სიტყვაზე,  
მაისურს ან პულოვერს და  
კედელზე მმაგრებულ  
რომელიმე მაგნიტის  
ფირფიტას ესვრიან.

მერტ ჰილმ ისერი (აშშ)

თავი შედგ გვრდა



ძვირადლირებულ ფეხსაცმლის მაღაზიაში არსებობს ასეთი თანამდებობა, მათ კომპეტენციაში შედის, გასინჯვის მერე ნაოჭი ან ნაკეცი გაუსწოროს ფეხსაცმელს) „ბუხრის წმენდაზე“ რომ მოხვდება (აშშ-ში არსებობს ამ პროფესიის ორნლიანი კურსი და საქმაოდ მაღალ ანაზღაურებადი პროფესია: 1 საათი – 20 დოლარი).

არსებობს ასეთი პროფესია: მიმწოლი მეტროში. მუდმივი ხალხმრავლობის გამო ჩინეთისა და იაპონიის ქალაქების მეტრობში ყველა გაჩერებაზე არის ამ პროფესიის ადამიანი, რომელიც ფიზიკური ძალის გამოყენებით ტენის ხალხს ვაგონში.

ინტერნეტმა სხვა სიკეთეებთან ერთად, ახალი პროფესიებისა და საქმიანობების წარმოშობასაც შეუწყო ხელი. ასეთებია: ვებ-დეველოპერები; ინტერნეტ-კონსულტანტები; საიტების აგენტები, რომელთაც დეზინფორმაციის გავრცელება ევალებათ კონკურენტ საიტებზე; ინტერნეტ-გიდები, რომლებიც მომხმარებელს ატყობონებენ, რომელი საიტი რა ინფორმაციას შეიცავს... გაჩნდა ისეთი ვირტუალური სამსახურები, როგორიცაა ინტერნეტ-კლინიკა, ინტერნეტ-ფსიქოლოგები და თვით ინტერნეტ-ეკლესიებიც კი, რომელთა მეშვეობით აღსარების ჩაბარებაც კი შესაძლებელია. ვებ-სივრცეში არაერთი მაცდუნებელი საიტია, რომელიც გთავაზობს სახლიდან გაუსვლელად ფულის გამომუშავებას – საშინაო ბიზნესის ნარმოებას ყურისმომჭრელი სარეკლამო სლოგანებით: „შენი კომპიუტერი გამოიმუშავებს ფულს, მაშინაც კი როდესაც შენ გძინავს“.

ესეც მომავლის ნათურა!  
არც დენის წყარო აქვს და არც  
არაფერი. ანთია თავისთვის...  
თანაც ობობას რომ ჰეგავს!  
თითქოს სწორედ ჩვენი<sup>1</sup>  
ურნალისთვის არის შექმნილი.

## ოფიციალი

3. შესაძლებელია თუ  
არა უსაფრთხოების  
ღვევების შეპრო

სახალისო გავანდოთ?

როდესაც ადამიანი  
მანქანით თუ  
თვითმფრინავით მგზავრობს,  
იგი მუსიკას უსმენს ან  
თამაშობს დროის  
გასაყვანად. სახალისო,  
მუსიკალური ღვევების  
გამოყენებით ჩვენ  
შეგვიძლია ვაიძულოთ მათ  
შეიკრან ქამრები, რადგან  
სხვანირად ისინი ვერც  
მუსიკას მოუსმენენ და  
ვერც ითამაშებენ.

ნევენა სტოჯანოვიჩი  
(შვედეთი)

## 4. სახალისო პილეთები

მე მოვიფიქრე, როგორ  
შეიძლება ვაიძულოთ  
ადამიანი აიღოს ბილეთი  
საზოგადოებრივ  
ტრანსპორტში. შინაარსი  
შემდეგია: ბილეთის  
აღებისას ან ტრანსპორტში  
კომპოსტირებისას, მგზავრი  
ავტომატურად ხდება  
მომგებიანი გათამაშების  
მონაწილე. მე მგონი,  
საკმაოდ წამახალისებელი  
ხერხია დავაჯილდოთ  
ადამიანები ბილეთის  
აღებისათვის.

ოლი კემპელი (აშშ).

მოამზადა ანო ქობულაძემ

ინტერნეტმა სასწავლო სისტემაშიც შეიტანა ცვლილებები, სტაციონალურ სწავლებასთან ერთად გაჩნდა დისტანციური სწავლის მეთოდები. ინტერნეტ-მასწავლებლის მეშვეობით შესაძლებელია უცხო ენების, ფოტოგრაფიის, ხატვის შესწავლა.

რაც შეეხება მომავლის პროფესიებს, პრიტანულმა კომპანია Fast Future-მა, ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერით გამოავლინა ის პროფესიები, რომლებიც დღეისათვის არ არსებობს, მაგრამ უახლოეს მომავალში იარსებებს. მათ რიცხვს მიეკუთვნება ელექტრონაგვის ექსპერტი, რომლის მოვალეობა ქსელში ადამიანისათვის არასასურველი ინფორმაციის განადგურება იქნება; გაჩნდებიან კოსმოსური ექსკურსიამდლოლები: რადგან კოსმოსური ტურიზმის განვითარებასთან ერთად, დღის წესრიგში მათი აუცილებლობაც დადგება; ასევე მომავლის პროფესია გახდება ნანო-ექიმი. 2030 წლისთვის ექიმები არა მარტო აპენდიციტს მოკვეთენ პაციენტს, არამედ მსურველს შესთავაზებენ მეხსიერების დამატებით რესურსს.

მოკლედ, მრავალი პროფესია და საქმიანობაა, რომელსაც მონდომებისა და სათანადო ინფორმაციის შემთხვევაში შეგიძლია დაეუფლო, თუ, რასაკვირველია საკუთარი თავი „მსხვერპლად“ ან დაგიდევს განათლების რეფორმის „სამსხვერპლოზე“. ■■■





## ლიკა ალადაშვილი

ნუცა ანდლულაძე

გიორგი ახვლედიანი

სალომე ბარამიძე

გიორგი ბერელიძე

ნინო გიგაური

გიორგი კარანაძე

თამარ კარელიძე

ქეთევან კობიაშვილი

გიორგი ლელაძე

ნუცა მუჯირიშვილი

სალომე პაპიძე

სალომე სუხიშვილი

თამარ ქარდავა

ანო ქობულაძე

ანი შეყვლაშვილი

სოფიო ჭანტურია

თათია ჭაფოძე

შორენა ხუბუტია

## არამიციერი ცივილიზაცია: მითი თუ რეალობა?

არსებობენ თუ არა უცხოპლანეტელები? აზრი ორად იყოფა: ზოგს სჯერა არამინიერი ცივილიზაციის არსებობის, ზოგს კი ეს მითი ჰგონია. ადამიანები, რომლებიც დარწმუნებულები იყვნენ მათ არსებობაში და სჯეროდათ მფრინავი ობიექტებისა, შექმნეს კვლევის ახალი სფერო – „უფოლოგია“, რომელიც გულისხმობს უცნობ ფრინავ ობიექტებზე დაკვირვებებს, მასალის შეგროვებას, მათი ნამდვილობის დადგენას და ასევე მცდელობას მიეცეთ მათ მეცნიერული განმარტება. ტერმინი „უფოლოგია“ წარმოდგება აბრევიატურა UFO (Unidentified Flying Object-ისგან), რომლის ქართული ანალოგია „უფო“ (უცნობი ფრენია ობიექტი). ინტერნეტში გავრცელებულია ტერმინი „ამო“, მაგრამ, ჩემი აზრით, „უფო“ უფრო მოსახერხებელია ინგლისურ აბრევიატურასთან სრული თანხვედრის გამო; მით უმეტეს, რომ „ამოლოგიას“ არავინ ამბობს „უფოლოგის“ ნაცვლად.

1940-იანი წლების ბოლოს აშშ-ში და შემდეგ მთელ სამყაროში გამოჩნდნენ ჯგუფები, რომლებიც შეისწავლიდნენ შეტყობინებებს უფოების გამოჩენის შესახებ. უფოს შესწავლაში აქტიურად მონაწილეობდნენ ამერიკის ცენტრალური სადაზღვეო სამმართველო და საბჭოთა კაგებე.

საქართველოში უცნობი ობიექტების მიმართ ინტერესი მას შემდეგ გაჩნდა, რაც პრესაში მსგავს თემებს ტაბუ მოეხსნა და დაიბეჭდა რამდენიმე სენსაციური სტატია, რამაც გააღვივა ინტერესი ამ ფენომენის მიმართ. მაშინ ანომალიურ

**უფო** — ქართულში ეს ტერმინი ამოს ნაცვლად პარმინიშვილმა გამოიყენა ამ 20 წლის წინათ (იხ. გაზ „ნატურისთვალი“, № 6, მარტი, 1991).

## **ობორბა № 1. 2010**

მოვლენებს საქართველოში შეისწავლიდა ფიზიკოსი თალეს შონია. მან შექმნა უდიდესი არქივი, რომელიც თბილისში 1991 წელს მომხდარ სამხედრო გადატრიალებას შეეწირა.



1994 წელს საქართველოში შეიქმნა უფოლოგთა ასოციაცია (სუფოა). სუფოა ანომალური მოვლენების რეგისტრაციას და მონაცემების კატალოგიზაციას აწარმოებდა. მაგრამ 2007 წლიდან დაფინანსების უქონლობის გამო კვლევითი სამუშაოები შეჩერებულია. სუფოას დამფუძნებელი იყო პირველი ქართული უფოლოგიური გაზეთი „ამოუცნობი“.

90-იან წლებში ჩვენში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამტკიცებდნენ უცხოპლანეტელებთან მათ კონტაქტს. ერთ-ერთი მათგანია უურნალისტი და ხელოვნებათმცოდნე ნონა ჯაჯანიძე რომელიც ამტკიცებს უცხოპლანეტელებთან კონტაქტს: „ჩვენი კონტაქტი ტელეპატიურ ენაზე ხდებოდა. გონებაში ფრაზები შემოდიოდა და მეც ასევე ვპასუხობდი“. მისი თქმით, „ისინი“ ჩვენს პლანეტას მხოლოდ სიკეთეს მოუტანებ.

საპირისპირო მოსაზრება აქვს დიდ ფიზიკოს-თეორეტიკოსს, ნობელის პრემიის დაურეატს **სტივენ ჰოკინგის**, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული

ვისაც სტერეოგრამის  
აღსაქმელად თვალის  
გაშტერების რაღაც  
გამოცდლება აქვს,  
ამ მწვანე სტერეოგრამაში  
უცხოპლანეტელის  
სამგანზომილებან  
გამოსახულებს დაინახავს.

სცადეთ.



**სტივენ ჰოკინგი**

(Stephen William Hawking)  
დაიბადა 1942 წლის 8 იანვარს  
ოქსფორდში. ბრიტანელი  
ფიზიკოსის კარიერა 40 წელს  
ითვლის. მისი უამრავი წიგნი  
გამოსვლისთანავე  
პესტსელერად იქცა. ჰოკინგი  
დაავადებულია ნერვული  
დამბლით, რის გამოც მას  
დამოუკიდებლად მოძრაობა  
არ შეუძლია.

[http://ucnauri.com/20/12/2009/  
stephen-hawking/](http://ucnauri.com/20/12/2009/stephen-hawking/)



**Member Profile: Nancy Lieder ★**

Member ID: 3031  
Joined On: 2003-07-12 20:20:13  
Last Login On: 2010-05-08 18:27:12  
Posts: 10183  
Friend To: 41 members  
Location: Wisconsin, USA  
Email: Not Public



**Friends** **Foes**  
• Self • None

**Recent Threads by Nancy Lieder**

Thread	Replies	Views
ZetaTalk LIVE Chat May 8	26	196
ZetaTalk LIVE Chat May 1	14	743

Report abusive post  
**SPIDER:**  
User ID: 947418  
Georgia  
5/8/2010 6:56 PM  
Report abusive post  
[Top](#) [Previous Page](#)

ადამიანია სამეცნიერო წრებში. იგი განცხადებას აკეთებს: „უცხოპლანეტელები ნამდვილად არსებობენ, თუმცა არ სცადოთ მათთან დაკავშირება“. მისი აზრით, მათ დედამიწის გამოყენება სურთ, როგორც რესურსების წყაროსი, რათა წამიერად დაეუფლონ მათ და შემდეგ გზა განაგრძონ.

მსოფლიო ქსელში – ინტერნეტში უცხოპლანეტელებზე ძალიან ბევრი ინფორმაციაა, მაგრამ ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა ქალბატონმა სახელად ნენსი ლიდერი ( Nancy Lieder ). მისი თქმით, ის სისტემატურად ესაუბრება უცხოპლანეტელებს. სპეციალური საიტიც აქვს ([www.zetatalk.com](http://www.zetatalk.com)) და ამ საიტის დამაარსებელიც და რედაქტორიც თვითონაა. მის საიტზე ბევრი მასალაა, რომელსმაც ძირითადად ყურადღება გამახვილებულია მოსალოდნელ მოვლენებსა და **კატაკლიზმებზე**. ეს ყველაფერი, ნენსი ლიდერის თქმით, წითელ ვარსკვლავს

**კატაკლიზმი** – არავითარი კაეშირი არა აქეს არც კატასონ და არც ოყნასთან, ბარბარიზმულად „კლიზმას“ რომ ეძახიან. მომდინარეობს ბურძნულიდან და გამანადგურებელ გადატრიალებას, კატასტროფას ნიშნავს.



უკავშირდება, რომელიც იგი პლანეტა X-ად მოიხსენიებს. ნენსი ლიდერი ირწმუნება, რომ თვითონ არაა ამ ინფორმაციის ავტორი, მის უკან ზეტები დგანან. ზეტები უცხოპლანეტელები არიან ზეტარეტიკულის თანავარსკვლავედიდან. ლიდერი ამბობს, რომ ზეტები, მათივე განცხადებით, დედამიწელთა მიმართ კეთილად არიან განწყობილნი, მაგრამ არსებობენ საპირისპირო განზრახვის მქონე უცხოპლანეტელები.

ზეტების დევიზია: „არ იფიქრო მხოლოდ საკუთარ თავზე, ემსახურე სხვებს.“

საიტის რედაქტორს მუდმივი კავშირი აქვს მკითხველებთან. ყოველ შაბათს ამერიკის დროით 18:30 წუთზე (საქართველოსთვის +8 საათი) ჩატს მართავს ([www.godlikeproductions.com](http://www.godlikeproductions.com)) და ორი საათის განმავლობაში ცდილობს ათასობით ადამიანს უპასუხოს დასმულ შეკითხვებზე. თუ ამა თუ იმ კითხვაზე პასუხი თვითონ არ იცის, ზეტებს ეკითხება.

8 მაისს მე მომეცა საშუალება, ჩატში ნენსი ლიდერს გავსაუბრებოდი და ორი კითხვა დამესვა მისთვის:

— თუ ზეტებს დავინახავთ, უნდა დავეკონტაქტოთ მათ თუ არა?

— კონტაქტი ძალიან პირადი საქმეა, ამიტომ შენ თვითონ უნდა გადაწყვიტო, ზურგს შეაქცევ თუ გაესაუბრები მათ. უფოს დანახვა არ ნიშნავს, რომ ისინი აუცილებლად დაგეკონტაქტებიან.

— ამბობენ, რომ **ჰაიტიზე** შენიშნეს უფო, თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?

— უფო თითქმის ყველაზე არის, გამოსაფხილებლად.

ათასობით ადამიანი ეკონტაქტება ნენსი ლიდერს, დამატებითი ინფორმაციისთვის თქვენც შეგიძლიათ მის საიტს მიმართოთ: <http://zetatalk.com/nancybio.htm>

User ID: 682255 United States 5/8/2010 6:56 PM <a href="#">Report abusive post</a>	These Zetas (progenitors of the infal
SPIDER User ID: 947418 Georgia 5/8/2010 6:56 PM <a href="#">Report abusive post</a>	Re: ZetaTalk LIVE Chat May 8  hello, Nancy  how you think, IF WE SEE THEM, we
<a href="#">Top</a> <a href="#">Previous Page</a> <a href="#">Next Page</a>	



**ჰაიტი** (კარიბების ინდიელთა ენაზე – „მთაგორიანი“).

სიდიდით მეორე კუნძული ვესტ-ინდოეთის ანტილებში.

კუნძულს იყოფს ორი სახელმწიფო – ჰაიტი და დომინიკელთა რესპუბლიკა.

1492 წელს აღმოაჩინა ქრისტეფორე კოლუმბმა და ესპანიოლა დაარქვა.

კოლუმბის მეორე მოგზაურობისას აქ დაარსდა ამერიკის პირველი ესპანური კოლონია. კუნძულის

ფართობია დაახ. 76,4 ათასი კვ


კმ, მოსახლეობა – 14, 5

მილიონი (1993). ჰაიტის

სასპიროსთან 2010 წლის

12 იანვარს მცირე ინტერველებით ორი დღიერი (5,9- და 7,3-ბალიანი)

მინისტრა მოხდა. მინისტრის შედეგად ათასობით ადამიანი დაიღუპა და დაშავდა.



ლიკა ალადაშვილი

ნუცა ანდლულაძე

გიორგი ახვლედიანი

სალომე ბარამიძე

გიორგი ბერელიძე

ნინო გიგაური

**გიორგი კარანაძე**

თამარ კარელიძე

ქეთევან კობიაშვილი

გიორგი ლელაძე

ნუცა მუჯირიშვილი

სალომე პაპიძე

სალომე სუხიშვილი

თამარ ქარდავა

ანო ქობულაძე

ანი შეყლაშვილი

სოფიო ჭანტურია

თათია ჭაფოძე

შორენა ხუბულია

## ჰაკერთა შესანიშნავი შვიდეული

ჰაკერები ოდითგანვე ინტელექტუალურად განვითარებული და იდუმალებით მოცული, კიბერ-კრიმინალი ადამიანები არიან რომელიც ყველა ჩვენთაგანს ძალიან გვაინტერესებს...

ჰაკერთა შეტევების საყვარელ ობიექტებს ბანკებისა და ცნობილი კორპორაციების კომპიუტერული სისტემები წარმოადგენს. ასეთი სახის შეტევები ხორციელდება საფუძვლიანი მომზადების შემდეგ. მათში ერთდროულად მონანილობს რამდენიმე ბოროტმიოქმედ, ხშირად სხვადასხვა ქვეყნიდან, რომელთა შეპყრობა და დასჯა ადვილი არ არის. შეტევის სამიზნე – მსხვილი საფინანსო და სამთავრობო დაწესებულებათა სერვერები – რამდენიმე საათით ან რამდენიმე დღით მწყობრიდან გამოდის. ამ დროის განმავლობაში კომპანიები უზარმაზარ ფულს კარგავენ. 2003 წელს ეს თანხა 1 მილიარდი დოლარი იყო.

უფრო მეტად დამნაშავეებმა ფული იშვიერს კომპიუტერული თაღლითობით (**ფიშინგმა** ჰაკერებს 44 მილიარდი დოლარი აშოვნინა). მომხმარებლებს კეთილშობილური საბაზით თაღლითობისთვის კუთვნილ ვებ-გვერდებზე იწვევენ, მათგან იღებენ ინფორმაციას საბანკო ბარათებისა და პაროლების თაობაზე. დანარჩენი ტექნიკის საქმეა.

გაგაცნობთ მცირე ეპიზოდებს მსოფლიოში განთქმული ჰაკერების ცხოვრებიდან.

**ფრენკ დერდენმა (Frank Darden)** თავისი პირველი კომპიუტერი 16 წლის ასაკში საჩუქრად მიიღო ქრისტეშობის დღესასწაულზე. ახალი სათამაშოდან ბიჭის მოშორება შეუძლებელი იყო. მშობლები ვერ გაერკვნენ, რა ნახა ასეთი გასაოცარი მათმა ვაჟმა კომპიუტერმი, რომელსაც მთელი თავის დროს უთმობდა. რამდენიმე წლის შემდეგ მათ ყოველივე ეს მშვენივრად აუხსნა ფედერალურ აგენტთა

**ფიშინგი** – ტერმინი, რომელიც ინტერნეტის რესურსების არამიზნობრივად გამოყენებას აღნიშნავს.  
ძირითადად იყენებენ ინტერნეტ-თაღლითობი პირადი სარგებლობისთვის, რაც ითვალისწინებს ფულად მოგებასაც.



ჯაუფმა, რომლებიც დენდენების სახლში შეიჭრნენ და მთელი კომპიუტერული აღჭურვილობა წაიღის. ამ დროისთვის ფრენკ დერდენს 23 წელი შესრულებოდა, შედიოდა ჰაკერთა უდიდეს დაჯგუფებაში და თავის აქტივში ჰქონდა ასობით გატეხილი სისტემა მოელ მსოფლიოში. ბიჭს ძალიან უყვარდა ენის ტარტალი, ზედმეტი საუბრისგან თავი ვერც **IT**-ში მომუშავე მეგობრებთან შეიკავა, რამაც დაღუპა კიდეც... **სპამერებმა** უჩვეულო აქტიურობა სწორედ 2004 წელს გამოიჩინეს. ინტერნეტის მომხმარებელთა მიერ მიღებულმა მოუთხოვნელმა ელექტრონულმა ფოსტამ შარშან 3,3 ტრილიონი გზავნილი შეადგინა. ეს მაჩვენებელი 2003 წელს 1,6 ტრილიონ იყო. ზარალმა 119 მილიარდი (!) დოლარი შეადგინა. არასაჭირო ნერილებისგან მიღებული ზარალი იზრდება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ სპამი ხშირად ვირუსს შეიცავს. მომხმარებელს მათი გადატვირთვა და წაშლა დღეში ასობით უხდება. 2004 წელს ვირუსული ეპიდემიებისგან მიღებულმა ზარალმა 165 მილიარდი (!) დოლარი შეადგინა.

**კევინ მიტნიკის (Kevin David Mitnick)** სახელი შეიძლება სიტყვა „ჰაკერის“ სინონიმად წარმოვიდგინოთ. აშშ-ს იუსტიციის სამინისტრო მას ყველა დროის ყველაზე საშიშ კიბერ-დამაშავედ მიიჩნევს. კევინი მსოფლიოს პირველი „შავი“ ჰაკერია. პირველად მან ჯერ კიდევ ბავშობაში გატეხა მისი სკოლის კომპიუტერული ქსელი, რათა თავის სასარგებლოდ შეეცვალა გარკვეული ინფორმაცია. იგი ამაზე არ შეჩერებულა, მალევე გადავიდა სატელეფონო თაღლითობებზე, გატეხა ასობით სხვადასხვა კომპიუტერული ქსელი თუ პროგრამა და სახელი გაითქვა, როგორც საუკეთესო ჰაკერმა. მას წლობის მანძილზე ვერ აგნებდნენ. კევინი კვალს თითქმის არ ტოვებდა და მისი გაშიფრა წარმოუდგენელი იყო. სანამ საბოლოოდ იგი მეორე ჰაკერმა არ გაშიფრა. მიტნიკის დანაშაულობები უკვდავყოფილია ფილმში „გატეხვა“ ("Takedown"). თუ ეს ფილმი ჯერ კიდევ არ გინახავთ, დროს ნულარ დაკარგავთ და ჩამოტვირთეთ, შესანიშნავი ფილმია. მიტნიკმა დაინტერესის სატრანსპორტო ბილეთების სისტემის გატეხვით, რათა უფასოდ ესეირნა ავტობუსებით. შემდეგ, სტივ ვოზნიაკის (Steve Wozniak Apple-იდან) მსგავსად რეკავდა უფასოდ, იმის ხარჯზე, რომ იცოდა ტელეფონის სისტემა. პირველად მიტნიკი **Digital Equipment Corporation (DEC)**-ის სისტემის გატეხვისა და პროგრამული უზრუნველყოფის მოპარვისთვის გაასამართლეს. ამის შემდეგ მიტნიკი მთელ შეერთებულ შტატებს მოედო. მისი სიტყვებით, იგი ძრებოდა სატელეფონო ქსელებში, იპარავდა პირად ინფორმაციებს და ქვეყნის თავდაცვის კომპიუტერულ სისტემაში შეღწევაც კი მოახერხა. მის ჰაკერულ კარიერას ბოლო მოედო, როდესაც მან გატეხა კომპიუტერების ექსპერტის და თავადაც ჰაკერის საშინაო კომპიუტერი. ეს იყო **ცუტომუ შიმომურა** (Tsutomu Shimomura). შიმომურა ნაჩვენებია კიდევ ერთ ჰაკერულ ფილმში "Hackers". ეს ორი ფილმი ერთმანეთის გაგრძელებებს წარმოადგენს. 5 წლისა და 8 თვის ვადით კამერაში ჯდომის შემდეგ მიტნიკი მრჩეველი გახდა კომპიუტერების უსაფრთხოების სფეროში.

**IT** – ინტერნეტ-ტექნოლოგიები.

**სპამერი** – ტერმინიდან „სპამი“, რაც კონკრეტულად სარეკლამო განცხადებების მასობრივ დაგზავნას ნიშნავს ქსელში, უფრო ზოგადად კი – ყველა არა მოთხოვნილი, თავსმოხვეული ინფორმაციის მიწოდებას.

#### **Digital Equipment Corporation**

– ერთ-ერთი პიონერი კომპიუტერული კომპანია, რომელიც ჯერ კიდევ 1960-70-იან წლებში ანარმობებდა მიწოდებული კომპიუტერებს;

**ცუტომუ შიმომურა** – იაპონელი მეცნიერი და კომპიუტერების დამცველი სპეციალისტი. დაიბადა 1964 წელს. მუშაობდა FBI-ის დაცვის სისტემაში კომპიუტერის დაცვის სისტემების სპეციალისტთან და უზრნალისტთან ჯონ მარკოფთან (John Markoff) ერთად.



ურნათან ჯეიმსი

**ჯონათან ჯეიმსი (Jonathan James)** 16 წლის იყო, როდესაც მისი სახელი საქვეყნოდ გახმაურდა, როგორც ჰაკერობისთვის დაჭერილი პირველი არასრულწლოვანისა. მოვიანებით მან თქვა, რომ უბრალოდ ერთობოდა და მოსწონდა რთული ამოცანების გადაწყვეტა. ჯეიმსს გაუტეხავს სერიოზული ორგანიზაციები, მათ შორის **Defense Threat Reduction Agency**, რომელიც აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს შემადგენელი ნაწილია. ჯეიმსის ყველაზე დიდი „წარმატება“ იყო NASA-ს ელექტრონული ქსელის გატეხვა და მისი პროგრამული უზრუნველყოფის მოპარვა, რომლის ფასი 1.5 მილიონ დოლარს შეადგენდა. აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, ჯეიმსის მიერ მოპარული პროგრამული უზრუნველყოფა მართვდა საერთაშორისო კოსმოსურ სადგურს, ასტრონავტთა საცხოვრებელ ნაკვეთურებში ტემპერატურისა და ტენიანობის მართვის სისტემის ჩათვლით. NASA-ს სისტემის გატეხვის შემდეგ აუცილებელი გახდა მისი გამორთვა და შემოწმება, რაც ამერიკის გადასახადების გადამზდელებს 41 000 დოლარი დაუჯდათ. დღესდღეობით ჯეიმსი გეგმავს კომპანიის გახსნას, რომელიც კომპიუტერულ უსაფრთხოებაზე იზრუნებს.

**რობერტ მორისი (Robert Tappan Morris)** მამა, რომელსაც აგრეთვე რობერტ მორისი ჰქვია, ოდესლაც აშშ-ს ნაციონალური თავდაცვის სააგენტოში მუშაობდა. რობერტ მორის-უმცროსი ავად ცნობილი „რობერტის ჭიის“ ავტორია. ეს ვირუსი გახდა პირველი კომპიუტერული ჭია, რომელიც ინტერნეტით ვრცელდებოდა. მორისი გახდა პირველი, ვინც დაადანაშაულეს კომპიუტერულ თაღლითობაში და უფლებების დარღვევაში 1986 წელს. მორისმა თავისი „ჭია“ კორნუელის უნივერსიტეტში სწავლის დროს შექმნა. მისი მტკიცებით, მან ეს გააკეთა იმის გასაგებად, თუ რამდენად იყო გავრცელებული ინტერნეტი იმ დროში. „ჭია“ კი ინტერნეტში საშინელი სიჩქარით გამრავლდა და გავრცელდა. იგი თიშავდა კომპიუტერებს და ზოგს საერთოდაც აფუჭებდა. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ „რობერტის ჭია“ გააფუჭა 6000-ზე მეტი კომპიუტერი. მორისის ერთწლიანი პირობითი სასჯელი და 400 საათით იძულებითი სამუშაო მიუსაჯეს და 10 500 დოლარის გადახდა დააკისრეს. ახლა მორისი მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორია და მუშაობს „კომპიუტერული მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის“ ლაბორატორიაში. მისი საყვარელი საქმეა კომპიუტერულ ქსელების არქიტექტურა.

**კევინ პოლსენს (Kevin Poulsen)** ხშირად ბენელ დანტეს (Dark Dante) უწოდებენ. ლოს-ანჯელესის სატელეფონო კომპანიის რადიოსადგურის KIIS-FM-ის გატეხვის შემდეგ მისი სახელი მთელმა ამერიკამ გაიგო. ამ ოპერაციით მან საკმაო ფული იშოვა, საიმისოდ, რომ ეყიდა „პორშე“ და კიდევ სხვა რაღაც-რაღაცები. გამოძიების ფედერალურმა ბიურომ პოლსენის ძებნა მას შემდეგ დაიწყო, რაც მან მათი მონაცემების ბაზაში შეაღწია და შეიტყო მათ მიერ ტელეფონების საიდუმლო მოსმენის შესახებ. პოლსენი სატელეფონო ხაზებზე დასპეციალდა და ხშირად ტეხდა სატელეფონო სადგურებს. პოლსენის საქმე გაუხსნელი საქმეების სიაში

#### Defense Threat Reduction


**Agency** – ამ სააგენტოს საქმიანობის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს „დაიცვას ამერიკის შეერთებული შტატები მასობრივი განადგურების იარაღისგან“.



კევინ პოლსენი



ზურაბ არჯიშვილი



ბილ ლენდრეთი

მოხვდა, მაგრამ მისი დაჭერა მაინც მოხერხდა და 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ პოლსენი უურნალისტად მუშაობდა, ცოტა ხანში კი **Wired News**-ის მთავარი რედაქტორი გახდა.

**სულიო სეზარ არდიტა (Julio Cesar Ardit)** ჰარვარდის სტუდენტად ასალებდა თავს. 1995 წლის აგვისტოს ბოლოს ერთი სამხედრო ქსელის ადმინისტრატორმა სისტემაში შეჭრის ფაქტი დაადგინა. უცნობმა ჰაკერმა სისტემაში სნიფერი (მიტაცების პროგრამა) დააყენა, ხელთ იგდო რამდენიმე პრივილიგირებული **ეკაუნტის** პაროლები და მიიღო საშუალება, გაეკონტროლებინა საიდუმლო ინფორმაცია თანამგზავრულ ავიაციზანსა და **რადარულ** ტექნოლოგიებში. ქსელის ადმინისტრატორმა სწრაფად დაადგინა, რომ ჰაკერი უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სისტემიდან იყო შემოსული. სინამდვილეში ეს კომპიუტერი მხოლოდ ერთი რგოლი გახლდათ იმ დიდი ჯაჭვისა, რომელიც ჰაკერმა სამხედრო სისტემაში შესაბამებად გამოიყენა. საქმეში ჩაერთოენ გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები, რომლებმაც მოსმენა სწორედ უნივერსიტეტის კომპიუტერის მეშვეობით განახორციელეს. ჰაკერი სისტემაში სხვადასხვა ეკაუნტით შედიოდა და ამიტომ მისი გამოთვლა ძნელი აღმოჩნდა. ერთხელ მან საკუთარი **ნიკი** გამოამჟღავნა, რაც საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ რამდენიმე IT-ზე (ელექტრონულ განცხადებათა დაფა) მისი შეტყობინებები ეპოვათ და მისი ადგილდებარება განესაზღვრათ. ფედერალური ბიუროს აგენტებმა ბუენოს-აირესში უმსხვილეს არგენტინულ სატელეფონო ოპერატორს მიმართეს, რომელიც ამერიკელებს ჰაკერის რეალური სახელის დადგენაში დაეხმარა. იგი აღმოჩნდა 21 წლის ხულიო სეზარ არდიტა, რომელიც, როგორც გაირკვა, მრავალჯერ იყო შესული აშშ თავდაცვის სამინისტროს ელექტრონულ სისტემაში და არავინ იცის, კიდევ რამდენი სისტემა ჰქონდა ათვისებული. სასამართლოზე არდიტას საკმარისზე მეტი საბუთები წარუდგინეს და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

**ბილ ლენდრეთი (Bill Landreth)** ჰაკერობასთან ერთად მწერალიცაა. იგი იყო წევრი ჰაკერთა ერთ-ერთი პირველი ამერიკელ ჯგუფისა, ერთგვარი „რჩეულთა კლუბისა“. ჯგუფში მხოლოდ გამოცდილი „სპეციალისტები“ შედიოდნენ ასაკის მიუხედავად. ბილ ლენდრეთი ყველაზე გამორჩეული ვარსკვლავი იყო მათ შორის. მისი, როგორც ჰაკერის კარიერა 14 წლის ასაკიდან დაიწყო. 18 წლისა ის უკვე შესული იყო რამდენიმე ბანკის, გაზეთის, სასწავლო დაწესებულების, სატელეფონო კომპანიის, საკრედიტო ბარათების ბიუროს კომპიუტერულ სისტემებში. ლენდრეთი თავის საუკეთესო მეგობართან პიტერ ჯიემ საზღვრნებაზე მაშაობდა. გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა კლუბის თითქმის ყველა წევრი შეიძყრეს. ყველაზე ასაკოვანნი, ბილის ჩათვლით, ციხეში გაგზავნეს. საპატიმრო ვადის მოხდის შემდეგ ბილ ლენდრეთმა გადაწყვიტა, ჰაკერობისთვის თავი დაენებებინა და თავისი წარსული საქმიანობის შესახებ საინტერესო ავტობიოგრაფიული წიგნი დაწერა.


### Wired News ონლაინ

ტექნოლოგიური სიახლეების  
ინტერნეტ-საიტი  
<http://www.wired.com/>

**ეკაუნტი** – ინდივიდუალური იდენტიფიკატორი, მაგალითად პაროლი და ლოგინი,  
რომელსაც პროვაიდერი გამოუყოფს მომხმარებელს ინტერნეტთან მისაერთებლად. ნიკის (იხ. ქვემოთ) გაფართოებული ვარიანტია.

**რადარი** [ინგლ. radar – აბრ. radio detecting and ranging – რადიოთი აღმოჩენა და მანძილის განსაზღვრა] – რადიოლოგიკატორის შემოკლებული სახელწოდება.

**ნიკი** – ინტერნეტ-ტერმინი, რომელიც აღნიშნავს მომხმარებლის სახელს კონკრეტულ ინტერნეტ-გვერდსა თუ ფორულზე. ეკაუნტისაგან განსხვავებით, ნიკს მომხმარებელი თავად ირქმევს.



**ლიკა ალადაშვილი**

**ნუცა ანდლულაძე**

**გიორგი ახვლედიანი**

**სალომე ბარამიძე**

**გიორგი ბერელიძე**

**ნინო გიგაური**

**გიორგი კარანაძე**

**თამარ კარელიძე**

**ქეთევან კობიაშვილი**

**გიორგი ლელაძე**

**ნუცა მუჯირიშვილი**

**სალომე პაპიძე**

**სალომე სუხიშვილი**

**თამარ ქარდავა**

**ანო ქობულაძე**

**ანი შეყლაშვილი**

**სოფიო ჭანტურია**

**თათია ჭაფოძე**

**შორენა ხუბუტია**

## ყველაზე პოპულარული საძირებო პორტალები

გუგლი და იაჰუ. ძირითადად ეს ორია, რასაც ვიყენებთ ინტერნეტთან ჩვენი ურთიერთობისას. არადა, საძიებო სისტემების რაოდენობა რამდენიმე ათეულია. ზოგი ყოვლისმომცველია ამ ორივთი, ზოგი ამა თუ იმ კონკრეტულ თემატიკაზე ან ენობრივ სამყაროზეა ორიენტირებული. ჩვენ მსოფლიო აბლაბუდაში მათ შორის ყველაზე პოპულარულები მოვიძიეთ და გვინდა, ჩვენს მეთხველებს გავაცნოთ თავ-თავიანთი ლოგოებით, ფრონტპეიჯებითა თუ ინტერფეისებით.

მაშა ასე, მივყვეთ ლათინური ანბანის მიხედვით:

**aliweb.com** 1993 წლის ნოემბერში მარტინ კოსტერის მიერ წარმოდგენილი იყო ინტერნეტის საერთაშორისო ფესტივალზე უენევაში.

**altavista** yahoo-ს კუთვნილი საძიებო სისტემაა, რომლის პოპულარულობა საგრძნობლად შემცირდა google-ის შექმნის შემდეგ.

**ask.com** დაარსებულია 1996 წელს გარეთ გრუნერის და დევიდ ვარსენის მიერ.



## პალეტი


ყველაზე  
ძირისძირი  
ღომენური  
სახელები

insure.com მომხმარებელს  
აწვდის უახლეს ინფორმაციას  
ჯამშითელობის,  
ავტომობილის და სახლის  
დაზღვევის შესახებ.



ეს დომენური სახელი  
2009 წელს გაიყიდა 16 მილიონ  
დოლარად.

Sex.com ემსახურება  
საზოგადოების გარკვეულ  
წევს. შეიცავს სხვადასხვა  
ვიდეოს და სურათებს,  
რომელიც ძირითადად  
სექსუალური ხასიათისაა.



საიტზე შესვლისას თვალში  
გვხვდება სიტყვები: ამ  
საიტზე შეხვდებით ისეთ  
რაღაცეებს, რასაც დიდი  
ხანია ეძებდით. 2006 წელს  
დომენური სახელი 14 მილიონ  
დოლარად გაიყიდა.

baidu.com დაარსდა 2000 წელს და დიდი პოპულარობით სარგებლობს იაპონიასა და ჩინეთში. მისი დამფუძნებლები არიან ჩინეთის მოქალაქეები: რობინ ლი და ერიკ ჰუ. პორტალის მომხმარებლებს მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ დაახლოებით 740 მილიონ ვებ-გვერდს, 80 მილიონ გამოსახულებას და 10 მილიონამდე მულტიმედია-ფაილს.

bing.com (ყოფილი live search, windows live search და msn search) ინტერნეტ-სივრცეში გამოჩინდა 2009 წლის 28 მაისიდან. ეკუთვნის Microsoft-ს. ამ სისტემის მეშვეობით შესაძლებელია სხვადასხვა სურათის, ვიდეოს, სიმღერის, უახლესი თუ ძველი ამბების მოძიება და გამოყენება.

chacha.com ორიგინალური საძიებო სისტემაა. სპეციალიზირებულია კითხვა-პასუხში ანუ ნებისმიერ ადამიანს რომელიც ეწვევა ამ საიტს შეაძლებლობა აქვს დასვას კითხვა და შესაბამისად ხარისხიანი პასუხიც მიიღოს მასზე. სისტემის ავტორები არიან სკოტ ა. ჯონსი და ბრედ ბოსტიკი.

Cuil ინტერნეტ-გვერდებს შინაარსის მიხედვით ახარისხებს. აქვს პრეტენზია, რომ შეიცავს ყველა სხვა საძიებო სისტემაზე მეტ ინტერნეტ-გვერდს.

excite.com 1990 წელს შეიქმნა. საკმარისის მანძილზე ეს პორტალი ყველაზე აღიარებულ ბრენდად ითვლებოდა ინტერნეტ-სამყაროში. დღესდღეობით ის მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა სერვისს, ისეთს, როგორიცაა, მაგალითად: ძიება, ელ-ფოსტა, ჩათი და საფონდო შეთავაზებები.

Google შესაძლებლობას აძლევს მომხმარებელს, დაათვალიეროს და გაეცნოს მილიარდამდე სხვადასხვა ვებგვერდს; გააჩნია განსაკუთრებული საშუალებები იმისათვის, რომ მომხმარებელმა მოიძიოს სწორედ ის ინფორმაცია, რომელიც აინტერესებს.



Fund.com ეხმარება  
ადამიანებს გარკვეული  
შიზნების განხორციელებაში,



საჭირო ფონდების მიღწებაში  
და თვალსაჩინოს ხდის თუ  
როგორ აღწევნ  
წარმატებული ინვესტორები  
თავიათ მიზნებს. 2008 წელს  
ეს სახელი 9.99 მილიონ  
დოლარად გაიყიდა.



Porn.com მსოფლიოში  
ყველაზე საყვარელი  
პორნოსაიტია, რომელიც  
პირველ ადგილზეა  
ზრდასრული ადამიანების  
გართობის თვალსაზრისით.  
შეიცავს პორნოსცენების და



სრულმეტრაჟიანი  
ჩამოსატვირთი დივიდიების  
უდიდეს კოლექციას.  
2007 წელს ეს დომენური  
სახელი 9.5 მილიონ  
დოლარად გაიყიდა.

Business.com ყველაზე  
სახელგანთქმულია  
ინტერნეტ-ქსელში  
ბიზნესმენებს შორის.  
ატარებს ორმოც მილიონზე



info.com მომხმარებელს სთავაზობს ინფორმაციას შოპინგის, ბილეთების, საშახურის,  
ამინდის, სასტუმროს მომსახურეობის შესახებ. მასზე მოხვედრილ სტუმრებს ასევე  
შეუძლიათ მოიძიონ სასურველი ვიდეოები და ფოტოები.

jumpstation.com თანამედროვე საძიებო სისტემაა, რომლის პრეზენტაცია შედგა  
1993 წელის 25 დეკემბერს შოტლანდიის უნივერსიტეტში.

Kosmix არის ამერიკული კერძო კომპანია, რომლსაც შემოსავალი კატეგორიზაციის  
სისტემასთან დაკავშირებულ რეკლამაზე აქვს აგბული. ის შეიქმნა 2005 წელს და მისი  
სისტემა ტოპიკებით მუშაობს.

lycos.com გასართობი საიტების საძიებო ერთერთი ყველაზე პოპულარული სისტემაა.


msn (Microsoft network) უზრუნველყოფს მომხმარებელთა ინფორმირებას სხვადასხვა  
სფეროში. შეიცავს ნებისმიერ ინფორმაციას, იქნება ეს ისტორიული თუ  
თანამედროვეობასთან დაკავშირებული. პორტალს გააჩნია აგრეთვე მესენჯერი ანუ ჩეთი.

otex.com კანადური სისტემაა, რომელიც ავრცელებს განცხადებებს პროგრამული  
უზრუნველყოფის შესახებ. მას სისტემას დაახლოებით 3500 მომხმარებელი ჰყავს.

rambler.ru პირველი რუსულენოვანი საძიებო სისტემა ინტერნეტ-ქსელში. შეიქმნა 1996  
წელს. დროთა განმავლობაში საძიებო სისტემა დაიხვეწა მას თან დაერთო ელ-ფოსტით  
სარგებლობის სერვისი.

sapo.com პორტუგალიის ტელეკომის ჯგუფის დამხმარე კომპანიაა. ეს სისტემა  
წარმოადგენს პორტუგალიური ინტერნეტ-მომსახურეობის პროვაიდერს, თუმცა  
1995 წელს მას უფრო საძიებო სისტემის ფუნქცია ჰქონდა.

sogou.com ჩინური საძიებო სისტემაა. მასზე შესულ მომხმარებელს შეუძლია მოიძიოს  
სასურველი ტექსტი, სიმღერა, ვიდეო თუ რუკა.



Diamond.com ესმარება ვიზიტორს ყიდვის (shopping) გამოცდილების შეძენაში. მისი მეშვეობით მსოფლიო კლასის მომხმარებლთა მომსახურეობის განყოფილებაზე და ძვირფასეულობის ექსპერტებმა ას ათასზე მეტ მომხმარებელს გაუწიეს დამარტინის ბრილიანტის შერჩევაში. დომენური სახელი 2006 წელს 7.5 მილიონ დოლარად გაიყიდა.

Beer.com ძალიან პოპულარულია ლუდის



მოყვარულთა შორის. 2004 წელს ის 7 მილიონ დოლარად გაიყიდა.

Casino.com მასპინძლობს კაზინოს მოყვარულთა ურიცვე რაოდენობას,



w3.com უძველესი საძიებო სისტემაა, რომელიც 1993 წელს ჟენევის უნივერსიტეტში ოსკარ ნიერშტრიზის მიერ იყო შექმნილი.

webcrawler.com გაფართოებული საძიებო სისტემაა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა საძიებო სისტემას. იგი მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, გაეცნოს მაღალხარისხოვან გამოსახულებას, ვიდეოს და ამასთან უზრუნველყოფს მას უახლესი ინფორმაციით.

Yahoo.com ერთ-ერთი პოპულარული საძიებო პორტალია. მჭიდროდ თანამშრომლობს ინტერნეტ-ქსელის სარეკლამო კომპანიებთან, რათა მიაწოდოს საზოგადოებას სასარგებლო, უახლესი და საინტერესო ინფორმაცია.

yandex.ru ერთ-ერთი უდიდესი საძიებო სისტემაა, რომლის მიზანია მომხმარებლების უზრუნველყოფა მისთვის საინტერესო ინფორმაციით. ჰყავს დაახლოებით 19 მილიონი მომხმარებელი.

Yebol სხვათაგან განსხვავებული, ვერტიკალური „გადაწყვეტის“ საძიებო სისტემაა რომელიც ფუნქციონირების პრინციპი ცოდნაზე დაფუძნებულ, სემანტიკურ საძიებო პლატფორმას ემყარება.

Youdao ჩინეთის ინტერნეტ-სისტემაა, შექმნილია 2007 წელს. მას აქვს გამოსახულებების, სურათების, მუსიკის, ინფორმაციის, ჩინურ-ინგლისურ ლექსიკონების და სხვა მექანიზმები. მს.





## ვირუსები ანტივირუსების წინააღმდეგ

ლიკა ალადაშვილი

ნუცა ანდლულაძე

გიორგი ახვლედიანი

სალომე ბარამიძე

გიორგი ბერელიძე

ნინო გიგაური

**გიორგი კარანაძე**

თამარ კარელიძე

ქეთევან კობიაშვილი

გიორგი ლელაძე

ნუცა მუჯირიშვილი

სალომე პაპიძე

სალომე სუხიშვილი

თამარ ქარდავა

ანო ქობულაძე

ანი შეყლაშვილი

სოფიო ჭანტურია

თათია ჭაფოძე

შორენა ხუბუტია

ვირუსები, რომლებიც არც ქათმის გრიპს ჰგავს, არც ღორისას, არანაკლებ საშიშროებას ნარმოადგენს როგორც კომპიუტერისთვის, ასევე მისი მომხმარებლისთვისაც. ამიტომაც დღეს, ციფრულ სანაში, ყველაზე აქტუალური საკუთარი სისტემისა და ინფორმაციის დაცვის პრობლემაა. ბევრისთვის უკვე უცხო არ არის ის ფაქტი, რომ კომპიუტერული ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, ერთი მავნე ფაილის საშუალებით სხვის პირად ცხოვრებაში ჩავყოთ ცხვირი, ვმართოთ სხვისი მანქანები, მოვიპაროთ ინფორმაცია ან თუნდაც ფული და ა.შ. ამიტომ ბუნებრივად ჩნდება კითხვა: როგორ დავიცვათ თავი?

თავის დაცვა რამდენიმე საშუალებით შეიძლება. ამ საშუალებებში შედის უბრალოდ კომპიუტერის გამორთვა, ინტერნეტის გათიშვა, ყველა საეჭვო ფაილის შემოწმება და ა.შ. მაგრამ დღეს ყველაზე პოპულარულად მაინც ანტივირუსული პროდუქციის შეძენა (ან გატეხვაა, რასაც მიმართავს საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი) და მოხმარება ითვლება.

ამ საუკრნალო პისტის მიზანია, გავიგოთ, რას ნარმოადგენ და რამდენ ტიპად იყოფიან ვირუსები და ანტივირუსები, რომელი ანტივირუსა „უკეთესი“ მოცემულ სიტუაციაში და **ჰიგიენის** რომელი წესები უნდა დავიცვათ ჩვენი საყვარელი კომპიუტერის ინფიცირების რისკის მინიმუმამდე დასაყვანად. იმისთვის, რომ კარგად გავიგოთ, რა არის ანტივირუსი, ბუნებრივია, უნდა ვიცოდეთ, რა არის ვირუსი. „ვირუსი“, როგორც მას შეცდომით უწოდებენ და Malware (Malicious

**ჰიგიენა** (ბერძნულიდან) – მეცნიერება, რომელიც სწავლობს გარემოს ზემოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე და ამუშავებს ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებს; ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის პრაქტიკულ ღონისძიებათა ერთობლიობა.



Software – მავნე პროგრამა), როგორც მას ოფიციალურად ჰქვია, მოიცავს ყველა სახის ბოროტმოქმედ პროგრამას, ესენია ძირითადად:

- ვირუსი.** კომპიუტერის რიგითი მომხმარებლისთვის ეს სიტყვა ყველანაირ ცუდ მოქმედებასთან ასოცირდება, მაგრამ სინამდვილეში ეს სახელწოდება განსაზღვრავს მავნე პროგრამების მხოლოდ ერთ ნაწილს – მათ, რომლებიც ფუნქციონირებისთვის მოითხოვენ მომხმარებლის ჩარევას (ანუ მომხმარებელმა უნდა გაუშვას ინფიცირებული ფაილი) და გაშვებისას აზიანებენ სხვა ფაილებსაც.
- ჭიაყელა.** უფრო ცნობილია, როგორც „ვორმი“ (worm). ის, ვირუსისგან განსხვავებით, მოიცავს Malware-ის იმ ნაწილს, რომელსაც დამოუკიდებლად ფუნქციონირება შეუძლია. ასეთი ტიპის პროგრამები თავისით ახერხებენ ქსელის სკანირებას, დაუცველი მანქანების აღმოჩენას, ამ მანქანებში შეძრომას და საჭირო მანიპულაციების ჩატარებას. ამის შემდეგ მთელი პროცესი თავიდან იწყება. საბოლოო ჯამში ეს მთელი ქსელის ინფიცირებას იწვევს.
- Rootkit.** ყველაზე საშიში ტიპი. ასეთი Malware გაშვების შემდეგ ოპერაციულ სისტემას მოდიფიცირებას ახდენს და ამით ახერხებს სრულად დაიმაღლოს მომხმარებლის (და ანტივირუსის) თვალისგან.
- „ტროას ცხენა“.** საკმაოდ სახალისო და ამავდროულად ზუსტი დასახელებაა. ამ ტიპის პროგრამები ძალიან ჰქვანან თავიანთ ანტიკურ სენინას: „ტროას ცხენა“ გამოიყურება, როგორც სრულიად უვნებელი პროგრამა, თუმცა გაშვებისას ცდილობს შეუმჩნევლად შეასრულოს თავისი ზრახები. ის ვირუსისგან განსხვავდება მხოლოდ ერთით – მთლიანად ეყრდნობა მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის ტექნოლოგიას და, აქედან გამომდინარე, არ საჭიროებს თვითგავრცელებას (თუმცა მისი ასეთი ნაირსახეობაც არსებობს). „ტროას ცხენს“ ასევე შეუძლია მოამზადოს სისტემა სხვა მავნე ფაილისთვის (მოხსნას გარკვეული დაცვები), ჩამოტვირთოს და გაუშვას მავნე კოდი, „დააზომბიროს“ და DOS შეტევისთვის გამოიყენოს მანქანა და ა.შ.
- Spyware** მოიცავს სარეკლამო ბიზნესისთვის გამოყენებულ მავნე პროგრამებს. ეს ტიპი შეიძლება მიებას „ტროას ცხენს“ ან დაინსტალირდეს უვნებელ პროგრამასთან ერთად. ინსტალირების შემდეგ პროგრამა იწყებს რაიმე პროდუქციის რეკლამირებას ყველა საშუალებით (მაგ. ფანჯრების მოუთხოვნელად ამოყრა – Pop-Up), თუმცადა შიშის საფუძველი არ არსებობს – ასეთი ტიპის პროგრამა თავისი არსით უვნებელია (გაღიზიანებას თუ არ ჩავთვლით).
- BotNet.** ამ ტიპის მავნე კოდი სკანირებას უკეთებს ქსელს და იჭრება დაუცველ კომპიუტერებზე (ისევე, როგორც ჭიაყელა), შემდეგ ეშვება და კომპიუტერულ რესურსებს მმართველი კომპიუტერიდან მოსული ბრძანებების შესასრულებლად იყენებს. გამოიყენება ინფიცირებული კომპიუტერების ერთიანი ქსელის შესაქმნელად, რომლის უზარმაზარი რესურსებიც სხვადასხვა საქმიანობისთვის შეიძლება იქნეს გამოყენებული. უშუალოდ კომპიუტერში მყოფი ინფორმაციის მიმართ ასეთი შეტევა უწყინარია.



ახდენს მათი გამოცდილების  
ურთიერთგაზიარებას.  
ვებგვერდზე დიდი  
პოპულარობით სარგებლობს  
ონლაინ-თამაშები. სახელი  
2003 წელს 5.5 მილიონ  
დოლარად გაიყიდა.

Toys.com ძალიან ცნობილია  
ბავშვებში. ამ ვებგვერდზე



შესაძლებელია ნებისმიერი  
სათამაშოს შექენა შინიდან  
გაუსვლელად.  
ეს დომენური სახელი 2009  
წელს 5.1 მილიონ დოლარად  
გაიყიდა.

მოაზიადა ანო ქობულაძემ

**7. KeyLoggers** – იგივე Keystroke Loggers, ანუ მომხმარებლის მიერ კლავიატურიდან შეეკვინილი ინფორმაციის ჩამნერი. ძალიან ეფექტური საშუალებაა მსხვერპლის პაროლების თუ სხვა ნებისმიერი „კლავიატურული“ ინფორმაციის მოსაპარად. ინსტალაციის შემდეგ ასეთი ტიპის პროგრამები ეშვებიან ჩუმად, იწერენ ყველანაირ აქტივობას, იღებენ Desktop-ის სურათებს და გარკვეული ინტერვალით აგზავნიან ამ ყველაფერს შემქმნელთან.

**8. Dialers.** გადაშენებადი ტიპი. ინსტალირების შემდეგ პროგრამა მოდემის საშუალებით რეკავდა ფასიან ნომრებზე, რომლიდან შემოსავლის ნაწილსაც შემქმნელი იღებდა. მოდემების გადაშენების გამო ასეთი Malware ნელ-ნელა ქრება.

ყველაფერ ზემოთ ჩამოთვლილთან საბრძოლველად გამოიყენება ერთი (ან ბევრი ერთად) ჯადოსნური პროგრამა, სახელად ანტივირუსი. ის აანალიზებს სხვადასხვა ინფორმაციას (Start Up-ში ჩასმულ ობიექტებს, ჩამტვირთავ სექტორებს, გაშვებულ პროცესებს და ა.შ.), მიღებულს რეალურ დროში და იქცევა შესაბამისად. მაგალითად, თუ მან ნახა, რომ რომელიდაც გამშვები ფაილი აპირებს დამალულად გაუშვას ინსტალაცია (ტიპური „ტროას ცხენის“ სცენარი), შესაბამისად დაბლოკავს მას ან თქვენ გთხოვთ რჩევას – ასეთი და ასეთი რაღაც ხდება და გავუშვაო? ანტივირუსს მოქმედების ორი პრინციპი გააჩნია, ესენია:

ვირუსების აღმოჩენა ვირუსების ბაზაზე დაყრდნობით. ყველა ანტივირუსი თავის უკან რამდენიმე ლაბორატორიას და ადამიან-ეჭსპერტს ითვლის. ეს ადამიანები 24 საათის განმავლობაში აანალიზებენ ახალ-ახალ ვირუსებს, ქმნიან მათ შესაბამის „ანაბეჭდებს“ და ათავსებენ მათ თავიანთ სერვერზე, რომლებსაც შემდეგ მომხმარებლის მანქანაზე დაინსტალირებული ანტივირუსი ტვირთავს ინტერნეტის მეშვეობით. ფაილის სკანირებისას ანტივირუსი ადარებს მას არსებულ ვირუსების ბაზას და დამთხვევის შემთხვევაში ფაილს ვირუსად ამოიცნობს. გასაგებია, რომ რაც უფრო ხშირად განახლებადია ანტივირუსული ბაზა და რაც უფრო მეტი და პოპულარული ვირუსის ანაბეჭდი იტვირთება თითოეული განახლებისას, მით უფრო მცირეა კომპის ინფიცირების შანსი.

ვირუსების აღმოჩენა ევრისტიკულ (პროაქტიულ) მეთოდზე დაყრდნობით. ხდება ისეც, რომ სანაც ახალი ანაბეჭდები მომხმარებლის კომპამდე მიაღწევენ, კომპი იქამდე ხდება ახალი ვირუსის შეტევის მსხვერპლი. ასეთ შემთხვევაში უძლეურია ტრადიციული, ვირუსების ბაზაზე დაყრდნობილი სკანირების მეთოდი, მაგრამ კომპი ბოლომდე დაუცველი მაინც არ რჩება – არსებობს მეორე მეთოდიც, რომელსაც ევრისტიკულს უნდოდებენ. ის ყველა პროგრამის მოქმედებას აანალიზებს რეალურ დროში და საეჭვო პროგრამებს ბლოკავს. ასე რომ, კარგი ანტივირუსის ქონის შემთხვევაში კომპი შემთხვევების 95 პროცენტში დაცული რჩება.

ანტივირუსები, თავის მხრივ, იყოფა რამდენიმე კატეგორიად: ანტივირუსი + Firewall – ვირუსებთან მებრძოლი და ტრაფიკის მაკონტროლირებელი პროგრამა. სრული დაცვის პაკეტები – მე-2 კატეგორიას დამატებული ათასნაირი უაზრო ფუნქცია,





რომლებშიც ძირითადად სპამთან მებრძოლი, მშობლების კონტროლის, ინფორმაციის რეზერვირების, სისტემის ოპტიმიზირების, და რისი აღარ მოდული შედის. თუმცა რაში სჭირდება ეს ყველაფერი ანტივირუსს, დღემდე ვერ ვხვდები...

რა თქმა უნდა, ეს სრული ჩამონათვალი არაა და დაყოფა მწარმოებლებზეცაა დამოკიდებული. ზოგი კიდევ ჰყოფს კატეგორიებად პროდუქციას მომხმარებელზე მაქსიმალური მორგებისთვის, ზოგი კი მხოლოდ ერთ სახეობას უშვებს.

ძირითადად, ანტივირუსის შერჩევისას მომხმარებლის მხრიდან ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ პარამეტრებს:

**ვირუსების ბაზა.** რაც უფრო ხშირად განახლებადი და ეფექტურია ვირუსების ბაზა, მით უფრო დაცულია მომხმარებელი. ასევე, არსებობს აზრი, რომ რაც უფრო ახლოსაა ტერიტორიულად ვირუსების მწარმოებელი კომპანია თქვენთან, მით უფრო ეფექტურია მისი ანტივირუსული ბაზები. ეს ნაწილობრივ სიმართლეა, მაგრამ არა დიდად გასათვალისწინებელი.

**ევრისტიკული ანალიზი.** ვირუსების ახალი ბაზის უქონლობის შემთხვევაში თავდაცვის ეს გზადა გვრჩება. ასე რომ, ამ კომპონენტის კარგი მუშაობა სიკვდილ—სიცოცხლის საკითხია.

**რესურსების მოხმარება.** ნამდვილად არავის სჭირდება დაცვა, რომელიც მთელ სისტემურ რესურსებს გვართმევს, ამას ისევ გამორთული კომპიუტერი სჯობს. რა თქმა უნდა, რაც ნაკლებ რესურსს მოიხმარს ანტივირუსი, მით უკეთესი.

**ინტერფეისი.** ამ ნაწილში შედის ყველაფერი – დაწყებული პროგრამის მთავარი ფანჯრის გაფორმებიდან, დამთავრებული შეტყობინებების ვიზუალური თუ ხმოვანი სისტემით.

**ფასი.** ეს პუნქტი საზღვარგარეთ ანტივირუსული პროგრამის ავკარგიანობის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს ნარმოადგენს, თუმცადა საქართველოში არაა აქტუალური იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ანტივირუსული (და საერთოდ) პროგრამების უდიდესი უმრავლესობა მეკობრული („პირატული“) გზითაა ნაშოვნი (ანუ გატეხილია). შესაბამისად, ჯერჯერობით ეს პუნქტი მიიღეთ, როგორც ზოგადი ინფორმაცია და არა რეალურად გასათვალისწინებელი ფაქტორი.

შეამჩნევდით, არაფერი მითქამს Firewall-ის ავკარგიანობის განმსაზღვრელ პირობებზე, მაგრამ, იმის გამო, რომ ეს მიმართულება, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ძალიან ნელა განვითარებადია, ჩავთვალოთ, რომ ყველა ცნობადი კომპანიის Firewall (იგივე ბრენდმაუერი, ცეცხლკედელა, ქსელის ეკრანი და ა.შ.) მეტ-ნაკლებად აკამაყოფილებს სტანდარტებს; მეტის ცოდნა ახალბედა მომხმარებელს არაფერში გამოადგება, გამოცდილება კი დაინტერესების შემთხვევაში მიაკითხეთ სპეციალურ ინტერნეტ-საიტს და გაიგეთ მეტი ანტივირუსებსა თუ ვირუსების შესახებ. ეს საიტი სწორედ მაგისტრის არის შემქნილი: <http://compinfo.ge/>





00000 00000

## მკერდის დასამაღად თუ მკერდის გამოსაჩენად?

ლიკა ალადაშვილი  
ნუცა ანდლულაძე  
გიორგი ახვლედიანი  
სალომე ბარამიძე  
გიორგი ბერელიძე  
ნინო გიგაური  
გიორგი კარანაძე  
თამარ კარელიძე  
ქეთევან კობიაშვილი  
გიორგი ლელაძე  
ნუცა მუჯირიშვილი  
სალომე პაპიძე  
სალომე სუხიშვილი  
თამარ ქარდავა  
ანო ქობულაძე  
ანი შეყლაშვილი  
სოფიო ჭანტურია  
თათია ჭაფოძე  
**შორენა სუბუტია**

ბიუსტიკალტერი ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია ქალის გარდერობში. მას სულ ასიოდე წლის ისტორია და, როგორც სახელწოებიდან ჩანს, ერთი ძირითადი ფუნქცია აქვს: ასწიოს და ფორმა მისცეს მკერდს. მაგრამ სხვადასხვა ქვეყნის ქალები მას სხვადასხვაგარად აღიქვამენ და იყენებენ.

საცვლების მნარმოებელმა კომპანია “Triumph”-მა ჩაატარა ბიუსტიკალტერების მსხვილი საერთაშორისო გამოკვლევა, თუ რომელი ქვეყანაში რატომ ხმარობენ ბიუსტიკალტერს.

აი, მისი შედეგები :

**დიდი ბრიტანეთი.** ბრიტანელი ქალების 78% არ არის კმაყოფილი თავისი მკერდის ფორმით თუ ზომით და ამ ნაკლის გამოსწორებას ბიუსტიკალტერით ცდილობს.

**საფრანგეთი.** ფრანგი ქალების 93% თვლის, რომ მკერდი მათი სხუულის უმთავრესი ნაწილია და კარგად უნდა გამოიყურებოდეს.

ჩვენი უურნალის  
28-ე გვერდზე  
ჯერჯერობით უცნობ  
პატარა ბიჭუნასთან  
ერთად თვეისი  
განუშეორებელი  
სმაილით იცინის  
ცნობილი ჯესიკა ალბა.

## აპლეტი

მარილი გილესის ციგნები

მსოფლიოში ყველაზე დიდი მკერდის მფლობელია 34 წლის ამერიკელი ჩელსი ჰარმსი, პროფესიით პორნომსახიობი და სტრიპტიზიორი, ჰარვარდის კურსდამთავრებული. მისი თოთვული ძუძუ 11 ეგ-ს და 800 გრამს იწონის. ამ გიგანტურ ზომებს მისმა მკერდმა ქირურგიული ოპერაციისა და პოლიპოპილენის იმპლანტაციების მეშვეობის მიაღწია. ჩელსი ჰარმსი თავისი მკერდის წყალობით გინესის რეკორდების წიგნში შეივანეს. ეს მეორე ეგ-რუს ქალბატონი, სახლად ელენე, რომელიც 27 წლისაა, ვერასოდებს შევა გინესის წიგნი, თუმცა არანაკლები მკერდი აქვს. საქმე ის არის, რომ პოლიპოპილენის იმპლანტაციები, რისი მეშვეობითაც მკერდი ასე უსაშველოდ იზრდება, ჩელსი ჰარმსის რეკორდის დაფიქსირების შემდეგ აკრძალა და სპეციალისტების აზრით, ჰარმსის ადგილს გინესის რეკორდების წიგნში ვეღარავინ დაიკავებს.



სარალერ ილაზისამანი



დაჭაული ჩარლისანი



სული ჰენია



ჯალია საბაზო

იტალია. იტალიელი ქალებისა 69% სექსუალურ ბიუსტიპალტერს ატარებს, რათა სხვათა ყურალდება დაიმსახუროს.

გერმანია. გერმანელი ქალების 81% კმაყოფილია მათი ბუნებრივი გარეგნობისა და ბიუსტიპალტერი საერთოდ არ მიაჩნია საჭიროდ.

ჩინეთი. ჩინელი ქალების 77% ბიუსტიპალტერს იმიტომ ატარებს, რომ გარშემო მყოფებისა რცხვენია.

იაპონია. იაპონელი ქალების დიდი ნაწილი ბიუსტიპალტერს ღამითაც ატარებს, რათა უხერხულად არ იგრძნონ თავი.

ამერიკაში ჩაუტარებიათ გამოკითხვა ყველაზე დიდი და ლამაზი ნატურალური მკერდის გამოსავლენად. გაიმარჯვა სკარლეტ იოჰანსონი. მეორე ადგილი დაიკავა ნატალი პორტმანმა, მესამე იყო სელმა ჰაიეკი, მეოთხე ჰოლი ბერი და მეხუთე – ჯესიკა სიმპსონი.

ჩვენ ვდებთ თითოეული ამათგანის სურათებს, თავიანთი ძუძუ-მკერდიანად. ჰოლი ბერის ფოტო ნინა გვერდზეა დაბეჭდილი, დანარჩენი ოთხი კი ამ გვერდზე იძეჭდება. პირველი და მეორე პრიზიორები – დიდად, ხოლო მესამე და მეხუთე ადგილების მფლობელები – შედარებით მომცროდ. ■



## რა არის სამოთხე?

- ლიკა ალადაშვილი
- ნუცა ანდლულაძე
- გიორგი ახვლედიანი
- სალომე ბარამიძე
- გიორგი ბერელიძე
- ნინო გიგაური
- გიორგი კარანაძე
- თამარ კარელიძე
- ქეთევან კობიაშვილი
- გიორგი ლელაძე
- ნუცა მუჯირიშვილი
- სალომე პაპიძე
- სალომე სუხიშვილი
- თამარ ქარდავა
- ანო ქობულაძე
- ანი შეყლაშვილი
- სოფიო ჭანტურია
- თათია ჭაფოძე
- შორენა სუბუტია**

მას შემდეგ, რაც ადამი და ევა ღმერთმა სამოთხიდან გამოაძევა, კაცობრიობის მთელი არსებობა სამოთხის ძიებაა. მაინც რა არის სამოთხე? არსებობს კი?

ზოგიერთი თვლის, რომ მეცნიერებს შეუძლიათ მთლიანობაში ყველაფრის ახსნა – მათ შორის ჩვენი მუდმივი რწმენისა სამოთხის არსებობის თაობაზე. მათი თეზისი უბრალია: სამოთხე – ეს არის არარსებული ადგილი, პროცესი ან ზებუნებრივი მოვლენა. ეს არის რაღაც ისეთი, რაც წარმოისახება ადამიანის ტვინში სიკვდილის მომენტში.

სტატია, რომელიც 2000 წელს გამოქვეყნდა უურნალში *The Lancet*, წერია, რომ ადამიანების დაახლოებით 18 პროცენტამდე აგონიაში დაახლოებით ერთსა და იმავეს ჰყვება სიკვდილინა განცდებზე – ესაა გვირაბი, შუქი, კარიბჭე, კარი, უსხეულობის შეგრძნება, შეხვედრები ნაცნობ თუ უცნობ ადამიანებთან, ღმერთის სიახლოვე – შემდეგ კი დაბრუნება და ფერისცვალება.

სანამ მეცნიერები კამათობენ და არკვევენ, რა არის სამოთხე, ჩვენ ინტერნეტში შევძერით და თუ სადმე რამეს სამოთხე ერქვა, თითქმის ყველაფერი მოვძებნეთ. ბევრი რამ აღმოჩნდა ასეთი: კუნძული და თევზი, ჩიტი და ყვავილი, სასტუმრო და წიგნი... მათგან რამდენიმე საუკეთესო ამოვარჩიეთ და ამ პოსტს დავურთეთ, თუმცა პირდაპირი და უშუალო კავშირი ამ ფოტებს იმ ყველაფერთან, რაზეც პოსტშია ლაპარაკი, არა აქვთ.

პენსილვანიის უნივერსიტეტის რადიოლოგიური განყოფილების თანამშრომელი ენდრიუ ნიურბერგი ფიქრობს, რომ „გვირაბისა“ და „სინათლის“ ფენომენს უბრალო ასენა აქვს. მისი სიტყვებით, ასეთ დროს ადამიანი ვედარ ხედავს პერიფერიულ ზონებს და მის ყურალდება მიმართულია კაშკაშა წერტილისკენ, რომელიც თიშავს მზერის სისტემას.

1980 წლის ბოლოს მეცნიერებმა შეიმუშავეს თეორია, რომ სიკვდილის პირას მყოფი ადამიანის ტვინი ტრავმის მიღებისას გამოყოფს დამცავ ნივთიერებებს, რომლებიც გარდა ამისა იწვევენ ჰალუცინაციებს. ეს თეორია დადასტურდა მას შემდეგ, რაც მეცნიერებმა გაარკვის, რომ გვირაბში მოძრაობის შეგძნების, უსხეულობის, ჰალუცინაციისა და წარმოსახვითი მოგონებების – ფაქტობრივად სიკვდილისწინა ყველა განცდის გამოწვევა შესაძლებელია კეტამინის დიდი დოზით.

2000 წელს ფსიქიატრმა კარლ იანცენმა დაწერა წიგნი „კეტამინი: ოცნება თუ რეალობა“, რომელსაც ამ ნარკოტიკის რამდენიმე მოყვარულის გამოკითხვა დაედო საფუძვლად. ერთ-ერთი მათგანი, რომელმაც თავის თავს K.U. უწოდა, ასე აღნერს თავის ნარკომანულ გამოცდილებას: „მე ჩავიძირე ოქროსფერ ნათელში. მივედი შუქთან და მასთან უსიტყვოდ საუბრის შემდეგ მეგონა, რომ ის იყო ღმერთი.“ დანცემ ეს ილუზია უკეთ გამოხატა, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მისი გამოცხადებები ჰგავს K.U.-ს მონათხოვბას. ¶



სამოთხის ჩიტი



სამოთხის კუნძული (ბაჟაზის კუნძული)



სამოთხის ჩიტი



სამოთხის ჩიტი



ყავილი „სამოთხის ჩიტი“



სამოთხის თევზი

## აპლეტი



ვიკიმედია-ფონდი  
არაკომერციული  
ორგანიზაციაა, რომელიც  
შექმნილია 2003 წელს  
ვიკიპედიის მართვის,  
განვითარების,  
მსარდაჭერისა და  
დაცვისათვის. წლიური ათი  
მილიონი დღლარით ფონდი,  
რომელშიც მხოლოდ  
35-ითვე თანმშრომელი  
მუშაობს, მართავს  
მსოფლიოს მეცნიერებას.  
მე გთხოვთ დახმარებას,  
რომ ჩვენ გავაგრძელოთ  
მუშაობა.

წარმოიდგინეთ სამყარო,  
სადაც ყველას შეძლება  
თავისუფლად გამოიყენოს  
კაცობრობის მიერ  
დაგროვილი მთელი ცოდნა.  
ჩვენ ასეთი სამყაროსენ  
ვისწრაფით. და თქვენი  
დახმარებით მივაღწევთ  
კიდეც.

ჯიმი (ჯიმბო) უელსი,  
ვიკიპედიის დამფუძნებელი



## ვიკიპედიის დამფუძნებლის ჯიმბო უელსის მიმართვა

დღეს მე გთხოვთ გააკეთოთ შემოწირულება და მხარი დაუჭიროთ ვიკიპედიას.

მე მისი შექმნა 2001 წელს დავიწყებ და ჩემთვის დიდი პატივია, ამ რვა წლის განმავლობაში ვუყურო, თუ როგორ გვიერთდება ასეულ ათასობით მოხალისე, რათა შეიქმნას კაცობრობის ისტორიაში ყველაზე დიდი ენციკლოპედია.

ვიკიპედია არაკომერციული საიტია. ეს გახლავთ თანამეცნობრობის შრომის ნაყოფი, შექმნილი და დაფინანსებული ისტორია ადამიანების მიერ, როგორიც თქვენ ხართ. ყოველთვიურად ვიკიპედიას 340 მილიონი ადამიანი იყენებს. ეს მთელი მსოფლიოს ინტერნეტ-მომხმარებელთა დაახლოებით მესამედია. თქვენ ჩვენი თანამეცნობრობის ნაწილი ხართ.

მე მჯერა თქვენი. მჯერა, რომ ვიკიპედია გამუდმებით უმჯობესდება. ამაშია მთელი მისი არსი. ერთი წერს სტატიას, მეორე ოდნავ აუმჯობესებს და დროთა ვითარებაში იგი უკეთესი და უკეთესი ხდება. თუ ვიკიპედია დღეს სასარგებლოა თქვენთვის, წარმოიდგინეთ, რამდენს მივაღწევთ ერთობლივად 5, 10, 20 წელიწადში.

ვიკიპედიას ნაბიჯ-ნაბიჯ ქმნიან ჩვენნაირი ადამიანები. ჩვენნაირი ადამიანები ეხმარებიან მას მატერიალურად. ეს არის დასტური ჩვენი შესაძლებლობისა, ერთობლივი ძალისხმევით შევცვალოთ მსოფლიო.

ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ვიკიპედიას. ჩვენ გვინდა, რომ იგი კვლავაც იყოს უფასო და თავისუფალი რეალურისაგან. ჩვენ გვსურს, რომ იგი კვლავაც და იყოს და თქვენ ისე გამოიყენოთ მისი ინფორმაცია, როგორც ინტებება. ჩვენ გვსურს, რომ მან კვლავაც განაგრძოს ზრდა, ყველგან გაავრცელოს ცოდნა და ყველას მოუწოდოს მონანილეობისაკენ.

მადლობა, რომ იყენებთ ვიკიპედიას. თქვენ ჩვენი ნარმატების ნაწილი ხართ. გთხოვთ, ნუდარ გადადებთ. გააკეთეთ შემოწირულება.

<http://wikimediafoundation.org/wiki/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98>

აოსტები მეგაფონულადან:  
glenview (აშშ): უარი  
რეკლამაზე სულაც არ არის  
დამოუკიდებლობის გარანტია.  
თუ ხვალ რომელიმე საუდელი  
პრინცი ვიკიპედიას, შედეგი  
ინფორმაციისათვის უფრო  
სერიოზული იქნება, ვიდრე  
იმ შემთხვევაში, თუ ის  
ამ 10 მილიონს რეკლამისთვის  
გადახდიდა.

digger (ისრაელი): სერიოდ  
რას აკეთებენ ეს შტატიანი  
თანამშრომლები, მით უმეტეს  
რომ ვიკიპედიის  
არასამედოობა საყოველთაოდ  
არის ცნობილი. ლოგიკური  
იქნებოდა, რომ  
ვიკიპედიისათვის განათლების  
სამინისტროებს გადაეხადათ,  
რომლებიც თავის  
მოსავლეებს ხშირად  
უთითებენ მისკენ. რეკლამა კი  
ვიკიპედიას დამუხრუჭებს –  
იქ აღარვინ იცლის.

totev (კანადა): ვიკიპედია  
სამართლიანად შეიძლება  
შევადაროთ ენციკლოპედია  
ბრიტანეკას. მთავარია,  
სტატიები მხოლოდ ერთ ენაზე  
არ იკითხო.



დეფინიცია: ინტერნეტი// ქობულაძე//6  
 მომავლის მედია(?)//კარელიძე//10  
 შენი კუთხე ინტერნეტში//ალადაშვილი//16  
 ქსელში შეზღუდული თავისუფლება//გიგაური//20  
 ეკოლი იყოს თქვენი მობილური გლობულური კომერციისა და  
 ინტერნეტ-პაზნეის სამყაროში//ბერელიძე//22  
 პირველი ქართული ელექტრონული უზრაღები//კარანაძე//26  
 სმაილის ისტორია//კარანაძე//28  
 წიგნის პედი ინტერნეტის ეპოქაში//კობიაშვილი//30

## ვირტუალური სივრცე



„იმედის“ რექვიემი  
 //ჭანტურა//96  
 რეაქცია შემწვარ  
 კვერცხზე//სუხიშვილი//100  
 ვის უნდა გახდეს  
 ქველმოქმედი?//ქარდავა//106  
 პანდუსიჩქარა!  
 //კობიაშვილი//108  
 სამიმართ ქრონიკ ენას  
 //ბარამიძე, სუხიშვილი//112  
 ახალი კომიუნიტერული  
 შესაძლებლობის  
 მუსიკოსებისათვის  
 //ბაბიძე//116  
 რა არის ანიმე?//კარანაძე//118  
 იაპონია//კარელიძე//119  
 ქუჩის 3-D ხელოვნება  
 //ხუბუტია//122



## ცარიელი სივრცე

მომავლის პროფესიული გზა//სუხიშვილი//126  
 არამინიერი ცივილიზაცია: მითით თუ რეალობა//ალადაშვილი//130  
 ჰაკერთა შესანიშვნი შეიძეული//კარანაძე//134  
 ყველაზე პოპულარული საძიებო პორტალები//ქობულაძე//138  
 ვირტუსები ანტივირტუსების წინააღმდეგ//კარანაძე//142  
 მექერდის დასამალად თუ მექერდის გამოსაჩენად//სუხიშვილი//146  
 რა არის სამოთხე?//ხუბუტია//148

2010 წლის 26 მაისი. თბილისი//ანდლულაძე//32  
 რელამა პოლიტიკის სამსახურში//კარანაძე//36  
 კატინი-2//შეყლაშვილი//38  
 ტელეგრაფი, ხელოვნური თანამგზავრები და კოსმოსური

ნაგავი//შეყლაშვილი//42  
 ნანოტექნოლოგიური მომავალი//ბარამიძე//46  
 რუსებზე გავლით ახალი ზელანდიისაკენ//აზვლედანი//50  
 ქრისტენები პუტინის თვალნინ დაპყრეს ეკონომიკური განვითარები//ლელაძე//54  
 საბედისნერო დაშვება ოლიმპიურ ვანკუვერში//ბარამიძე//56  
 პაკური – ახალი გატაცება, ახალი სპორტი//ქობულაძე//60  
 ვინ და როდის გამოიგონა კომპიუტერის თავგვე?//კარანაძე//62

## რეალური სივრცე



## საკუთარი სივრცე



თბილისი – ჩვენი ქალაქი  
 //შეყლაშვილი//66  
 ჩვენი უნივერსიტეტი  
 //საიტიდან//70  
 სტუდენტის გზამკვლევი  
 //საიტიდან//71  
 რეტროსის მიმართვა  
 //საიტიდან//76  
 გრიგოლ რობაქიძე – სახელი  
 და ადამიანი//ჭანტურა//78  
 რობაქიძის „როკვით განვითარის“  
 წაკითხვის შემდეგ//ქობულაძე//80  
 ჩები//კარელიძე//83  
 გრიგოლ რობაქიძის ანდერძი//83  
 ნაკურთხი ამორტიზატორი და სხვა  
 ამბები//მუჯირიშვილი//84  
 მე ახალგაზრდა ვარ: Yes:  
 //კარელიძე//85  
 გლობალურ-ვირტუალური  
 სოფელი ანუ ჩაანაცვლე,  
 გრიგორალე!//ჭაფოძე//90  
 დისტანციური სწავლების  
 პერსპექტივები//ჭაფოძე//93



## დასკამული სივრცე



ია ანთაძე//როგორც იქნა, ომი ნავაგეთ//153  
 გიორგი გვახარია//,მამა, უცბად ვიგრძენი, რომ სულ მარტო ვარ“...//156  
 ბიძინა მაყიშვილი//სპორტი//159  
 ნიკო ნერგაძე//დავინახე შემცველი (ჩაცმული ჯობდა) //161  
 მაღაზ ხარბეგია//გამოშტერება//166  
 პატა ქურდაძე//სექსუალურად კორექტული საზოგადოება//169  
 პატა ნაცვლიშვილი//ნობელის პრემიის პირველი ნომინანტი//175



ბლოგი სრულიად ახალი ჟნრია უურნალისტიკაში. და არა მარტო უურნალისტიკაში. ეს არის ავტორისა და მისი მეითველის ურთიერთობის ახალი ფორმა, რომელიც ინტერნეტ-რევოლუციამ მოიტანა და რომელიც უკვე ისე მტკიცედ და მკვიდრდა ჩვენს ყოველდღიურობაში, აღარც კი გჯერა ადამიანს, რომ მას სულ რამდენიმე წლის ისტორია აქვს. ბლოგი, როგორც უანრი, ფართო დაბაზზონისაა და შეიძლება თავის თავში სხვა არაერთ უანრი მოიცავდეს, დღიურიდნ და ჩანხაზოდან დაწყებული, ვიზუალური ნარკვევამდე თუ პრობლემურ სტატიამდე. ბლოგს გამოარჩევს, ერთი მხრივ, პრერატიულობა და აქტუალობა, მეორე მხრივ კი, ავტორისული „მეს“ წინა პლანზე წამონება და ერთგვარი პროვოკაციულობა. ბლოგი ინტერაქტუული უანრია და შეითხევლია გამოხატურებას, მათ კომენტ(არ)ებს გულისხმობს, ხოლო ეს კომენტ(არ)ებ ხმირ შემთხვევაში, არანკლებ საინტერესო საკითხებათა, ვიდრე თავად საავტორო ტექსტი. შეიძლება ითქვას, რომ მცითხევლთა კომენტ(არ)ებ ბლოგის განუყოფელი წანილია და, ამდენად, ინტერვიუ ალბათ აღარ არის ერთადერთი უანრი, რომლის შექმნაში ერთზე მტკიცენი ადამიანი მონანილეობს.

ბლოგი თავში მონაბეჭდით ბროვერულია და სიტყვის კარგი გაგბით ბლოგის განსაკუთრებული ნაცილია და, ამდენად დასარეზებულის შტაბეჭდილებას ტრეპს, ზოგჯერ არის კიდევ ახვი, რაც ფართო ასპარეზს შეის მეთხველთა ატრიუმისათვის. არცთუ იძებათად ავტორი მხოლოდ მონიბრავს თემას, მხოლოდ თავის პირად, ზოგჯერ საკამათო, თვალსაზრისს გამოთქვამს ამ თუ იმ პრობლემაზე და მერე ან შორიდან უყურეს და ან თავადაც აქტიურ ებმება თავის მერვე პრივაციირებულ დისუსიძიში.

ბლოგ-პოსტებისა და მისი კომენტ(არ)ების კითხვა დღეს ძალიან მოიღური გახდა ინტერნეტ-საზოგადოებში. ბლოგერების რაცხვიც დღიური დღე იზრდება. იზრდება მათი რიცხვი საქართველოშიც. მათ ქსანები მოგვიხირობს თავის ხერილმ ჩევნიალის ერთ-ერთი შემოქმედი ლიკა აღადაშეიღლი (იხ. გვ. 16). სიანტერესო საბაკალავრო ნაცილი დაწერა ბლოგებზე ჩვენმა ერთ-ერთმა ავტორმა თამარ კარელიძემ, თავადაც ბლოგერმა (იხ. გვ. 10).

ბლოგების მთავარი თავისებურება – მთა ინტერაქტიულობა, ტექსტების ლია ანალიზი და ფართო დისკუსია – ბლოგს შესანიშნავ სასწავლო მასალაც აქცევს მომავლი უურნალისტებისათვის. სწორედ ამ მიზნით შეიჩინა უურნალის ამ ნაწილში გამოქვენებული ბლოგები, რომელიც თავად სტუდენტებმა მოიძიეს. ბლოგების თემატიკა უმუალოდ ებმიანება იმ თემატიკას, რომელიც უურნალის მომზადებისას ყველაზე აქტუალური იყონ და სტუდენტთა ნამუშევრებიც ისახავა.

ჩვენს უურნალი წარმოდგენილია „რადიო თავისუფლების“ ბლოგების ხუთი ავტორი – ია ანთაძე, გორგო გვასარია, ბიძინა მაყავილია, ნიკო ნერგაძე და მალხაზ ხარბეგია, რიმლებიც დიდად პოპულარული არიან ქართულ მედია-სიგრაფეში და საესებით დამსაზრებულადაც. აქვეა წარმოდგენილი საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ბლოგერი პაატა ქურდაძე, რომელმაც თავისი ტექსტები წელს ცალკე წიგნადაც გამოსცო.

მისი ბლოგების გამოყენების უფლება ჩვენს უურნალს თავად პაატა ქურდაძემ უბოძა, „რადიო თავისუფლების“ ბლოგერთა ტექსტები კი ამ რადიოს ქართული რედაქციის ხელმძღვანელის, ბატონ დავით კაკაძაშის თავაზინი ნებართვით იძექდება.

## და კიდევ ერთი

ბლოგთან პირდაპირი კავშირი არა აქვს, მაგრამ „მსსტერკლასის“ სივრცეში მიუმართება ადგილი ჩემს ნარკვევაც, რომლის შექმნა მთლიანად უურნალ „ობა-ობას“ დამსახურებაა. სამეც ის არის რომ, როდესაც უურნალზე მომუშავე ჯგუფთან ერთად გადაწყვეტეთ, რომ იგი ინტერნეტის ბასალებშე ყოფილობურ და ფუნქციურ და ინტერნეტთან ბმა ყოველი მასალისთვის აუცილებელ პირბად დავსახეთ, თავად ვცად იმის გაკეთება, რაც სტუდენტებისან უნდა მომეთხოვა. საერთოდ, ჩვევად მაქვს, არავის, არც სტუდენტს და არც თანამშრომელს არ ვაგალებ და არ ვთხოვ იმას, რისი გაკეთებაც თავად არ მაქვს ნაცადი. ამ შემთხვევაშიც, ინტერნეტ-ოკეანეში თავისუფალი ცურვისას ინწორმაციისა თუ თემის არაერთ საინტერესო კუნძულს მივადექი, სამუშარნალიდ კი გრიგორ რობაქიძე ავარჩიე, რაკი იგი სწორედ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამოცემა.

აღმოჩნდა, რომ რობაქიძეზე ინტერნეტში სრულიად უცნობი ინტერნეტცი იდო და მზოლოდ გამომზურებასას ელოდებოდა. გამოვირიძე, დავამუშავე, საგაზეთო მასალად ვაქციე და გამოვაქვენე კიდევ.

წერილმა საზოგადოების დაინტერესება გამოიწვია; ინტერესით გაეცნენ მას ჩევნი უურნალისტური სახელოსნის შეგირდებიც. სწორედ მათთან ერთად გადაწყდა, რომ ჩევნს უურნალში ეს წერილიც გამოგვეკვეყნებინა, როგორც მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება გამოიყენოს ბეჭდურმა მედიამ ინტერნეტ-რესურსები.

ამდენად, თუმცა სრულიად სხვა კუთხით, მაგრამ ეს ჩემი წერილიც ინტერნეტ-უურნალისტიკის პროდუქტებია. პ. ნ.



19.03.2010

## „რადიო თავისუფლების“ ბლოგები

[http://www.tavisupleba.org/archive/la\\_Antadze/20100301/1022/2110.html](http://www.tavisupleba.org/archive/la_Antadze/20100301/1022/2110.html)

## ია ანთაძე

## როგორც იქნა, რომ ცავაგეთ

„როცა სიბწველე ირგვლივ სრულია,  
ნიშნავს, რომ ღამის დასასრულია.“  
კოტე ყუბანეიშვილი

ვიცი, რომ უკვე ყველას მობეზრდა 13 მარტს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით გასულ რეპორტაჟზე საუბარი. ამ რეპორტაჟიდან მხოლოდ სიტყვა „მოდელირებული“ შემოგვრჩა, რომელიც აქტიურად იმკვიდრებს თავს თბილისელების ლექსიკონში, მაგალითად, ასეთ კონტექსტში: „შენ ცოტა მოდელირებული ხომ არა ხარ?!“

თუკი, აქვე ვიტყვი, რომ ამ მობეზრებულ სიუჟეტთან დაკავშირებით, თითქმის არც ერთ შეკითხვაზე დღემდე დამაჯერებელი პასუხი არ მიგვიღია. არ ვიცით მოტივი, არ ვიცით დამკვეთი, არ ვიცით მიზანი და არც შედეგი. არადა, სწორედ შედეგზე მინდა, დავწერო. თანაც, რაკი პრეზიდენტზე მომინევს საუბარი, რომლის კავშირი სიუჟეტთან დოკუმენტურად დაუდასტურებელია, პარემ განვმარტავ, რომ ამ სტატიას საფუძვლად მხოლოდ ჩემი პირადი მოსაზრებები უდევს.

\* \* \*

წარმოუდგენელია, ამ რეპორტაჟის დამგეგმავ და მის მომზადებაში ჩართულ ადამიანებს ის შედეგი გაეთვალათ, რაც, ჩემი აზრით, მიიღეს: 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთთან დაწყებულ რეალურ ომს 2010 წლის 13 მარტს მოდელირებული ომით დაესვა წერტილი. ამ დღეს განცდილი ემოციური შოკის შემდეგ ჩვენ, როგორც

ავტორი: პაპა

19.03.2010 21:00

ქალბატონო ია, ძალიან მომენტინა თქვენი სტატია. მაგრამ არ მომენტინა სტატიის პირველი წინადადება. კიდევ უფრო ნაკლებად – პირველი სიტყვა. ისე უდერს, თითქოს ცოტა მოიბოდიშებთ, რომ კიდევ ამ თემაზე ლაპარაკობთ. მე მგონი, ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ისაა, რომ, მიუხედავად ამ

არნაზული უსასებისმგებლობისა და უგემოვნობისა, რაც „იმედმა“ გააკეთა, ხლოს მაინც მზადაა, დაივიწყოს ეს ინციდენტი. ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ დაუვიწყია.

ამგვარი ყბადადებული კანონდარღვევების დავიწყება და პატივება კი, დარწმუნებული ვარ, იმის მიზეზია, რომ გვყავს უპასუხისმგებლო, ინფანტილური, უგემოვნო და უზნეო საზოგადოება. და ამ ჩიხიდან გამოსავალი არ არსებობს. ტყუილად თავს ნუ მოვიტყუებთ. სანამ საკუთარი ექსპრემენტებით ტყობას არ გადავეჩვევით და სანამ რიხიანად არ ვისწავლით სიმართლის თქმას, გვირაბის ბოლოს სინათლეს არ უნდა ველოდეთ.

## In Response

ავტორი: ია ანთაძე

19.03.2010 21:03

ძვირფასო პაპა, თქვენი შენიშვნა მიღებულია.

ავტორი: melanolikosi  
19.03.2010 15:25

არა, მანც ენ უნდა იყოს  
გადაცემის ავტორ-მომწოდის?

კლასიკური დეტექტივების  
თანახმად ის უნდა იყოს ის  
ვინც აქედან ყველაზე მეტი  
ხეირი ნახა.

ესე იგი ის ბანაკი ვისაც მიეცა  
პრეზიდენტი გიუჯაოს

გაუთავებლად დახნილის კიდევ  
ერთი და ძალიან ძლიერი  
საბაბი. ვისაც უსარია  
საქართველოს ეკროპისგან  
იზოლაცია.

ესაა ის ბანაკი ვინც ნახა  
მოკლევადინი მოგება.  
გრძელვადან პერსექტივში  
კი ვინ მოიგებს ეს ღმერთმა  
იცის. მაგრამ ყველა კარგია.

საქართველოს ალბათ  
ეშველება მაშინ როდესაც  
ასპარეზზე გამოვა ილიას,  
შოთას, ვაკეს, ნიკა  
ლიორქეფანიძის, გრიგორ  
რობაძის და სხვა დიდ

ქართველთა ღვანლის  
მცოდნება და  
დამფასებელ-მიმღვართა  
თაობა. როდის მოვა ეს თაობა

არ ვიცით. ამ თაობიდან  
გამოსულ პოლიტიკოსთა  
სახელები მკითხავებმა,  
მისნებმა თუ ასტრილოგებმა  
შეიძლება იცოდნენ ალბათ

მისიტომ რომ ეს სალის როგორც  
ჩანს ჯერ არ დაბადებულა.

მანამდე იქნებ ვინმებ  
გაზარდოს ერთი-ორი ასეთი  
კაცი (და ქალი).  
როგორც ჩანს ესაა ყველაზე  
გადაუდებელი და საჩქარო  
ამოცანა.  
ულრმესი პატივისცემით და  
მოწინებით.

ქვეყანამ, გავაცნობიერეთ ის, რაც ნამდვილი ომის შემდეგ ბოლომდე არ გვჯეროდა:  
საქართველოს ხელისუფლებამ ომი წააგო. მან პასუხი უნდა აგოს.

ბევრმა მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ როგორც ქართული, ისე უცხოური  
საზოგადოების მხრიდან ზუსტად ახლა კეთდება ის შეფასებები, რაც, წესით, აგვისტოს  
ომის შემდეგ უნდა გაკეთებულიყო. ახლა ტრიალებს ჰაერში ის ღრუბლები, რომლებიც  
ხუთდღიანი ომის წამგები მთავარსარდლის თავზე ჯერ კიდევ 18 თვეს წინ უნდა  
შეკრებილიყო. დავამატებ: რეალობის აღქმა, რაც ნამდვილი ომის შემდეგ დაიშალა და  
უმისამართოდ გაიძნა, საწყის წერტილს სწორედ იმიტირებულმა ომმა დაუბრუნა.  
შეკვის შემდეგ ფოკუსი ერთბაშად გასწორდა და მივხვდით – ბოლო გადასატანი  
გადავიტანეთ. უსახელო სიმძიმე, რაც წელიწადნახევრის განმავლობაში სასტიკად  
გვაწვალებდა და ცხოვრების საშუალებას არ გვაძლევდა, სახელდებულია: ომთან  
თამაში სიგიურა. ეს სიგიურ, ბოლოს და ბოლოს, დასრულდა და დაიწყო  
პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა.

ერთია ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის  
ელჩების საპროტესტო განცხადებები; მეორეა ევროპული და ამერიკული საგაზეო  
სტატიები თუ ტელესიუჟეტები, სადაც პირდაპირ ან ირიბად არის მინიშნებული ის  
პასუხისმგებლობა, რაც უსრნალისტების კომპეტენციას სცილდება. ბევრგან  
მოურიდებლად არის ნათევამი, რომ ტელეკომპანია „იმედს“ პრეზიდენტ სააკაშვილთა  
დაახლოებული პირი მართავს. უცხოელები სიუჟეტის უწოდებენ არა „უსამოვნოს“ –  
როგორც მას საქართველოს პრეზიდენტმა უწოდა – არამედ, „უპასუხისმგებლოს“.

მთავარი მაინც ქართული საზოგადოებაა, რომელიც სიუჟეტის შემდეგ რო  
რადიკალურ ნანილად გაიყო. ერთი ნანილის აზრით, ისევ ტელემაყურებლის ბრალია,  
თუ მან ტყუილი და მართალი ერთმანეთისგან ვერ გაარჩია და თავი პანიკაში ჩაიგდო.  
მეორე ნანილი კი პრეზიდენტის ფსიქიკურ ჯანმრთელობას აყენებს კითხვის ნიშნის  
ქვეშ. მიხეილ საკაშვილის ესა თუ ის გამონათქვამი, ესა თუ ის ნაბიჯი  
არაერთგვაროვნად ბევრჯერ შეფასებულა, მაგრამ მის მიმართ საჯარო სივრცეში  
არასოდეს დასმულა იმგვარი „დააგზოზები“, როგორიც „ქრონიკის“ სიუჟეტის შემდეგ  
დაისვა. და ბოლო წლების განმავლობაში პირველად ვხედავთ, რომ პრეზიდენტის  
მომხრეთა ჯგუფი შეუდარებლად მცირერიცხოვანია, ვიდრე – მისგან დაზაფრულების.

\* \* \*

არავინ გაბედავდა ასეთ შეფასებებს შეთხზული სიუჟეტის გამო, მისი წინამორბედი  
რომ არ ყოფილიყო ხუთ დღეში წაგებული რეალური ომი; და არავინ აპირებდა იმ  
რეალური ომის გამო პასუხის მოთხოვნას, ომთან თამაში თავად ომის წამგებ  
პრეზიდენტს რომ არ წამოეწყო. რეალური და ვირტუალური ამბავი საბედისწეროდ  
გადაება ერთმანეთს, რათა დასრულებულიყო ის, რაც დაიწყო და შემდეგ ჰაერში  
გამოეკიდა განაჩენის მოლოდინში.

როდის და როგორ გაფორმდება ეს დასასრული, არ ვიცი. სულ ორი კვირის წინ მე  
თვითონ დავწერე სტატია დაკარგულ დროზე, როდესაც რეალობას მოწყვეტილ

ავტორი: temuri

19.03.2010 15:27

მშვენიერი სტატიაა.  
ერთ საკითხსაც მინდა შევეხო.  
ჩვენთან ერთად ეს ომი ე.ნ.  
დასავლებმაც წააგო,  
მიუხედავად 4.5 000 000 000\$  
დახმარებისა და იქამდე კიდევ  
რამდენი იყო, ვინ მოთვლის.  
ამიტომ იცოდეს ყველამ, რომ  
ყველაფერს ფულით ვერ იყიდი  
და მით უფრო უულით  
ყველაფერს ვერ მოიგებ.  
მითუმეტეს როცა სხვასაც  
არანაკლები გააჩნია.  
ეხლა აილოს დანა-ჩანგალი  
ბ-მა ბარაძემ და მიშაბ და  
მაგის ამფსონებმა და დაუარონ  
ლეკური და განდაგანა. ჩვენ  
კიდევ ვიჯდეთ და ვიძახოთ  
რომ ეგენი გიუჟები და  
სულელები არიან და სოფელიც  
აშენდება. კიდევ რა უნდა  
დაგვასურონ ამ სულძალიანებმა თავზე, რომ  
ტუნი გავაძრიოთ და ბოლო-  
ბოლო გონს მოვეგოთ?  
ვეკითხები ყველას და ე.ნ.  
ოპოზიციის შანგაბაში  
გახვეულებსაც მათ შორის.

ავტორი: xaTuna

საიდან გვწერთ: თბილისი

19.03.2010 16:30

ამ სტატიის დამწერი  
საქართველოში ცხოვრობს? და  
თუ ცხოვრობს, გაახილოს  
თვალი და დაინახოს ან  
იგრძნოს რომ ომი არ  
დასრულებულა, ყველაფერი  
ახლა იწყება. რატომ ვართ  
ასეთი უმეცენები? იმდინა  
ქრონიკა ამის პროდაპირი  
შესხენდა იყო. საზოგადოების  
უდიდესმა წაგებული ეს კარგად  
გაიგო. ომი გრძელდება. და იგი  
ჯერ არავის წაუგია. გეყოფათ  
საზოგადოებაში ნიშილიზმის  
დანერგვა.

## ობობა № 1. 2010

19.03.2010 16:55

მადლობთ ია, შესანიშნავი რაკურსია. მაგრამ ვერ დაგეთანხმებით, რომ თუ იმს ნერტილი დაქსვა, ხელისუფლება შენებას დაიწყებს ან ჩვენ მინც გაგვიშვებს რომ ავაშნოთ. არიან შეენებლები და არიან მნიშვნელოვნები, არიან მარცხების სიამოწებით მაყურებლები თუ ყურადღება მიაქციოთ, ხელისუფლებას მომხრები აგ დეებში ყველაზე მეტად იცავდნენ თეზას, რომ იმი არ დამთავრებულა, იმი არ წაგიგია, რადგან ამის აღიარებასა სწორედ შეშლილი ხელისუფალის და მასზედ მიწებებული მწოველების დასასრულო. სწორედ იმის წაგების აღიარებაა, რომ ჩვენ შეგვეძლება ნაგრევების გაწმენდა და ახლი შენება.

19.03.2010 19:01

კარგი სტატია, საინტერესოდ დაწერილი და დროული. ერთი შენიშვნა: არ ვეთანხმები „წავაგეთ“-ს, როგორც „ნამდვილი და ასევე „მოდელირებული“ – წააგო ამ უპრინციპო და უუნარო, უნიჭო და უგერგილო, არალეგიტიმურმა და ავტორიტარულმა რეჟიმმა. ჩვენთვის არც მათი არჩევა უკითხია არავის, არც ომის წაგება. ასე რომ, კი არ წავაგეთ წააგეს!

ადამიანებს ეჩქარებათ ცვლილებები და ჰგონიათ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ორ-სამ დღეში დასრულდება. მე ასე არ მგონია, მაგრამ ცხადად ვგრძნობ, რომ საქართველომ რუსეთთან წაგებული ომი, როგორც იქნა, 13 მარტს დაასრულა.

არადა, ყველას გვახსოვს, როგორი გაძლიერებული გამოვიდა აგვისტოს ომიდან მიხეილ სააკაშვილი. პირველი შოკის შემდეგ მან მძლავრად აამუშავა პროპაგანდისტული მანქანა და საზოგადოების გარკვეული ნაწილი დაარწმუნა, რომ ომი არ წაგვიგა. ამას დაემატა უცხოეთის მხარდაჭერა, რაც, ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, საქართველოს ხელისუფლებისთვის 4.5 მილიარდი დოლარის გადაცემაში გამოიხატა. 2009 წლის გაზაფხულზე დაინტო იპოზიციის საპროტესტო ტალღა, რომელსაც ხელისუფლება კარგად გაუმკლავდა. ამ ტალღის სამარცხვინო ფინალშიც, ცხადია, ხელისუფლების ხელი ერია. იპოზიციის მარცხმა პრეზიდენტი და მისი გუნდი კიდევ მეტად გააძლიერა...

\* \* \*

აი, ამ საზეიმო განწყობით მივიდა მიხეილ სააკაშვილი 13 მარტის „ქრონიკამდე“, რომელმაც ნახევარ საათში გაანულა მისი წელიწადნახევრიანი ძალისხმევა, რომ როგორმე იმი არ დაგვემთავრებინა, ესე იგი, არ გველიარებინა, რომ ის წავაგეთ. ახალი წლის დადგომამდე ორი წუთით ადრეც კი პრეზიდენტი მოგვიწოდებდა, ხელში იარაღი აგველო და გვეპროლო. ახლა, როგორც იქნა, მთელი მსოფლიოს თვალისწინ იმს წერტილი დავუსვით; ესე იგი, მოვიპოვეთ უფლება, რომ იარაღი დავდოთ და ქვეყანას მივხედოთ – თუკი შეგვიძლია.

ამიტომ, 13 მარტის შემდეგ ჩემთვის სრულიად რეალური მნიშვნელობით უდერს „იმედის“ საინფორმაციო პროგრამის დევიზი: „ქრონიკა – გაიგე სხვაზე ადრე!“

19.03.2010 17:37

100% იანი ასეა. აღიარა ხელისუფლებამ . ამაზე მეტი ველარ დაღამდება ...თენდება ესეიგი არა?

### In Response

19.03.2010 19:16

მეგობრებო, დავბრუნდი შინ. დიდი მადლობა ყველას, ვინც ახალი სტატია წაიკითხა და კომენტარი დატოვა. ახლა ვაპირებ, თავიდან ბოლომდე კიდევ ერთხელ წავიკითხო კომენტარები.

19.03.2010 20:03

ია, ძალიან ნიჭიერი ადამიანი ხართ, ძალიან, ძალიან. უმაგრესი წერილია – ზუსტი, სევდიანი და ნამდვილი. მადლობა :

19.03.2010 20:51

დამნაშავე მუდამ უპრუნდება დანძაულის ადგილს. და რადგან აგვისტოს ომის ადგილი უკვე დროშია და არა სივრცეში, „ჩვენი“ დამნაშავე ხელისუფლებაც მუდამ იქ , იმ აგვისტოში(აგვისტო როგორც ტოპოსი) იტრიალებს, სადაც ეს ბოროტმოქმედება ჩაიდინა. პატივისცემით

ნინჩეკა  
p.s. ეს ჩემი პირველი კომენტარია თქვენს ბლოგზე, რომელსაც კარგა ხანია თვალს ინტერესით ვადევნებ



18.04.2010

„რადიო თავისუფლების“ ბლოგები

[http://www.tavisupleba.org/archive/George\\_Gvakharia/20100401/1022/2109.html](http://www.tavisupleba.org/archive/George_Gvakharia/20100401/1022/2109.html)

## გიორგი გვახარია

### „მამა, უცხად ვიგრძენი, რომ სულ მარტო ვარ ამ სამყაროში“

თავის დროზე, როცა კინომცოდნების ჯგუფი ამყავდა თეატრალურში, კშიშტოფ კიშლაკესის „დეკალოგი“ მისალები გამოცდებისთვის ავარჩიე. ჩემი ჭეუით, ასეთ კინოზე ფიქრი ბავშვებს სტრესს მოუსხინდა, დაამშვიდებდა. თანაც, ცოტა ვეშმაკე. ჩვენში უკვე იმ დროს მომძლავრებული „ეკლესიური ფანატიზმის“ ფონზე ზუსტად „დეკალოგით“ შევიტყობდი, რამდენად ჰქონდათ აბიტურიენტებს დაბნელებული გონება და რამდენად მზად იყვნენ შეესწავლათ ხელოვნების ენა.

სმოლენსკის აეროპორტში მომხდარი ტრაგედიის მერე სწორედ კიშლოვსკი გამახსენდა; პირველი ევროპელი რეჟისორი, რომელმაც ევროკავშირის შექმნას ფილმი მიუძღვნა („ლურჯი“) და თანაც, პირველი ევროპელი რეჟისორი, რომელმაც იმსანად ჯერ კიდევ პროექტის დონეზე არსებული ევროკავშირის მიმართ ქილივი გაბედა. ეს „ლურჯი“ ხომ დიდი ტრიპტიქის ნაწილია („თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“), რომლის საბოლოო გაგებისთვის აუცილებელიცაა გაიხსენო, რა ხდება „თეთრში“, მერე კი „წითელში“.

„თეთრში“ – „თანასწორობის“ იდეა იმდენადა გამასხარავებული, რომ ფილმის ბოლოს ცხადი ხდება, ადამიანები (ყველგან!) იბრძვიან არა თანასწორობისთვის, არამედ სწორედაც რომ უთანასწორობისთვის, ე.ი. ძალაუფლებისთვის და დასავლეთს – აღმოსავლეთი (ამ შემთხვევაში პოსტკომუნისტური პოლონეთი) სჭირდება, როგორც მხოლოდ და მხოლოდ მართვის ობიექტი. მეტი არაფერი.

ავტორი: xatuna

საიდან გვწერთ: tb

18.04.2010 03:28

გოგი, ფეისბუქზე როდის დაწერ ცალკე ბლოგს. იმ მარაზმზე, და იმ აგრესიაზე, იმ სწობიზმზე და ფსევდო-სწობიზმზე, იმ სისაძაგლეზე, რაც იქ ხდება, როცა მეგობრები სხვის ვოლებზე საკუთარ მეგობრებს ანადგურებენ? და იმ ფეისბუქზე სადლეგრძელოებზე, რომლებიც არაფრით განსხვავდება ქეიფზე წარმოთქმული სადლეგრძელოებისგან? იმაზე, თუ როგორ დასცინიან დაუბანელ ხალხს დაბანილი ინტელექტუალები, რომლებთანაც მეგობრობ? ყველაფერი ფსევდო როგორ არის ამ სივრცეში, თუ ასეთი უნდა იყოს ვირტუალურ სამყაროში? მე კი დაგნებებ ფეისბუქს თავს, თავის ატკივება იყო მხოლოდ და მზიანიზმი ჩემი მხრიდან. ვიჯექი ჩემთვის, საყვარელ დაუბანელ თუ დაუბანელ ადამიანებთან და წიგნებთან ერთად. ეხლა კი, ისეთი მეგრძნება მაქვს, თითქოს ასავალ-დასავალს, რეალტების, საკანს თუ აქუპარდის ერთდროულად ვისმენ და ვუყურებ...

## ობიექტი № 1. 2010

18.04.2010 12:30

„ვეჭვობს, რუსეთშიც და დასავლეთშიც ბევრს ჰგონია, რომ სმოლენსკის ტრაგედია მნიშვნელოვნად შეცვლის პოლონეთის ურთიერთობას აღმოსავლეთთან, ევროკავშირთან... რომ აღარ იქნება კანისკას ექსცენტრიულ-ინფანტილური ხელისუფლება და ევროკავშირიც უფრო ადგილად მიღებს გადაწყვეტილებებს. რუსეთიც ამოისუნთქავს ცოტა“.  
ბზეზინსკიც ანალოგიურიად ფიქრობს.  
<http://foreignpress.ge/?p=1251>  
1#more-12511

ავტორი: steppen wolf

საიდან გვწერთ:

განადგურებული ქალაქი ზ  
18.04.2010. 16:50

თავიდან მეგონა მე მეჩვენებოდა

არანორმალურად, როდესაც ათასობით ადამიანი მივიდა სამიმარზე ძალიან დამწუხრებული სახეებით და

რაძენიშე წუთის შემდეგ ძალიან კარგ ხასიათზე იყენებოდა, ვერც იმას მიუხვდო

ჰქონდა ძალიან ბევრს

ფეისბუქში შავი ლენტი, ამ ბლოგის ნაკითხვის შემდეგ მივხვდი, რომ თურმე არ

მეჩვენებოდა! არ შეიძლება ყველაფრის კაჩად გცევა. პ.ს. რამდენიმე თვე მომინია

გერმანიაში ცხოვრება და ჩემი აზრით გაცილებით ახლოს

ვართ აზიასან ვიდრე

ევროპასთან.

და „წითელი“?... კიშლოვსკიმ დახოცა ყველა და გადაარჩინა თავისი გმირები, აღიარა, რომ რეჟისორი დემიურგია, რომელსაც ადვილად შეუძლია მართოს ადამიანები, აღიარა, რომ მანიპულაციის ვნებას არც პოლიტიკური სისტემა განსაზღვრავს და არც სოციუმი. ეს ვნება ყველაშია. აღიარა, დასცინა თავის თავს, მერე გამოაცხადა, რომ თავს ანებებს კინოს გადაღებას... და ცოტა ხანში მოულოდნელად გარდაიცვალა. 54 წლის ასაკაში. უკუღმა რომ მივყვეთ, რაღა იქნება „ლურჯი“? რაღა იქნება ფილმი გაერთიანებული ევროპისადმი მიძღვნილი პათეტიკურ-კიტჩური ქორალით, რომელიც უულიეტ ბინოშის ტანჯულ-ინტელექტუალურ მზერას, „აფორმებს“? თუკი ამ ციკლის მეორე და მესამე ფილმების სანრს გავიხსენებთ, ეს კვაბიტრაგიკული ისტორია, უბრალოდ, პაროდია გახდება. პაროდია გაერთიანებულ და ბედნიერ ევროპაზე!

კიშლოვსკი – თავისი კათოლიკურ-დიდაქტიკური ფილმებით, მუდმივად უქმნიდა დისკომფორტს დასავლურ კინოსამყაროს, სადაც მოდას, ტრადიციულად, მემარცხენები ქმნიან... კაჩინსკიც დიდი თავის ტკივილი იყო ევროკავშირის სისტემის... ისევე, როგორც პოლონეთი, ბალტიის ქვეყნები. და გარკვეულწილად საქართველოც.

\* \* \*

აქ გაეჩერდი... საქართველოში კაჩინსკის გლოვამ თითქმის პაროდიის მასშტაბებს მიაღწია. ამიტომ გადავწყვიტე, შემცვალა ბლოგის თემა. კიდევ ერთი პოლონელი რეჟისორის, ანჯეე ვაიდას ფილმი, „ყველაფერი გასაყიდად“ გამასხენდა. იქ ახალგაზრდა კაცის ტრაგიკული სიკვდილი მედიამ და შოუ-ბიზნესშია თან დაიტირა და თანაც, იხირა.

ასეთი რიტუალების, კოლექტიური გლოვისა და ახალი მითების შექმნის ფონზე („კატინი დაწყევლილი მინაა პოლონეთის სივისი!“) პირველ რიგში მწუხარება ფერმკრთალდება. სევდა – სევდისა და მწუხარების პაროდიად იქცევა.

ბლოგის თემის შეცვლა გადავწყვიტე და ახალზე ფიქრში ფეისბუქის მეგობრების „კედლებს“ გადავხედე. ერთი ძალიან სიმპატიური კაცის და კარგი უურნალისტის, პაატა იაკოპაშვილის სტატუსს მივაჟციე ყურადღება – „მე პოლონელი ვარ!“ ეგრევე ღრმა ბავშვიბა გამახსენა – ჩემი პირველი გასელა საზღვარგართ, 1971 წელს – პოლონეთში. იქიდან დაბრუნებულმა, პოლონელებით და პოლონეთით აღფრთოვანებულმა, სახლში განვაცხადე „ბებიაჩემი ხომ პოლონელია? არ შეიძლება გვარი გადავიყეთო?“

გარდამავალ ასაკში ვიყავი. წვერის გაპარსვას ვიწყებდი.

და ამ დროს, ხომ იცით, ყველა მარტო გრძნობს თავს

პაატას სტატუსმა კიშლოვსკისთან დამაბრუნა. ოღონდაც არა „სამფერა ტროლოგიების“ არამედ „ვერონიკას ორმაგი ცხოვრების“ ავტორთან.

„ვერონიკა“ თავიდან ბოლომდე რეფლექსების სამყრია, რომელიც უცნაურ განწყობას ქმნის – უყურებ რეალობას და ივინყებ რეალობას, ივინყებ, სადა ხარ! და როცა ვერონიკა მამამისს უუბნება, მოულოდნელად ვიგრძენი, რომ მარტო ვარ ამ ქვეყანაზეო. გვინია, რომ ზუსტად ეს სიტყვები, ზუსტად ასეთი ინტონაციით, განმეორებაა შენს ცხოვრებაში.

ავტორი: gela

სადან გვწერთ: tbilisi

18.04.2010 17:24

სიკვდილიც კიჩია.

სიცოცხლეც. გინდ აზიაში,

გინდ ევროპაში. აი,

თანაგრძნობა კიჩი არაა. ისე

ზოგისოვანი კიჩია. ევროპაში

რომ კიჩია, ისეთი უნდა!

მე 9 წელის ვცხოვრობდი და

გერმანელები ყველაზე კიჩური

ხალხია. მოდით, ნურავის

თანაუგრძნობა,

ნუ დავასაფლავებთ, ნუ

ვიგლვევებთ მევდარს. მოკვდა

და ახლა ღმერთმა მიხედოს...

მივაგდოთ სადმე. თორემ სულ

კიჩი არაა გარშემო?

ავტორი: ანონიმი

18.04.2010 22:40

გოგი, წერ, რომ

„საქართველოში კაჩინსკის

გლოვამ თითქმის პაროდიის

მასტაბებს მაღნია“.

როგორ ფიქრობ, პაროდია არაა

კაჩინსკის ტყუპისცალის,

იაროსლავ კაჩინსკის

პრეზიდენტად ნამოყენება?

მე პირადად მარკესის სიტყვები

გამასხენდა (სიტყვა-სიტყვით

ვერ გეტყვი), მე არაფერს არ

ვიგრძებ, ეს ყველაფური

ცხოვრებაში ხდებათ. განა ეს

ბოლო კეირა, ერთი კარგი

კინოსცენარი არაა, თავისი

ვულკანიანად? და საერთოდ,

არ გეჩვენება, რომ ეს სამყარო

ერთ დღი მაკონდოდ იქცა,

თითქოს? ეს არის ჩენენი

რეალობა! მართალი გითხრა,

შენი გამკვირვებას, შენ ხომ

ნატურალიზმის და აშეარად,

რეალისტურობის მოტრფალე

ხარ კინომატოგრაფიაში?

ამიტომ, რა განერვიულებს,

მაინც ვერაფერს შევცვლით! ეს

ისაა, რაც კარგი ფილმის

მასალას იძლევა! :((

ავტორი: **Merab**  
საიდან გვწერთ: **Trier**  
19.04.2010 01:03

გოგი,  
ჩვენმა უურნალისტებმა მაინც  
ისე ჰქენეს, კაცი იფიქრებდა,  
რომ პოლონებებს ამ კვირაში  
ყვავილების კრეფისა და მათი  
მოქნებზე დალაგების მეტი  
არაფერ უკეთებია. მერე  
ტექსტები რანირი ჰქონდათ...  
მე მონი, ჩუმ-ჩუმად ინტერნენ  
ერთმანეთისაგან.

ავტორი: **jbakur**  
საიდან გვწერთ: **australia**  
19.04.2010 02:22

მოგესალმებით ბატონ გოგი,  
მარტო ამ სიტყვებისთვის  
„საქართველოში კაჩინსკის  
გლოვამ თითქმის პაროდიის  
მასშტაბებს მაღალია“ –  
იმსახურება ჩვენს  
აპლოდისმენტებს. სხვ რომ  
არაფერი არ ვთქა მთლიანად  
ამ სტატიაზე, რომელიც  
ათიანშია მორტყმული და  
გაბედულად აკრიტიკებს,

როგორც მათვრობის  
დამოკიდებულებას, ასევე  
საზოგადოების განწყობას ამ  
უბედური შემთხვევის მიმართ.  
მაგ მომენტში ფორუმზე ვიყავი  
და უშუალოდ ვაკვირდებოდი

ნევრების რეაქციას ამ  
აქსიდენტზე, ყურებს და  
თვალებს არ ვუჯერებდი იმას,  
თუ როგორი პანიკა და  
ეფორია დასადგურდა რაღაც  
სულ მცირე დროში ხალხში.  
კარგა რომ თქვენისთანა  
შეხედულების პიროვნებები  
კიდევ არსებობენ  
საქართველოში რათა  
შიგადაშიგ უკომპრომისოდ წინ  
აღუდგნენ  
(ინტელექტუალურად) ხოლმე  
ასეთ ბნელ გაუაზრებელ  
საქციელს. :აც:

„ეს უკვე იყო!“ რაღაც ერთობას გრძნობ ამ გოგონასთან და კიშლოვსკის მიერ გამოხატულ პოლონეთთან.

„პოლონელებს ახლა კეთილი ღმერთი უნდათ, რომელიც ყველაფერს აპატიებს და არა მკაცრი ღმერთი, როგორც პროტესტანტულ დასავლეთში... მათ უნდათ ღმერთი, რომელიც სათონ დედას ჰგავს და არა მკაცრ მამას“ – აღნიშნავს ეუი ტეპლიცი კშიშტოვ კიშლოვსკისადმი მიძღვნილ წიგნში, რომელიც 90-იანი წლების დასახუისში დაიწერა.

და დღევანდელი ქართველებიც ასე არ ვართ? გარდამავალ ასაკში „გაჭედილ“ ყმაწვილებს არ ვგავართ, ვერაფრით რომ „დაგვიდგენია“ ჩვენი იდენტობა, ვერ გაგვირკვევია, ვინა ვართ - ევროპა, აზია... ვერ ჩამოვყალიბებულვართ, სად გვინდა – ნატოში? რუსეთში? ვერ ჩამოვყალიბებულვართ და ამიტომ „თავის ტკივილად“ ვიქეცით ყველასთვის – დასავლეთისთვის, რუსეთისთვის და, რაც მთავარია, საკუთარი თავისთვის.

„ვერონიკაში“ კიშლოვსკი უბრალო ხერხებით აღწევს იმას, რაზეც ბევრი იწვალა ანდრეი ტარკოვსკიმ (მაგრამ მაინც ვერ შეძლო, რადგან მეტისმეტად მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა საკუთარ თავს) – ქმნის „დეტერმინირების“ განცდას, როცა მაყურებელი გრძნობს, რომ რაღაც მაღალ ძალაშეა დამოკიდებული, რაღაც ვერტიკალზე! აქ კი, ამ პორიზონტზე, სიმეტრია მოჩვენებითია. პოლონელი ვერონიკა მოულოდნელად კვდება, რაც მის ორეულს ბედნიერს ხდის საფრანგეთში. დასავლეთს სრული კეთილდღეობისთვის მსხვერპლი სჭირდება!

ვეჭვობ, რუსეთშიც და დასავლეთშიც ბევრს ჰგონია, რომ სმოლენსკის ტრაგედია მნიშვნელოვნად შეცვლის პოლონეთის ურთიერთობას აღმოსავლეთთან, ევროკავშირთან... რომ აღარ იქნება კაჩინსკის ექსცენტრიულ-ინფანტილური ხელისუფლება და ევროკავშირიც უფრო ადვილად მიღებს გადაწყვეტილებებს. რუსეთიც ამოისუნთქავს ცოტა.

მართლა მაგარი ფილმია ანჯეე ვაიდას „ყველაფერი გასაყიდად“. აუცილებლად ნახეთ.

ავტორი: **Reckoner**

19.04.2010 12:07

კიშლოვსკი მოკვდა, პოლონეთი კი კარგა ხანია აღრია ისეთი „აღმოსავლეთი“, ებლა უფრო „დასავლეთია“. იქ ჩემოდანში მოთავსებულები აღარ ბრუნდებიან (ბურჭულაძეს არ ეწერა შემთხვევით მგონი, კაჩინსკის ჩემოდნით გატაცებაზე), დღეს პოლონეთი ადეპტორტებს „არალეგალ“, გნებავთ – უპასპორტო და უფლო ქართველებს.

ავტორი: **ნიანუ**

საიდან გვწერთ თბილისი

19.04.2010 14:23

ეჱ, გოგი, გოგი, როგორ ყველაფერში გეთანხმები. ერთი კვირა ტელევიზიტით დღისით კაჩინსკის ველოვაბთ და სალამოს შოუს ვაწყობთ. რამდენადაც თვალს ვადევნებდა, არცერთი გასართობი გადაცემა არ გადაგვიდვია. არადა, როგორ გვეტკინაააა... ეჱ, კარგით რა... არ გამიკვირდება ერთ კვირაში პარფუმები თემა მიღებდნას ასათანაშა და წურწუმიას ამლეროს, სპეციალურად ამ ტრაგედიისთვის დაწერილი სიმღერა...

ავტორი: **elene**

საიდან გვწერთ: **sachxere**

20.04.2010 12:59

ცხონებული კაჩინსკის გარდაცვალების გამო რომ გლოვა გამოცხადდა, ჩემმა მეზობელმა ირინამ ერთი ვაივიში ატეხა, სალამოს სერიალს ვედარ ვიუურებო... გულწრფელად შემეცოდა... მაგრამ... სერილსაც უყურა და შოუს ელემენტებით შეზავებულ საინფორმაციო გამოშევებებსაც... გმადლობთ, გოგი



14.04.2010

„რადიო თავისუფლების“ ბლოგები

<http://www.tavisupleba.org/content/blog/2011485.html>

## პიძინა მაყაშვილი

### სკორტი

როგორც ამბობენ, ქრისტეს დაბადებამდე დაახლოებით 4000 წლით ადრე, ანუ მას შემდეგ, რაც ადამიანი ნადირობიდან და შემგროვებლობიდან მიწათმოქმედებაზე გადავიდა და ცხოველების მოშინაურება დაიწყო, გაწნდა სპორტის პირველი ელემენტები.

დაახლოებით 1400 წელს ინგლისში პირველად იხმარეს სიტყვა „სპორტი“ ვარჯიშის მნიშვნელობით. სპორტის ცნებაში შეჯიბრი ცოტა გვიან შემოვიდა. სპორტი კი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შეჯიბრის ელემენტს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის მხოლოდ ვარჯიშია.

ხოლო შეჯიბრის ჟინი, ისევე, როგორც ყველა ცხოველს, ადამიანსაც გენებში აქვს ჩადებული. ასე რომ, სპორტული შეჯიბრი საზოგადოებისთვის ისევე ჩვეული და მკაცრია, როგორც ფრინველების მიგრაცია, ირემთა ბრძოლა და ცხოველთა სამყაროს სხვა რიტუალები.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ დღესაც კი, ადამიანებს ყველაფერზე მეტად ერთმანეთთან გაჯიბრება და სხვათა შეჯიბრის ყურება მოსწონთ.

ამ მხრივ, წელს სპორტის მოყვარულებს დიდი დატვირთვა აქვთ. გარდა ტრადიციული, ყოველწლიური ტურნირებისა, 2010 ზამთრის ოლიმპიური თამაშებისა და პლანეტის ყველაზე პოპულარული შეჯიბრის – ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის – წელია. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, არც ზამთრის სპორტის სახეობები და არც ფეხბურთი საქართველოს საქმე არ არის.

საერთოდ, ორი უკანას ენელი ოლიმპიური თამაშების გახსნა საქართველოსთვის უბედურებებთან არის დაკავშირებული: ორი წლის წინ, პეკინის თამაშების გახსნას

ავტორი: goia

14.04.2010 08:34

რატომ მარტო რაგბი???

აკი ომიც მოვუგეთ?!

ავტორი: იოანუ

14.04.2010 10:17

კარგი სტატია იყო  
ისე, ახლა წარმოვიდგინე და  
მსოფლიო ჩემპიონატის დროს,  
იყნესში რომ შემოვიდეს  
რუსული ჯარი, რატომმაც  
მგონა, მოსახლეობის  
ნახევარი ტელევიზორს ვერ  
მოწყდება. იმის თქმა მინდა,  
რომ მოსახლეობა რასაც ჭამს,  
ხელისუფალიც იმას აჭმევს.

ავტორი: ირმა

14.04.2010 10:32

ძალიან კარგია.

23 ადგილიდან 22 :)

არც არასოდეს ყოფილა

საქართველო ფიტურული

სრიალის კორიფეების

გამზრდელი და კარგა სანი

ვერც იქნება...

ავტორი: გია

14.04.2010 13:21

პიძინ მაგარი ხარ! შენს

სტატიებს ყოველთვის დიდი

სიამოვნებით ვკითხულობ.

ავტორი: იდიოტორატიშვილი  
მინისტრი

14.04.2010 16:16

ბიძინა, მთლიანად ვიზუარებ  
თქვენს პათოსს ქართულ  
სპორტან დაკავშირებით.  
მსოფლიო რეკორდზე გამეღიმა  
– პირველი ყვითელი

ქართველმა მიიღო. აბა

პირველ გოლს ხომ არ

გავიტანდით ჩვენ... :)

ჩვენ ვერ გავდივროთ მსოფლიო  
ჩემპიონატზე და სხვისი  
ნათამაშები ფეხბურთით მაინც  
უნდა დავტებეთ ზაფხულში...

ავტორი: laki  
14.04.2010 21:33

კახი ასათიანამდე მსოფლიო  
ჩემპიონატი ფეხბურთში არ  
ჩატარებულა? :D  
და თუ ჩატარებულ და ვიჯერო  
ახლა 1932 წლიდან ყვითელი  
ბარათი არავის მიუღავა? :D  
პ.ს. სწორედ რომ კახი ასათიანი  
იყო ევროპის ჩემპიონატის  
პირველ საფინალო ტურნირში  
პირველი გოლი როგ  
გაიტანა!!!!!!!

### In Response

ავტორი: ბიძინა მაყაშვილი  
laki – ს

ყვითელი ბარათი პირველად  
გამოიყენეს 1970 წელს, მეტსივის  
მსოფლიო ჩემპიონატზე.

ავტორი: ვახო  
15.04.2010 21:24

სამართლანა და  
გემოვნებიანა დაწერილი  
სტატიაა. ორი რამ ახალი  
გავიგე: ასათიანის პირველი  
ყვითელი ბარათი და მარგარეტ  
ტეტჩერის ენაკვიმატური  
გამოთქმა.

ავტორი: jurnalistka  
20.04.2010 17:57

ნეტა რა გვეველება :

რუსეთთან ომის დაწყება დაემთხვა, წელს კი ჯერაც არ განელებულა ახლგაზრდა  
ქართველი სპორტსმენის, ნიდარ ქუმარიტაშვილის დალუპვით გამონვეული ტკივილი.

საქართველოს სპორტსმენების ყველაზე დიდი მიღწევა ზამთრის ოლიმპიურ  
თამაშებზე მეცხრე ადგილია. ასეთი შედეგი აჩვენა 50 წლის წინ ტრამპლინიდან  
მხტომელმა კობა წაქაემ. წელს ამ მაჩვენებლის გაუმჯობესების იმედი გაჩნდა, მაგრამ,  
სამწუხაორდ, ელენე გადევანიშვილი ფიგურულ სრიალში მხოლოდ მე-14 ადგილს  
დასჯერდა.

თუმცა, ჩემი აზრით, ამ თამაშებზე უფრო სამწუხაორ ჩვენი ფიგურულ  
მოციგურავეთა წყვილის გამოსვლა იყო; უფრო სწორად კი ის, თუ როგორ შეფუთეს  
ჩვენი საზოგადოებისთვის ეს გამოსვლა. წყვილის მიერ დაკავებული 22-ე ადგილი ისე  
მოგვაწოდეს, როგორც ერთგვარი წარმატება. თითქოს, მართლაც, 22-ე ადგილი არ უნდა  
ყოფილიყო ცუდი პირველ ჯერზე, ვთქვათ, 35 მონანილეს შორის.

მაგრამ ალმოჩნდა, რომ შეჯიბრში მხოლოდ 23 წყვილი მონანილეობდა.

სპორტს რომ მუდმივად იყენებენ საზოგადოებისთვის საეჭვო ოეორიების  
თავსმოსახვევად და პროპაგანდისთვის, ახალი არ არის, მაგრამ ეს ყოველგვარ  
საზღვრებს სცილდება. ბუნებრივია, ეჭვი გაგიჩნდება, რომ ოფიციოზი ბევრად უფრო  
მნიშვნელოვან სფეროებშიც ანალოგიურ მეთოდებს იყენებს მოსახლეობის  
ზომბირებისთვის. სულ ახალ მაგალითს მოვიყავან ფეხბურთის სფეროდან: სიუჟეტს  
ნოლაიდელთან კახა კალაძის შესაძლო პოლიტიკური პარტნიორობის შესახებ „რუსთავი  
2“-ის ეთერში, ფონად კალაძის ორი ავტოგოლის კადრები ედო.

ივნისის დასაწყისში კუცობრიობის ძალიან დადა ნანილი, სულ ცოტა, ერთი თვით  
დაივიწყებს პოლიტიკას, ბიზნესს და ყოველდღიურ ბრძოლას არსებობისთვის.  
მსოფლიოს ყურადღება მიჰყრობილი იქნება ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატისკენ,  
რომელიც დაადგენს, თუ რომელი ქვეყნის ზემაღლი შემოსახულების მქონე ათლეტები  
ურტყამენ უკეთ ტყავის ბურთს ირ ძელს შუა გაჭიმულ ბადეში მოსათავსებლად.

ამ ზემთხე საქართველო მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსით ისარგებლებს. არ არის  
ეს ჩვენი ტურნირი. თუმცა, საქართველოს ეკუთვნის ერთი რეკორდი, რომელსაც  
ვერავინ გამოიყრებს: კახი ასათიანი იყო პირველი ფეხბურთელი, რომელმაც ყვითელი  
ბარათი მიიღო მსოფლიო ჩემპიონატზე. თუმცა, ეს საბჭოთა კავშირის ნაკრების  
შემადგენლობაში მოხდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი საქართველოს ნაკრების ყველაზე დიდი  
ნარმატება, ალბათ, 2003 წელს ევროპას ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში რუსეთის  
ნაკრების დამარცხებაა. ამის მიუხედავად, ჯგუფში ბოლო ადგილზე გავედით.

სამაგიროდ, რუსეთს მოვუგეთ!

რაგბიში ხომ საერთოდ – რუსეთს გამუდმებით ვამარცხებთ და ყოველ ჯერზე ისე  
გვიხარია, თითქოს სერიოზული მეტოქე ყოფილიყოს. ამასთან დაკავშირებით, ერთი  
ამბავი მახსენდება. ერთხელ, ინგლისისა და გერმანიის საფეხბურთო ნაკრებების  
შესვედრიისას, მარგარეტ თეტჩერს დაუნიგ სტრიტზე ანგარიში უკითხავს. სამწუხაოდ,  
გერმანელები გვამარცხებენ ჩვენს ეროვნულ თამაშშიო – მიუგეს. „გულს ნუ გაიტეხთ –  
უპასუხა პრემიერმა. – ამ საუკუნეში ჩვენ ორჯერ დავამარცხეთ გერმანელები მათ  
ეროვნულ თამაშში.“

ავტორი: ნიანუ

19.04.2010 17:47

ბრაგოოოო!!!!!! მწარე  
სიმართლეა, მაგრამ ბრავო.  
ძალიან მომენტის სტატია.  
დამიჯერებთ, არ ვიცოდი ჩვენი  
წყვილის 22-ე ადგილი რომ  
23 წყვილს შორის იყო და კიდევ  
ერთხელ მეტკინა...  
მადლობ ბიძინა. ლირდა  
ლოდინად ეს სტატია.

ავტორი: აკა გედევანიშვილი

21.04.2010 14:00

ძალიან არ მომწონს ქართული  
სპორტზე ქილიკი, მითუმეტეს  
თუ ქართველები ქილიკონენ და  
მითუმეტეს თუ სპორტის  
არაფერი გაეგებათ... ერთ-ერთ  
კომენტატორ ირმას  
მიღვართა: ევროპის  
ჩემპიონატზე ბრინჯაოს  
მედალი ფიგურულ სრიალში  
უფრო მეტი ოპტიმიზმის  
საფუძველს უნდა გაძლიერდეს  
წესით... <http://www.isureresults.com/results/ec2010/CAT002RS.HTM>... რატომ არ უნდა  
გვიხარდეს რუსეთთან  
მოგება არ მესმის?  
პოლიტიკურ ბექვაუნდს რომ  
თავი დავინებოთ ეს არის  
მინდა სპორტული გაებით  
გამარჯვება პრიცეპულ  
მეტოქესთან... მე მგონი  
საზოგადოების გარკვეულ  
ნაწილს საქართველოს ყველა  
წარმატება საუკაველის  
წარმატება ჰეგონია და არ  
სიმოვნებს და ყველა მარცხს  
სააკაშვილის მარცხად  
აღიქვამს და უხარისა.

ავტორი: ქრომი

05.05.2010 16:29

ძალიან კარგი ბლოგია –  
სიმოვნებით წავიკითხე,  
როგორც ყველთვის



12.02.2010

„რადიო თავისუფლების“ ბლოგები

[http://www.tavisupleba.org/archive/Niko\\_Nergadze/20100201/1022/2111.html](http://www.tavisupleba.org/archive/Niko_Nergadze/20100201/1022/2111.html)

## ნიკო ნერგაძე

### დავინახე შიშველი (ჩაცმული ჯობდა)

აი, ვის აქვს „რეალ ტივიში“ მომუშავეებზე მეტი სინდის:

- მევასშეებს და ქორვაჭრებს
- მატერაცის
- ყოფილი საგზაო ინსპექციის თანამშრომლებს
- კატა ბაზილიოს და მელა ალისას
- უსინდისო რამაზს (ჩემი მოგონილი ტიპია, რომელიც უსინდისობით არის ცნობილი)

\* \* \*

რამდენი უნამუსო სიუჟეტი გაუკეთებიათ და სტატია დაუწერიათ საქართველოში, მაგრამ „რეალ ტივისებურად“ ამაზრზენის ნახვა ამაზრზენი სიუჟეტების მკვლევარ პროფესორებსაც კი გაუჭირდებათ. მეცნიერული ფაქტია, რომ „რეალ ტივი“ ხელს უწყობს გლობალურ დათბობას – თითოეული სიუჟეტის ეთერში გასვლისას 12 ანგელოზი კვდება და თოთო ბავშვების უმანკო სიცილს 6 ერთეულით აკლდება უმანკოება. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ „რეალ ტივის“ სიუჟეტების ყურება ორსულობის დროს საფრთხეს უქმნის ნაყოფის ჯანმრთელობას. ბოროტი ამერიკული კორპორაცია მომავალში „რეალ ტივის“ გამოიყენებს პლანეტა პანდორაზე იმ მანათობელი ხის გასახმობად.

\* \* \*

ორიოდე სიტყვა მათთვის, ვინც ბედნიერ, ვარდისფერ სამყაროში ცხოვრობს, ბაბუანვერებს უვლის და ამ არხის შესახებ არაფერი გაუგია. ქალაქში რომ ბილბორდები იყო, რომელსაც ტიტველი კაცი ეხატა და „დაინახე შიშველიო“ ეწერა, სწორედ „რეალ ტივის“ რეკლამა იყო. არხს გურამ დონაძე ხელმძღვანელობს და, როგორც ამბობენ, ან შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკუთვნის და ან კიდევ სარუმანს. „რეალ ტივის“

ავტორი: **ni2**  
საიდან გვწერთ: **ni2.ge**  
12.02.2010 14:50  
გენიალური პოსტი :)

ავტორი: **რესპუბლიკელი**  
საიდან გვწერთ:  
**რესპუბლიკური პარტიიდან**  
12.02.2010 15:04  
რეალტივი რო სასაცილო /  
სატირელია საუბარი არ არის  
ნამდვილად. კითხვა იმაში  
მდგომარეობს ბატონონ ნიკო  
მაესტროზე რომ არაფერი  
წამოგცდენიათ თუნდაც იდნავ  
ნაკლებად კრიტიკული. ალბათ  
იმიტომ რომ მამათქვენი  
რესპუბლიკური პარტიის  
თანამდებობის პირია. რას  
ვიზამთ სიმართლე ბოლომე  
უნდა თქვათ ხოლმე. სხვა  
მხრივ ნამდვილად კარგი  
სტატია გამოიგივიდთ,  
მომენთა.

ავტორი: **karaoke**  
საიდან გვწერთ: **Athens**  
12.02.2010 15:09

ესე იგი რეიგანის სიტყვები  
მართალი ყოფილა  
პოლიტიკოსობა მეორე  
უველაზე ძველი პროფესია და  
რაც დრო გადის რჩდნდებით  
რომ ძალიან გაეს პირველ

უძველესს...

ჩვენთან რაც უფრო  
უახლოვდება უურნალისტ  
პოლიტიკოსობას მით უფრო  
უახლოვდება პირველ უძველეს  
პროფესიას...

დიქტატები, ორატები, ღებები  
ყველა ერთი საზოგადის  
სხვადასხვა განშტოებებია.  
საერთო წინაპარი ყავდათ  
მაშ...

ავტორი: **DvOrsky**  
საიდან გვწერთ: **dgiuri.com**  
12.02.2010 15:25

მართლაც რომ გენალურა!!! :)

ავტორი: **Tazo**  
საიდან გვწერთ: **media.ge**  
12.02.2010 15:46

ძალიან კარგი, ყველამ ისე  
უნდა შევუტიოთ ამ კანტორას.  
სხვა თუ ვერაფერი, ხალხმა  
მანც გაიგოს, რომ მათ  
უურნალისტიკასთან საერთო  
არაფერი აქვთ.

ავტორი: **Time user**  
საიდან გვწერთ: **Real tbilisi**  
12.02.2010 15:53

ყველაზე მაგარი პოსტია,  
მთლიანად, ამ სიატის  
ისტორიაში. ძალიან ძალიან  
ბევრი ვიცინა.

ავტორი: **giorga**  
საიდან გვწერთ: **civi-c**  
12.02.2010 16:06  
ვა!

საინფორმაციო გამოშვებას ჰქვია „ტაიმ ნიუსი“, რაც ქართულად ითარგმნება როგორც „დრო ახალი ამბები“, ან, უკეთეს შემთხვევაში – „დროის ახალი ამბები“. ეს შესაფერისი სახელი იქნებოდა მომავლის რომელიმე საინფორმაციო გამოშვებათვის, როდესაც ადამიანებს უკვე შეეძლებათ დროში მოგზაურობა და ეს გადაცემაც სწორედ დროში გადაადგილების თემას მიეძღვნება. ასე კი „ტაიმ ნიუსი“ უბრალოდ სულელურად ულერს.

თუმცა „რეალ ტივი“ „ხელი გავიქნი ფეხი“ ინგლისურის გამო არ არის აღსანიშნავი. „რეალ ტივიზე“, ძირითადად, ოპოზიციის ლანდღვას ნახავთ. ამაში თავისთავად არც გასაკვირია რამე და არც მაინცდამაინც საშინელი. განსაკუთრებულია „რეალ ტივის“ მიერ ამ საქმისადმი ახლებური და შემოქმედებითი მიდგომა. ტიპური სიუჟეტი ამ არხზე ასეთია: აჩვენებენ ირაკლი ალასანის საარქივო ჩანანერებს და ყვებიან, რომ ის დილას ჩაისთვის წყლის ნაცვლად ობოლი ბავშვების ცრემლებს აღულებს და საერთოდაც, ცუდად ადამიანია. თუმცა მხოლოდ ალასანის არ სჯერდებან. აი, ვთქვათ, გადაცემა აქვთ ეგეთი, „რეალური ზღაპარი“ ჰქვია, ანიმაციაა, რომლის ერთი სერიის სუჟეტი ასეთია – საავაშვილი ლომია და კარგი ნაძვის ხე აქვს. ოპოზიცია კი რაღაც ჩუხანი ცხოველების სასტავია, რომლებსაც ასევე ჩუხანი ნაძვის ხე აქვთ და ამიტომ გადაწყვეტინ, კარგი მოიპარონ. მოიპარავენ და უხარიათ. ამ დროს კი ლომი სააკაშვილი მაგიურ სიტყვებს წარმოთქმას და ახალი, კიდევ უკეთესი ნაძვის ხე გაჩნდება.

ჭირი იქა, ლინი აქა...

ერთხელ კიდევ „რეალ ტივიზე“ ასეთი სიუჟეტი გავიდა. უურნალისტმა ზოოპარკში სტენიდ დადგა, რომელზეც ოპოზიციის ლიდერები იყვნენ გამოსახული. გამვლელებს ეკითხებოდა, რომელი ლიდერი რომელი ცხოველს ჰგავსო. ეს რომელიმე მიმდინარე ამბავთან კი არ იყო დაკავშირებული, არმედ უბრალოდ იმისთვის იყო, რომ უურნალისტს გემრიელად გამოიტქვა, ბესელია გველა, კუკავა კი მაჩიიო. სხვათა შორის, რესპონდენტებმა არ იცოდნენ, რომ იღვდნენ. მე ვინ მითხა? არავინ, უბრალოდ შეხედეთ სიუჟეტს (თუ ვერ შენიშნეთ, ორი ხაზით მაღლა არის ბმული). ამას გარდა, მანამდეც არიან შემჩნეული მსგავს კაიკაცობაში.

\* \* \*

„რეალ ტივის“ ამ სიუჟეტზე კომენტარის გაკეთება ექსპერტ არსენა ბუნალიშვილს ვთხოვე. არსენა ბავშვობაში ჩემი წარმოსახვითი მეგობარი იყო. ის არის ასაკით უფროსი, ყველაზე ძლიერია და ჰყავს მანქანა, მუსტანგა“. ზოგადად, გადასარევი კაცია და, როგორც წარმომიდგნია, იდეალური კომენტატორი იქნება.

— გამარჯობა, არსენა. როგორ ხარ, რას შვერები, სად დაიკარგე...

— გაგიმარჯოს, ნიკო. მეც მომენატრე დიდი ხანია, მინდოდა მეთქა, რომ ბაგშვიობაში რომ მშობლებს სთხოვდი, სათამაშო შუქნიშანი მიყიდეო და გამყიდველმა რომ თქვა, გაფუჭებულია, გატყუებდნენ. ძვირი ლირდა ალბათ.

— მადლობა, არსენა. მეც სულ ამას ვეჭვობდი, მაგრამ არა უშავს. ის წითელი სათამაშო მშვენივრად მიწევდა შუქნიშანის მაგივრობას. მოდი საქმეზე გადავიდეთ. როგორც ცხოველს შეადარებდი ამ სიუჟეტის ავტორს?

— ვირთხას.

— გარეგნული თვისებების გამო?

— არა, მისი ქცევის გამო.

ავტორი: **C**

საიდან გვწერთ: **n-ingend-wann.blogspot.com**

12.02.2010 16:01

რა ვქანა, უკვე რამდენიმემ გამოიყენა აქ ეს ეპითეტი, მაგრამ პირველი ეს მომდის ენაზე (კლავიატურაზე) და არ შემიძლია, არ დაგნერო: გენიალურა!!!! ფანტასტიური! აღარ შემიძლია, იმდენად კარგდ წერ :)

ავტორი: **მაყურებელი**

საიდან გვწერთ: **სამსახურიდან**

12.02.2010 17:27

მაგსტრო რა სახსენებელია რეალტივისთან. არცერთი ტელევიზია საქართველოში

ობიექტურობით არ გამოირჩევა, მაგრამ რეალტივი ის შემთხვევა, როცა პროფესიონალი უურნალისტიც და თავმოყვრე მაყურებელიც შეურაცხყოფილი რჩება.

ეს ის სიტუაციაა, მეძავებშიც ხომ არიან ელიტარული

(ძვირად დირებული) მეძავები და „ძირივებული“ (ღარისებული) სეზონური სეილით)... მანდ არის ეს გრადაციაც :)

ავტორი: **პაკო**

საიდან გვწერთ: **ჯანდაბა**

12.02.2010 17:48

მთელი გულით, გონებითა და სულით მიმერნია. ძალიან ვისიამოგნე. ბევრი ვიხალისე, გაბერაზდი, დავფიტრდი ისეთ რამებზე რაზეც უშეალოდ არ წერ, ცოტა სევდაც შემომაწვა, მაგრამ საბოლოოდ ძალიან კარგ ხასიათზე დავდექი და რაიმე კონკრეტულისა და პროდუქტიულის გაკეთების სურვილმა ძემიპყრო.

ავტორი: **Tiko**საიდან გვწერთ: **Berlin**  
12.02.2010 17:40ყველაზე მაგარი პოსტი,  
რომელიც კი ნიკოს ძალაშე  
დაუწერია! ბრავო, ბრავო და  
კვლავ ბრავო!ავტორი: **Dea**საიდან გვწერთ: **Tbilisidan**  
12.02.2010 18:14მე არ გამოინება, არც  
გამლიმება...  
მაგრამ კარგი იყოავტორი: **sun\_dro**

12.02.2010 18:24

მე იმ ბედნიერთა სიდან ვარ  
რეალ ტივის არსებობაზე  
არაფერ რომ არ სცოდნია  
აქამდე. ტყიყობა მართლა ძაბან  
ბაბუანვერების სამყაროში  
ვცხოვრობდიავტორი: **gogo**საიდან გვწერთ: **saxlidan**  
12.02.2010 18:40მართლაც რომ რეალობას  
ნერს: (((((ავტორი: **Lacho**საიდან გვწერთ: **Madrid**  
12.02.2010 19:16რეალობა საშინელებაა, ბლოგი  
მაგრან!  
ჩამოვევი რა ყველას!  
„ვამპირ ღამურებზე“ უარესები  
არიან...ავტორი: **კაპიტანი**საიდან გვწერთ: **სხვადასხვა**  
12.02.2010 19:26როგორც ეოზმა პრუტკოვი  
იტყოდა ანგაუირებულ  
მედიაზე:Если нет у вас совести,  
попробуйте жить  
по законам...

— რას გულისხმობ?

— ნიკო, საქმე ისაა, რომ სიუჟეტის ავტორი აკრძალულ ილეთებს იყენებს. ჯერ ერთი,  
საერთოდ არაფერი აქვს სათქმელი. უბრალოდ, უნდა რომ საზიზღლობები ილაპარაკოს,მაგრამ ვითომ სინამდვილეში თვითონ არ აკეთებს და გამოლელებს ეფარება. თითქოს  
პასუხისმგებლობას ირიდებს თავიდან — აი, მე კი არ ვზივარ და ვიფურთხები, არამედგამოლელებიო. დაახლოებით ისევე იქცევა, როგორც ახლა შენ. თან, თუ ამას  
დავუმატებთ, რომ გამვლელებმა, სავარაუდოდ, საერთოდ არ იცოდნენ, რომ ულებდნენ...

— მოიცა, ისევე, როგორც მე? მე რა შუაში ვარ?

— ნიკო, აბა, აღიარე, რამი დაგჭირდი ახლა? 27 წელზე მეტია, არც გაგხსენებივარ,  
ახლა კა უცებ „რეალ ტივიზე“ მეეკითხები რაღაცას. თან ზუსტად იცი, რასაც ვიტყვი. შენც  
იმავეს აკეთებ, რასაც ისინი. ლანბლვა გინდა და მე მეფარები, თითქოს შენ კი არ  
უწოდებ უურნალისტს ვირთხას, არამედ მე.

— კი, მაგრამ, მე ხომ იუმორით...

— კიდევ, იცი რა? რა „რეალ ტივი“ აგიტყდა? რა, ახალს ამბობ რამეს? ვინმემ არ  
იცის, რა ნეხვიცაა? მაგრამ ადვილია, ხო? თავს უკეთესად გრძნობ, არა? დაახლოებით  
ისე, უცებ ყველა ნოლაიდელს რომ მიასკდა.

— მოიცა, ნოლაიდელი რა შუაშია?

— ნოლაიდელი კი არა, სხვის ხარჯზე თავის დამკვიდრებაა შუაში. „რეალ ტივის“  
ლანბლვა ისევე ადვილია, როგორც ნოლაიდელისა. რაც არ უნდა ცუდი იყო, სულ რომ  
ბაგა-ბალის ნინ სუბუტებს ყიდდე, გახედავ ყოფილ პრემიერ-მინისტრს და იტყვი, აი  
ასეთი ხომ ნამდვილად არაფერი მიენიაო.— არსენა, დედას გეფიცები, თავის დამკვიდრება არ მინდა. შენ ხომ მიცნობ, არა?  
საკუთარი თავივით არ მიცნობ? უბრალოდ მაგათი გალანბლვა მინდა.

— ვისი, ნიკო, მერაბიშვილის თუ დონაძის?

— არც ერთის! ვინც მანამ მუშაობს იმათი. დონაძე არ მჯდარა იქ ჭკვიანური სახით,  
ალასანიას ფიტულისგან ინტერვიუს რომ იღებდნენ. მერაბიშვილს არ ედგა იქ სტენდი და  
გამოლელებს ის არ ატყუებდა. ვინც მაგას აკეთებდა, პასუხი არ უნდა მოეთხოვოს?  
საზიზღლობებს არ აკეთებენ? ყოვლად გულისამრევი არ არის?

— შენ კიდევ სახალხოპასუხისმომთხოვნი მყავხარ და სინდისიერების ეტალონი!

— არა, უბრალოდ მეწერინება და, მგონია, რომ სასაცილო გამოძის.

— არ გამოდის სასაცილო. გირჩევინა ნახვიდე და უაზრო ისტორიებს მოჰყვე, ან  
მუსიკაზე იანგლო.— არსენა, გემშვიდობები, ინტერვიუსთვის გამოყოფილი დრო ამოგვეწურა.  
სასიამოვნო იყო შენი ნახვა.— ეგეთი სასიამოვნო რომ ყოფილიყო ამ 27 წლის განმავლობაში ერთხელ მაინც  
დარეკავდი. ჩემთან დარეკავას არც ბალანსის შევსება სჭირდება და არც ქსელში  
ჩართული ტელეფონი. ისედაც კარგად ვპასუხობ ხოლმე. ხოდა, იცი რას გეტყვა? ნატი  
შენი...

\* \* \*

ალასანიას ფიტულთან ინტერვიუს, რომელიც ცოტა მაღლა ვახსენეთ, აი აქ ნახავთ.  
თუ ფსევდოლიტერალური ლირებულებები ბმულზე მიწკაპუნების უფლებას არ გაძლევთ,  
მოკლედ გეტყვით, რა ხდება. უურნალისტი თამარ დარსაველიძე მანეკენის ნინ ზისავტორი: **Rocko**საიდან გვწერთ: **Office**

12.02.2010 19:48

როგორც ყოველთვის! :)  
ვიხალისე!ავტორი: **Nata**საიდან გვწერთ: **Tbilisi**

12.02.2010 20:08

უძანმაგრესა ნიკო, როგორ  
მინდა, რომ ყველამ ნაიკითხოს  
„ჩვენიანებმაც და  
ცუდიანებმაც“, უკვებლივ  
ყველამ.

„რეალ ტივი“ ვართ ჩირქი.

ადვილად დასანახები ვართ და  
ცოტა გულისამრევები. მაგრამ,  
ჩვენ უბრალოდ რეაქცია ვართ  
ინფექციაზე“ — დალიან მაგარი  
შედარებაა და ძალიან  
სამუხარო რეალობა : ( ეჭე ნეტა რა უნდა გაგთდეს  
რომ სისაძალეს და  
უნამუსობას არ ეძლეოდეს  
ამდენი საშუალებები ჩვენ  
ქვეყანაში : (ავტორი: **Tamar**საიდან გვწერთ: **Tbilisi**

12.02.2010 20:11

სულაც არ ღელავს და ზღვა  
წვინტლისფერია. ძალიან  
წვინტლისფერი...სტატია კი არის ნამდვილად  
კარგი, მაგრამ აი, მამა რომ არ  
გყავდეს რესპუბლიკელი, თან  
თანამდებობის პირი, მაშინ  
ყველაფერი გენიალურად  
იქნებოდა. საერთოდ რომ არ  
გყავდეს, გრიაააააააააააააა  
ლმერთო, შენ მაინც გვიშველეავტორი: **La belle femme**

12.02.2010 20:39

რა ბედნიერებაა რომ ეს  
დაწერეთ :))))))) ალასანიას  
ფიტულის ინტერვიუს მე  
უყურე და გაგიშებული  
უყურებდი ყველას.. მაგრამ  
არავინ იჯერებდა!!!!!! :)

ମୁଦ୍ରଣ ନଂ ୧. ୨୦୧୦

ბეჭორი: **ERMONIA**  
საიდან გვწერთ: **მომავლიდან**  
**12.02.2010 21:03**  
კარგი იყო ნიკო ძალიან. ეგრე  
მიაწერი. :)

အွန်မြတ်စွာ ပေးပို့  
အွန်မြတ်စွာ ပေးပို့  
အွန်မြတ်စွာ ပေးပို့  
အွန်မြတ်စွာ ပေးပို့

ავტორი: რუსთ  
საიდან გვერთ: თბილისი  
13.02.2010 19:01

ნიკოლოზო როგორი  
აღფრთოვანებული ვარ. ძაან  
მაგარია. ეს არსენა, ვაიმეე,  
საიდან მოიციქრევევევევ.

ვიცი, რომ  
 არაკონსტრუქციული  
 კომენტარი დავწერე : ) მაგრამ  
 სულ არ მინდა რეალ-ტკ ს  
 მიმოხილვა, გართულ მედიაზე  
 წყუჯუნი და ბრძნელი აზრების  
 გამოთქმა. შეე უკვე ისე  
 მაგრად მოახერხე.  
 თან, მართალი ხარ, ჰმშველის  
 შეხედვაზე ცუდად ვხდები  
 მეც :)) ჩატტულიც  
 საშინელებაა, მაგრამ ოვალს  
 მაინც მოვატყუბებთ :P ვოტ

ავტორი: nino nacylishvili  
საიდან გვნერთ: Tbilisi  
13.02.2010 21:14

(ჟურნალისტი მეტისმეტი მომივიდა. მაგრამ ზის), მანეკენს სახეზე აღასანიას ფოტო აქვს აკრული. თამარი ეკითხება – რა დონის პოლიტიკოსად მიიჩნევთ საკუთარ თავსო. აღასანია მრავლისმეტყველად დემს.

მე ინტერვიუს ეს ტექნიკა ძალაან მომენთა და გადავწყვიტე მიმებადა. ამიტომაც ავიღე ნარმოსასკითი ინტერვიუ თავად თამარ დარსაცელიძისგან. აბა, კარგი იყო, უარი რომ მტკიცა ინტერვიუს მოკემაზე? მართალია, არჯ მითხოვა, მაგრამ, მაინც...

სხვათა შორის, თავს უფლება მივეცი და ეს ტექნიკა კიდევ უფრო განვავითარე. ჩემი რესპონსუნგი არ დამს და კითხვებზე პასუხსაც კაჯემინებ.

— თამარ, რა დონის უურნალისტად მიიჩნევ თავს?

— არა მგონია, რომ რამე ისეთს ვაკეთებდე, „იმედსა“ და „რუსთავი 2-ზე“ რომ ვერ ნახავ. ჩვენ დღე და ლამე მოლალატებზე ვლაპარაკობთ, მაგრამ რა, ვახო სანაიას „ქართველები ქართველების წინააღმდეგ“ უკეთესი იყო? ყოვლად უნიჭო მულტფილმიც გვაქვს, სადაც სააკამპილი ლომია, მოსახლეობა ჭიანჭველები და ოპოზიცია კიდევ

რუსეთის აგენტი ვირთხები, მაგრამ რა, იმავე „იმედზე“ საკაშვილის სახოტპო სიუჟეტები არ გინახავს? იმათ რა, სინდისი აწუხებთ თუ ჩვენსავით პროპაგანდისტი ანტიიურნალისტები არ არიან? უბრალოდ ისინი უფრო გამოცდილები არიან და შეფუთვაც უკეთ იქნან.

— კი, მაგრამ სინდისა არ განუხებს ხოლმე ან შენ, ან შენს თანამშრომლებს? თქვენ ხომ ასეთი... როგორ გთქვა... (პულები ხართ.

— იკი, არ მანუსხბის. საჭმელისაა, რომ მეც და ჩემი კოლეგებიც მართლები ვართ.

— კარგი რა, რა შეუძია აქ საოკუპაციო ჯარი.

— არ არის ძუაბი?

— არა!  
— მოდი, ასე გეტყვი. საქართველო არის დაყოფილი ორ ჯგუფად. ერთი ჯგუფი ენიანები არიან და მეორე ცუდიანები. მთავრობის მსარდამჭერებიც ასე ვაკეთებთ

ოპოზიციონერებიც ასე შვრებიან. ზოგი ამას უფრო ჭკვიანურად გამოხატავს, უცხო სიტყვებს იშველიერს, ან კისინჯერს დაიმონტებს და ან კიდევ დერიდას. „ფეისბუკიც“ აქვთ და ბლოგებიც. ჩვენ კიდევ ამას უფრო უხეშად ვაკეთებთ და შეიძლება უფრო საზიზღლადაც, მაგრამ აზრი მაინც იგივეა. რომ ვართ თეთრები და ისინი არიან შავები და ამიტომ ჩვენი ქაქი არ უნდა შევიმზნიოთ და იმათი კიდევ კედელზე წავუსვათ. ჩვენ, „რეალ ტივი“ ვართ ჩირქი. ადვილად დასანახები ვართ და ცოტა გულისამრევები. მაგრა ჩვენ უბრალოდ რეაქცია ვართ ინფექციაზე. ჩვენ რომ გავქრეთ სხვა გაჩნდება. დააგდება კი დარჩება.

— အောက်မှာ ပြန်လည်ဖော်လုပ်ခဲ့သူများ၏ အမြတ်ဆင့်ဆုံး အောင် ဖြစ်ပါသည်။

\* \* \*

რაც შეეხება სამშობლოს მოღალატეობას... დამეთანხმებით, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე თვეა ყველა ამ სიტყვებს გაიძახის, ცოტა მოუხერხებელი ტერმინია. გრადა ციის საშუალებას არ იძლევა. ანუ, ვთქვათ, დავიწყეთ ნოღაიდელისგან და

ავტორი: გოგა  
საიდან გვერდოთ: გერმანია  
13.02.2010 21:31  
როგორც ალბათ  
შეკოთხველების უმეტესობას  
ორგვარი განცდა დამეუფლა.  
სასაკილოა, სატიროლი რომ არ  
იყოს. რა ყოფილა ეს რეალტე.  
სტატია კარგად მომექნინა.  
განს. არსენთან გასაუბრება.  
რომ სხვისი ლანძღვით  
ადვილია „ქულების დაწერა“,  
მაგრამ ავსა ავით თუ არ  
დავარევით შორს ვერ  
ნავალო... ყოჩალ ნიკო

ავტორი: **Anastasia**  
საიდან გვწერთ: **Deutschland**  
14.02.2010 00:06  
magariaaaaaaaaaaa :)))

ავტორი: მარინე  
საიდან გვერდით: ბათუმი  
14.02.2010 00:46  
გადასარევი რეკლამაა.  
რეალ ტივი გადასარევი  
პროდუქტია ქართულ  
თანამდებობები.  
ტელევიზურნალის ტიკაში.  
იუმორი, რეჟისურა, გემოგვება.  
ვისაც შეურს, იმიტომ რომ  
უკეთესს ვერ ქმნის. აბა აქუ  
ჯობია და მასტრო? მადლობა  
ნიკო უფასო რეკლამისათვის.

ავტორი: გახო  
საიდან გვერთ: ბილაპოდან  
14.02.2010 02:11  
ეკებ, მარინე, მარინე...  
როგორც ჩნძს თქვენიარი  
გემოვნების სახლისთვისაა  
ეგ არხი. ხოდა, უყურეთ და  
დატებით!

ავტორი: გიორგი გოცირიძე  
საიდან გვწერთ: თბილისი  
14.02.2010 14:46  
რეალ ტივი პორტნოგრაფია.

## ობორის № 1. 2010

ავტორი: ვახო

საიდან გვწერთ: აიდაპოდან

14.02.2010 01:20

ყოჩაღ, ნიკო! განსაკუთრებული ბლოგია. მაგრად ვიხსინები!

მაგ ტელევიზიაზე არაფერი ვიცოდა. პირველი დრაც მაგ არხზუ ვინხე იყო სიუჟეტი ვახო კომახიძეზე. მართლაც გულის

ამრევი რამე იყო... ვიღაც

ჰყავდათ საგინებელი და

აგინეს. უურნალისტობა აქ რა

შუაშია. როგორც ჩანს,

საზოგადოებას ჭირს მართლა

რალაც „ინფექციური“, თორებ

ჯანსაღ ქვეყანაში მასეთ ჩირქს

ვინ გააჩერებდა.

ავტორი: ანონიმი

15.02.2010 18:03

ნიკო, სულ დამავიწყდა მეყითხა – ბოზებში ალბათ ნახედებს გულისხმობდი.

თუარადა, რას უნდა ერჩოდე ბოზებს? მათი საქმიანობა

მართლაც შიშველი სიმართლეა, განსხვავებით რეალ-ტე-სან.

თუმცა, ზოგიერთი ბოზი ჯობია რომ შიშველია არ ნახო –

ამაში კი გეთანხმები. მაგრამ, ესც ისე გემონების საქმე უფრო. ბოზები კი მართლაც

პატიოსანი და მშრომელი სალია. ჯერ საქმეს

გააკეთებენ და გადახდას მერე გთხოვნ.

### In Response

ავტორი: ნიკო ნერგაძე

15.02.2010 19:22

არც ვერჩი და არც არვერჩი.

ეგრე არც ასენიზატორები უშავებენ ვინმეს რამეს,

პრიქით, საჭირო საქმეს

აკეთებენ და პარის

სპეციალისტებსაც ვიცონბ

ბევრს და რამდენიმესთან ემეგობრობ. ანტიმედიცური

სტატია არ ყოფილა ეს :)

შევთანხმდით, რომ სწორედ ის არის მოღალატე. მერე გადავედით პავლიაშვილზე. მერე ჩამოვედით ცოტა ქვემოთ და ნანი ბრეგვაძეს ვუწოდეთ მოღალატე. მერე? მერე უკვე იმათზე გადავალოთ, ვინც რუსულ პოპს უსმენს და, საერთოდ, არასახელმწიფობრივად აზროვნებს. და ცოტა ხანში იმდენ მოღალატეს ვნახავთ, რომ ან საპტოთა კავშირს დავემსგავსებით და ან კიდევ 90-იანი წლების დასაწყისის საქართველოს. იმიტომ, რომ მოღალატეების ძებნას კარგი არაფერი მოაქვს. ვინ არის და ვინ არ არის მოღალატე? თუ დიდხანს გააგრძელებ სამშობლოს გამყიდველების ძებნას, გამოვა, რომ მართალია, განსხვავებულ მოსაზრებას შემწყარებლურად უნდა შეხედო, მაგრამ თუ ძალიან განსხვავებული გახდება, ეს უკვე სამშობლოს ღალატია. არსენა, რატომ დაბრუნდი, დაგრჩა რამე?

— არა, უბრალოდ ეს ბოლო ფრაზა მომენტია. შენ მოიფიქრე?

— არა, ვუდი ალენბა.

— ეგრეც ვიცოდი. წავალ მე, მაინც აღარ გჭირდები, მაგრამ ერთს გკითხავ.

ყველაფერს თავისი სახელი არ უნდა დავარქვათ? გაქვს „მოღალატეზე“ უკეთესი ტერმინი?

— მაქვს! უფრო სწორად, სხვის მოფიქრებულ ტერმინს განვავრცოა. ჩიმორებიო, პრეზიდენტმა რომ თქვა. აი, სად გამოგვადგება კრიმინალური ტერმინოლოგია! თან გრადაციის საშუალებასაც გვაძლევს! ცოტა დახვენა სჭირდება, მაგრამ სამუშაო ვარიანტი ასეთი იქნება – ყველაზე ცუდები იქნებიან ჩიმორები. ასევე ცუდები, მაგრამ ონბაზ უკეთესები – განდილები ან სირჩეები. მერე მოძიან არიფები და ამათ მერე ძალათ კაიბიჭები. თან, მსგავსი ნომერკლატურა საშუალებას მოგვცემს, აქს ავი ვუწოდოთ და თან კარგსაც დავარქოთ სახელი. ესენი იქნებიან, კარგიდან უკეთესებისკენ – პატიოსანი ბიჭები, კაი ბიჭები, ძველი ბიჭები, განაბები და, ბოლოს ქურდები. ეს მხოლოდ სამუშაო ვარიანტია. ქურდული უარგონის ექსპერტი არა ვარ და შეიძლება ზოგ სიტყვას არასწორ დატვირთვას ვაძლევდე. ალბათ, ჯობს გივი თარგამაძეს ვთხოვოთ დახმარება. თან იდეოლოგიურად სწორად აზროვნებს, თან ქურდულიც იცის!

\* \* \*

აი, ვისა აქვს მეტი საერთო უურნალისტიკასთან, ვიდრე „რეალ ტივის“:

— პიარ ტექნოლოგებს

— ასენიზატორებს

— ბოზებს

ავტორი: vincox

საიდან გვწერთ: sacxeidan

15.02.2010 23:11

აუ ეს ვის ხელში ვართ რა.

სალოლ ნიკო ძაან მაგარიზარ

რასაც ქვია ამათ დააფარე რა

ავტორი: ტარანტული

საიდან გვწერთ: მაღარო

16.02.2010 03:22

სულ ვითხულობ

თავისუფლების ბლოგებს

მაგრამ ასე აღფრთივანებული

არასდროს ვყოფილვარ...

დიდი მადლობა ასეთი კარგი

ბლოგისთვის,,,,,

ავტორი: ქართველი

საიდან გვწერთ:

kotsarv@hotmail.co

17.02.2010 14:59

ნიკო, ახლა იქნებ თბიზიციურ

არხბზე დაწერო რამე,

თუ იქ ყველაფერი რიგზეა?

თუ შევეთა არ გაქვს?

რადიო თავისუფლებაში ხომ

შევეთებზე მუშობთ, ახლა არ

დამინიჭო არაო, ძალიან

მახალისებ. ვაი ჩვენს პატრიონს

თევზნაირი უურნალისტების

ხელში პლეიბლიდან პირდაპირ

თავისუფლებაში – მაგარი

ნახტომა ვერაფერს იტყვი;

ავტორი: ნინია

საიდან გვწერთ: თბილისი

18.02.2010 15:07

ნიკო, ამ სტატიის

გამოქვეყნების შემდეგ

ყოველდღე ველოდები

რეალტივიზე როდის გავა

შენზე სიუჟეტი:):):)

დაარქმევენ ფლეიბოიდან

თავისუფლად

უურნალისტიკამდე:)) ისე

მართლა ლირდა ამდენი ხნის

ლოდინად ეს სტატია. მაგარი

ხალისია, ბრავო:)



18.03.2010

„რადიო თავისუფლების“ ბლოგები

<http://www.tavisupleba.org/content/blog/1987232.html#relatedInfoContainer>

## მალხაზ ხარბეგია

## გამოშტერება

ორიოდე თვის წინ ჩვენს უურნალში, „ლიტერატურა – ცხელ შოკოლადში“ ჰანს მაგნუს ენცენსბერგერის ერთი ძალიან ჭკვიანური ტექსტი დავბეჭდეთ – მაშინვე გადავწყვიტე ამ პუბლიკაციისთვის ცალკე გამოხმაურება მიმედვნა, მაგრამ სამშა თვეშ ისე გაიარა, ვერაფრით მოვაბი თავი, სანამ ტელეკომპანია „იმედმა“ სრულიად უიმედო არ გაახდა ჩემი ისედაც მძიმე შეხედულებები ქართულ სატელევიზიო მედიაზე.

სტატიაში ძალზე ზუსტად არის განსაზღვრული მედიის კრიტიკოსების ძირითადი არგუმენტები და მიუხედავად იმისა, რომ ავტორი გამოსავლის ნაცვლად, უფრო რაღაც მისტიკურ გამოცდილებას გვთავაზობს, მანც მგონია, რომ ენცენსბერგერის მოსაზრებებში კიდევ ერთხელ გავლა-გასეირნება ძალიან სასარგებლო უნდა იყოს ყველასთვის, ვინც ტელე-მედიას ვაკრიტიკებთ და ნერვებს ვიწყვიტავთ ჩვენი პროდუქციის შეშედვარე.

წესით, მე არც არაფერზე უნდა ვიწყვიტავდე ნერვებს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ტელევიზიონს საერთოდ არ ვუყურებ (ორიოდე არხის გამოკლებით, ისიც დილისპირულად), მაგრამ გვერდითა ოთახის ტელევიზონს რა ვუყოთ, რომელიც მთელი საღამო ჩართულია და ჩემს ქვეწონბიერში ლექავს სიბრივეებს, ტყუილებს, საინფორმაციო ვირუსებს? როგორც ბოლო ნლებში დავრწმუნდი, მეორე ოთახიდან შემოსული საინფორმაციოს ხმები სამზარეულოში დარჩენილი დამწვარი ტაფის სუნთქე უარესია, ძალიან ძნელად გადის და მას არათუ ფანჯრების გალება და ოთახის განივება, ყველაზე მედგარი კრიტიკაც კი ვერ ეწინააღმდეგება. ერთი მარტივი მიზეზის გამო, არც კი იცი, რა უნდა აკრიტიკო.

მოდით, ჯერ გავერკვეთ, ამგვარი კრიტიკოსების რამდენი კატეგორია არსებობს ბუნებაში ენცენსბერგერის მიხედვით. იგი მათ თეზისების მიხედვით ჰყოფს.

პირველი მანიპულაციის თეზისა, რომლის სამიზნეცაა ის იდეოლოგიური დატვირთვა, მედიებს რომ მიეწერება და რომელიც მასში უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური ბატონობის ინსტრუმენტს ხედავს. ამ იდეოლოგიურ დატვირთვაში

ავტორი: dato

საიდან გვწერთ: tbilisidan

18.03.2010 16:15

მალხაზ, თქვენ იცით ჩვენი

ტელეურნალისტების

ინტელექტუალის და ზნეობის

დონე?!

უმრავლესობა კი მათ

უჭირანეს და პრინციპულ

ადამიანებად თვლიან და

ჯერათ მათი, მი უბრალო

მიზეზის გამო, რომ

ტელევიზორი მათთვის

ერთადერთი სინამდვილეა,

ვერც გაამტყუნებ რა ქნან სხვა

ავტორი: Marika

საიდან გვწერთ:

feelgoodibes.blogspot.com

18.03.2010 16:20

გენაცვალე! გენაცვალე,

მართლა, რა! გაისარე შენ, რომ

ამოსთქვი ეს სიტყვები –

ტელევიზია აშტერებს.

ადებილებს. აჩლუგებს.

გერმანელები დიდი ხანია

მიხვდნენ ამას ნუ, ყველა არა,

მაგრამ უმრავლესობა მაინც.

ექსტრემალებმა საერთოდ

გააძვეს ტელევიზიონი

საკუთარი სახლიდან და

ცხოვრებიდან. დაბარჩენები

არასოდეს აჭარბეჭენ

გარკეულ ზომას. რაც

მთავრია – ბავშვებს არ

ზრდიან ტელევიზიონის

იმედად. ბავშვებს არ

აჩლუნგებენ დასაწყისშივე!

ამას ვერ ვაგნებინებ აქ უფროს

თაობას. სამუხაროდ, ჩემი

შშობლების თაობას

ტელევიზიონი უწევს

ყველაფრის მაგივრობას..

მაგრა ტეხავს.



ავტორი: თამაშეგარუ  
საიდან გვწერთ: თამაშეგარუ  
მდგომარეობდან  
18.03.2010 23:04

მალხაზ, გეთანხები. მაგრამ დაგვიანებული ხომ არ არის ეს ჩვენი აქტუალური დისკუსიები ამ ავადსახსენებელ სიუჟეტზე?

რა მოვიმოქმედეთ მთელი ამდენი ხნის მანძილზე, როცა მხოლოდ უხამსობას, არაპროფესიალიზმს და დემაგოგიას უუსმენთ კომენტარის გარეშე ქართულ მედიაში?

გვაქვს ორი საპირისპირო უკიდურესად დემაგოგიური ტელერხები. რომ არა ასეთი მგრძნობიარე თემა, რაც იმდენა გააკეთა, რა სხვაობა იყო მთელ ამდენ უხამსობებში, რაც არსებობს?

ამას წინად კავკასიაზე მოვუსმინე უურნალისტების საუბარს პარიტეტი, სადაც გამოიყენებოდა სიტყვები, „განავალი“, „უნიტაზი“... ჩვენი სასიერდულო უურნალისტები იყვნენ, „სუუპრობდნენ.“

რატომ არ გააკრიტიკა არავინ? რალაც არ გამიგია... ხალხის დაშტერება დიდი ხნის წინ მოხდა და გაშტერებულები მხოლოდ ეხლა ამ ბიოლოგიური შიშის გამო აღელდნენ. მხოლოდ ბიოლოგიურად აღელდნენ.

თანმიმდევრული ქართველი მედია-კრიტიკოსიც. მანამ, სანამ რაიმე დალაგებულს დაწერდნენ ან გამოთქვამდნენ, მათ დედის გინებით მოიფხანეს გული.

ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია მათი საქციელი, ზუსტად მესმის გინების თერაპიული მნიშვნელობაც და ამ საქმეში თავი მაგისტროსად თუ არა, ბაკალავრად მაინც მიმართია, თუმცა, ერთი რამ უნდა ითქვას: ჩვენმა მედია-კრიტიკოსებმა ზუსტად უნდა გაარკვიონ, რისთვის იბრძვიან: შინაარსისთვის, ადამიანის უფლებებისთვის, კონტროლის მოპოვებისთვის თუ ეს ბრძოლა მათთვის უბრალო სამსახურია, მსუყედ დაფინანსებული მორიგი პროექტი? სანამ ეს არ გაირკვევა, ჩვენი მედია-კრიტიკოსები ყოველთვის განწირული იქნებიან გინებით უპასუხონ ჩვენში უკვე ტრადიციად ქცეულ „მოდელირებებსა“ და „სახლობანებს“, რომლითაც ინფანტილი ყოფილი შურნალისტები და ვერმედგარი პოლიტიკოსები ერთობიან.

ჰანს მაგნუს ენცენსბერგერის წერილი კიდევ ბევრ თემას წამოშლის. აი ციტატები: „მიმდინარეობს, „საკომუნიკაციო საშუალებების“ უმაგალითო აღჭურვა და ამ დროს შეკითხვასაც კი არავინ სვამს, თუ რა უნდა გადაიცეს ყოველივე ამის საშუალებით“.

„მარტონდენ ვიზუალურ ტექნიკას, უპირველეს ყოვლისა კი ტელევიზიას შეუძლია ენის ტევირთისაგნ გათავისუფლება და იმ ყველაფრის განადგურება, რასაც ერთ დროს პროგრამა, ანუ მნიშვნელობა, ანუ „შინაარსი“ ერქვა“.

„მაყურებელი მშვენივრად აცნობიერებს, რომ მას საქმე აქვს არა საკომუნიკაციო საშუალებასთან, არამედ კომუნიკაციის უარყოფის საშუალებასთან, და ეს მისი ურყევი რომენაა“ (იგულისმება მაყურებლის „საიდუმლო იარაღი“, პულტი).

და ბოლოს, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფრაგმენტი, რომელიც საინტერესოდ აშიშვლებს „იმედის“ იმ „მოდელირებულ“ სიუჟეტს: „აბსოლუტურად მორგებულია ტელევიზიაზე ის, რასაც პოლიტიკოსები პოლიტიკას ეძახიან. როდესაც რომელიმე საცოდავი მინისტრი ფიქრობს, რომ მაყურებელთა მოსაზრებებსა და ქმედებებზე ახდენს გავლენას, ამ დროს მისი წყალწყალა გამონათქმამები აკმაყოფილებს მაყურებელთა მოთხოვნილებას, რომ როგორმე თავი აარიდონ რაიმე მნიშვნელობას“.

ჩვენი ეთერი რომ სავსეა ასეთი უშინაარსო, მნიშვნელობისგან დაცლილი წყალწყალა ლაყბობით, ახალი ამბავი არაა. ისიც ცხადია, რომ ქართულ ტელევიზიებს ნამდვილად სჭირდებოდა „კულტურული გმირი“, ვინმე ტელე-ულიგანი, რომელიც ასეთ სიმტკარეში თავის მარგებელ შეამს შეურევდა, მაგრამ ყველაფრი პირიქით მოხდა, იხულიგნა თავად ხელისუფლებამ, იხულიგნეს პროსახელისუფლო უურნალისტებმა, ეგზიტპოლ-ინტელექტუალებმა და ამ ბრიყვული ხულიგნობით მათ სამუდამოდ წართვეს ქართულ მედიასა და მის კრიტიკოსებს მახვილგონივრულობის, ხუმრობის და ჭკვიანური მისტიკიკაციების შანსი. აი ესაა თანამედროვე ქართული „ტრაგედია უგმიროდ“.

ენცენსბერგერი ამბობს: „ტელევიზია აშტერებს, მას იმისთვის რთავენ, რათა თავად გაითიშონ“.

„იმედის“ ინციდენტმა ეს სიტყვები ახალი შინაარსით შეავსო: ტელევიზია აშტერებს მანიპულატორებსაც, ანუ თავად გამოიშტერებლებსაც. მე მგონი, მათ უფრო აშტერებს.

ავტორი: mako  
19.03.2010 04:15  
მალხაზ! შესანიშნავია!!! 13-ის შემდეგ უპრავი მოსაზრება და ანლაზი წავიკითხე, მაგრამ ასე ძირისძირად გაშემულებული, არსად. რაც მთავარია, მართალი და სასიამოვნოდ წასაკითხი.

ავტორი: karaoke  
სადან გვწერთ: Athens  
19.03.2010 11:07

მაგარი კლასიფიკაციაა ხალხზე ზემოქმედების.... მაგრამ აյ საინტერესო უფრო თვითონ სააკაშვილის მიმართ რა ხდება, იმის კლასიფიკაციაა... ამ ნლის უკან იუმორინაში სიმთერალის სტადიები იყო გაშარებული:  
1. დაოვრა მგრამ სახლში თავისთ მივიდა .....  
2. მიფორთხდა .....  
3. მიიტანეს .....  
4. მიიტანეს მაგრამ სხვაგან....(ისე დაოვრა, სხვა მისმართი უთხრა მიმტანებს)

ავტორი: რუსო  
საიდან გვწერთ: ონჯოხეთიდან  
27.03.2010 19:35  
„იმედის“ ინციდენტმა ეს სიტყვები ახალი შინაარსით შეავსო: ტელევიზია აშტერებს მანიპულატორებსაც, ანუ თავად გამოიშტერებლებსაც. მე მგონი, მათ უფრო აშტერებს. ამზე უკეთეს კომენტარს, მგონა, ვერც ვერავინ გააკეთებს....



22.04.2010

საკუთარი ბლოგი

[http://paatakourdadze.blogspot.com/2010\\_04\\_01\\_archive.html](http://paatakourdadze.blogspot.com/2010_04_01_archive.html)

## პაატა ქურდაძე

# სექსუალურად კორექტული საზოგადოება\*

საინტერესო წერილია. საერთოდ ძალიან მომწონს თქვენი პუბლიცისტიკა... სამწუხარის, რომ თუ მიღრიმი რამდენიმე ადამიანზე თუ ადამიანთა ჯგუფზე ატარებდა ექსპერიმენტს, დღეს მთელი საქართველო დიდი, ბანძური და უნიჭო ექსპერიმენტების ველი გახდა. პატივისცემით, ნენე [www.literaturuli.com](http://www.literaturuli.com) 19 mai 2010 16:22

— Бабушка, почему у тебя токой большой нос?

— Ты на свой нос посмотри, дура!

„ნითელქუდა“, ალტერნატიული ვერსია

თბილისის მერობის კანდიდატი რომ ვყოფილიყავი, ჩემს საარჩევნო პროგრამაში აუცილებლად შევიტანდი კარპატების მიუვალ მთებში ჩაკარგულ ქალაქ – ტრანსილვანიასთან თბილისის დამმობილების პროექტს. ამ ორ ქალაქს მთავორიანი რელიგიისა და იდუმალების გარდა – ერთმანეთის სისხლის სმისაკენ მათი მოქალაქეების დაუოკებელი ლტოლვა აერთიანებს – მხოლოდ რუმინელ აჩრდილთა პრინცეპისაგან განსხვავებით ჩვენს ჯანმრთელობაზე მზე და ნიორი მშვენივრად მოქმედებს: 24სთ/24სთ-ზე აქტიურად და მადიანად გვვლებთ ერთმანეთის სისხლს – სქესის, ეროვნების, პოლიტიკური, რელიგიური, სექსუალური თუ კულტიურული ორიენტაციის მიუხედავად – რეალურ და ვირტუალურ ცხოვრებაში, შინ თუ გარეთ, – გძელფეხებიანები დიდცხვირიანებს ვუშრობთ სისხლს, დიდცხვირიანები მოკლეფეხებიანებს, ეს უკანასკნელი სქელტრაკებს, სქელტრაკები „უტრაკოებს“, ისინი თავის

მხრივ აყლაყუდებს, მელოტ მემერცხენებს ან ლიპიან მემარჯვენებს... პრინციპში. აქ დიდად გასაკვირი არაფერია – ადამიანებს ერთმანეთის გარეგნობაზე უკეთესი გასართობი ჯერ არაფერი შეუქმნიათ. მხოლოდ სიტყვა „გართობა“ დასვენებასთან, უსაქმურობასთან ასოცირდება, გამუდმებული გართობა კი არაზრდასრულობასთან – იდიოტიზმთან. გასაკვირი არც აქ არის რაიმე – უსაქმურებისა და იდიოტების მეტი რა არის ეკეყანაზე. ჩვენი შემთხვევის უნიკალურობა იმაშია, რომ ჩვენში ამით ბეჭითი, მშრომელი და ძალიან სერიოზული ხალხია დაკავებული; პოლიტიკური უმაღლესი იერარქიიდან დაწყებული უთვალავი და ათასნაირი ექსპერტით, პოეტებით, უურნალისტებით დამთავრებული, რომ აღარაფერი ვთქვათ ფეისბუქის „ინტელექტუალური“ სამზარეულოში ასალგამოჩეკილ საკუთარ სწობურ ფანტაზმში გზააბნეულ, მაგრამ ძალიან აქტიურ პატარა ჭორიკანა სპამ-ასისტენტებზე და სტაუიორებზე.

## ვიღაც დაპოლილი...

10 მარტი, 2009.

პაატა ქურდაძის  
ბლოგიდან

[http://paatakourdadze.blogspot.com/2009/03/blog-post\\_10.html](http://paatakourdadze.blogspot.com/2009/03/blog-post_10.html)

ფრაგმენტები გამოკრიბა  
ანო ქობულაძემ

ამ ბლოგზე მესამე წერილის  
გამოქვეყნების შემდეგ, როგორც  
შევიტყვე, რამდენიმე მეთხველს  
ჩემზე უთქვას, ვიღაც  
დაბოლმილია.

მადლობა ღმერთს და ჩემს  
მონდომებას, თუ ვიღაც ვარ!

რაც შეეხება დაბოლმილს,  
ნამდვილად ცამდე მართალი  
არიან. დაბოლმილი რომ არ ვიყო,  
ამხელა წერილებს, რომლებსაც,  
ყველა სკეტჩსთან ერთად  
სტატიების მმრალი მედია-  
სტატუსი მიანებეს, რა  
დამანერინებდა. ვაცხოვრებდი  
ჩემთვის „დაღაგებულ“ ქალაქ  
პარიზში და სულაც არ


შევიტყებდი თავს  
საქართველოზე ფიქრით. ყოველ  
შემთხვევაში, თავს მინც  
მოვაჩენებდი ხალხს ასე: ცოტა

„ფლანგული აქსანტით  
დავითადალაკებონი ტბილისში  
სტუმლობისას“. სახინკლეში  
ქაბაბის შემდეგ დესერტს  
მოვითხოვდი. რესტორანში ჯერ

ლვინის ბოლოს საცობს  
დავყნოსავდი ხოლმე  
უურადლებთ, მერე ჭიქში  
ჩავეყიდვა და ცხვირი,  
ნერვიულობისაგან  
გათვლასნებულ ოფიციანტს  
საზღამული თავაზიანობით  
ვანაშებდი რაღაც გაუებარს,  
ბოლოს კი კონაკს სიგარით  
დავაყილებდი და ამ „ბაგიური“  
სიტყვის „დეჟევატივის“ მისტიურ  
მიშვნელობას ავუხსნიდი  
პირდაღებულ ნახევრად მთვრალ

1960-63 წლებში იელის უნივერსიტეტში ფსოქოლოგმა  
სტენლი მილგრიმმა ცნობილი ექსპერიმენტი ჩაატარა,  
რომლის შედეგები, დღემდე შოკისმომგვრელი რჩება.  
უფრო მეტიც, როგორც ახლახანს, საფრანგეთის  
საზოგადოებრივი ტელევიზიის მიერ ამ ექსპერიმენტის  
რეკონსტრუირებისას აღმოჩნდა, შედეგები „ევოლუციას“  
განიცდის.

მილგრიმის ექსპერიმენტი, მას შემდეგ სხვადასხვა  
წლებში მრავალ ქვეყანაში განმეორდა და ყველგან  
თითქმის ერთი და იგივე შედეგით დასრულდა:  
სხვადასხვა სოციალური ჯგუფიდან ამორჩეულ არაფრით  
განსხვავებულ ადამიანთა 62-65% პროცენტი  
ავტორიტეტული მეთვალყურისაგან მიღებულ  
არალეგიტიმურ ბრძანებას ემორჩილება და მას  
ასრულებს, მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავად



აკონტროლებს ცივი, მოკლე და ავტორიტარული ხმით  
არწმუნებს მას, რომ გააგრძელოს, და ისიც მორჩილად  
აგრძელებს... 250, 300, 350 ვოლტი... ექსპერიმენტის  
შედეგმა შოკში ჩააგდო მსოფლიო – 62 მონაწილე  
ბოლომდე – 450 ვოლტამდე ავიდა, მას შემდეგაც კი, რაც  
მოსწავლემ ყვირილი შეწყვიტა ანუ სავარაუდოდ მოკვდა,  
ისინი ყოყმანის შემდეგ „მოდერატორის“ არგუმენტების  
გავლენით მაინც აჭერდნენ უფრო და უფრო მაღალი  
ძაბვის ღილაკები... მხოლოდ 37-მა მონაწილემ შეწყვიტა  
ექსპერიმენტი პრინციპულად....

გასულ 18 მარტს საფრანგეთის ტელევიზიის  
საზოგადოებრივმა არხმა იგივე ექსპერიმენტი გაიმეორა –  
ამჯერად, იელის უნივერსიტეტისგან განსხვავებით,  
50 წლის შემდეგ ექსპერიმენტის შეწყვეტის სურვილი  
მხოლოდ ოცმა S-მასწავლებელმა გამოთქვა, 17-ით  
ნაკლებმა... 80-მა პროცენტმა სხვისი ბრძანების გავლენით  
450 ვოლტის აღმნიშვნელ ღილაკს დააჭირა და „მოსწავლე“  
სასიკვდილოდ გასწირა. მხოლოდ ამჯერად ყველაფერს  
სატელევიზიო შოუს ფორმა ჰქონდა და ამდენად ბევრად  
უფრო შემზარავი საყურებელი იყო, ვიდრე მილგრიმის  
ლაბორატორიის მიზანსცენა. ეს ექსპერიმენტი ადამიანის  
ფსიქიკის უამრავ დეტალზე სვამს აქცენტს. ყოველ  
მათგანზე მსჯელობა ძალიან მიმზიდველია. შესაძლებელს  
ხდის ახსნას ბევრი ენიგმატიკური ფენომენი, მაგალითად  
საყველთაო ნაცისტური ბარბაროსობა გასული საუკუნის  
30-40-იანი წლების გერმანიაში.

აი, ექსპერიმენტის ერთ-ერთი საინტერესო ეპიზოდი –  
ტელეშოუს მსვლელობისას ზედამხედველი მონაწილეებს  
მარტინ ტოვებს, ავტორიტარული გავლენისაგან  
განთავისუფლებული S-მასწავლებელი მოსწავლის  
პირველი მოთხოვნისთანავე, ფაქტიურად მყისიერად  
წყვეტი „თამაშს“. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ ადამიანი  
ბუნებით არ არის სადისტი – მას საკუთარი მორჩილი  
ბუნების მანაპულირებით აძილებენ იყოს ინსტრუმენტი  
ვიღაც ავტორიტეტის ხელში – 450-ვოლტიან ღილაკს  
დააჭიროს ხელი, მეზობელი ებრაელები გესტაპოში  
დააბეზღოს, ჰინოგის მიმართ ატომური ბომბი ჩამოაგდოს,  
საკუთარ ქვეყანას ტელევიზიით ომის დაწყება და ნახევარ  
საათში მისი წაგება ამცნოს...

ადამიანის მორჩილებისაკენ დაქვემდებარების ამ  
მიღრეკილების გამოყენებას თავის სასარგებლოდ ყველა  
პოლიტიკოსი ცდილობს, თუმცა სხვადასხვა მეთოდით  
და ხარისხით. დემოკრატიულ საზოგადოებაში, ცხადია

ბავშვობის მეცნიერებს. ხანდახან მეჩვენება, რომ თითქმის ყველა დაღლილი საშუალო ქართველის ოცნებაა – ფეხებზე ევროპული კულტური, და განსაკუთრებით ის, რაც საქართველოში ხდება. საერთოდ, ვინც დღვევანდელი საქართველოს შემხედვის დაბოლომილი არ არის, ვურჩევ, კარგი ფისიატრი იპოვოს.

მე დასაბოლოად, პირადულის გარდა, რომელსაც ვინჩე ცნობისმოყვარეს რომც აინტერესებდეს კიდეც, მაინც არ მოვყენები, უამრავი ეგზისტენციალური მიზნზი გამაჩინა. განსაკუთრებით ჩემს მთავარ სამშობლოსან დაკავშირებით, რომელიც ჩემთვის კიდევ უფრო პატარაა, ვიდრე სენტიმენტულ ქართულ სადღეგრძელობსა და პოზიციაში. მისი ზომა სულ 16 ინჩია, ზუსტად ჩემს ნოუთბუკის მონიტორში ეტევა. ამიტომ ზუ გაგიკვირდება, თუ 90-იანიან წლებიდან საქართველოს რეალობა ჩემთვის მჭიდროდ არის დაკავშირებული „ტელე-რეალობასთან“. სამწუხაროდ, პრეზიდენტისა არ იყოს, შედარებით ნაბეჭდი – პრესასთან, რადგან ის ფაქტურულ ინტერნეტში თითქმის არ არსებობს, და რაც არის, უმეტესი მათგანის ვებ-გვერდები მხოლოდ თვეში ერთხედ ან საერთოდ წელიწლი ერთხედ ახლდება. საფრანგეთში ქართული გაზისთვის გამოიწყრა კი ფანტასტიკის უანრ სული:

1. კველა ზღვარს გადასული როდესაც, სხვადასხვა არზის ათასიან გადაცემაში, კახა

აცნობიერებს ბრძანების ამორალურობას. როგორც თავად მიღებრიმისა ახსნა, ინდივიდი ავტონომიური მდგომარეობიდან გადადის ერთგვარ „აგენტიკურ“ მდგომარეობაში, სადაც სრულად ინარჩუნებს შინაგან მორალურ თვისებებს, დაძაბულობას, სულიერ მდგომარეობას, ბოროტების გააზრდის უნარს. თუმცა თავს გარე ავტორიტარული სურვილის შემსრულებელ უპრალო აგენტად გრძნობს.

ექსპერიმენტი წარმოდგენილი იყო, როგორც დასჯის ეფექტურობის მეცნიერული შესწავლის ცდა – კონკრეტულ შემთხვევაში ელექტროშოკით მოქმედება მასსკვრიბის უნარზე, მის განვითარებაზე.

მონაწილეებს საათში 4 დოლარს უხდიდნენ, აგრეთვე 50 ცენტს – გზის ფულს, რაც იმ დროისათვის საკმაოდ სარფაინი პატარა სამუშაო გახლდათ – ამერიკაში საშუალო დღიულს შემოსავალი 2010 წელს 25 დოლარი იყო, ამიტომ ექსპერიმენტში მონაწილეთა არაფრით გამორჩეული საშუალო ტიპაჟების პოვნა, მსურველთა დიდ არმაში სირთულეს არ წარმოადგენდა. თავად ექსპერიმენტი შემდეგნაირად ვითარდება. ორი მონაწილე (გრაფიკულ ნახატზე A და S პერსონაჟები)

ფალიიფირებული ლატარის გათამაშების შედეგად ინანილებს A-მოსწავლისა და S-მასწავლებლის როლებს. სინამდვილეში A-მოსწავლე და ყოველთვის წინასწარ შერჩეული მსახიობია, ისევე როგორც E-მეთვალყურე, ყველაზერი დადგმულია, ერთადერთი ნამდვილი მონაწილე ექსპერიმენტისა არის S-მასწავლებელი, თუმცა ის რა თქმა უნდა თვლის, რომ როლები შემთხვევის წყალობით გადანანილდა. შემდეგ მათ ათავსებენ ერმანეტისაგან იზოლირებულ ოთახებში, სადაც ერთმანეთთან რადიო კავშირის საშუალება აქვთ.

S-„მასწავლებელი“ დაიღილობს A-„მოსწავლეს“ დააზიპირებინოს სიტყვების გარკვეული ჩამონათვალი. ყოველ დაშვებულ შეცდომაზე ის ელექტროშოკით სჯის მოსწავლეს. ამასთან, თავიდან ძაბვა მხოლოდ 75 ვოლტია, თუმცა ყოველ ახალ შეცდომაზე ძაბვა მატულობს, 80, 100, 140, 200 ვოლტი... A-„მოსწავლე“-ს უფრო და უფრო მეტად „უჭირს“ ელექტროშოკის ატანა, მალე ის ყვირილს იწყებს მეზობელი ოთახიდან, ითხოვს რომ გაათავისუფლონ, ემუდარება S-მასწავლებელს, შეწყვიტოს ექსპერიმენტი. S-მასწავლებელი დაბნეულია თითქოს უნდა, რომ შეჩერდეს, მაგრამ ექსპერიმენტის მონაწილე მესამე პირი – E-მეთვალყურე, მოდერატორი, რომელიც ყველაზე

მასებთან ავტორიტარული ურთიერთობის ფორმა აღიქმება როგორც ტირანია, ამიტომ ვერც ერთი დასავლელი პოლიტიკოსი ვერ გაპედავს თავს ასეთი ტონის უფლება მისცეს, სამაგიეროდ „ნახევრად დემოკრატიულ“ ქვეყნების ხელისუფალთათვის გარე თუ შიდა საფრთხე სწორედ ის ნიშაა, რომელიც მას საშუალებას აძლევს ავტორიტარული ტონი გამოიყენოს მოსახლეობასთან საურთეერთობოდ. – გასაგებია – სამხედრო რეჟიმი, ან ასეთი რეჟიმის მიმტაცია ყველაზე კომფორტაბელური გარემოა „ტირანული დემოკრატიისათვის“ – ომის მოლოდინი განსაკუთრებულ ორგანიზებულობას მოითხოვს, ორგანიზებულობა კი შეუძლებელი ორგანიზორების, სწორედ ისეთი E-მეთვალყურეების გარეშე, რომლებიც მიღებრის ექსპერიმენტისას S-მასწავლებლებს დემონბივით ჩასტურჩულებრ უყრში და 450 ვოლტის ღილაკზე თითის დაჭრისაკენ აქეზებენ. უფრო კი აიძულებენ. არველაძისა მისი მოადგილის საუბარი სწორედ მიღებრიმის ექსპერიმენტის E-ანიმატორსა და იმ S-მასწავლებელს შერის დიალოგს წააგავს რომელსაც თამაშიდან გასვლა სურს, მაგრამ ავტორიტარული ხმა არწმუნებს, დარჩეს... როგორც ცნობილია, ადამიანს, დედამინის ბინადარ სხვა ძუძუმნოვრებისაგან სამყაროს ვიზუალური აღქმის მეტად განვითარებული უნარი განსახვავებს. მხედველობა და მერძნობიარობა ჩვენში განსაკუთრებულად არის ერთმანეთთან კავშირში. მაგალითად ძალი ძუძუნს სულაც არ ირჩევს მაღალი თეორების ან მომზიბლავი თვალების გამო – მისთვის მთავარი „სპეციფიური“ სურია. ჩვენი ბუნებრივი ბულსაციები პირდაპირ მიერთებულია ვიზუალურ აღქმაზე. პროპაგანდა, ან თუ გნებავთ რეკლამას სწორედ ადამიანის ბულსაციის ხელოვნურად აღზინებულ მდგომარეობაში მოყვანას ცდილობს, რადგან კარგად იცის, რომ მისი გააქტიურება სწორედ თვალის საშუალებით ხდება. ამიტომაც ტელევიზია დღემდე არსებობა ყველაზე უნივერსალურია, ის სწორედ ვიზუალურ რეცეპტორზე მოქმედებს. გარდა ამისა შეიცავს ფონო-ზემოქმედების საშუალებას და ერთგვარ კლასიკური დრამის პრიმიტიულ ელემენტებსაც კი.

1999 წლიდან მყოლებული, როდესაც BBC-ის პროგრამამ „როგორ მოვიგოთ მილორინი“ მოგვიანებით კი Big Brother-სა, ახალი სული შთაცერეს ტელევიზიას, ჩვენ ადამიანის ბუნებრივი პულსაციებით მანიპულირების

კუკავას უფრო ხშირად ხდედა, ვიდრე პირის ჰილტონს დაბალი გამის დასაცლურ ყვითელ მედიაში, ან მაღანას MTV-ზე, ძალაუნებურად, კითხვა განეცემა, ეს კაცი როდის ასწერებას მუნიციპალიტეტის „თუ ამას კიდევ საგაზიეთო ინტერვიუს“ დავუმატებთ, მართლა რაღაც გაუგებრობაში ვხვდებით... მე პრადად, ამ შემთხვევის დასახასიათებლად, ყველაზე შესაბამისი სიტყვა – ექსპინციონიზმი მონია.

და რა თქმა ის, მოულ ქართულ პოლიტიკურ „ჯე სეტის“ მოიცავს. თუ ამაში ვინჩეს ეჭვი ეპრება, შეუძლია საკან № 5-ს ან „კურიერს“ უყუროს. ვინც და როდესაც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, მოსახლეობას გაუჭირდება, ამ მანერი ჩვევისაგან დეზინტერესიკაცია.

ის ყოველთვის ჩათვლის, რომ დემოკრატია „ტელე-“-რაზონორება“. ამას კი ვერცერთი მთავრობა ვერ გაუძლებს და ისევე გადავა იძულებით „არდემოკრიულ“ რეესმშ, როგორც ეს პირველ, ვარდისფერ ტელე- რევოლუციონერებს დაემართათ, როცა ხელისუფლებაში მოსახლის შემდეგ, ყველა პოლიტიკური ტე-შოუ დაბურება. ოპოზიციაში გადასვლის შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, ნაციონალები ნამდვილ პოლიტიკურ კაბარეს მოგვიწყის ყველა არხზე... ყველ შემთხვევაში გრიგოლას სამუშაო გარანტირებული აქვს, არც მე-5 საკანს უწერია დახურვა. ვინ იცის, „მაესტრო“ იქნება საერთოდ ტელე-ციხედაც გადაიქცეს. ბევრი „რეალითი საკნებით“. თუ რა თქმა უნდა ახალ გამორკვებულ ტელევიზიად არ იქცა „კავკასიასთან“ ერთად.

ეპოქაში შევედით. თუმცა 10 წლის ნინაც კი არ იყო ადვილი წარმოსადგენი, რომ კაცობრიობა ასე სწრაფად ჩაეფლობოდა თავიდან ფეხებამდე ტელე-ექსტერმინაციის ეპოქაში. მით უმეტეს 20 წლის ნინ როდესაც ამერიკელებმა პირველი „ლაივ ომი“ მოაწყეს სპარსეთის ყურეში.

უნდა ითქვას რომ სატელევიზიო აღვირასნილობას ბევრი ევროპული დიდი არხი პატიოსნად ერმა XXI საუკუნის დასაწყისში, სანაც ისინი გაკოტერების პირზე არ მივიდნენ, როგორც მაგალითად ფრანგულ TV1 და M6, სანამ საპოლონდ, ჩათრევას ჩაყოლა არ ამჯობინეს. 80-იანების დასაწყისში ვიდეოკლიპების ბუმის გამო, თითქოს და საფუძვლიანად იქნა დავინიყებული სატელევიზიო შოუს უბოროტო უანრი, სადაც კლოუნები და პოპ ვარსკვლავები გამოდიოდნენ.

ლაივ ტელეთამაშებმა არა მარტო მკვდრეთით არადგინა ტელეშოუს უანრი, მისი ნამდვილი რენესანსის ეპოქა შექმნა. დღეს მთელი მსოფლიო თამაშობს. და ეს თამაშები, ფაქტიურად ნებისმიერი არხის ფინანსური წარმატების გარანტია. თამაშები დაფუძნებულია პრინციპზე: ჩვენ ვიგებთ არა იმიტომ, რომ სხვაზე უკეთესი ვართ, არამედ იმიტომ, რომ სხვაზე უფრო ცუდინი, სასტიკინი, უფრო მეტიც – ტერმინატორები ვართ! მიღების ექსპერიმენტის ფრანგული ტელე-ვერსია სწორედ ტელევიზიის გავლენების შესრავლის მიზნით ჩატარდა.

დღევანდელ ტექნოლოგიურ ბუმის პირობებში, ცხადია, ზემოთხსენებულ მასობრივ E-მეთვალყურეთა როლი მედიასაშუალებებს აკისრიათ, განსაკუთრებით ტელევიზიას, და უფრო და უფრო მეტად ინტერნეტს, რომელშიც, როგორც ცნობილია, ტელევიზიის სრული ინტეგრირება, ძალიან მალე მოხდება.

გასაკვირი იქნებოდა, რომ ასეთ სრულყოფილ E-„მეთვალყურება“ პოლიტიკოსებს ხელიდნ გაეშვათ. ამ საქმის პიონერად და ჯერჯერობით ყველაზე ცნობილ მეტრად, რა თქმა უნდა, დიდი ბერლუსკონი შეგვიძლია ჩავთვალოთ თავისი საკუთარი არხებითა და სატელევიზიო პოპ-პოლიტიკური მოღვაწეობით. სწორედ ბერლუსკონის პირველი ტვ ნარმატებების შემდეგ აღდგა რუსეთში ნამდვილი საჭიროა ტვ პროპაგანდა, საქართველოში კი ტვ რეალობაში ცხოვრებამ საერთოდ არნაულ მასშტაბებს მიაღწია – თითქოს მისი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ემიგრაციას

რადგან, როგორც აღვნიშნე, აქ არ თამაშობენ – აქ პირდაპირ გთავაზობენ რეალობას, 2-, 3- და თუთ 4-განზომილებაშიც კი, თანაც სპეციალური სათვალის გარეშე. მაყურებელს ნახევარი საათით ამ რეალობის სრულ მონაწილეს გხდიან – როგორც მორალურად, ისევე იურიდიულად. თქვენ შეგიძლიათ გახდეთ გმირი, მონაბეჭდით, ბრძან ტყვიის, კასეტური ბომბის, ან საკუთარი „სიმხდალის“ მსხვერპლი – უბრალოდ ინფარქტით მოკვდეთ.

შესაძლოა, ბატონი არველაძე, რომელიც დღეს სულაც არ ტოვებს განსაკუთრებულად კრეატორული და გონებრივი მონაცემების ქონების ქონე ტე მენეჯერის შთაბეჭდილებას, თავისძალებურად რაღაც ახალი ინოვაციული ტელერევოლუციის ავტორი აღმოჩნდეს – ტელევიზია პირველ რიგში ბიზნესია, რომელიც რეიტინგით სულდგმულებს. ასეთი რეიტინგი კი ძალიან მიმზიდველი შეიძლება გახდეს ისეთ შეუზღუდულავი ტელემორალის თავისუფალ ქვეყანაში, როგორიც ჩვენი ძვირფასი მოწყენილი სამშობლოა.

**ზოგადად** უნდა ითქვას, რომ დიდი უსამართლობა იქნებოდა, ამ მოდელირებული რეალობის ნახევარ საათში ჩაგვეტია მთელი ის ელექტროშოკი, რომლითაც ქართული სატელევიზიო მედია ანამებს მოსახლეობას ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში.

90-იანი წლებისთვის დამხასიათებელ ქაოსურ ტელენამებას ორგანიზებული სახე პირველად, რა თქმა უნდა, „რუსთავი-2“-მა მისცა და ნამდვილი ტვ-ოსვენციმი შექმნა.

ამის მან საფუძველი ჩაუყარა როგორა არაეთიკურ, არასამართლებრივ, უპასუხისმგებლობი და, რაც მთავარია, შოკური თერაპიის სადისტურ პრინციპზე დაფუძნებულ შოკურ ტელეშურნალისკენა. სულ რამოდენიმე წელინაში ეს ტელეშურნალისტები რევოლუციურ კლასიკად აქცია. დღეს მაშინდელ „რუსთავი-2“-ს ისევე მოისხენებენ, როგორც ბილშევიკები იატაკებება გაზიერებას „პრავდას“ ან „ისკრას“... როგორც იტყვიან, მას შემდეგ მრავალმა წყალშა ჩაიარა... დღეს უკვე ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გიორგი გაჩერჩილაძე სულ რაღაც ეკვები დღლის განმავლობაში თავის ტვ-საკანში ახალი მიეროსამყარო შექმნა – კედელზე გაკრული შესაბამისი აქსესუარებით, საკანში მოწვეული ადამიებით, ევებით, აგრეთვე ვაშლებით და გველებით. მეტვიდე დღეს კი

**2. ტელელინი.** ქართველი „ტელე-ერის“ საოცარი მიდრეკილება პირდაპირ ეთერში საქმის გარეკანის ყურების და სტაციონარული განაჩენის გამოტანისაკენ. ამ საოცარი მასპირივი მანის ჩამოყალიბებაში, რა თქმა უნდა, დამეთანხმებით, რომ ქართული ტელე-ფსიქიატრის კლასიკოსს, ქალბატონ ინგა გრიგოლიას უზარბაზარ, გადაწყვეტილი როლი აქვს ნითამბებით. რომ ქართული ვერ გატყვით, რომ წინააღმარ განზრახვით. არა მგონია ამზე ზევრი ეფიქტოს – ჩემი აზრით, რაღაც თავისთავად, ბუნებრივად გამოუვიდა. არ გამიკირდება მალე, პატარა ლატექს-სტუდიაც რომ მოწყობის, მათრახებით, ბორკილებით, ნიღბებით და სხვა S/M აქსესუარებით.

**3. გილოოტინა პირდაპირ ეთერში.** – ეს ჩევნი საბოლოო მიზანია, ჩევნი პათოლოგიური მოქალაქეობრივი გერმანების სრულად დასაკმარისილებლად.

**4. ტელემოტინგები** – ქართველის უნიკალური გამოგონება. სალოდან გაუსვლელად რევოლუციის მოწყობა. ჩევნი უანგარო საჩუქრი უმაღლე მსოფლიო. მალე უსისლო ტელე-ომებაც გავმართავთ, და მათში გავიმარჯვებთ! მერე კი აუცილებლად დაპრეზენტით ტელე-აფხაზეთში!....სიმღერით, ბუშტებით და კლიპებით, რა თქმა უნდა...

... 18 წელიდან გავიდა მას შემდეგ, რაც მე თბილისი აღარ ვცხოვრობ. 1991 წლიდან... რა შეიცვალა ამ 18 წელინადში? ქვეყნის ხელახალი ელექტრო- და გაზიფაცია? შესაძლოა ეს დღევანდელ მოზარდ ხელისუფლებას დიდ მიღწევად ეჩვენებოდეს, რადგან ეგონის, რომ საქართველოში მანამდე დენი არ იყო... მაგრამ როგორ

გადაურჩა, საკუთარ ტელევიზორის ყუთებში შეძვრა და ცხოვრებას „კურიერში“, „მოამბეში“, „მაესტროს“ და „კავეკასიის“ ერთგვარ „ტელეორმოცებში“ აგრძელებს: როდესაც მიცვალებული უკვე დასაფლავებულია, აღარავინ ტირის, დოლგარმონიანი წლისთავი ჯერ კიდევ შორს არის, ამიტომ სხედან, რაღაც უმაღლე ილუქმებიან, ზედ წყალწყალა ღვინოს აყოლებენ და უგულო სადლეგრძელებს ამბობენ. თანაც დღეში რამდენიმეჯერ თუ მიღვრიმის ქართულ ვერსიას წარმოვიდგენ, აქ ჯერჯერობით მთავარ E-მეთვალყურედ მაინც პოლიტიკოსი რჩება და მისი გონიერივი მონაცემები 100 პროცენტით განსაზღვრავს ძაბვას პროპაგანდისტულ ქსელში. საუბრდუროდ ჩვენში პოლიტიკოსები ჯერ კიდევ იმ ბავშვებივით არიან, რომლებისთვისაც, წესი და რიგით, დენთან თამაში კატეგორიულად აკრძალული უნდა იყოს. ისინი თვითონვე ყოფენ თითებს საკუთარი უგნურებით გაბმულ დახლართულ ელექტრო სადენებში, საპოლოო ჯამში თავადაც იღებენ ელექტროშოკს. მერე კი A-მონსავლეებთან და S-მასნავლებლებთან ერთად კარგა ხანს ფართხალებენ, საცოდავად წუნულებენ და ერთმანეთს აბრალებენ ყველაფერს.

თავად დიდი ამერიკელი ფსიქოლოგი ალბათ ძალიან გაკვირვებული დარჩებოდა მისი ექსპერიმენტის ასეთი ხეპული უსარგებლო „მოდელირებით“, რომლის შედეგი გაცილებით შთამშეჭდავი, მასშტაბური და ამასთან ბრიყვალი აღმოჩნდა, ვიდრე ყველაზე აღვირახსნილ ოცნებაში შეეძლო წარმოედგინა – მხედველობაში რა თქმა უნდა ტე „იმედის“ ცნობილი ექსპერიმენტი მაქს, რომლის ავტორებმაც საერთოდ უარი თქვეს როგორც თამაშის ზოგად კლასიკურ პრინციპზე, ასევე მეცნიერულ ექსპერიმენტზე – და მიღვრიმის მასნავლებლის სავარძლები, ელექტროშოკის პულტით პარანოია ბავშვი დასვეს, იქიდან გამოსული ასობით ათასი ბოლოგამიშვლებული ელექტრო სადენი საქართველოს მთელ A-მოსახლეობას დააჭირნენს ხელში და მორჩილ S-მასნავლებელს პირდაპირ 450 ვოლტის ღილაკზე თითის დაჭრა „ურჩიეს“ მეაცრი ტონით – რის შედეგად როგორც ვიცით საქართველოს მთელი A-მოსახლეობა ნახევარ საათს პანიკასაგან ცახცახებდა, მთელი დანარჩენი მსოფლიო, განსაკუთრებით კი რუსეთი – სიცილისაგან. ამ გადაცემის ამორალურობა ბევრად უფრო შთამშეჭდავია, ვიდრე „ბიგ ბორზერ“, „ლოფტი“, „კუნძული“, და ყველა სხვა თამაში ერთად აღებული.

დასასვენებლად ვედროზე ჩამოჯდა და თქვა, რომ „ეს კარგია“, ანუ „გლიჯავს“.

ამან შედეგად რა მოიტანა, ყველამ კარგად ვნახეთ – რამოდენმე თვეში ხელისუფლებამ უცნობის საკანი-სამყაროს ცუდი იმიტაცია – „რეალ-ტე“ შექმნა, რომელიც საქართველოს ისედაც მოყვითალო ტოქსიკურ ატმოსფეროს კიდევ უფრო წამლაც – ყოველდღე, ყოველ წუთს, ყოველ წამს. სულ ახლასანს კი „იმედმა“ სააკშვილის ნამდვილი ვატერლოო გვანახა. ამით მოსახლეობას ლათინური Memento Mori-ის ფოლკლორული ვერსია შეახსენა – ჩვენი სიცოცხლე ბევრი არაფერია და ის ჩიტივით გავვიფრინდება, თანაც სულ მაღა განა შეიძლებოდა, რამე უფრო ლოგიკური მომძაროყო?

ქართული ტე-არხები ხომ ყვითლად მხრჩოლავ „ქიმიურ კომბინატებს“ უფროლ გვანან, ვიდრე მედიასშუალებებს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ არც საკანი და არც „რეალ-ტე“ და თვით „რუსთავი-2“-იც კი არ წარმოადგენ აროგანიულობის სიმსივნის მთავარ კერას, რომლის პირველი ნიშნები გასულ საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გაჩნდა, ეპიქაშ რომელსაც ვლადიმირ პუტინმა გეოპოლიტიკური კატასტროფა დაარქვა, და რომელიც ჩვენთვის ნამდვილ „გეო-კულტურულ“ კატასტროფად იქცა. საერთოდ, ჩემი აზრით, ტელევიზია არ შეიძლება ერთადერთ კერა იყოს ამ სიმსივნის. დღეს დანამდვილებით ვიცით, რომ ახალი საქართველოს საწყისში ორიდან ერთ-ერთი „სიტყვა“ იყო – „მოღალატე“ ან „გომი“. მხოლოდ არავინ იცის, რომელი იყო ამ ორი სიტყვიდან „პირველი“, არცა აქვს მნიშვნელობა, რადგან მას შემდეგ გომებმა და მოღალატეებმა რამდენიმეჯერ გავცვალეთ ადგილები, ბოლოს ყველანი ამ ორი სიმსივნის კერიდან გამოსულ მიღვრიმის ელექტროსადენებივით ერთმანეთში გადახლართულ მეტასტაზებად გადავიქეცით და გაერთიანებული ძალებით ერთად მხიარულად ვახრჩიბთ ჩვენს კიდურებამპუტირებულ სამშობლოს ნარჩენებს.

**დაბალოვაბით** ორი თვის წინ YouTube-ზე ერთი ამაზრზენი ვიდეორგოლო გაჩნდა. თუ როგორ ურიგებოდა მიკროფონით ფარულად აღჭურვილი ახალგაზრდა ცირკის წინ მდგომ შუახანს გადაცილებულ მეძავებს, როგორ ეკითხებოდა მათ სერვისის მრავალფეროვნების, ფასების, ასაკის შესახებ. ყოველივე

განდათ, უფროს თაობას  
მოსთხოვოთ, რომ ამით  
ბედინერი იყვნენ? სულ ეს იყო,  
რისი გაეთხაც შევეტყოთ?  
დღესაც ხომ საზღვარგარეთ ის

კულტურული მღლებები  
გავაქს 91 წლიდე  
შეიმნა? ამისენით, როგორ  
ხდება, რომ ამ ხის მანძილზე  
კულტურულად ქვეყანაშ  
მხოლოდ რეგრესი განიცადა?

ნითელი ტერორით

განადგურებულ 20-ანი წლების  
საქართველოში კამატის

რენასანსი განვიცდეთ. უარმავი  
მნიშვნელოვანი ნანარმოები და  
ზოგიერთი ნამდგილი შედევრიც  
კი შეიქმნა. ამ ტერორისაგან 70

წლის ნანატრი

განთავისუფლების შემდეგ კი,  
მთელი 20 წლის მანძილზე  
არახანდადების ეპოქში  
ვცხოვობით, კულტურულ,  
პოლიტიკურ, ეკონომიკურ,  
მორალურ და როგორშიც  
გნებათ... დეკადანსში.

საჩართველოს ადრე თუ გვიან  
ტელეპოლიტიკის „ოვერდოზა“  
დაღუპავს! შეეშვით ამ  
ფავდომილიტიკოსებზე  
კოლეგტიურ მედიატურის!  
მოუსმინეთ პორტებსა და  
ფილოსოფოსებს!.. მოგინდებთ,  
ბოკოტი გამოიუცხადოთ  
უკანონო ყველა პოლიტიკას!  
პარტიას! ყველა მთავრობას!

ყველა ტოკ-შოუს!

საქართველოს მხოლოდ ტელე-  
ანარქია გადარჩენს!  
... გირჩევთ ამ ლოზუნგსაც  
გამოუცხადოთ ბიიკიტი, რადგან  
ბიიკი სოლიდარისას, ანუ  
სამოქალაქო საზოგადოების

ჩამოყალიბებას ნიმუშებს.

ხოლო თუ ვიმე გავალიზანე,  
შეუძლია შემაგისოს კიდეც.  
გინება ქართველების  
ფუნდამენტური ფასულობაა და  
მე მის ნისალდდებ ვერ წავალ.

ამას ქუჩის მეორე მხარეს გაჩერებული მანქანიდან  
ფარულად იღებდა კამერა. ვიდეოში ქალებიც და ამ  
სისაძალის ავტორიც შეუზიდავი სახეებით არიან  
ნაჩვენები.

იმვიათი გამონაკლისის გარდა, ამ საბრალო ხანში  
შესული ქუჩის მექავებით ქართველი ახალგაზრდა  
„გებ-ლაბერალების“ ნანილი შშვენივრად გაერთო, თანაც  
სრულიად „უფასოდ“ – ვიდეო დიდი წარმატებით  
სარგებლობდა ერთხანს ფეისბუკის სწორედ იმ წევრებში,  
რომელთა ნანილი ყოველთვის თავგამოდებით და  
სამართლიანად იცავს ჰომილექსუალების

უფლებებს.

არც ქალების, და საერთოდ ადამიანის ათასნაირი  
უფლებების დამცველთ არ ამოუღიათ ხმა.

მიუხედავად რამდენიმე ჩემსავით ზედმეტად  
„მგრძნობიარე“ ფეისბუკის თხოვნისა, რომ ავტორებს  
სოციალური ქსელიდან მანც მოეხსნათ ვიდეო, ყური  
არავინ გვათხოვა, YouTube-ზე დღემდე დევს ამ  
ახალგაზრდების ვიდეო „პერფომანსი“ და მას უამრავი  
მნახველი ჰყავს, მათ შორის, ვინ იცის იქნებ, თავად  
მექავების ნათესავები, ან თანასოფლელები.

ასეთი ვიდეოს ავტორებს, მისი გამავრცელებლებს და  
კომენტარის ავტორებს საფრანგეთში წვინტლიან  
ანანისტებს (*les petits branleurs*) ეძხიან. მათ,  
საქართველოსთვის განსხვავებით ნორმალურად  
განვითარებულ საზოგადოებაში გაცილებით დაბალ  
საფეხურზე აყენებენ ვიდეო თავად მექავებს, ჩვენთან კი,  
როგორც ჩანს, ისინი პირიქით სრულიად პროგრესულ  
ახალგაზრდებიან – ამ ვიდეოს  
გამოქვეყნებიდან ორი-სამი დღის შემდეგ ისინი უკვე თეა  
თუბერიძის უფლებებს იცავდნენ თავგამოდებული  
პროგრესულობით თუ ცივილურობით. ამ საბრალო  
ქალების ბევრი არც თავად გამოჩენილი ლაბერალები  
დაინტერესებულან – საკუთესო შემთხვევაში მათ ეს  
ვიდეობარბაროსობა ვერც კი შეამჩნიეს. არავის უთქვამს  
ათროთლებული სველი ხმით „დღეს ჩვენ ყველანი  
მექავები ვართ!“

შე ყოველთვის ვთვლიდი, რომ დემოკრატია და  
განსაკუთრებით ლიბერალიზმი დეტალებისაგან შედგება  
და არა რაღაც ერთი მთლიანი და დიდი პირადი  
პოლიტიკური გადაწყვეტილებისაგან.

დარწმუნებული ვარ ეს წვინტლიანი ანანისტები, გოგი  
გვახარიას ნაჩვენებ „კაბირიას დამეების“ ფინალური

სცენის ყურებისას, ჯულიეტა მაზინას „ოქროს პალმით“  
გასხივოსნებულ სევდიანი ლიმილის დანახვაზე მდუღარე  
ცრემლებს ღვრიან, ცირკთან მდგრა საცოდავი ასაკოვანი  
მექავი ქალების დანახვაზე კი სიცილით იჭაჭებიან. ეს  
სწორედ ის კატეგორიაა ადამიანებისა, რომლებიც  
ჯაპებით ძალებზე და კატეგორია „ნადირობენ“. ასეთები  
ოსვენციმში ღუმელების დამსუფთავებლებად  
მუშაობდნენ, მათ მთელს მსოფლიოში შეხვდებით, ყველა  
კონტინენტზე, ყველა ქვეყანაში – მხოლოდ დასავლეთში  
ისინი ჩუმი, უარა, წვინტლიანი ანანისტები არიან, რადგან  
მათ კანონიც სჯის და საზოგადოების მორალიც.  
საქართველოში კი ასეთები სიცილით სულს ვერ  
იპრუნებენ, „რუსთავი-2“-ის „კომედი-შოუს“ (თებერვალი  
2010), „ხუმრობის“ მოსმენისას: „სომალიში თოვლი მოვიდა  
და ქვეყანაში საკვების პრიბლება გადაიჭრა“ ... ასეთები  
მოხუც მათხოვრებს ჟუპრიკის „**მექანიკური ფორთოხლის**“  
პერსონაჟებივით ბეისბოლის კომბლებს გამეტებით  
ურტყამენ. მათ მილგრიმის ექსპრომენტის მოდერატორის  
ავტორიტარული ბრძანებაც არ სჭირდებათ – ისინი  
მაღალ ძაბვის ლილაკს საკუთარი ინციატივით აჭერენ  
ხელს, ხოლო შემდეგ, როდესაც გაიზრდებიან და  
წვინტლებს მოიწმნდავენ, თავად გადაიქცევინ  
ავტორიტარული ბრძანების გამცემ „მოდერატორებად“,  
შექმნიან უამრავ მოდელირებულ რეალობას, იმისათვის  
რომ ადამიანებს შემთხვევით „ლმერთი არ გაუწყრეთ“ და  
თავი გმირებად არ ნარმოიდებინონ, რომ მათ საკუთარი  
უმწეობის, სიმბაზის, კონფორმიზმის შეგრძნება  
გაუმძაფრდეთ, საკუთარი თავი შეძულდეთ. სწორედ ისე,  
როგორც რამდენიმე ევირის წინ ტვ-აგრესით მინასთან  
გასწორებულ შემინებულ საქართველოში.


**ენგაჟმენტის** – სადუმლობით შოცული.

**ოსვენციმი** – ადგილი პოლინეთში, სადაც იყო გერმანელთა მიერ  
მოწყობილი საკონცენტრაციო ბანაკი. ტანჯვასა და ნამების სიმბოლო.

**Memento Mori** (ლათ) – „გასხვავდეს სიკერილი“.

**მექანიკური ფორთოხლი** – სტენლი კუპრიკის საკულტო ფილმი (1971).  
ექსპინდიტორზები – სტენლი კუპრიკის საკულტო ფილმი (1971).

**დეზინტენსივაცია** – მონამლული ორგანიზმიდან შხამის გამოდევნა. ■



28 მაისი, 2010  
„ლიტერატურული გაზეთი“ # 27

## პაატა ნაცვლიშვილი

# გრიგოლ რობაქიძე – ნობელის პრემიის პირველი ერთველი ნომინანტი\*

\* თემაზე შუშაობისას  
ინტერნეტში  
როგორდაც გორგილაძის  
ბლოგზე აღმოვჩნდა.  
„ქართველი ნობელიანტი“ – ასე  
ჰქონდა ტექსტის, რომელიც  
გუგლშია ამომიგდო და  
რომელიც დავთ გორგილაძეს  
დაუპოსტავს 2009 წლის  
1 ივნისს 7 საათსა და 54 წუთზე.  
აი, ეს ტექსტიც:

„დღეს ცნობილი გახდა, რომ  
ნობელის პრემია  
ლიტერატურის დარგში  
მიერიქა ცნობილ ქართველ  
მწერალსა და ნოველისტს,  
დავთ გორგილაძეს.  
განსაკუთრებული წერის  
ნადი შედგა დანდან.

მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში რობაქიძის სახელი ძირფესვიანად იყო ამოგლეჯილი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიიდან. ბიბლიოთეკებში არ იყო არათუ რობაქიძის წიგნები, არ იყო უურნალ-გაზეთების ის ნომრებიც კი, სადაც მისი რაიმე ნაწარმოები იყო დაბეჭდილი. ის უურნალ-გაზეთებიც კი ამოელოთ, სადაც მისი გვარი თუნდაც ჩამოთვლაში იყო ნახსენები. თუ სადმე შემთხვევით ან სპეციალური ნებართვით ესა თუ ის ძველი უურნალი ხელში ჩაგივარდებოდათ, რობაქიძის გვარი ისე საგულდაგულოდ იყო გადაშლილი, როგორც ლავრენტი ბერიასი. იშვიათი გამონაკლისი მხოლოდ საოჯახო ბიბლიოთეკაში იყო მოსალოდნელი.

გუშინდელი დღესავით მახსოვეს ჩემი შიშნარევი სიხარული, როცა მამაჩემის წიგნებში სრულიად შემთხვევით დაფლეთილი „ჩანგი“ აღმოვაჩინე. ეს იყო მეორე ტომი მისეი გაჩერილაძის მიერ შედგენილი ქართული მწერლობის კრებულისა. ამ კრებულში რობაქიძის სამი ლექსი იყო გამოქვეყნებული და რაც მთავარია, იქვე იყო დაბეჭდილი მისი ერთი ბეწო პორტრეტი – სტანდარტული საფოსტო მარ-

კისოდენა, მაგრამ მასზე აღბეჭდილი სახე თავისი მკაცრი გამომეტყველებით და დაბალი, თეთრი შლაპით ისე განსხვავდებოდა სხვათა სახეებისაგან, რომ ფოტოც თითქოს ყველა დანარჩენზე დიდი ჩანდა. მაშინ უკვე წაკითხული მქონდა „გველის პერანგიც“, „ქართული გენიაც“ და რუდოლფ კარმანიც, რობაქიძის ლექსები კი პირველად წავიკითხე და მისი პორტრეტიც პირველად ვნახე.

როცა მოგვიანებით „ჩანგის“ ეს ნომერი ბიბლიოთეკაში მოვიკითხე, კი გამომიტანეს, მაგრამ სწორედ რობაქიძიანი გვერდები ამოხეული იყო!

რა შრომა გასწიეს მაიც იმ წლებში (ათწლეულებში!) ბიბლიოთეკათა თანამშრომლებმა! მათ რომ თავიანთი დრო და ენერგია ამ ავი საქმისთვის არ შეეწირათ, ქართული პერიოდიების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია ალბათ 1904 წელზე არ გაიყინებოდა და სხვაც ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდებოდა ამ დარგში. ბიბლიოთეკებისა და სიძველეთსაცავების მთელი ადამიანური რესურსი გრიგოლრობაქიძიანი, პეტრექავთარაძიანი, ლავრენტიბერიანი, თუ სხვა აკრძალულსახელიანი უურნალ-გაზეთებისა და წიგნე-

სტილის, ნაწერში ფაქტზე  
ნაქსოვი იუმორის, ქართული  
სიბრძნისა და მანკიერების  
გაშიშვლების გამო.

ნობელის პრემიის ქართველი  
მწერლისათვის მინიჭებას  
არაერთგვაროვანი  
დამიკიდებულება მოჰყვა  
მსოფლიო საზოგადოებაში.

გავლენიანი ფრანგული  
გამოცემა „ფიგარო“ აქვეყნებს  
გასული წლის ნობელიანზოს  
ჟან მარი გუსტავ ლეკლების  
პირველი რომელიც  
აცხადებს, რომ როგორც იქნა  
დავით გორგილაძეს მიაგეს  
სა კათოლიკო პეტიონი ... ისეთი

„**ეს არის მომ და მომ უნიკალური.** „**ეს არის გენიალური მენეჯერი,**  
**როგორიც დაეითა, დიდი**  
**ხანა რაც იმსახურებდა**  
**ნობელიანზობას.** ყოლბი  
**თავმდაბლობის გარეშე კატეპვი,**  
**რომ მას ჩემზე ადრე**

ეკუთვნიდა ეს სტატუსი”,  
აცხადებს ლე კლებიო.  
გორგილაძისთვის ნობელის  
პრემიის მინიჭებასთან  
დაკავშირებით თავის  
პოზიციას აფიქსირებს 1982

ნლის ნობელიანგტი,  
კოლუმბიელი მწერალი  
გაბრიელ გარსაა მარკესი,  
რომლის თქმითაც დავითმა  
კარის შეძლო, რასაც  
დიპლომატები და მშენებლის  
მოსურნე პოლიტიკოსები მთელ  
თავაზნთ მოღვაწეობას  
ანდოქებენ. „მე პირადად  
ვიცნობ დავითს, ის  
არაერთხელაა ნამყოფი ჩემთან

კარტბაენაში. ჩვენ ერთად  
ვთევზაობდით ხოლმე, ის არა  
მხოლოდ გამორჩეული  
მწერალია, მშენიერი  
მოსაუბრუც გახლავთ. სწორედ  
ერთერთი ჩვენი საუბრისას  
მოუვიდა მას აზრად დაენერა  
მოხუცი კაბპების შესახებ. სულ

ბის ძეგაბა-განადგურება-გადახაზვა-გადამალვას ხმარდებოდა. არ ვიცი, დღემდე ვინმეს ამ კუთხით თუ დაუნახავს და გაუანალიზებია სახელების მიმოქცევიდან ამოლების პრობლემა.

რაღა წიგნების დაწვა ფაშისტურ გერმანიაში და რაღა სახელების ამოღება ბოლშევიკურ საბჭოეთში!

საბჭოთა ტოტალიტარიზმი თავის უხეშ ცელს საქართველოში მაინც განსაკუთრებული სისასტეტიკით იქნევდა.

„საძჭროთა საქართველოში მე „არ“ მახსენებენ. თუ „ვერ“ მახსენებენ, – წუბადა გრიგოლ რობაქიძე, – ღმერთი, რვეული! მე არავის ვეძალები, მახსენოს მაინცა-და-მაინც. ვინც მე მიცნობს, უმაღვე დაიჯერებს ამას. ვერ გამიგია მხოლოდ ერთი რამ: რუსეთში ივან ბუნინის ნაწერებს ათიათა-სობით აქვეყნებენ – საქართველოში გრიგოლ რობაქიძის სახელის სხენებასაც გაურბიან. დავიჯერო, ბუნინი ჩემზე უფრო ნაკლები „ანტი“ იყო?!” („ანტი“ – არ უნდა ამას განმარტება). აქ შესაძლოა ვინმებ თქვას: „ბუნინი ბუნინია“ და... „ჭინკარ“ ნამოყოს თავი (ეს ჯიში კაცუნათა ალპათ ჯერ კიდევ არ გადაშენებულა).“

50-იან წლებში, როცა სტალინის სახელსაც დამის იგივე ბედი ეწია, რაც ბერიასას, როცა „ხალხთა ბელადის“ ტოტალური განგვირგვინება დაიწყო, ნიგნებისა და უკრ-ნალ-გაზეთებს ისეთი მასშტაბით განადგურება და გადა-მალვა აღარც უცდიათ. ჯერ ერთი, მაშინ თითქმის ყველაფ-რის განაგურება და გადამალვა მოუწევდათ და მეორეც – ასეთ შემთხვევაში სტალინს ლენინიც თან მიჰყვებოდა.

გარდა ამისა, დრო იყო სხვა: სტალინის სახელის მიჩქმა - ლუა-მიჩქმათებას, ყველასთვის მოულოდნელად მის დროს მიჩქმალულ-მიჩქმათებულ სახელთა რეაბილიტაცია მოჰყავა. ასე დაპრუნდნენ სტალინის სიკვდილის შემდეგ ქარ-თულ ლიტერატურაში მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვი-ლი, ტიციან ტაბიძე...

თუმცა არცერთი მათგანი ცოცხალი აღარ იყო.

გრიგოლ რობაქიძე კი იყო ცოცხალი - მან შეძლო თავის გადაწრენა, მაგრამ რეაპილიტაცია მის სახელს არ შეებია. რა მასში და რა რა მას უნდოებოდა წილის შემთხვევა.

სიცოცხლის მინურულს გრიგოლ რობაქიძე თავად შე -  
ცადა გაბრძოლებას თავისი სახელის დაბრუნებისათვის.  
1962 წლის აპრილში იაი წერილს წერს ირა კლა ასუშიძეს -

ქართულ სალიტერატურო და მოლიტერატურო წრეება-ში არაერთხელ მომისმენია რობაქიძის ნობელის პრემიაზე ნარდგენის ამბავი, რაც არსად არავითარი წყაროთი არ იყო დადასტურებული. ამბობდნენ, რომ თითქოს რობაქიძე სწორედ ბუნინთან დამარცხდა სანობელო პაექტობაში 1933 წელს. საამისო საბუთი კი არსად ჩანდა. რობაქიძის შემოქმედების მკვლევარები ფიქრობდნენ და ფიქრობენ, რომ ჰიტლერთან და როზენბერგთან მეგობრობისა არ იყოს, ეს კველაფერი მითია, რადგან გრიგოლ რობაქიძე თავისი სუნებით არ იყო ისეთი ადამიანი, ნობელის პრემიაზე წარედგინათ და საბამე სიამაყით და თავმოწონებით არ ეხსენებინა ეს ამბავი. რაიმე სარწმუნო ინფორმაცია არ აღმოაჩინდა არც კახეთ კუდავას – ცნობილ გამომცემელს, ნობელის პრემიის ღაურეატთა პოპულარული საგამომცემლო სერიის დამუშანებელს, ნობელის პრემიის ისტორიის საუკეთესო მცოდნებს.

თუ არ ვცდები, ნობელის პრემიას რობაქიძე სულ  
ორადორ წერილში ახსენებს და ირაკლი აბაშიძისადმი მი .  
წერილი წერილი ერთი იმათგანია. თუ ოდესმე უნდა ეთქვა  
თავისი ნომინანტობის ამბავი, სწორედ ამ წერილში უნდა  
ეთქვა. ასეთ შემთხვევაში ხომ მისი არგუმენტაციაც უფრო  
წინადი გახდებოდა. მაგრამ მას არაფერი უთქვამს. არც ამ  
წერილში და არც მეორეში, სადაც ეს ამბავი უფრო  
ლოკალური ფუნქციით, მაგრამ არანაკლებ ზუსტად და  
ლოგიკურად ჩაჯდებოდა.

სალიტერატურო და მოლიტერატურო წრეები კი ისე შევიძნენ ეშვები, რომ მწერლობის კულურარებს, სამზარეულოებსა თუ ინტერნეტ-ფორუმებს აღარ დასჯერდნენ და აგერ ახლახან, 2010 წლის მარტში ერთი სოლიდური ჟურნალი გრიგოლ რობაქიძის „მუსოლინის“ ქართული გამოცემის გამო წერდა:

„ნელს გამომცემლობა „ინტელექტმა“ გრიგოლ რობა-ქიძის, „მუსოლინი“ გამოსცა. ნიგნმა, რომელიც გერმანულ ენაზე დაინტერა, თავის დროზე დიდი მითქმა-მოთქმა და ვნებათადელვა გამოიწვია. ეს არ იყო შხოლოდ ბიოგრაფი-ული ნაკვევი, არამედ „არსის ხატი“, პიროვნების სულიერ სამყაროში წვდომის ცდა, სიღრმისეული შეფასება. მკით-ხველისთვის კარგა ხანს უცნობი იყო გრიგოლ რობაქიძის, რეპოლათ რომ ამძალ ართვართ სამკატებად დაშესტური-

„პირველ მდივანს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისა“ ზემოთ ციტირებული ფრაგმენტი სწორედ იმ წერილიდანაა. აი, მისი გაგრძელებაც:

„ახლა მოვისმონოთ გულვებული ჭინკის პასუხი კითხვაზე: რატომ ბუნინი რუსეთში „ისე“ და რობაქიძე საქართველოში „ასე?“ მესმის მისი სიტყვა დიდრაჯულია: „ბუნინი, ბატონო, ბუნინია და...“ აქ პაუზას უშვებს: იცის, უფრო მეტყველია. ვხედავ: მარცხენა წარბი იღნავ შეუკუმშავს – ეს ირონისათვის. ჭინკის ბუნება რომ ვიცი, ვხვდები მყისევე: რომ ბუნინი მას ისე აინტერესებს, როგორც „შარშანდელი თოვლი“. ბუნინით მას მხოლოდ ეს ჰქონდა: მე „წამერას“. გარნა ჩემი „წაკერა“ არც ისე ადვილია და აი, რატომ. (საჭიროა ქვემოთ გაუწყოთ თქვენ და ყველა თქვენ თანამოქალამეებს). 1933 წელს ბუნინს არგუნეს ნობელის ჯილდო, ხაკუთრივ წიგნისათვის „უზიზ არსენიევა“. ეს წიგნი გადათარგმნეს გერმანულად – გამოვიდა სხვა სახელით. ახლა მოვნახოთ კვირეული „Die Woche“, რვეული: 1934, ივნისის 4. პირველ გვერდზე წავიკითხავთ რეცენზიას სსენბულ წიგნზე ბუნინისა, საცა შემდეგია ნათქვამი: „რომ არ ვიცოდეთ, რომ ავტორი ლაურეატია ნობელის, განმიღება ჩვენი მოლოდინის ნაკლები იქნებოდა. ის, ვინც შესძლებდა მარადი რუსეთის გადმოცემას, არის ავტორი რომანის „Die germordete Seele“: გრიგოლ რობაქიძე. სიტყვა სიტყვით. დავტოვოთ განზე, მართალია თუ არა რეცენზენტის აზრი. მით უფრო, რომ: ერთი, ჩემი შემოქმედება სრულიად სხვაა, ვიდრე ბუნინისა, რომელსაც მე, რა თქმა უნდა, დიდად ვაფასებ; მეორე: „მარად რუსეთი“ ჩემი თემაა არაა: (ავტორს ალბათ რუსი ვეგონე, რაიც სხვათა შორის, მიუღვიომლობას მისას აძლიერებს.) დავტოვოთ განზე, მართალია თუ არა რეცენზენტის აზრი და ჩვენი ყურადღება მხოლოდ-და-მხოლოდ ფაქტზე შევაჩეროთ, ფაქტზე ასეთი აზრის გამოთქმისა, გაკვირვებით. რა დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ჩემს რომანს რეცენზენტზე, რომ მას, რომანს, მისს სჯაში ნობელის პრემიით დაგვირგვინებული წიგნა ასე დაეჩრდილა?! (ვხედავ: მოლანდებული „ჭინკა“, კუდამოძუებული, გაპარვით გველება.)“

რობაქიძეს ივან ბუნინთან ძველი ანგარიშები ჰქონდა. როგორც ჩანს, ვერა და ვერ მოენელებინა მისი დაჯილდო-ება ნობელის პრემიით.

რეფიმისადმი. მასვე ეკუთვნის თავის დროზე მილიონობით ტირაჟით დასტამბული წიგნი ჰიტლერზე, რომელიც საქართველოშიც კი გამოიცა რამდენიმე წლის ნინათ. მწერალი ჯერ საბჭოთა კავშირში, მოგვიანებით კი ევროპაში დაგმეს, როგორც ჰუმანიზმისა და მორალური ფასეულობების უარმყოფელი. ამავე მიზეზით ნობელის პრემიის კომიტეტმა უარი განაცხადა გრიგოლ რობაქიძის კანდიდატურის განხილვაზე“.

აი, თურმე როგორ ყოფილა საქმე!

ნობელის პრემიის კომიტეტს უარი განუცხადებია რობაქიძის კანდიდატურის განხილვაზე!

ჰუმანიზმისა და მორალური ფასეულობების უარყოფის გამო, რაც ჰიტლერსა და მუსოლინიზე დაწერილ მის წიგნებში შეუმჩნევიათ.

მორალურ ფასეულობებზე და ფაშისტური რეჟიმისადმი სიმპატიებზე სხვაგან და სხვა დროს, აქ კი ნობელის პრემიის და მისი კომიტეტისა ვთქვათ:

და საერთოდ: იყო თუ არა რობაქიძე ნობელის პრემიის ნომინანტი?

ის უურნალი გვიმტკიცებს, წარდგენილი კი იყო, მაგრამ ნობელის კომიტეტმა უარი განაცხადა მისი კანდიდატურის განხილვაზე.

სპეციალისტებს ნობელის პრემიაზე რობაქიძის ნომინანტობაში ეჭვი შეაქვთ და იგი ფაქტოიდად მიაჩინათ.

თავად რობაქიძე კი ამაზე არსად არაფერს ამბობს.

დიდხანს არაფერს ამბობდა არც ნობელის პრემიების კომიტეტი და ყველა ფერი ლიტერატურული მითოლოგიის თუ ჭორის სფეროში ჩჩებოდა, სანამ ნობელის კომიტეტმა თავისი პირველი 50 წლის ისტორია ეტაპობრივად არ განაარქივა და დაფარული ინფორმაცია საჯარო არ გახადა\*.

2009 წლის 5 ოქტომბრიდან, მანამდე საიდუმლო ინფორმაციის მორიგეობის დაზიანების განხილვის შემდეგ, ჩვენთვის დანამდვილებით გაირკვა შემდეგი:

თუმცა გრიგოლ რობაქიძე ამის შესახებ არსად არაფერს ამბობს და დღემდე არც სხვა რაიმე სარწმუნო ცნობა მოგვეპოვებოდა, ქართველი მწერალი მართლა წარუდგენია ნობელის პრემიაზე!

ეს მომხდარა 1932 წელს, მანამდე, სანამ გერმანიის ხელისუფლების სათავეში ჰიტლერი მოვიდოდა და სანამ

\* ნობელის ფონდის წესდებით იყრძალება ინფორმაციის საჯარო თუ პრივატული გარცელება ნომინაციების შესახებ 50 წლის განმავლობაში. აკრძალვა ეხება როგორც ნომინაციებს, ასევე ნომინატორებს, აგრეთვე კანდიდატურებს განხილვის მიმდინარეობასათვე ამ პროცესში გამოირჩება. ჩანს, ვინც ჩინკა, კუდამოძუებული, გაპარვით გველება.“

მოსაზრებებს. იხ. [http://nobel-prize.org/nobel\\_prizes/literature/nomination/](http://nobel-prize.org/nobel_prizes/literature/nomination/)

Nobelprize.org	
BILL PRIZEES, ALBERT EINSTEIN, MAX PLANCK, ERNST REINHOLD, ERNST REINHOLD	
Nob Prize in Physics Nobel Prize in Chemistry Nobel Prize in Medicine	
The Nomination Database in Literature, 1901-1950	
Year:	1932
Number:	28-0
Nominee:	
Name:	Grieg, Grieg
Gender:	M
Year, birth:	1843
Year, death:	1902
Profession:	Author
Country:	SU (U.S.S.R.)
Nominator:	
Name:	Richard Meckel
Gender:	M
Profession:	Professor at the University of Berlin
Affiliation:	University of Berlin
City:	Berlin
Country:	DE (GERMANY)

\* [http://nobelprize.org/nobel\\_prizes/literature/nomination/nomination.php?action=show&howid=1362](http://nobelprize.org/nobel_prizes/literature/nomination/nomination.php?action=show&howid=1362)

გრიგოლ რობაქიძე ჰიტლერსა და მუსოლინიზე თავის იმ სკანდალურად ცნობილ წიგნებს დაწერდა.

ეს პერიოდი რობაქიძის პოპულარობის პიკია გერმანიაში, რაც კარგად არის გამოხატული გერმანულ ურნალში „ეხო დერ ცაიტ“, სადაც 1933 წელს იპეჭდება ლევ ნასიმბაუმის წერილი სათაურით „გრიგოლ რობაქიძე – ერთი ნამდვილი პოეტი“:

„წესი არაა, გენიოსად გამოცხადებული იქნას მწერალი, რომლის შემოქმედება მხოლოდ ორი ნაწარმოებით არის ცნობილი გერმანელი მეითველისათვის. გრიგოლ რობაქიძის შემთხვევაში ეს გამონაკლისი დასაშეგებია... რობაქიძის სახელი დღეს სიმბოლოდ არის გადაცემული: იგი არის სიმბოლო გამოლევიძებული აღმოსავლური მწერლობისა, რომელიც უკვე შემდგარია გზაზე, რომელმაც მას მსოფლიო ლიტერატურაში კვლავ უნდა მოუპოვოს შესაფერისა ადგილი... მწერლის მისია ხომ სწორედ ეს არის, თავისი შემოქმედებით შეძლოს გახდეს დიდი მსოფლიო კულტურის ნაწილი, რომ აღდგეს პირველქმნილი ჰარმონია სამყაროს მთლიანობისა... ამას ერთეულები ახერხებენ და ეს შეძლო რობაქიძე, რადგან, რობაქიძე სატაგია შემოქმედების ულრმესი საიდუმლოებისა: იგი არის მოგვისიტვებისა“.

გრიგოლ რობაქიძე ნობელის პრემიაზე წარუდგენია ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორს, ევროპაში ცნობილ ორიენტაციისტსა და პოლიგლოტს, ქართველოლოგსა და სლავისტს, გერმანელთათვის ქართული ენის სახელმძღვანელოსა და პირველი ქართულ-გერმანული ლექსიკონის ავტორს, რობაქიძის გერმანულ ენაზე მთარგმნელს რისარდ მეკელაინს.\*

რობაქიძე და მეკელაინი ზუსტად თანატოლები იყვნენ – ორივენი 1880 წლის შემოდგომაზე დაბადებულან. ისინი ჯერ კიდევ ათიანი წლებიდან დამეგობრდნენ, როცა რობაქიძე გერმანიაში სწავლობდა. მეკელაინმა „გველის პერანგი“ მანამდე თარგმნა, სანამ რობაქიძე საბჭოთა კავშირს დატოვებდა და გერმანიას შეაფარებდა თავს.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში რიხარდ მეკელაინი გიორგი კერესელიძესთან და მიხაკო წერეთელთან ერთად „ქართულ გაზეთს“ უშვებდა ქართველი ტყვეებისათვის. 1922 წელს მას რუსთაველის საზოგადოება დაუარსებია

....”და რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა, რომ ნომინაცია მწერლის ქვეყნიდან მოდიოდეს“...

როგორი მოულოდნელიც არ უნდა იყოს, 1932 წლის ნომინაცითა 28-კაციან წუსხაში ყველაზე მეტი სწორედ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელია – 4; შემდეგ მოდიან: ნორვეგია, გერმანია და ინგლისი – 3-3; ფინეთი, ავსტრია, დანია, ესპანეთი და აშშ – 2-2; არგენტინა, საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი და ჩეხეთი – თითო წარმომადგენელი.

14 ქვეყნის 28 წარმომადგენლიდან 27 დამარცხდა, თუმცა ნობელის კომიტეტი ამ ტერმინს – „დამარცხება“ – არ ცნობს, რადგან ნობელის პრემიების მინიჭება არ არის შეჯიბრების ან კონკურსის შედეგი. ასე რომ, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი, რომ 28 ნომინანტიდან 27 უპრემიოდ დარჩა.

განხილვით კი ხუთვაციან კომიტეტს ყველა კანდიდატურა განუხილავს, მათ შორის – რობაქიძისაც. იმ წლებში ლიტერატურის დარგში ნობელის კომიტეტის წამყვანი ფიგურები იყვნენ შვედი მწერლები პერ ჰალსტრიომი და ანდერს ესტერლინგი. კომიტეტს ჰალსტრიომი თავმჯდომარებდა. იგი ნობელის პრემიების დაარსების პირველი დღიდან იყო ამ კომიტეტის წევრი, თავჯდომარედ კი 1922 წელს აირჩიეს. 1901-1950 წლებში ამ კომიტეტის მიერ დაწერილი 800-მდე დასკვნიდან 300-ზე მეტი სწორედ ჰალსტრიომს ეკუთვნის. მეოთხედი საუკუნის შემდეგ ჰალსტრიომს თავმჯდომარის პოსტზე ოსტერლინგი შეცვლის და ისიც თავის მხრივ კიდევ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში იქნება კომიტეტის თავკაცი.

დღეს განარტებებულ-განსაიდუმლოებული მასალების მონაცემთა ბაზაში არ ჩანს, 1932 წელს ვისზე ვინ დაწერა დასკვნა, ან რა იყო ნათქვამი იმ დასკვნებში, მაგრამ ფაქტია, რომ 28-დან 27 ნომინანტი უპრემიოდ დარჩა.

ხოლო ნობელის პრემია ჯონ გოლსურსის ერგო „ფორსაიტების საგისათვის“. უფრო ზუსტად – „თხრობის მისეული გამორჩეული ხელოვნებისათვის, რამაც უმაღლეს ფორმებს მიაღწია ფორსაიტების საგაში“.

უპრემიოდ დაწერილთაგან სამი მოგვიანებით მიიღებს ნობელის პრემიას: ბუნინი 1933-ში, სილანპიაა 1939-ში და იენსენი 1944-ში.

უკვე ნობელის პრემიის ლაურეატის უფლებით, 1938-1950 წლებში ბუნინი ექვსჯერ დაასახელებს თავის კანდი-

ცოტა ხანში მან ჩვენ  
შემოგვთავაზა იდეალური  
რომანი „ხანშიშესულ მექავთა  
კლუბი“. მგონია რომ კამილო  
ხსეს სელას შემდეგ  
გორგილაძე პარველია, ვინც  
ადამიანის ემოციებამდე  
ჩასვლა შეძლო – „ამბობს  
მარჯესა.

ამ საკითხს ებმაიანგიან  
რუსეთშიც. გამოწენილი  
ნობელიანტებისაგან  
განსხვავბით, ჩეენ  
ჩრდილოელ მეზობლებს  
მიაჩინათ, რომ ქართველი  
მწერლისათვის პრემიის  
მინიჭება პოლიტიკური ინშინით  
მოხდა და აღნიშნავენ, რომ  
2009 წლის ნოემბრიანგობა  
აფხაზ მწერალს რუსლან  
დორგბას ეკუთვნიდა. ამ  
საკითხზე გაზიერ „კულტურა“  
- სთან მიცემულ ინტერვიუში  
რუსეთის კულტურის მინისტრი  
ანდრეი კოვალიოვი ამბობს:  
„მიუხედვად იმისა, რომ

გორგილაძის ნაცერებს  
ყოველდღე ვკითხულობ, ძილის  
წინ, მაინც მგონია, რომ  
მისთვის ნობელის პრემიის

მინიჭება ნაადრევი იყო მისია  
ასაკის გამო. ოფიციალური წლის  
ასაკში არ შეიძლება ადამიანს  
ამელია პასუხისმგებლობა  
დააკისრო. თანაც მის გარდა

დიდებული კანდიდატები  
იყვნენ ნაადგენილები, მათ  
შორის გამოჩენილი აფხაზი  
მწერალი რუსლან დორგბა.

მგონია, რომ დავითს  
ეროვნული ნიშნით მიაგეს  
პატივი, ქართველობის გამო და  
ამით ჩვენ გვაღიზიანებენ“.

თავად დავით გორგილაძე  
მხოლოდ რამდენიმე სიტყვით  
შემოიფარგლა კომენტარის  
გაკეთებისას: „დარწმუნებული  
ვიყავი, რომ ოდესებ ნობელის  
დატურის შესახებ:

ბერლინში. სხვათა შორის, შეუმონმებელი ინფორმაციით,  
მეკელაინი კონსტანტინე გამისახურდიას ნათლიმა ყოფილა – ქართველ მწერალს თავის დროზე, ალბათ გერმანიაში  
სწავლის პერიოდში, მისი შვილი მოუნათლავს.

რობაქიძესთან ერთად კი იმ წელიწადს ნობელის პრემიაზე ივან ბუნინიც ყოფილა ნარდგენილი.

რობაქიძისა და ბუნინის გარდა, 1932 წელს ნობელის პრემიაზე კიდევ 26 მწერალი წარუდგენიათ. აი, ნომინანტთა სრული ნუსხა, ქართული ანბანის რიგზე განყობილი: ნორვეგიელი იოჰან ბოიერი, გერმანელი გეორგ ბონე, ნორვეგიელი ოლაფ ბული, რუსი ივან ბუნინი, არგენტინელი მანუელ გალვესი, ინგლისელი ჯონ გოლსურისი, ფინელი ბერტელ გრინბერგი, გერმანელი პანს დრიში, ნორვეგიელი ოლაფ დუუნი, ინგლისელი პერსივალ ჯორჯ ილგუდი, გერმანელი პაულ ერნსტი, ფრანგი პოლ ვალერი, ავსტრიელი ანტონ ვილდგანსი, დანიელები იოჰანეს იენსენი და იოჰანეს იორგენსენი, ავსტრიელი რუდოლფ კასნერი, რუსი დმიტრი მერეჟკოვსკი, იტალიელი ფრანჩესკო ორესტანი, ბერძენი კოსტის პალამასი, ესპანელი რამონ მენენდეს პიდალი, ქართველი გრიგოლ რობაქიძე, ამერიკელი ედვინ რობინსონი, ესპანელი კონჩა ესპინა დე ლა სერნა, ფინელი ფრანს სილანპიაა, ამერიკელი ეპტონ სინკლერი, ინგლისელი პერბერტ უელსი, რუსი ივან შმელიოვი და ჩეზი კარელ ჩაპეკი.

რობაქიძის ქართველობა და ბუნინის რუსობა ნობელის კომიტეტის მასალებში მითითებული არ ყოფილა. მათ დოკუმენტებში ერთიც საბჭოთა კავშირს ნარმოადგენს და მეორეც, ისევე როგორც კიდევ ორი რუსი: მერეჟკოვსკი და შემელიოვი. ისე, ერთგვარი კურიოზია: ოთხივე მწერალი, რომელიც ნობელის პრემიის ნომინანტთა სიაში საბჭოთა კავშირის ნარმომადგენლად ფიგურირებს, ემიგრანტია და იმ პერიოდის საბჭოთა კავშირში მათ სახელებს ტაბუ ადევს. არცერთი მათგანი კანდიდატურა არ იყო ართუ ნარმოდგენილი, თუნდაც მხარდაჭერილი საბჭოთა კავშირის მიერ.

როგორ არ გაგასხსნდება აქ სიტყვები ლიტერატურის დარგში ნობელის კომიტეტის თავმჯდომარის ანდრეს ესტერლინგის 1947 წლის მოხსენებიდან შევდეთის აკადემიის საერთო სხდომაზე ბორის პასტერნაკის კანდიდატურის შესახებ:

დატს და ეს კანდიდატი ასევე ემიგრანტი, ნიცაში ბუნინის მეზობელი მარკ ალდანოვი იქნება. გოლსურისის, სილანპიასა და იენსენს ამ უფლებით არ უსარგებლიათ.

როგორც ნობელის კომიტეტის ოფიციალური საიტი-დან ვგებულობთ, ძალზე ახლოს ყოფილა ლაურეატობასთან პოლ ვალერი: იგი თურმე სწორედ იმ წელიწადს გარდაცვლილა, როცა კომიტეტი მისი კანდიდატურისკენ იხრებოდა. პოლ ვალერი ერთგვარი რეკორდსმენია პრემიაზე წარდგენის თვალსაზრისით – 1930-1945 წლებში იგი 12-ჯერ მოხვდა ნომინანტთა შორის და ამ მაჩვენებლით მხოლოდ ესპანელ ანხელ გუიმერა ი ხორხეს ჩამორჩება, რომელიც 1907-1923 წლებში 17-ჯერ უშედეგოდ იყო ნარდგენილი ნობელზე.

1932 წელს უპრემიოდ დარჩენილთაგან პოლ ვალერის გარდა სხვა წლებში შირად იყვნენ ნომინანტთა შორის იენსენი, სალანპიაია, მერეჟკოვსკი, გრიპენბერგი, დუუნი, პალამასი და პიდალი.

ამათგან ცველაზე „ძველი“ ნომინანტი – რუსული სიმბოლიზმის ფუძემდებელი დმიტრი მერეჟკოვსკი 1914 წლიდან „ცდილობდა“ პრემიის მოპოვებას, ხოლო ესპანეთის სამეფო აკადემიის პრეზიდენტი, ფილოლოგი და ისტორიკოსი რამონ მენენდეს პიდალი ცველაზე მეტხანს – 1950 წლამდე შემორჩება ნომინანტთა სიას.

საერთოდ, 1932 წლის ნომინანტები, რობაქიძის, ელგუდისა და ორესტანოს გარდა, რომლებიც მხოლოდ თითოეულ იყვნენ ნაადგენილი პრემიაზე, 2-ჯერ, 3-ჯერ, 4-ჯერ, 5-ჯერ, 6-ჯერ, 7-ჯერ, 8-ჯერ, 10-ჯერ, 12-ჯერ, 13-ჯერ, 14-ჯერ და 18-ჯერაც კი გახვდებიან ნომინანტთა სიებში. სამი მათ შორის განსაუთრებით გამორჩეულია: გერმანელი ფილოსოფოსი და ბიოლოგი, კლონირების პიონერი პანს დრიში 1932 წელს ლიტერატურის დარგში იყო ნარდგენილი პრემიაზე, 1928 და 1930 წლებში კი – იგი როგორც ლიტერატურის, ისე მშვიდობის დარგში ნარადგინეს ნობელზე. დანიელმა პოლემის იენსენმა 1925 წლიდან მოყოლებული მხოლოდ ორი წელინადი გამოტოვოვა, რომ ნომინანტთა შორის არ ყოველი მარკ ალდანოვი იყო, სანამ 1944-ში ლაურეატი არ გახდა. ხოლო რუსი დმიტრი მერეჟკოვსკი 1914 წლიდან 1937 წლამდე – მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში უშედეგოდ ფიგურირებდა ნომინანტთა სიებში.

პრემიას მომანიჭებდნენ, მაგრამ არ მეგონა, თუ ეს ასე მალე მოხდებოდა. მადლობელი ვარ აკადემის. მე და ქართველმა ერმა ეს ერთად დავიმსახურეთ.“

დავით გორგოლაძე ოცამდე რომანისა და უამრავი ნოველის ავტორია. მის გამორჩეულ რომანებს შორისაა:

„ხანშიშესულ მექანიკა კლუბი“, „ხმეს ულამაზო“, „კუცუნა რქეპით“, „კეტონალი მენსტრუალური ტკივილის წინააღმდეგ“, „მეუხერხსულება, რატომ წუხდებოდით?“, „ერევნის ხსნი“ და სხვა.

ალსანიშვანია, რომ გორგოლაძე პირველი ქართველია, რომელსაც ნობელის პრემია მიერიქა. ის აგრეთვე მიიღებს ათ მილიონ შეკვერც კრონს.

დღედან ქართველ დავით გორგოლაძეს განსაკუთრებული პატივისცემით მოიხსენიებენ სამხერლო წრებში, ის ხომ 2009 წლის ნობელიანტია.“

დავით გორგოლაძის აზ სალალობი ბლოგ-მოსტს შეიღი კომენტი ახლავს. ერთი კომენტარითო – Mari – წერს: „მაგარი ხარ დავით )) ვგარი რომ არ ენეროს, ეჭვიც არ შემეპარებოდა, რომ ნამდვილი სტატია (მ)) მალადეც... ისტიც ნამეკითხოს, მალე არა, მაგრამ წამეკითხოს.“

მადლობა დმრთს, არც Mari და თითქმის არცერთს სხვა კომენტატორი ბატონ გორგოლაძის ამ თამაშს სერიოზულად არ აღიქვამს, თუმცა არცთუ იშვიათია, როცა ინტერნეტში გამოქვეყნებული შეგავს ტექსტებს პიტალო ჟურნალისტებად საღდება და ინტერნეტმომხმარებელს

იენსენი 18-ჯერ იყო ნომინანტთა ნუსხაში, პალამასი – 14-ჯერ, დუუნი – 13-ჯერ, პოლ ვალერი (ზემოთ უკვე ითქვა) – 12-ჯერ, გრიპენბერგი, მერეჟკოვსკი და სილან-პიაია – 10-10-ჯერ.

საერთოდ, პირველსავე ცდაზე ნობელის პრემიის მიღება იშვიათად ხდება. პრემიის სადაცისოდ ცნობილი ისტორიის მანძილზე ასეთი რამ მხოლოდ ათჯერ მოხდა და აქე-დან ხუთი შემთხვევა პირველ 13 წელინადზე მოდის.

პოლ ვალერი, იენსენი, სილანპიაია, ბონე, გალვესი, გრიპენბერგი, დუუნი, პალამასი, სინკლერი და კარელ ჩა-პეკი 1933 წელსაც იქნებიან ნომინანტთა შორის, როცა პრე-მიას ბუნინი მიიღებს თავის მეუხეო ცდაზე, რობაქიძე კი იმ წელინადს ნომინანტი აღარ იქნება.

ასე რომ, ბუნინს რობაქიძისთვის არ უჯობნია სანობე-ლო მარათონში. ისინი ორივენი გოლუორსისთან „დამარ-ცხდნენ“. როგორ და რა ანგარიშით ამის შესახებ ნობელის კომიტეტი, ინფორმაციის რაღაც ნანილის განსაიდუმლოე-ბის მიუხედავად, დღემდე დუმს და არც არასოდეს იტყვის რამეს – კომიტეტის სხდომათა ოქმები და სხვა ჩანაწერები, წესდებით თუ ერთხელ და სამუდამიდ დამკვიდრებული ტრადიციით, გადაწყვეტილების მიღებისთანავე ნადგურ-დება, ხოლო კომიტეტის წევრებს აკრძალული აქვთ რამე კომენტარის გაკეთება განხილვის პერიპეტიების შესახებ. ვერც იმას გავიგებთ ოდესმე, შედიოდა თუ არა ან რობაქიძე ან ბუნინი კანდიდატთა ფინალურ სუთეულში, ან თუ იყო რომელიმე მათგანის გვარი წინასწარ შერჩეულ 15-20-აცენან შორტ-ლისტში.

საერთოდ, უცნობია, არსებობდა თუ არა შორტ-ლისტი 1932 წელს და თუ არსებობდა, ვინ შედიოდა მასში პერსონალურად, ის კი ფაქტია, რომ ქართველი მწერლის უპრემიოდ დარჩენაში არც პიტლერი ერია, არც მუსოლინი და არც თავად რობაქიძის პოლიტიკური, იდეოლოგიური თუ ესთეტიკური სიმპათია-ანტიპათიები.

სანობელო მარათონში მონანილეობა თავისთავად უკვე გამარჯვება. ნობელის პრემია არ ღირსებია ბევრ დიდ, ძალიან-ძალიან დიდ მწერალსა თუ პოეტს, მაგალითად ისე - თებს, როგორებიც არიან, ვთქვათ, ლევ ტოლსტიო, აპოლი-ნერი, ჯონის, რილეკ, კაფკა, ლორკა, ბორხესი ან თუნდაც იგივე პოლ ვალერი...

prize.org) მასალები სხვადასხვა დარგში სხვადასხვა დო-ნეზეა განსაიდუმლოებული და სისტემატიზებული. მონა-ცემთა სრულყოფილი ბაზა ნომინანტთა შესახებ ჯერჯე-რობით მხოლოდ მშვიდობის დარგში (1901-1955) და მედი-ცინა-ფიზიოლოგიაშია (1901-1951) ნარმოდგენილი.

სხვათა შორის, განარქივებულ მონაცემთა ბაზაში ნო-მინანტთა შორის ვერ მოვიძიო ქართველი მეცნიერი ვასილ ვარაზაშვილი, თუმცა აქამდე სხვადასხვა პუბლიკაციით თითქოს უეჭველად ვიცოდით, რომ იგი 1939 წლის პრემია-ზე უნდა წარედგინათ მედიცინასა და ფიზიოლოგიაში. რო - გორც ჩანს, მას წარდგენამდე ათქმევინეს უარი.

„სამაგივეროდ“ ნომინანტთა გამოქვეყნებულ ნუსხაში შეტანილია რობაქიძის ერთ-ერთი ნაწარმოების – „ჩაკლუ-ლი სულის“ – გმირი იოსებ სტალინი. იგი ორჯერ წარუდგე-ნიათ ნობელის პრემიაზე – 1945 და 1948 წლებში. პირველად სტალინი ნობელის კომიტეტის ყოფილმა წევრმა, ნორვეგი-ის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა პალდვან კოტმა წარადგინა შვიდ სხვა კანდიდატთან ერთად (კორდელ ჰალი, ფრანკლინ რუზველტი, უინსტონ ჩერჩილი, ენტონი იდენი, მაქსიმ ლიტვინოვი, ედვარდ ბენეში და ასა სმატსი), მეორედ კი – პრალის კარლოსის უნივერსიტეტის პროფე-სორმა ვლადისლავ რიეგერმა. 1945 წლს პრემია ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კორდელ ჰალმა მიიღო გაერთიანებული ერების ორგანი-ზაციის შექმნაში შეტანილ წვლილისათვის, 1948-ში კი ნო-ბელის მშვიდობის პრემია არავის მინიჭებია.

თუმცა სტალინი სხვა თემაა.

რაც შეეხებათ ჩვენს თანამედროვეებს, ალბათ რამდე - ნიმე ათწლეულის შემდეგ, როცა ნობელის პრემიების კომი-ტეტი დღევანდებული ინფორმაციასაც განსაიდუმლებს და ქართული ნობელისტიკაც ახალ საფეხურზე ავა, ჩვენი შთამომავლები დანამდვილებით შეიტყობენ, მართლა იყვნენ თუ არ იყვნენ, და თუ იყვნენ, – რამდენჯერ იყვნენ ან რამდენჯერ იქნებიან წარდგენილი ნობელის პრემიაზე მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნა-ძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე, ბესიკ ხარანაული, გია დვალი და სხვა ქართველი პოლიტიკოსები, მწერლები თუ მეცნიერები. ვინდლო ამასობაში ქართველთა გვარები უკვე ნობელიანტთა სიაშიც მოხვდეს.

გვარიანი ცოდნა და  
დაკვირვება მოეთხოვება, რომ  
ინფორმაცია და თამაში, ფაქტი  
და გამონაგონი, დოკუმენტური  
და მხატვრული, ჭრი და  
მართალი ერთმანეთისგან

გაარჩიოს.

ეს ბლოგ-პოსტიც და მისი  
ერთი კომენტ(არ)იც ამის  
საილუსტრაციოდ დაგიმოწმება.  
სხვათა შორის ჩვენი ურნალის  
ზოგიერთი ავტორის  
საყურადღებოდაც – პ. 6.

ასეა თუ ისე, ამიერიდან უკვე ოფიციალურად დადასტურებული ფაქტია, რომ გრიგოლ რობაქიძე არის პირველი ქართველი, ვინც ნობელის პრემიის ნომინანტთა შორის მოხვდა.

თუმცა ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მწერალს მთელი მანამდელი შემოქმედებისათვის ენიჭება, ცხრა მწერალი ერთი კონკრეტული ნაწარმოებისათვის და - ჯილდოვდა. სწორედ ასე მოხდა 1932 წელსაც, გოლსუორსის შემთხვევაში. დანამდვილებით დღეს ძნელი სათქმელია, რობაქიძის კერძოდ რომელი ნაწარმოები იყო წარდგენილი პრემიაზე: „ჩაკლული სული“, „მეგი - ქართველი ქალიშვილი“ თუ „გველის პერანგი“. პირველი გერმანულად დაინერა და 1933 წელს გამოიცა; მეორე რუსულად არის დაწერილი, რიხარდ მეკელაინმა თარგმნა და 1932 წელს დაიბეჭდა; მესამე კი, ქართულად დაწერილი და ასევე რიხარდ მეკელაინის მიერ თარგმნილი, 1928 წელს გამოიცა იენაში შტეფან ცვაიგის ნინასიტყვაობით. სანობელოდ კანდიდატის წარდგენის უკანასკნელი ვადა 31 იანვარია. არა მგონია, მაგრამ თუ შესაძლებელია, რომ პრემიაზე დაუსტაბავი წიგნი იყოს წარდგენილი, „ჩაკლული სული“ რობაქიძის საკუთრესო რომანა, თანაც ანტიბოლ-შევიერი და სანობელედაც ყველაზე უპრიანი სწორედ მისი წარდგენა იქნებოდა. შესაძლებელია, პრემიაზე „მეგი“ იყო წარდგენილი, რომელიც 1932 წელს კი გამოიცა, მაგრამ წარდგენის ვადიდან გამომდინარე, „ჩაკლული სულის“ „თუ“ ამასაც ეხება. ყველაზე დიდი ალბათობით კი პრემიაზე „გველის პერანგი“ უნდა წარედგინათ, რომელიც იმ დროისათვის უკვე საკმაოდ პოპულარული იყო გერმანიის და საერთოდ ევროპის ლიტერატურულ წრეებში. არც ის ვარიანტია გამორიცხული, რომ რობაქიძის წარდგინებისას მისი არც ერთი კონკრეტული ნაწარმოები არ იყო გამოყიდილი, ნობელის კომიტეტის წევრები წინასწარ შერჩეულ კანდიდატთა ნაწარმოებებს მხოლოდ იღნისაგვისტოში კითხულობდნენ. სამწუხაროდ, დღეს ამის დაზუსტება შეუძლებელია, რადგან პრემიების განარქივებულ მასალებში ეს ინფორმაცია არ არის და სავარაუდოა, რომ არც არასოდეს იქნება.

ნობელის კომიტეტის მასალების განარქივება კი გრძელდება. კომიტეტის ოფიციალურ საიტზე ([მაგრამ რამდენი ქართული სახელიც არ უნდა შეემატოს ამ პრესტიჟული ჯილდოს ლაურეატთა რიგებს, გრიგოლ რობაქიძე მუდამ პირველი ქართველი იქნება, ვინც ნობელის პრემიაზე წარადგინება.](http://nobel-</a></p>
</div>
<div data-bbox=)

დაზუსტებით მართლა ძალიან ძნელი სათქმელია, რატომ არსად არაფერი აქვს თავად რობაქიძეს ამის შესახებ ნათქვა-მი. მან კარგად იცოდა საკუთარი შემოქმედების ფასი, იქნება - გადაჭარბებითაც. მისთვის არ იყო უჩვეულო თავისი წარმატებებით თავის მონონება და სიამაყე, მას უყვარდა თავის გამოჩენა და არცთუ იშვიათად თავის ქებაც და ტრაბახიც. როგორც ჩანს, ნობელის კომიტეტის გასაიდუმლოებული ინფორმაცია ბოლომდე მისთვისაც საიდუმლოდ დარჩა. თავიდან მეგონა, რომ პრემიაზე მას თავისი ნომინანტობის ამბავი რიხარდ მეკელაინისგან მაინც უნდა სცოდნოდა, მაგრამ როცა კიდევ ერთხელ ჩავიხდე მეკელაინის მიერ ქართველთათვის შედგენილ „გერმანული ენის სახელმძღვანელოს“, დავრწმუნდა, რომ გერმანელი ქართველობითი სულაც არ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული თავისი წარდგინების გახმაურებაში. საქმე ის არის, რომ სწორედ იმ წლებში, როცა რიხარდ მეკელაინმა რობაქიძე ნობელის პრემიაზე წარადგინა, იგი მტიდროდ თანამშრომლობდა საბჭოთა საქართველოს მთავრობასთან, რასაც ადასტურებს ორენოვანი წარწერა მისი სახელმძღვანელოს პირველსავე გვერდზე:

„ამ წიგნის წარმოშობა ეკუთვნის საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატის, საქართველოს უცხოეთთან კულტურული კავშირის სექციის აღმოსავლეთ ევროპის შესასწავლ საზოგადოების ინიციატივას.“

მეკელაინის ამ სიტყვების შემდეგ საკვირველი ის კი არ არის, რატომ არ გაუმხილა მან რობაქიძეს ნობელის პრემიაზე მისი წარდგენის ამბავი, არამედ საერთოდ როგორ გამოიჩინა ასეთი თაოსნობა. მან ხომ სხვაზე კარგად უწყოდა, რა რეაქცია შეიძლებოდა ჰქონოდა ამ ყველაფერზე საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებას. როგორც ჩანს, მან ეს ნაბიჯი თავისი ლიტერატურული თუ ადამიანური სინდისის კარნახით, გარკვეული რისკის ფასად გადადგა და ამადაც არაფერი უთხრა რობაქიძეს.

საერთოდ, ვიქტორი, რომ ჩვენ ჯეროვნად არ ვიცნობთ და არ ვაფასებთ რიხარდ მეკელაინს, რომელსაც დიახაც



**ხეხი ასვლის  
გაპვეთილები  
ახალგაზრდა  
შურნალომებისათვის**

**პპპტბ  
ნაცვლიშვილის  
შემოქმედებითი  
სახელოსნო**

გრიგოლ რობაქიძის სახელობის  
უნივერსიტეტი  
ჯანო ბაგრატიონის 6  
paatapress@yahoo.com

ბევრი აქვს გაკეთებული ქართული საქმისათვის ევროპაში. თუმცა მის შესახებ ინფორმაცია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც არის შეტანილი და 1970 წელს სარა ჭიჭინაძის ბროშურაც გამოიცა, ჩანს, აკრძალული მწერლის ნაწარმოებების თარგმნისა და პოპულარიზაციის გამო, მის სახელსაც არა ისეთი მკაცრი, როგორიც თავად რობაქიძისას, მაგრამ მაინც ტაბუ ედო. ტაბუ და აკრძალვა მაშინ გენახათ, რობაქიძის ნობელის პრემიაზე წარდგენის ამბავი რომ გახმაურებულიყო! შეიძლება ერთადერთი არა, მაგრამ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მექელაინი ისე ჩავიდა საფლავში 1948 წელს, რომ მის მიერ რობაქიძის ნაწარდგინების ამბავი არავის გაუმხილა, ესეც იყო.

რობაქიძემ კი, თავის მხრივ, თუმცა ჭორად ალბათ გააგებული ჰქონდა ეს ამბავი, ოფიციალური რამ დამადასტურებული საბუთის უქონლობის გამო ნობელის პრემიაზე მისი წარდგენის ამბის გახმაურება, თავისი ხასიათის მიუხედავად, არ ინდომა.

არადა, კარგად უწყოდა, რომ ნობელის პრემიის ნომინაციონაც კი ცოტას არ ნიშანვს სამწერლო რეპუტაციის თვალსაზრისით. ნიკოს კაზანძაკისზე საუბრისას, კერძო წერილშიც კი აკი საგანგებოდ უსვამს ხაზს ბერძენი მწერლის ნომინაციონას. „ავტორი გარდაიცვალა 1957 წელს. იყო კანდიდატი ნობელის პრემიისა“, – სწერს იგი 1962 წლის აგვისტოში ემიგრანტ ქართველ პოეტს გიორგი გამყრელიძეს, როცა სიამაყით უამბობს კაზანძაკისის ის-ისაა გამოსულ ახალ წიგნზე „ტოდა-რაბა“, რომელშიც რობაქიძე თავისი სახელით და გვარით არის მოხსენიებული, – „რომანში გამოყვანილი ვარ მეც. ორ გვერდზეა ჩემზე სიტყვა. საარაკო ამბავი: „რომანში“ ნამდვილი პიროვნება და ისიც ჯერ კიდევ ცოცხალი!“

რომ სცოდნოდა, განა აქ მაინც არ ახსენებდა თავის ნომინაციონას, სადაც კაზანძაკისის ნომინაციონით ლამის თვითონ იწონებს თავს? თუ სხვის კანდიდატობას საგანგებოდ აღნიშნავს, თავისას რაღად დამალავდა?!.

მაშინაც კი, როცა ირაკლი აბაშიძეს წერილს წერს და თავისი სახელის რეაბილიტაციის ცდილობს, მსოფლიო

ლიტერატურაში თავისი ადგილის მოსანიშნად, ბუნინთან დაპირისპირების გარდა, მხოლოდ იმას ამბობს, რომ ერთ-ერთ შეედ ლიტერატურის მცოდნეს მისი „ჩაკლული სული“ თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის სამ საუკეთესო წიგნს შორის დაუსახელებია:

„უფალავ წიგნებში საბჭოთზე ჩემი რომანი ყველასაგან გამოირჩევა. იგი შექმნილია „მესამე ნაპირზე“ – მდინარეს მესამე ნაპირიც აქვს, უხილავი... რას წარმოადგენს თავის-თავად „მესამე ნაპირზე“ დგომა – ფილოსოფიური ახსნა შორს წაგვიყვანდა. სიტყვას აქ ვერ მოვათავებ, რომ ხსენებული რომანის „ბიოგრაფიითავან“ ერთი ფაქტი არ მოვიყვანო. ომის ნინ შევდურმა უურნალმა IDIN ანკეტა გამართა. ლიტერატურამცოდნეთ უნდა დაესახელებათ სამი უმნიშვნელოვანესი წიგნი ჩევენი დროის მსოფლიო ლიტერატურაში, დასაბუთებით არჩევისა. ამ სამში იქმნა მოქცეული ჩემი “Die Gemordete Seele” გამოჩენილი ავტორის მიერ: S. Neander Nilsson“.

და რომც სცოდნოდა, რომც ყოველ წუთს ეძახა, ნობელის პრემიის ნომინანტი ვიყავიო, ეს ველარაფერს შეცვლიდა მის ცხოვრებაში.

ლოლვილი მწერლის ყველა მცდელობა მშობლიურ ლიტერატურაში დაეპრუნებინა საკუთარი სახელი, უშედეგოდ დასრულდა.

ამაში მას ვერც ნობელის პრემიის ნომინანტობა დაეხმარა.

ნობელნახსენები წერილების დაწერიდან რამდენიმე თვის შემდეგ კი, 1962 წლის 19 ნოემბერს გრიგოლ რობაქიძე გარდაიცვალა.

ხოლო მის სახელს ტაბუ მთელი მეოთხედი საუკუნის შემდეგ, 1987 წელს აეხსნა.

მას მერე გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება და მისი ბიოგრაფიის უცნობი ეპიზოდები ასე ნაპიჯ-ნაპიჯ ბრუნდება საქართველოში.

ნობელის კომიტეტის განარქივებული მასალა კი, რომელსაც ყოველდღე ახალი და ახალი ინფორმაცია ემატება, გამოწვლილვით შესწავლას მოითხოვს.

კომენტ(არ)ებისათვის

კომენტ(არ)ებისათვის